



# VOYAGER

BY SOLO

თურქეთი  
მაგაზინი 10/2018

მომხატორი: ნაზი მემორაღლი • სხილი • მასწავლებელი: ნასტრომი • არქიტექტორი: დიმიტრი • სპორტი



**ENJOY THE  
PRIVILEGES**

**WHERE  
BUSINESS  
MEETS  
BENEFITS**

To become a member and start receiving  
benefits of Turkish Airlines Corporate Club,  
please visit [corporateclub.thy.com](http://corporateclub.thy.com)



A STAR ALLIANCE MEMBER  | 

TURKISH AIRLINES 

**CORPORATE CLUB**

WHERE BUSINESS MEETS BENEFITS







# წარმოგიდგინო PANDORA SHINE-ს

ახალი კოლექციის უმაღლესი სინჯის ვერცხლის სამკაულები  
მოთქროვილია 18 კარატიანი ოქროთი

იბრწყინე



PANDORA

[pandora.net](http://pandora.net)

რუსთაველის 46  
პეკინის 18  
ს/ც ჭი-თი-სი  
ს/ც თბილისი მოლი

ს/ც ისთ ფონიტი  
ს/ც გალერია თბილისი  
აღმაშენებლის 98  
+995 322 000 280

**TIME**





სტამბოლი

უზნები / დირსხვასანიხანოვაძი  
 ავუღაუვაძი / სანსტაროვაძი  
 რესტორნები / ბარები  
 სუფა / ბარები / მოვიზი

12  
/  
45

ოსმანთიდან თურქეთამდე

50

ქანაქი, როგორც პანდოფსიასტი

52

სტამბოლი

54

ისტანბული – კონსტანტინოპოლი – ბიზანტიუმი

60

ოქროს, ფიფინის და პანის ტიხები

66

ახანდი, როგორც ქანინა (არ) უყვარტი

70

ALLA TURCA

ავთარაბიდან მოცარტამდე და პანდა

72

ათან პანტი და დის ცეკვა

76

პანდინაზის სანის სევა

78

სადინის სანანადოს სანიდუბროვანი

82

ანე რა სარგავანი მოაქვს ბრქანტარინა კოვს

ბანტრონია

კარქაზი / KEBAP / ჩაი / ტკვირადი  
 პანადი / დინო

86  
/  
93

იბოგანურად ისტორიულ ტან-ქანტატი

94

ქანაქები

ტრანვიზონი / ანქანა / კანადოქია  
 კონია / ფანაქანა / ანტანი  
 ფანტი / დანა / ბოლრუმი / დანსო  
 იბირი / ანანთი / ბოჭანა

100  
/  
127





კეთილი იყოს  
თქვენი მობრძანება

# American Express Platinum-ის სამყაროში



Platinum-ი გასაოცარი სამყაროა, სადაც წინ გელით მრავალფეროვანი შეთავაზებები, უპირატესობები და გამოცდილება...

Platinum-ის დახმარებით თქვენ შეძლებთ:

- გყავდეთ პირადი კონსიერჟი;
- დაგეგმეთ მოგზაურობა:
  - დაისვენოთ განსაკუთრებული პირობებით მაღალი კლასის სასტუმროებში;
  - ეწვიოთ 1 000-ზე მეტი აეროპორტის ლაუნჯს 120-ზე მეტ ქვეყანაში;
  - ისარგებლოთ სასტუმროების ლოიალურობის პროგრამებით;
- აღმოაჩინოთ ცხოვრების ახალი სტილი American Express Invites-თან ერთად;
- დააზღვიოთ თქვენი მოგზაურობა და სხვ.



გახდით SOLO CLUB-ის წევრი, გაიზიარეთ American Express Platinum-ის ახალი გამოცდილება და ისარგებლეთ სპეციალურად თქვენზე მორგებული მრავალფეროვანი უპირატესობებით.

SOLO CLUB-ი თქვენთვის მხოლოდ სრულყოფილ მომსახურებას უზრუნველყოფს.



თურქეთში მოგზაურობა ერთდროულად რამდენიმე ეპოქასა და ქვეყანაში ცხოვრებას ჰგავს, რადგან აქ კვლავაც ცოცხალია ძველი სამყარო. ამ მიწაზე უამრავი ხალხისა და კულტურის კვალი და საწყისები იმალება, რომლებიც თავად უნდა აღმოაჩინოთ. ყოველ მხარეს, ყოველ ქალაქს თავისი ხასიათი და უნიკალური სტილი გამოარჩევს.

სტამბოლით დავიწყოთ – ის მსოფლიოში ერთადერთი პანკონტინენტური ქალაქია, რომელიც ორ, ევროპისა და აზიის, კონტინენტზე მდებარეობს. ძველი სახელი – კონსტანტინოპოლი – ისტანბულით შეიცვალა, ხოლო თურქეთის დედაქალაქის წოდება მას ჯერ კიდევ 1923 წელს ჩამოერთვა. თუმცა ჯერ რომაელთა, შემდეგ ბიზანტიელთა, დაბოლოს ოსმალეთის იმპერიის სატახტო ქალაქს, 10 რომაელი და 82 ბიზანტიელი იმპერატორის, 30 ოსმალო სულთნის რეზიდენციას, 8500-წლიანი ისტორიის სტამბოლს მარადიული განუყოფელი დიდებულება ამშვენებს.

პირველი შთაბეჭდილების შემდეგ ჩნდება განწყობა, რომ სტამბოლში ზედმეტად ბევრი ავტომანქანა, უამრავი ადამიანი, მუდმივი ხმაური და ქაოსია, მაგრამ თანდათან, აუხსნელი კანონზომიერებით, ყველაფერი თითქოს თავის ადგილს პოულობს და ხედებით, რომ ველარასოდეს დავიწყებთ ისტორიულ ნახევარკუნძულზე გადაშლილ სტამბოლის ჰორიზონტს და ამ ქალაქის მომხიბვლელობის მთავარ მიზეზს – ბოსფორს.

სტამბოლში 14 მილიონზე მეტი მცხოვრებია – ეს მხოლოდ ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებელია, არაოფიციალურად კი აქ 17 მილიონზე მეტი ადამიანი სახლობს. ამ შეუდარებელ ქალაქში ყოველწლიურად 12 მილიონი ტურისტიც ჩადის. შესაბამისად, რა მიმართულებითაც არ უნდა მიემგზავრებოდეთ, მანქანების საცობში მოხვედრა გარდაუვალია. თუ სტამბოლს პირველად სტუმრობთ, ყველანაირი ემოციისთვის მოემზადეთ – ეს ქალაქი გაგაკვირვებთ; წინააღმდეგობრივი, მაგრამ ძლიერი შთაბეჭდილებებით დაგტვირთავთ და დაგლლით. რაც უფრო ხშირად ესტუმრებით მას, მით მეტი რამ დაგჩვენებთ სანახავი, ქალაქის ხელახლა აღმოჩენის მუდმივი სურვილი და სტამბოლის მონატრება არასოდეს დასრულდება.

ამიტომაც Voyager by SOLO თურქეთში მოგზაურობას სწორედ სტამბოლით, ქვეყნის ყველაზე დიდი მეგაპოლისით იწყებს. ჩვენ მოგიყვებით, როგორ გაიკვლით გზა ისტორიულ ლაბირინთებში და ქალაქის დამრეც, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში; სად დაბინავდეთ; რომელი ღირსშესანიშნაობები დაათვალიეროთ; რა წესითა და რიგით მიირთვათ უგემრიელესი ოსმალური კერძები (თუ ნამდვილი გურმანი ხართ, ეს ქალაქი თქვენი გასტრონომიული მექა გახდება); როგორ დაისვენოთ თურქულ შამამში, თუნდაც, რა უნდა იცოდეთ იმისათვის, რომ უძველეს და უდიდეს ბაზარში წარმატებით ივაჭროთ.

ცხადია, ერთ გამოცემაში სტამბოლის ყველა ღირსშესანიშნაობას ვერ მოვაქვევდით – მხოლოდ იმას შევეცადეთ, თქვენამდე თავად ქალაქის სურნელი და ხიბლი მოგვტანა.

ბემოთ თურქეთის ქალაქებისა და მხარეების თვითმყოფადი ხასიათი ვახსენეთ. ყოველი მათგანი აუხსნელად განსაკუთრებული და ურთიერთგანსხვავებულია. ასეთია ბურსა, ოსმალეთის პირველი დედაქალაქი; თავისუფლებით გამორჩეული იზმირი და ამ თავისუფლებაში მასთან გაკბრებული ბოდრუმი, ძველი ჰალიკარნასი, სადაც ჰეროდოტე თავის საოცარ „ისტორიას“ წერდა; ასეთია კონია, სადაც რუმის სასულთნოს ქართველმა დედოფალმა (იმავე გურჯმა ხათუნმა), თამარ ჯეფის შვილიშვილმა დერვიშითა ორდენის დამაარსებლის, ჯალალ ედ-დინ რუმის საფლავზე ულამაზესი მწვანე თურბე ააგებინა.

განსაკუთრებულად მგრძობიარე და შთაბეჭდავია ისტორიული ტაო-კლარჯეთი, დღევანდელი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის პროვინციები: ართვინი, არდაჰანი და არზრუმი.

მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ორი სწორედ თურქეთის მიწაზე მდებარეობდა: არტემიდეს ტაძარი – ეფესოში და ჰალიკარნასის მაგბოლეუმი – ბოდრუმი. გამოცხადების წიგნში ნახსენები შვიდივე ტაძარიც – ეფესო, სმირა, პერგამონი, თიატირა, სარდე, ფილადელფია და ლაოდიკია – თურქეთის ტერიტორიაზეა. აქ თითქოს ძველი კერპების, თავისუფალი ქალაქებისა და ინტელექტუალური საბერძნეთის სული ტრიალებს.

კაბადოკია ყველაზე იდუმალი და გასაოცარი მხარეა – ლამაზი ცხენებისა და კლდეში ნაკვეთი მიწისქვეშა ქალაქების ქვეყანა, სადაც იქაურ კლდოვან ლაბირინთებში იმოგზაურებთ და საჰაერო ბუშტებით იფრენთ.

თუ ბაფხულში დასვენებას გეგმავთ, ეგეოსის ზღვის სანაპიროზე, ჩემეს ნახევარკუნძულზე, ფერწერულ ალანათის ესტუმრეთ; ანდა ბოზჯაადას, დარდანელის სრუტის ყელთან მდებარე პატარა კუნძულს, ყოფილ ტენედოსს; შემდეგ ფეთჰიეს ყურის ფირუზისფერ წყლებში უძველესი ხის გემების „შთამომავალი“ გულეტებით კრუიზში გაემგზავრეთ. დაბოლოს, დათხას ესტუმრეთ – როგორც ძველი ბერძნები გვიამბობენ, აქაურობა, ულამაზესი კლდოვანი კონტურებითა და ლაჟვარდისფერი წყლით, თვით ნევსმა შექმნა; მან ამ წალკოტში ისინი დაასახლა, ვინც უყვარდა, რომ ყოველ მათგანს ძალიან დიდხანს ეცოცხლა...

გახდით SOLO-მოგზაური, მიჰყევით ჩვენს რჩევებს და დროში სამოგზაუროდ თურქეთისკენ გასწიეთ.

**თვა სხიერელი**  
მთავარი რედაქტორი





ავეჯი  
განათიბა  
სამზარეულო  
ფარლა  
შვალერი  
კერამიკა  
აბაზანის ავეჯი  
პარკეტი  
კერი

ჩალი

12

DESIGN AVENUE



# VOYAGER

BY  
SOLO

10, 2018



მთავარი რედაქტორი

**თეა სხიერელი**

დიზაინერი

**ნინო ყაველაშვილი**

მხატვარ-ილუსტრატორი

**მაია სუმბაძე**

სტილის რედაქტორი

**ნინო ლურსმანაშვილი**

ფოტო – Shutterstock  
Dreamstime

ავტორები:

**აკა მორჩილაძე**

**ლაშა ბულაძე**

**სალომე დადუნაშვილი**

**ნინო დარასელი**

**ბიძინა ბარათაშვილი**

**კახა თოლორდავა**

**თამარ ალფენიძე**

**გიორგი მაისურაძე**

**ნიკოლოზ ჩხაიძე**

**მარინა ყიფშიძე**

**ირინე გივიაშვილი**

**ციუკა ყიფშიძე**

**ირინა ბაგაური**

**ნანუკა ჭავჭავაძე**

**ზაზა ჯილაძე**

ადმინისტრაციული

თანაშემნა

**გიორგი ვასაძე**

სარედაქციო გაცემების

მენეჯერი

**ნაზი გოშაძე**

პროექტის ხელმძღვანელი / SOLO-ს დირექტორი

**ეკა ლუჩიძე**

პროექტის კონსულტანტი

**ნინო გეგეშიძე**

SOLO-ს ბრენდმენეჯერი

**ქეთი ნიკოლეიშვილი**

მადლობას ვუხდით

თამრიკო ხომასურაძეს,

ირაკლი კოპლატაძეს,

გიორგი ჭანჭლავას.



SOLO

გამომცემელი: შპს „სოლო“

ვებგვერდი: [www.solo.ge](http://www.solo.ge)

ტელ.: +995 32 2 44 44 00

ISSN: 2346-8130

რეკლამა შურნალში: +995 599 330 364

შურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს შპს „სოლოს“ საკუთრებას. შურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება კომპანიის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.



2950  
ლარიდან



თბილისი ქაინს I 2012  
**ბაიღენს**

#### ლობი

კონსიერჟის სერვისი და იდეალური სივრცე საქმიანი შეხვედრებისთვის.

#### უსაფრთხო გარემო

მშვიდი საცხოვრებელი სივრცე და ცვის განსაკუთრებული სერვისით.

#### ფიტნეს ცენტრი

24 საათიანი სავარჯიშო დარბაზი გამოცდილი ინსტრუქტორებით.

#### აუზი

ოლიმპიური მომისა და საბავშვო საცურაო აუზები დასვენებისა და ჯანსაღი ცხოვრებისთვის.

#### საბავშვო ბაღი

ფერადი გარემო და მზრუნველი აღმზრდელები.

#### ივენტ ჰოლი

მშვენიერი ადგილი სმაურიანი წვეულებებისა და დიდი ივენტუებისთვის.

#### გამწვანება

21 000 მ<sup>2</sup> -იანი გამწვანებული სივრცე დასვენებისთვის.

## წარმოიდგინე

პირველი ნიუ-იორკული ცათამბჯენი თბილისში

## ქალაქის ცენტრში

ყველაფერი ერთ სივრცეში

ახათიანის ქ. 6 | +995 322 202 323 | [tbilisigardens.ge](http://tbilisigardens.ge)



თბილისი  
SOLO LOUNGE მთაწმინდა  
ჩიტაძის ქ. №11

თბილისი  
SOLO LOUNGE აბაშიძე  
აბაშიძის ქ. №70

თბილისი  
SOLO LOUNGE ფალიაშვილი  
ფალიაშვილის ქ. №23

თბილისი  
SOLO LOUNGE ჭავჭავაძე  
ჭავჭავაძის გამზ. №29

თბილისი  
SOLO LOUNGE ცინცაძე  
ცინცაძის ქ. №12



S O L O

თბილისი  
SOLO LOUNGE ყაზბეგი  
ყაზბეგის გამზ. №24გ

თბილისი  
SOLO LOUNGE წერეთელი  
წერეთლის გამზ. №73

თბილისი  
SOLO LOUNGE ყაზბეგი  
ყაზბეგის გამზ. №25

თბილისი  
SOLO LOUNGE გლდანო  
ნოზაძის №8

SOLO LOUNGE ქუთაისი  
თამარ მეფის ქ. №5

SOLO LOUNGE თელავი  
ჩოლოყაშვილის ქ. №3

SOLO LOUNGE ბათუმი  
რუსთაველის ქ. №22



 **Ashley**  
HOMESTORE

**სიასლე!**

ამერიკული სვეტის  
ბრენდი ფორუმში



**ფორუმი**

**BY**  
ახალი  
ნათება

**სვეტი განათება აქსესუარები**


SOLO **გულთბალთათვის**

**20%**

თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ  
ბათუმი, ხიმშიაშვილის 1

[www.newlight.ge](http://www.newlight.ge)

2 20 24 24







## სალომე დაუნაშვილი

ბოსფორის სარკის მოკრიალებულ ზედაპირზე საკუთარი ანარეკლით ტკბება, არ სჯერა თავისი მშვენიერების, თვალებს ნაბავს მზეზე მონებივრე კატასავით წამოწოლილი ქალაქი. მის ქუჩებში მოხეტიალე ათასობით მოკრუტუნე ფუმფულა არსების მსგავსად მასაც 9 სიცოცხლე და მრავალი სახელი აქვს: სტამბოლი, სტანბოლი, ისტანბული, კონსტანტინოპოლი... მხოლოდ კატების ღმერთმა იცის, რამდენი სიცოცხლე დახარჯა სტამბოლმა ბედის ბორბალთან თამაშში და რამდენი დარჩა დასახარჯავი.

საშიში კაცი ყოფილა კონსტანტინე, მრისხანე იმპერატორი. გვამსაც კი ერთი კვირა ვერავინ მიჰკარებია შიშით. სამაგიეროდ იმპერატორის მოსახელე ქალაქს არ ეშინოდა მისი. მას სხვა დარდები ჰქონდა. კონსტანტინეს ნალოლიავები ქალაქი, რომის აღმოსავლეთ იმპერიის მარგალიტი, დასაბამიდან განწირული იყო, ცის თალის ქვეშ დაჭიმულ ბაგირზე მოქანავე აკრობატივით, მყიფე ზღვარზე ევლო დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ერთი არასწორი მოძრაობა, დარღვეული ბალანსი და მისი სული სამუდამოდ გასცილდებოდა მიწაზე დანარცხებულ სხეულს.

რომში 7 მთაზე გაშენებულმა, ორ ზღვას, ორ სამყაროს შუა გაჭედებულმა კონსტანტინოპოლმა, ტკბილეულის მალაზიაში დაბნეული ბავშვივით, ერთადერთი სწორი არჩევანი გააკეთა – „ორივე აიღო“. აიღო და არ შეცდა.

მისი მიზიდულობის ძალა მოაქანებდა აფრებდაბერილ გემებს ბოსფორისკენ, ბაზრის რიგებში უცხო ქვეყნების სურნელი ტრიალებდა. ათასობით ფარდულში, დუქანსა და მალაზიაში ასობით ენა ისმოდა. ვენეციური კვარტალი ყვაოდა, ვაჭრები მდიდრდებოდნენ, ზედმეტად მდიდრდებოდნენ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ყველამ ერთად კონსტანტინოპოლის დილეგში არ ამოყო თავი.

წყალზე წამოწოლილი კიდევ ერთი ქალაქი დარდმა მოიცვა. ვენეციის ლაგუნა არ იყო ნაჩვევი ასეთ ღელვას, ფრთიანი ლომის ქალაქი – ასეთ შეურაცხყოფას.

კონსტანტინოპოლის გალავანშემორტყმულ ბაღებში აფეთქებული ტიტების სინათლეს ჯერ ევროპელების გონება არ დაეხინდა, როცა გზაჯვარედინზე ყოფნის ნებაყოფლობით აღებული მძიმე ხვედრი კიდევ უფრო დამძიმდა. სხვა ჯვრის მატარებელმა არამდამ ჩაუშვა ლუმა ბოსფორის სილურჯეში. ვენეციელები თავისის დასაბრუნებლად მოვიდნენ.

პალესტინისკენ დაძრული ჯვაროსნები 92 წლის უსინათლო ბერიკაცის ნებას დაჰყვნენ და კონსტანტინოპოლის გალავნებთან აღმოჩნდნენ. ვენეციის დოჟი მარტივად ვერ გახდებოდა. სულით ძლიერი და ჯიუტი იყო ენრიკო დანდოლო. დოჟმა კონსტანტინოპოლს ვენეციის დამცირება ვერ აპატია.

ვენეციელებმა ქალაქი გაძარცვეს. კონსტანტინოპოლის ანტიკური იპოდრომის ბრინჯაოს ცხენები სან მარკოს ტაძრის ფსაღზე აღმოჩნდნენ (მათი თავგადასავალი ამით არ დასრულებულა. ისტორიაში ალბათ არცერთ კვადრიგას არ უმოგზაურია ამდენი აღმოსავლეთსა და დასავლეთში, რამდენიც ბრინჯაოს ამ ულაცებს, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ეპოქისა და სხვა იმპერატორის ისტორიაა), ბიზანტიური მინანქრის მინიატურებმა – სან მარკოს საკურთხეველი და საგანძური, მარმარილოს ნატიფმა ფრიბებმა კი ტაძრის კედლები შეამკო. სან მარკოს ტაძრის კუთხეში პორფირისგან გამოთლილი ტეტრარქების ფიგურები, ოღონად დარჩენილი ბავშვებივით, დღესაც ეხუტებიან ერთმანეთს. ერთს ფეხები სამშობლოში, კონსტანტინოპოლში დარჩა – ქალაქში, რომელიც უკვე აღარ არსებობს.



ვენეციასაც დარჩა რალაც კონსტანტინოპოლში: 41-ე დოჟი ამ ლაშქრობას ემსხვერპლა და წმინდა სოფიას ტაძრის გალერეაში პოვა სამუდამო განსასვენებელი. მაგრამ არაფერია მუდმივი კონსტანტინოპოლში, რადგან ახალ მბრძანებლებს ახალი წესკანონები მოჰყვა. ჯვარი ნახევარ-მთვარემ დაჩრდილა. კონსტანტინოპოლის დრო იწურებოდა, სტანბულის დრო დგებოდა. დოჟის ძვლები თურქებმა ძაღლებს მიუგდეს საჯიჯნად, მისი ცარიელი საძვალე კი სევდიან მოგონებად დარჩა სხვა სევდიანი მოგონებებით სავსე ქალაქში. ეს ქალაქი ფახლავის ევნოვანი ცომივითაა, სამი უდიდესი კულტურის – რომის, ბიზანტიისა და ოსმალეთის იმპერიის ნაშთები ერთმანეთში ათქვეფილა.

წმინდა სოფიას ტაძრის გუმბათი, ლურჯი მეჩეთის მინარეთები და ეგვიპტური ობელისკის ნემსი ერთად ხვრეტენ სტამბოლის ცას. ობელისკის ფუძეზე დატანილ ბარელიეფში იმპერატორი კონსტანტინე კვლავ ტახტზე სუფევს, ვასალებით გარშემორტყმული, თავისი სახელობის ქალაქის სიდიადით ტკბება. მართალია, მისი იპოდრომის ბრინჯაოს ცხენები უკვე საუკუნეების სხვა ტაძრის ეტლში შებმულან, კონსტანტინოპოლი მაინც უკანმოუხედავად მიექანება დროის სპირალის დაუსრულებელ წრეზე. სულთან აშმედის მეჩეთის ქვეშ, ცისტერნის თალოვან სივრცეში, იმპერიის ყველა კუთხიდან მოზიდულ 336 სვეტს რომ უჭირავს, ორი მედუზის მოკვეთილ თავზე ასვენია კონსტანტინოპოლის სული. მის ცაში მოლულუნე მტრედები მშვიდად კრავენ კამარას ბოსფორის თავზე. მეცხრე სიცოცხლემდე ჯერ კიდევ შორია.



**SULTANAHMET, EMINÖNÜ, BEYAZIT, SIRKECI**

**ისტორიული ნახევარკუნძული**

სტამბოლის მთავარი ხიბლი მისი ისტორიული ცენტრია. ამ ნახევარკუნძულზე გადადგმული თითოეული ნაბიჯი საოცარ ნაგებობებთან მიიყვანთ: აქაა ლურჯი მეჩეთი, რომელიც თავისივე მუზის, გრაციოზული აია სოფიას პირდაპირ დგას, კუშტი და შთამბეჭდავი თოფჯაფის სასახლე და უზარმაზარი ღია იპოდრომი.

ერთი შეხედვით, ეს ადგილი წმინდად ტურისტული სივრცეა, მაგრამ მთავარი მოედნიდან რამდენიმე ქუჩის მოშორებით ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობენ. Grand Bazaar-იდან სუნელების ბაზრობამდე უამრავი შესაძლებლობა გექნებათ, მიირთვათ ოსმალური ყავა ან ქაბაბი ხმაურთან ქუჩებზე, გასინჯოთ რაჰათ ლუქუმი ან ნამდვილი ფახლავა.



**GALATA, KARAKÖY, TOPHANE**

**მოძრავი და ბოჰემური**

Karaköy – ქარაქოი ახალი ტრენდული ადგილია, ადრე მას Galataport-ის სახელით იცნობდნენ და ძველი საწყობების სივრცე იყო. დღეს ეს მოდური უბანი სავსეა ისეთი რესტორნებით, როგორცაა Karaköy Lokanatsi

და Gaspar-ი, კაფეებით, გასტრონომებითა და ბარებით, რომლებიც Kılıç Ali Paşa-ს მოედანსა და პირველი ოსმალური ბანკების ქუჩა Bankalar Caddesi-ს შორისაა ჩამწყვირებული. მთავარ მოედანზე, რომელიც ისტორიული ნახევარკუნძულისაკენ მიმავალ გზაზე შემოგზვდებათ, ეკლექტიკურ შენობებში ადრე ევროპულ

საწარმოებს ედოთ ბინა, ახლა კი ეს შენობები მოდურ სასტუმროებად და რესტორნებადაა ქცეული და მოგზაურებსა და ხელოვან სტამბოლებს მასპინძლობს.

უბანი მალაზიებითა და გალერეებითაა სავსე, მის ნავმისადგომებზე კი მეზღაურები ტრიალებენ. სანამ Galata Tower-ისაკენ Camondo-ს კიბებით ასვლას გადაწყვეტთ, შეგიძლიათ დიზაინერულ მალაზიებსა და ნაკეთობების სტუდიებში შეისვენოთ.

მოედანი, რომელზეც შეიქმნა გენოევიანთა Genoese-ს კოშკი დგას, ჩაის სახელებითაა გარშემორტყმული. არტისტებმა და დიზაინერებმა ბოლო ათწლეულია ამ უბანში გადმონაცვლეს, სადაც კედლები გრაფიტითაა მოხატული და ყოველ ფეხის ნაბიჯზე არტგალერეაა.







## PERA, TÜNEL, ASMALI, MESCIT, ŞİŞHANE

კრეატიული და მჩქეფარე ღამის ცხოვრება

აქ კონსტანტინოპოლის პირველი მდიდრული სასტუმროები აშენდა – ისეთი, როგორიცაა Pera Palas და Grand Hotel de Londres, სადაც ორიენტ ექსპრესის მგზავრები ჩერდებოდნენ. Pera ცნობილია თავისი მუზეუმებითა და სახელოვნებო ინსტიტუტებით, რესტორნებით, ცოცხალი მუსიკისათვის განკუთვნილი დარბაზებითა და ღამის კლუბებით.

## NIŞANTAŞI, TEŞVİKİYE, MAÇKA, HARBIYE

მაღალი კლასის საცხოვრებელი და ძვირადღირებული შოპინგი

Nişantaşı – ნიშანთაში მაღალი კლასის მოდური საშოპინგო უბანია და XX საუკუნის დასაწყისიდან პრესტიჟულ საცხოვრებელ ადგილად მიიჩნეოდა. ეს უბანი Taksim-იდან Harbiye-მდეა გადაჭიმული. Nişantaşı მე-19 საუკუნის შუა წლებში აბდულმეჯიდ I-მა განავრცო. სულთანმა Teşvikiye-ს პოლიციის სადგური და ამავე სახელწოდების მოედანი ააშენა ნეოკლასიკურ და ნეობაროკოს სტილში და სტამბოლელი ამ უბანში გადმოსახლებისათვის წახალისა. სწორედ წახალისებას ნიშნავს თურქული სიტყვა Teşvikiye. დღეს Nişantaşı უდავოდ სტამბოლის ყველაზე ექსკლუზიური უბანია. აქ ბრენდული მაღაზიები, ევროპული სტილის კაფეები, პაბები, რესტორნები და ღამის კლუბებია, რომლებშიც სტამბოლის ელიტა დადის. Abdi İpekçi თურქეთის ყველაზე ძვირადღირებული საშოპინგო არტერია და მაღალი კლასის ბრენდების სივრცეა.




## GALATASARAY, ÇUKURCUMA

ანტიკურობა და ბოჰემა

Istiklal Caddesi (თავისუფლების გამზირი) – თურქეთის ყველაზე ხალხმრავალი საფეხმავლო ქუჩაა გალათას კოშკიდან ტაქსიმის მიედნამდე. მასზე ყოველდღიურად 3 მლნ ადამიანი დადის. ოსმანების ეპოქაში ისთიქალაზე სტამბოლის ინტელექტუალები და ადგილობრივი ევროპელები იკრიბე-



ბოსფორისაკენ მიმავალ გზაზე ადგილია Çukurcuma-ში დაიკარგოთ: აქ მრავლადაა ადგილობრივი დიზაინერების ბუტიკები, ანტკვარიანობა და ვინტაჟური მაღაზიები, მუსიკალური ჩანაწერების პუნქტები. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კი აქ უამრავი კაფე გაიხსნა, რომლებიც უბანს კრეატიულ, უნიკალურ „ჩოჩქოლს“ სძენს.



ბოდნენ. XIX ს-ში კონსტანტინოპოლი, აღმოსავლეთის პარიზი, ევროპულ-აზიურ კულტურებს აერთიანებდა.

გალათასარაის პატარა მოედანზე თურქეთში ყველაზე პრესტიჟული ძველი ლიგეუმი მდებარეობს. კილომეტრნახევრიან ქუჩაზე ბაროკო, როკოკო, კლასიციზმი, არტ-ნუვო ერთმანეთს ენაცვლება. ყვავილების პასაჟი (Cicek Pasaji), სტამბოლის ევროპული სულის გამოხატულებაა, სადაც შეგიძლიათ მყუდრო რესტორნებში ივხაშმოთ.



ისტორიული ტრამვაი

სტამბოლის ნოსტალგიური ტრამვაები ორ სხვადასხვა ისტორიულ ქსელშია გადნაწილებული. ერთ მათგანი ევროპულ ნაწილშია (Taksim-Tünel Nostalgia Tramway), ხოლო მეორე – აზიურში (Kadıköy-Moda Nostalgia Tramway).

ოდესლაც სტამბოლის ორივე ნაწილში ტრამვაის დიდი ქსელი იყო, რომელიც 1966 წელს დაიხურა. 1990 წლიდან ტრამვაის მარშრუტები აქ თანდათანობით, ხელახლა იხსნებოდა. სულ ახლახან, 30 დეკემბერს, İstiklal-ის ქუჩაზე გადაჭიმული ტრამვაის ხაზი განახლდა. ის Tünel-ისა და Taksim-ის მოედნებს აკავშირებს, მათ შორის, გზაზე კი ისტორიული შენობებია ჩამწკრივებული, რაც ამ მარშრუტს განსაკუთრებულად სასიამოვნოს ხდის.

მარშრუტი Taksim-Tünel-ის საფასურია 2.6 TRY.

ტრამვაი 20-წუთიანი შუალედებით დადის და 07.00-22.45 საათებში მუშაობს, ტრამვაის აზიური ხაზი კი – 07.00-21.00 საათებში.





**CIHANGIR, TAKSIM**

**შემოქმედებითი ადგილი და ქალაქის შუაგული**

Gezi Park-ი 1943 წლიდან Taksim-ის მოედნის შუაგულშია. ტაქსიმში ის ადგილია, საიდანაც ლეგენდარული გამზირები – ისტიქლალაი და ჯუმჰურიეთი იწყება; სადაც მდებარეობს საუკეთესო სასტუმროები, სახელგანთქმული რესტორნები და მრავალი ღირსშესანიშნაობა. Cihangir-ისაკენ ფეხით სავალი გზა ძალიან მოკლეა. ეს უბანი Taksim-ისაგან სრულიად განსხვავდება სტილითა და ენერჯით, ის საცხოვრებლად პოპულარული ადგილია. ბოჰემური ინტელექტუალები აქ, გორაკზე მდებარე მალაქტერიან უბარმზარ სახლებში ცხოვრობენ, საიდანაც ბოსფორის ულამაზესი ხედი იშლება.

*სტამბოლში 39 რაიონი, თითოეული – 14 000-იდან 750 000-მდე მცხოვრებით. ალბათ ყველას, ვინც სტამბოლში გამგზავრებას აპირებს, გაუგონია სახალხოლოება: ბაქსიში, სულთანაჰმადი, ნიშანთაში და სხვა, მაგრამ რუკაზე დახედვის-თანავე ხშირად მოგზაურს კანიკა იცხრობს – ასეთი რაიონები ქალაქში, უზარალოდ არ არის. უნდა ვიცოდეთ, რომ სულთანაჰმადი დიდი რაიონის, ფათიჩის უბანი, რომელსაც ისტორიული ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი უწივას, ხოლო ბაქსიში ბეიოღლუს კაბარა მოწვევითა, ისევე რომოც ორთაში.*



**ULUS, ETILER**

**ექსკლუზიური საცხოვრებელი, რესტორნები და შოპინგი**

ულუსი, Ulus და ეთილერი, Etiler გორაკებია, რომლებზეც ქალაქის მდიდარი მოსახლეობა ცხოვრობს. Nispetiye Caddesi სოციალური აქტივობების ცენტრია თავისი რესტორნებითა და კაფეებით. აქ სტამბოლში ყველაზე დიდი საცობებია. Zorlu Center-ი ოლიქსა და გარშემო უბნების ახალი საკვანძო სივრცე და ღირსშესანიშნაობა გახდა: უბარმზარ მოლში სტამბოლის ყველაზე დიდი საკონცერტო დარბაზია, ძვირადღირებულ ბრენდებსა და უმაღლესი კლასის საცხოვრებლებთან ერთად.



**BESIKTAS, ORTAKÖY, AKARETLER**


**ისტორიული ბოსფორი**

Maçka-დან გორაკზე რომ დაემვებით, Akaretler-ის გავლით ულამაზეს ტერასებად ჩამწკრივებულ სახლებს იხილავთ, რომლებიც თავდაპირველად Dolmabahçe-ს, დოლმაბაჰჩეს სასახლის მსახურებისთვის იყო განკუთვნილი.

Akaretler-ის ბოლოში კი უბანი ბემქეთაში, Beşiktaş მდებარეობს – უბანული ცენტრი სატრანსპორტო კვანძითა და საზღვაო ხომალდ-

ბით, რომლებითაც ბოსფორის დათვლიერებას შეძლებთ. ზღვიდან დანახული უბნების გარდა Ortaköy-ზე აშენებული ბოსფორის პირველი ხიდი მოახდენს განუმეორებელ შთაბეჭდილებას. ბოლო ხანებში რესტავრირებული საზღვაო მუზეუმი ბემქეთაშის ახალი ღირსშესანიშნაობაა.

Ortaköy, ორთაქოი ანუ „შუა სოფელი“ ბოსფორის ხიდთანაა. ეს ყოფილი მეთევზეთა სოფელი ამჟამად არქიტექტურული შედეგებითაა ცნობილი, ისეთით, როგორიცაა Esma Sultan-ის სასახლე და ორმაგი მინარეთი Ortaköy-ს მოედანზე.



**ARNAVUTKÖY, KURUÇEŞME, BEBEK**

**სანაპირო ზოლის საცხოვრებლები და ნავმისადგომები**

Etiler-იდან დაშვებისას ეს სამი ბოსფორისპირა უბანი თავისი ნავმისადგომებით, ძველი ხის სახლებითა და თევზის რესტორნებითაა სახელგანთქმული. გლამურული ბებეკი, Bebek კვლავაც მთავარი სამოგზაურო მიმართულებაა.

რადღირებული აპარტამენტებითა და პატარა ნავსადგურითაა გამოირჩეული, სადაც იხტებს აყენებენ. აქ მოდური რესტორნები და წყნარი კაფეებია.

Lucca, Mangerie და Bebek Kahvesi ადგილობრივებში პოპულარული თავშეყრის ადგილებია. დღეისათვის ახალგაზრდა პროფესიონალები მდიდარი ოჯახებიდან ამ უბანში სახლებიან ნათელ სახლებში, სხვები შაბათ-კვირას ატარებენ ამ სანაპიროზე, რათა ქალაქის ცენტრის ხმაურს გაექციან.








## FENER, BALAT, EYÜP

### ოქროს რქა

ეს სამი ისტორიული უბანი ძველი ქალაქის კედლების მიღმაა. ეიუფი, Eyüp სტამბოლის მექაა მისი მუსლიმი სტუმრებისთვის, თავისი Eyüp-ის სულთნის მეჩეთითა და აკლდამით.

ფენერი, Fener-ი, რომელიც ოქროს რქის შუაგულში მდებარეობს, ბერძნული უბანი იყო წარსულში და ახლაც. მის ქუჩებში ისტორიული ხის სახლები და მართლმადიდებლური ტაძრებია ჩამოყვრილებული.



აქვეა ბიზანტიური და ოსმალური ეპოქების დროინდელი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოც. ამ ადგილის სახელწოდება ბერძნული phanarion-ის თურქული ვერსიაა და შუქურას ნიშნავს. Fener-ში ბიზანტიურ პერიოდში შუქურიანი სვეტი იდგა და სწორედ ამის დამსახურებაა მისი სახელი.

1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ეს უბანი ქალაქში მცხოვრები ბერძნების სახლი გახდა. ოქროს რქის დასავლეთ ნაპირზე მდებარე ბალათი, Balat კი ტრადიციული ებრაული უბანია.



## KADIKÖY, MODA, ÜSKÜDAR, SUADIYE

### ამიური ნაწილის ყველაზე გამოცხვლებული რაიონი

Kadiköy-ში ხალისია-ნი ატმოსფერო გელით: ტრადიციული meyhane-ები (თურქული ტავერნები) და ქუჩის კულინარია, ოსმალური გავლენით შექმნილი სასადილოები, როგორცაა Kanaat Lokantası და Çiya, რამდენიმე ფეხის ნაბიჯზე სტამბოლის უძველესი ტუბი-




ლეულის, შოკოლადისა და თურქული სასუსნავების შემქმნელი Baylan-ისა და Hacı Bekir-ისაგან. ქადიქოის, Kadiköy ლამის ცხოვრება უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში სადა და ალტერნატიულიდან ჰიფსტერულად გარდაიქმნა: ბარები და მოდური პაბები სტუდენტებსა და ახალგაზრდებს იზიდავს.



სუადიე, Suadiye მიდარი თურქული ოჯახების საცხოვრებელი ადგილია და აქ ელეგანტური yalı-დან პრინცების კუნძულები მოჩანს. იალი, yalı რეკრეაციული ზონაა, სადაც ადგილობრივები ისვენებენ და პიკნიკებს აწყობენ გაზონზე. Kadiköy-ს უკან მდებარე უზარმაზარი Bağdat Caddesi საშოპინგო ქუჩაა, სადაც მაღალი კლასის ბუტიკები და სხვა მაღაზიებია ჩამოყვრილებული.

## HAYDARPAŞA GARİ

ისტორიული ჰაიდარფაშას რკინიგზის სადგური, სტამბოლის ერთ-ერთი ულამაზესი შენობა, 1909 წელს ააშენა კომპანია „ანატოლიის რკინიგზამ“, როგორც ბალდადიდან და ჰეჯაზიდან მომავალი ხაზის დასავლეთის ტერმინალი.



ჰაიდარფაშას რკინიგზის სადგური სტამბოლისა და მთელი თურქეთისთვის სიმბოლურ ნაგებობათა რიცხვშია.

ის გერმანელმა არქიტექტორებმა – ოტო რიტერმა და ჰელმუტ კუნომ 1906-1908 წლებში ააგეს.



## KADIKÖY SALI PAZARI

– რას არ ნახავთ აქ დახლებზე: მოხალულ ყავასა თუ სურნელოვან ჩაის, ახლად დაჭერილ თევზსა თუ უამრავი სახეობის ყველს; სეზონის მიხედვით ერთმანეთს ენაცვლება ველური ნიორი და ათასნაირი სოკო, მაცვალი თუ

სხვა კენკრა. აუცილებლად ეწვიეთ Eta Bal-საც, სადაც მხოლოდ თაფლი იყიდება. თურქებს თავიანთი თაფლი ღვინოზე ნაკლებ როდი უყვართ.

სამი ჰიხური, რომელსაც გვარდი არ უნდა აუაროთ:

1. GOZDE SAKUTERI-ში შაკაპაული ძახვაული იყიდება;
2. YALI CIFTLIGI თურქული ყვავილით პაწარობს;
3. MELODI CIKOLATA კი საუკეთესო შოკოლადითაა ცნობილი ჯერ კიდევ 1957 წლიდან.





# CATSTANTINOPLE კატების ქალაქი

ოსმალეთის იმპერიის სულთნებს სჯაროდათ, რომ კატები ქალაქის უმნიშვნელოვანეს ადგილებს პარაზიტებისა და ვირთხებისგან წმინდდნენ. ახლაც კატები ქალაქის ყველა კუნძულში ცხოვრობენ და ისეთი მთავადილია მრავალ, თითოეულ სტამბოლს კატრონობენ. საერთოდ, სტამბოლის ურბანში 100 ათასობით კატა ცხოვრობს და ამ ქალაქში მათი უფლებები უსაზღვროა. თავდაპირველი კატები თითოეულ აქაურების ბატონებად მრავლდნენ თავს – ხალიჩაზე სხადნენ, სავიწარმო საგაბილზე თვლიდნენ და დღიკატებსაც მირთმევდნენ.

სტამბოლში კატები მართლაც გამორჩეულად უყვართ სწორედ იმიტომ, რომ ისინი წინასწარმეტყველ მუშაშემდის რჩეული ცხოველები იყვნენ. ისლამური ლეგენდის მიხედვით, ერთხელ მამაცმა კატამ წმინდა წინასწარმეტყველი მხამიანი გველის კბენას გადაარჩინა. ე. წ. ტაძრის კატები ამ ცხოველთა „ცალკე სახეობაა“. ისინი ისე იქცევიან, გეგონება, საკუთარ თავს არანაკლებ ფასეულობად მიიჩნევენ, ვიდრე არქიტექტურის უძველესი ძეგლებია – მაგალითად, აია სოფიას ბინადარ გილის ტაძარში სტუმრად მისული პრეზიდენტებიც კი ხვდებიან. ამბობენ, რომ აქ მცხოვრებ კატებს შორის თვით მუემბას, წინასწარმეტყველ მუშაშემდის საყვარელი ცხოველის შთამომავლებიც არიან.

## სტამბოლის ტყეები

Ortaköy-სა და Beşiktaş-ს შორის მდებარე Yıldız Park-ში სტამბოლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტყეა. ოსმალური ეპოქის დროს აქ უამრავი დღესასწაული ეწყობოდა. ეს მრავალსაუკუნოვანი, უზარმაზარი ხეებით სავსე ადგილი სასეირნოდ და დასასვენებლად საუკეთესოა.

Emirgan-ი ქალაქის ევროპულ ნაწილშია. მე-17 საუკუნეში გაშენებული ტყე, რომელიც მუდმივად სხვადასხვა სამეფო ოჯახის მფლობელობაში იყო, ყოველწლიურად ტიტების ფესტივალს მასპინძლობს. სტამბოლელების საყვარელი დასვენების ადგილია Fethi Paşa, Mihrabad და Çubuklu Hidiv İsmail Paşa-ს ტყეებიც.



ყოველწლიურად აკრილში სტამბოლის ტიბეტის ფასტივალზე 12 მილიონი ტიბა ირგვება.

ეს სწორედ ის კატაა, რომელსაც მუშაშემდ თვით ლოცვის დროსაც კი გვერდიდან არ იშორებდა. როგორც ლეგენდა გვიამბობს, ერთხელ მუშაშემდს მანტიის ჩაცმა და სალოცავად წასვლა სურდა, როცა დაინახა, რომ მუემბას სამოსის სახელოზე ჩასძინებოდა. მუშაშემდმა საყვარელი ცხოველი კი არ გააღვიძა, არამედ დანა აიღო და მანტიას სახელო მოაჭრა, ისე რომ კატა არ შეეშინებია. ისლამურ წყაროებში აღნიშნულია, რომ „კატების სიყვარული სარწმუნოების ნაწილია“.

სტამბოლელები კატებს შესანიშნავად კვებენ, კომფორტულად აძინებენ; თუ მათ ეზოში მცხოვრები კატა ავად გახდება, მაშინვე ვეტერინართან წაიყვანენ. ასე რომ, ქალაქში ავადმყოფ ან გასაცოდავებულ კატას თითქმის ვერ ნახავთ. ყველა მათგანი კარგად ნაპატივები, ჯანმრთელი და ცოტა თავგასულია.

სტამბოლის სახელგანთქმულ ბაღს Nişantaşı Sanat Parki ჰქვია, მაგრამ ეს სამოთხის მგავსი ადგილი Kedi Parki-ს ანუ „კატების პარკის“ სახელწოდებით არც თუ უმიზეზოდაა ცნობილი. ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა აქ სპეციალურად კატებისთვის შექმნილი სახლები დადგა, რომლებსაც ზამთრის თვეებში უამრავი ცხოველი აფარებს თავს – ცივ ამინდში ისინი მყუდროდ და თბილად ცხოვრობენ.



თურქული ანგორა (ANKARA KEDISI) შინაური კატის ერთ-ერთი უძველესი ბუნებრივი ჯიშია, რომელსაც საშუალო ზომის თეთრი ფითინა აქვს, ლუჩი, მწვანე ან თაფლისფერი მთავალი აქვს. ზომავარ კატის ერთი მთავალი სხვა ფერია, მელა – სხვა და ასეთი კატები მთხილად ყრუები არიან. ანკარის კატა ზამთრისთვის მოწინააღმდეგეა, ინტერსიანიტით, მტკიცე ხასიათითა და ნადირობის უნარით.

## VOYAGER კომენტარი

თურქული ფრთიანი გამონათქვამის მიხედვით, საჩუქრად რაიმე ტკბილი უნდა მიიტანო, რომ საუბარი ტკბილი გამოვიდეს – აქაური ჩვეულებაა, მასპინძლის მიმართ მადლიერება ფახლავის სტილის ცომეულით გამოხატონ, რომელიც თურქეთის ორ ყველაზე სახელგანთქმულ საკონდიტროში – Güllüçün-სა და Hacı Bekir-ში შეგიძლიათ შეიძინოთ.

მადლობა ანუ teşekkürler სხვანაირადაც შეგიძლიათ გადაიხადოთ: merci – ამ სიტყვას თურქები ხშირად ამბობენ. თუ მასპინძლის მიერ მომზადებული სადელი განსაკუთრებით მოგეწონებათ, უთხარით eline sağlık, რაც მისი ხელების დალოცვას ნიშნავს; sağol – ასევე ხმაობენ მადლიერების გამოხატად.

ძველად მღურბლზე გადაბიჯებისას სტუმარს ხელებზე ვარდის წყალს აპყურებდნენ. როცა სახლში შედიხართ, უჩვეულოდ არ მოგეჩვენოთ ფეხსაცმლის გახდის ტრადიცია. გამარჯობის თქმა სამაირადაა შესაძლებელი, იმის მიხედვით, დილაა, შუადღე თუ საღამო, თუმცა მარტივი merhaba დღის ნებისმიერ მონაკვეთში მისაღებია. ქალები ერთმანეთს ორივე ლოყაზე კოცნიან ხვდებიან, კაცები, რომლებიც ერთმანეთს უკვე იცნობენ – ხელის ჩამორთმევით და ორივე ლოყაზე კოცნიან. უცნობები, უბრალოდ, ხელის ჩამორთმევით შემოიფარგლებიან.



## AYASOFYA

### წმინდა სოფიას ტაძარი

ათას წელზე მეტხანს, რომის წმ. კაბრეს ტაძრის აგებამდე, აქ სოფია ქრისტიანულ სამყაროში უდიდესი იყო (სიმაღლე – 55,6 მ, გუმბათის დიამეტრი – 31 მ).

პირველი ტაძარი ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინემ 324-337 წლებში ააგო.

532 წელს, სხვადასხვა დროს მომხდარი სამი ხანძრის შემდეგ, იმპერატორმა იუსტინიანე I-მა ახალი ტაძრის აშენება ბრძანა, რომელიც ქრისტიანული იმპერიის სიმბოლოდ უნდა ქვეყლიყო.

მან ეპოქის საუკეთესო არქიტექტორები – ისიდორე მილეტელი და ანთიმოზ თრალელი დაიქირავა. ყოველდღიურად მშენებლობაზე 10 000 მუშა მუშაობდა. საუკეთესო მარმარილო და ძველრომაული ტაძრების სვეტები, ოქრო, ვერცხლი, სპილოს ძვალი სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოაქონდათ.

მშენებლობას იმპერიის სამი წლის შემოსავალი მოხმარდა. ტაძარი 537 წლის 27 დეკემბერს საზეიმოდ აკურთხეს. აქ სოფიას გრანდიოზულობა მნახველს ალაფრთოვანებდა, იქმნებოდა ლეგენდები, თითქმის მის აგებაში ღვთიური ძალები მონაწილეობდნენ.





დნენ, ხოლო ცენტრალური ტიშკარის ნოეს კილონის ნაშთებისგან დამზადდა. „ის ცას სწვდება“, – წერდა პროკოპი კესარიელი. 525 ღვთისმსახური სოფიას ტაძარში უძვირფასეს სარიტუალო ტურეტელს მოიხმარდა.

1453 წლის 28 მაისს ლამეს სოფიას ტაძარში ბოლო ქრისტიანული მსახურება გაიმართა. მეორე დღეს კონსტანტინოპოლი დაეცა. აქ სოფია გაიძარცვა. 30 მაისს იქ მკვლევარმა II-მ შეაბიჯა. ტაძარი მეჩეთად გადააკეთეს. მალე მას ოთხი მინარეთი მიაშენეს, XVI საუკუნეში კი – უხეში კონტრფორსები. 1847 წელს აქ სოფიას რესტავრაცია ჩატარდა, ხოლო 1935 წელს, ათათურქის ბრძანებით, მუზეუმად იქცა.

### მოზარდო, ოთხკუთხედიანი (75,6x68,4მ), გიგანტური გუმბათიანი სახანძარი არქიტექტურაში აზროვნების შედეგად.

ცენტრალური ნავის, საკურთხეველისა და მთავარი გუმბათის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა, 40 დიდებული თალი, ამდენივე თაღოვანი სარკმელი, შუქის სარტყელი, სფერული სამკუთხედები, პორფირისა და მალაქიტის კოლონები, თაღქვეშა იარუსები, ნიშები, დიდებული შიდა სივრცე, ხატწერულ-მოზაიკური შედეგები, სიუჟეტური კომპოზიციები და ორნამენტები – მრავალი ელემენტი მსოფლიო არქიტექტურაში აქ სოფიადან გავრცელდა.

მოზაიკაში ერთ-ერთი გამორჩეულია ძველი აღთქმის 16 წინასწარმეტყველის, 14 განმანათლებლის, მათ შორის, იოანე ოქროპირის გამოსახულება (878 წ.).



საყოველთაოდ ცნობილია ე. წ. „მტირალი სვეტი“, მუდამ ნესტიანი ზედაპირით. ლეგენდის თანახმად, ეს ღვთისმშობლის ცრემლებია და მასთან შეხება ავადმყოფებს კურნავს.

**ბილეთის ფასი:** 40 TRY

**ღია:** ზამთარში – 09.00-17.00 (ბოლო დამთვალიერებელს 16.00 საათზე უშვებენ ტაძარში), ზაფხულში – 09.00-19.00 (ბოლო დამთვალიერებელი – 18.00).

Hagia Sophia Square, Sultanahmet, Fatih



## SULTAN AHMET CAMII

### ლურჯი მეჩეთი

უნიკალური შენობა 1609-1616 წლებში აშენდა სულთან აჰმედ I-ის ბრძანებით. მშენებლობისას ძვირფასი სახეობის ქვასა და მარმარილოს იყენებდნენ. სამლოცველო ნიში (მალრიბი) კი ერთიანი მარმარილოს ლოდისგანაა გამოთლილი. მასში ინახება საგანგებოდ მექედან მოტანილი უნიკალური შავი ქვა.

ლურჯი მეჩეთის არქიტექტურაში ბიზანტიური და ოსმალური ხუროთმოძღვრების სტილთა საუკეთესო მიღწევებია გამოყენებული. აქ საინჟინრო კონსტრუქციის გენიალურობა და დეკორაციული მხარე ერთმანეთს ერწყმის, ამიტომ თურქებმა მეჩეთის მთა-



ვარ არქიტექტორს სედეფქარ მეჰმედ ალას „იუველირი“ შეარქვეს.

შენობა თეთრ-ლურჯად მოხატული კერამიკული შორენკვეცებითაა დეკორირებული, რის გამოც ნაგებობა ცისფრად აღიქმება. ამიტომაც ეწოდა ლურჯი მეჩეთი.

ფილებზე გამოსახულია ყვავილოვანი ორნამენტები, მხოლოდ ტიტა 50 ვარიაციითაა წარმოდგენილი.


კედელი, რომლისკენაც მუსლიმები პირმიცვეულნი ლოცულობენ, 260 ვიტრაჟული სარკმლითაა დამშვენებული. ის საუკეთესო ვენეციელი ოსტატების ნახელებაა.

*სულთან აჰმედ I-ის ბრძანებით მკრთალი იზნიკში წარმოებული 210 000 ფილით შაჰაჰკას. სულთანმა მკრთის მშენებლობის დასრულებამდე იზნიკის სახალისოებს სპეციალური დაკრებით სხვა შავკვითების მიღება აუკრძალა.*

**მეჩეთი ღიაა:** 08.30-11.30; 13.00-14.30; 15.30-16.45; პარასკევს – 13.30-მდე. შესვლა უფასოა.

*ყველას შეუძლია დაეახლოს ლოცვას (აუცილებელი არ არის, მუსლიმი იყოთ), თუმცა ფოთო და ვიდოგადაღება აკრძალულია.*

Sultan Ahmet Mahallesi, Atrmeydanı Cd. No:7, 34122 Fatih



ლურჯი მეჩეთი იმითაც არის განსაკუთრებული, რომ მას არა ოთხი, არამედ აქვს მინარეთი აშვანებას.



## SÜLEYMANIYE CAMII

### სულეიმანიეს მეჩეთი

არქიტექტორ მიმარ სინანის ნამდვილი შედევრი – სულეიმანიე სტამბოლის ყველაზე ღამამ მეჩეთად და თურქული საკულტო არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშადაა მიჩნეული.

ნაგებობა უკიდურესად ლაკონური და, ფორმათა სრულყოფილების წყალობით, მისი ზომები მნახველს სრულიად არ თრგუნავს. კომპლექსის ყოველი ელემენტი სიმბოლურია.

მაგ., ოთხი მინარეთი სულეიმანის პიროვნებაზე მიანიშნებს – ის სტამბოლში მცხოვრები მეოთხე სულთანი იყო, ათი აივანი – დინასტიაში სულეიმანის რიგითობაზე.

ინტერიერის მშენება უიშვიათესი სილამაზის ვიტრაჟები. სულეიმანი, მისი ცოლი როქსოლანა, ქალიშვილი მოჰრიმანი და ოსმანთა დინასტიის კიდევ ორი სულთანი მეჩეთის ეზოში მაგზოლეუმში არიან დასაფლავებული.

**ღიაა:** 09.00-17.30, პარასკევის გარდა. ლოცვის დროს დაკეტილია; შესვლა უფასოა.

Süleymaniye Mah., Prof. Siddik Sami Onar cad. 1



## დანაუვი და რაზაღაჯივი მკრთობა

**სამოსი:** მეჩეთში შესვლისას ქალებმა აუცილებლად თავსაბურავი უნდა დაიფარონ. სტუმრებისთვის თავსაფრები შესასვლელში უფასოდ გაიცემა. ქსოვილი თავზე ისე მოირგეთ, რომ სახის ორივე მხარეზე თანაბრად, სწორად ეშვებოდეს. მერე თავსაფრის ერთი მხარე ყელზე შემოიხვიეთ და ზურგს უკან გადაიტანეთ, ისე რომ მხრები დაგიფაროთ (შიშველი მხრებით შესვლა დაუშვებელია). სახის დამალვა საჭირო არ არის, თავსაფრის მთავარი დანიშნულება თმის დაფარვაა. **მამაკაცებს** აუცილებლად იმსიგრძე შარვლები უნდა ეცვათ, რომ მუხლები დაფარული ჰქონდეთ; მეჩეთში მოკლე შარვლები, მუხლებით შორტები მამაკაცებისთვისაც დაუშვებელია.

**ფეხსაცმელი:** მეჩეთში შესვლამდე აუცილებლად გაიხადეთ ფეხსაცმელი და მოათავსეთ პოლიეთილენის პაკეტში, რომელიც უფასოდ გაიცემა. **ეს წესი ყველამ უნდა დაიცვას.**





## TOPKAPI SARAYI

XV საუკუნის ნაგებობა 400 წელი ოსმალეთის იმპერიის უმთავრესი სასახლე იყო, სადაც წინასწარმეტყველ მუჰამედის მახვილი ინახება.

700 000 კვ. მ-ზე გაშლილი, შემოზღუდული თოფქაფის სასახლე მეშემდეგ II-ის ბრძანებით აუგიათ, მოგვიანებით აქ ჰარამხანაც გადმოუტანიათ.



სასახლეში ოთხი ეზო (პარკი), დიდებული ბაღები, ბოსფორზე გამავალი ტერასები, ულამაზესი კარიბჭეები, ძველი სასახლისგან შემორჩენილი წმ. ირინეს ეკლესია და შადრევნებია. ფაიფურის კოლექცია, X-XIII სს-ის იშვიათი ექსპონატებით, 10 000 ნიმუშს ითვლის.

**უამრავ ისტორიულ რელიკვიას შორის გამორჩეულია სტუმრების, ელჩების, ვეზირების მისაღებ პავილიონში დიდებულიად შემკული საიმპერატორო ტახტი.**

სასახლის სამხრეთ ნაწილში მდებარე საიმპერატორო ტახტარზე (Bâb-i Hümayûn) ყურანის ციტატები და ოტომანების გერბია ამოტვიფრული.

ორკოშკურიანი „მისალმების ტიშკრის“ (Babü's-selâm) იქით კანცელარიის, ხაზინის ნაგებობები და „ჯალათის შადრევანია“ (cellat cesmesi). შუა ტიშკრის იქით მდებარეობდა საავადმყოფო, საცხოვრებელი, სამზარეულოები. სასახლეში იხილავთ საჯინიბოს, ყაზარმის, საიარალოს, სულთნის საბჭოს შენობებს.

„ბედნიერების ტიშკარი“ საიმპეროო ჰარემში შედიოდა, სადაც სულთნის მოსასვენებელი და კიდევ 400 ოთახი იყო. ოჯახის წევრებისა და მხევალი ქალების გარდა მასში შესვლა ყველას ეკრძალებოდა. აქვეა დედა-დედოფლის მოსასვენებლები, აბანოები. საიდუმლო პალატებსა და საკუთარ აპარტამენტებში (ჰარამხანის გარეთ) სულთნები დიდ დროს ატარებდნენ. აქვე ცხოვრობდნენ პაუები – ფავორიტი ბიჭები, რომლებიც კალიგრაფიას, ხელოვნებას, მუსიკას სწავლობდნენ.


მესამე ეზოში მდებარეობს აჰმედ III-ის უნიკალური ბიბლიოთეკა, მეჩეთი და პორტრეტების გალერეა, მეოთხეში – მეჩეთი, წინადაცვეთის პავილიონი, საგარდეროობები.

500 წლის განმავლობაში თოფქაფში 25 სულთანი ცხოვრობდა, ის მხოლოდ 1854 წელს აბდულმეჯიდ I-მა დატოვა. 1923 წელს, ათათურქის ბრძანებით, თოფქაფი მუზეუმად იქცა.

**ღია:** ყოველდღე, სამშაბათის გარდა; ზამთარში – 09.00-16.45, ზაფხულში – 09.00-18.45

**ბილეთის ფასი:** 40TRY; ჰარამხანის სექცია – 25 TRY; წმ. ირინეს ეკლესია – 20 TRY

Cankurtaran Mh., 34122 Fatih



## KIZ KULESI

ქალწულის კოშკი ბოსფორის სრუტის პატარა კუნძულზე, ქალაქის აზიურ ნაწილში მდებარეობს. ლეგენდის თანახმად, თურქეთის სულთანს კოშკი საყვარელი ქალიშვილისთვის აუგია, რათა გოგონა ნაწინასწარმეტყველველი სიკვდილისაგან დაეფარა, მაგრამ მამის მიერ მირთმეულ ხილის კალათაში გველი აღმოჩნდა... ქალიშვილი პრინცმა გადაარჩინა.


1453 წლიდან ნაგებობა თავდაცვით მიზნებს ემსახურებოდა, მერე მარმა-

რილოს ზღვის შუქურად გამოიყენებოდა; 1720 წელს ის დაიწვა და იბრაჰიმ-ფაშამ ქვისგან ხელახლა ააგო. 1829 წელს, ქოლერის დროს კოშკს იზოლაციის ფუნქცია ჰქონდა, 1857 წლიდან 100 წელი შუქურა იყო, შემდეგ – სამხედრო კავშირგაბმულობის ცენტრი.

ქალწულის კოშკამდე უსქუდარის ნავსადგომებიდან ყოველ 15 წუთში პატარა ხომალდები გადის.

**მუზეუმი და რესტორანი ღია:** ყოველდღე – 09.00-19.00 **ბილეთის ფასი:** 20 TRY Salacak Mahallesi, Üsküdar Salacak Mevkii





**GALATA KULESI**

გალათას ციხე-კოშკი სტამბოლის ერთ-ერთი უძველესი ძეგლია. მისი სიმაღლის შთამბეჭდაობას (61 მ) ამავე სახელწოდების ბუნებრივი ბორცვი აძლიერებს. გალათას სტამბოლის ნებისმიერი ადგილიდან დაინახავთ. აშუამინდელი ნაგებობა გენუელებს XIV ს-ში აუშენებიათ. მაშინ მას „ქრისტეს კოშკი“ ერქვა და კონსტანტინოპოლში გენუის კოლონიის გაფართოების მაუწყებლად აიგო. საუკუნეების განმავლობაში ის ხან საგუმბადი, ხან სახანძრო კოშკურად გამოიყენებოდა. 1633 წელს გაბედულ გამომგონებელს ხელოვნური ფრთებით აქედან გაფრენა უცდია.


**ღიაა:** ყოველდღე – 09.00-21.00

Bereketzade Mh., Galata Kulesi, Beyoğlu

**YEREBATAN SARNICI**

ბაზილიკა ცისტერნა (ბერძ. წყალსაცავი), აია სოფიას სიახლოვეს მდებარე ნაგებობა, დიდებულ მიწისქვეშა სასახლეს მოგაგონებთ, რომლის ჭერი ანტიკური ტაძრებიდან გადმოტანილ 336 სვეტს ეყრდნობა. წყალსაცავის მშენებლობა ორ საუკუნეზე მეტხანს გრძელდებოდა და 532 წელს დასრულდა. ამ ბაზილიკაში აკვედუკიდან მომდინარე სასმელი წყლის მარაგი ინახებოდა, რომელიც გვალვის ან ალყის შემთხვევაში უნდა გამოეყენებინათ.

სვეტების დიდი ნაწილი ანტიკური ტაძრების ნაშთებიდან არის წამოღებული, ამიტომაც ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება მარმარილოს სახეობებითა და დამუშავების მეთოდით. დაუდგენელია, საიდან ჩამოიტანეს ეს ქანდაკებები, ანდა რომელ უძველეს ნაგებობას ამშვენებდა. აქვე ახლოს ე. წ. „სურვილების აუზია“.



*ზომ კოლონას საყრდენად მალუზა მორმონას თაჰი აჰმს (ართო თაჰდახ-რილია, მეორე კი გვარდ-ზაა მიზრუნებაული – ეს იმიტომ, რომ მავკავები არ შაჰინდუს მას, ვინც ურჩხულის მამოსახულებას შხადავს).*

**ღიაა ყოველდღე:**  
 მამთარში – 9.00-17.30;  
 ზაფხულში – 9.00-18.30.

**ბილეთის ფასი:**  
 20 TRY

Alemdar Mh.,  
 Yerebatan Cd. 1/3, Fatih




**DOLMABAÇE SARAYI**

დოლმაბაჰჩეს დიდებული სასახლე მე-19 საუკუნის შუა წლებში სულთან აბდულმეჯიდ I-ის ბრძანებით აშენდა.

1856-1924 წლებში აქ 6 სულთანი ცხოვრობდა. 1924 წელიდან პრეზიდენტი ათათურქი მას განსაკუთრებული ღონისძიებებისათვის, ასევე, საზღვებზე რეზიდენციად იყენებდა და აქვე გარდაიცვალა. სასახლის ყველა საათი 09.05-ს, მისი სიკვდილის დროს აჩვენებს. **45 000 კვ. მ-ზე გაშლილი კომპლექსი, 285 ოთახით, 46 დარბაზით, 6 ჰამამით, 68 საბირფარეშოთი, თურქეთში უდიდესია.** ბაროკო, როკოკო და ნეოკლასიკა ტრადიციულ ოსმალურ არქიტექტურას ერწყმის.

Selamlık – სელამლიქი მამაკაცებისთვის განკუთვნილი ის ნაწილია, სადაც სულთნები სახელმწიფო საქმეებს უძღვებოდნენ. პირველ დარბაზში (Medhal) სასახლის ისტორიას მოგიყვებიან.



აქვე იხილავთ საკვირველ 60-ტონიან ჭალს. საგამოფენო დარბაზში ბროლის, ფაიფურისა და ძვირფასი ლითონების შთაბეჭეტადვი კოლექციაა.

მეორე სართულზე ყველაზე მდიდრული დარბაზი (სულთნის საპატიო სტუმრების მოსაცდელი), წითელი დარბაზი (უზარმაზარი, 90 კვ. მ სპარსული ხალიჩით, დათვის ტყავებით, ორტონიანი ჭალით) და სულთნის მოსახვეწებელი ოთახებია. ელჩების დარბაზი დიპლომატების მისაღებად გამოიყენებოდა; ოფიციალურ დარბაზ მუაიდემში სულთანი სახელმწიფო მეთაურებს ხვდებოდა და დღესასწაულებს მართავდა. აქ 2500 ადამიანი თავისუფლად ტეტვა. ჭერს დედოფალ ვიქტორიას საჩუქარი – მსოფლიოში ყველაზე მძიმე ჭალი ამშვენებს.

დოლმაბაჰჩეს ჰარამხანა, პირველად ოსმალეთის ისტორიაში, სასახლის მამაკაცთა ნაწილში მდებარეობდა. ფუფუნებით ის სელამლიქის სხვა დარ-

ბაზებს ჩამოუვარდება. აქ სულთნის მრავალი ოთახი, ცოლების, მხევლების, მეგვიდრეებისა და დედის საძინებლებია. Pembe Salonu-ში (ვარდისფერ დარბაზში) ჰარამხანის მცხოვრებნი იკრიბებოდნენ. Mavi Salonu-ში ვალიდე სულთანი რელიგიურ დღესასწაულებზე ცოლებსა და ვაჟიშვილის ფავორიტ ქალებს იღებდა.

**ღიაა:** ოთხშაბათიდან კვირის ჩათვლით – 09.00-17.00 (გაითვალისწინეთ, რომ მუზეუმის ლიმიტი 3000 კაცია, შეესების შემდეგ საღარო იკეტება, ამიტომ გირჩევთ, გახსნისას მიხვიდეთ).

**ბილეთის ფასი:** სელამლიქი – 40 TRY; ჰარამხანა – 30 TRY; საერთო აბონემენტი – 60 TRY

Vişnezade Mahallesi, Dolmabahçe Cd.,  
 Beşiktaş







## KARIYE MÜZESİ

ხორას მონასტერი, რომელშიც ახლა Chora Museum-ია (Kariye Müzesi), ადრე ქალაქიდან მოშორებით მდებარეობდა. დღეს მუზეუმი სტამბოლის ერთ-ერთი უბნის, ედირნექაფის ტერიტორიაზეა. სამონასტრო კომპლექსიდან იესო ქრისტეს სახელობის ეკლესიაა შემორჩენილი.



მონასტერმა ქრისტიანულ სამყაროში მნიშვნელობა ნეკროპოლისით მოიპოვა. წყაროები გვამცნობს, რომ სამონასტრო კომპლექსი მიწისძვრამ დააზიანა და იმპერატორმა იუსტინიანემ ახალი, უფრო დიდებული ტაძარი ააგო. როცა სულთანმა მეჰმედ მეორემ ქალაქი დაიპყრო, ტაძარი უვნებლად გადაარჩა, თუმცა მოგვიანებით სულთან ბაიაზიდ მეორის პერიოდში მეჩეთად გადაკეთდა. დღეს ხორას ტაძარში განთავსებული მუზეუმი ბრწყინვალე მოზაიკითა და ფრესკებით იზიდავს დამთვალიერებელს.

ხორას სამწიგნობრო კერას და უდიდეს ქრისტიანულ ცენტრს ჯერ კიდევ IX ს-ში ეწვივნენ ილარიონ ქართველი და გრიგოლ ხანძთელი. სწორედ ხორაშია გადაწერილი „მცირე სჯულის კანონის“ ხელნაწერი წიგნი, დათარიღებული 1031 წლით.

**ღიაა:** ყოველდღე, ოთხშაბათის გარდა, ზაფხულში – 09.00-იდან 19.00 სთ-მდე, ზამთარში – 09.00-იდან 17.00 სთ-მდე. **ბილეთის ფასი:** 30 TRY

Dervişali Mahallesi, Kariye Cami Sk. No:8,Fatih



**მოსანდგომა:**  
**80 ადგ**  
**თურქული ფალი:**  
**ღირსა და ყურაში**  
**100 ყურაში 1 ღირსა.**

**ბაირამი – უმედი დღეა, რომელიც რელიგიურ დღესასწაულებს, შაჰერ ბაირამსა და ყურბან ბაირამს აღნიშნავს. შაჰერ და ყურბან ბაირამი მოძრავი დღესასწაულებია და წელს ზაფხულის სეზონს ემთხვევა. 2018 წელს შაჰერ ბაირამი 14-17 ივნისსა, ყურბან ბაირამი 30 – 20-24 აგვისტოს. ამ დღეებში საჯარო დანებაბულებები, ბანკები, რესტორნები და მაღაზიები შეიძლება დაკავშირებული იყოს.**

**თურქეთის სატელეფონო კოდი: +90**

თუ ტურისტს თურქეთში ყოფნისას ადგილობრივი ნომერი აქვს ჩადებული თავის ტელეფონში და ტელეფონი ამ ქვეყანაში არ უყვია, არამედ შემოიტანა, ორი კვირის გასვლის შემდეგ აპარატი ებლოკება.

თურქეთი მწველთა ქვეყანაა, თუმცა შენობებში მოწვევა აკრძალულია. რესტორნებსა და კაფეებში მწველთათვის გარეთა არეგია მოწყობილი, რომლებიც ზამთრობით კარგად თბება.

- თურქეთში საქონლადან კარძო ავტომობილით მოგზაურობის შემთხვევაში მანქანას უნდა მართავდეს მფლობელი ან მინდობილი პირი. თუ მსუბუქი მანქანის ძრავა 1,6-ზე მეტია, საჭიროა დაზღვევა, რაც ადგილობრივ შესაძლებელია.**
- თურქეთში სასტუმროს დასაჯავნად ვერ ისარგებლებთ BOOKING.COM-ის სერვისით, ამისათვის სხვა საიტებს (მაგ., WWW.TRIVAGO.COM), ტურისტულ სააგენტოებს ან პირდაპირ სასტუმროებს უნდა დაუკავშირდეთ.**

## თურქეთ-საქართველოს საზღვარი:

- ჯათაი-სარფის სკვ** 24-საათიან რეჟიმში მუშაობს (2018 წელს მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო შესაძლო შეფერხების შესახებ უმჯობესია ინფორმაცია მგზავრობის წინ გადაამოწმოთ);
- ვანა-ფოცხოვის სკვ-ში** მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით 24-საათიანი სამუშაო რეჟიმი მოქმედებს, ხოლო წლის დანარჩენ პერიოდში პუნქტი 08.00-20.00 საათებში მუშაობს;
- ქარანხი-ჩიღირი/აქთაის სკვ-ში** 24-საათიანი სამუშაო რეჟიმი მოქმედებს (სეზონური ცვლილებებისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, უმჯობესია ინფორმაცია მგზავრობის წინ გადაამოწმოთ).

- 1 საქართველოს საღვრ და საკონსულო სასახური ანკარაში.** მისამართი: Kılıç Ali Sk. No:12, Oran Mahallesi, O6450 Çankaya/Ankara; ტელ.: +90 312 491 80 30 /31; ცხელი ხაზი: +90 533 6903040
- 2 საქართველოს განმარდური საკონსულო სტამბოლში.** მისამართი: Sümbül sokak N17, Levent, Beşiktaş-Istanbul; ტელ.: +90 212 2700261; ცხელი ხაზი: +90 541 8184400
- 3 საქართველოს განმარდური საკონსულო ტრაპიზონში.** მისამართი: Ortahisar Mahallesi, Pertevpaşa Sk. No:10, 61030 Trabzon Merkez; ტელ.: +90 462 3262226; ცხელი ხაზი: +90 541 3262226





## ჭამაში

ძველი დროიდან მოყოლებული, თურქულ აბანოში სამ სხვადასხვა პროცედურას იტარებდნენ: ორთქლით გახურებას წყლით სრული განბანვა მოსდევდა, რაც მასაჟით მთავრდებოდა. ოსმალეთის იმპერიის ზეობისას სტამბოლის ყველა უბანში მოქმედებდა ჰამამი ცივი და ცხელი წყლის აუზებით, შადრევნებითა და მარმა-

რილოთი მოპირკეთებული თაღოვანი დარბაზებით. კვირის ცალკეულ დღეებში აქ მხოლოდ ქალებს შეეძლოთ მოსვლა.

მთავარი მიზეზი, რის გამოც აბანოებმა ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ოსმალურ კულტურაში, სარწმუნოებრივი მოსაზრებებით აიხსნება: ყურანის თანახმად, სხეულის

იყო დრო, როცა სტამბოლში 237 ჰამამს ითვლიდნენ, მათგან სამოცი დღესაც მოქმედი.

სისუფთავე არა მარტო მნიშვნელოვან, არამედ რწმენის ძირეულ საკითხად განიხილებოდა.

რაც შეეხება შეძლებულ ფენას, ისინი აბანოში საკუთარი აბრეშუმის პირსახოცებით, სავარცხლებით, ქისებითა და კუნძულ კრეტიდან შემოტანილი სახელგანთქმული საბნით დადიოდნენ, ფეხზე ძვირფასი თვლებით გაწყობილი სანდლები ემოსათ და მსახურთა ამაღაც ედგათ კვალში. ამ საგულდაგულო სამზადისის მიზეზი კი ის იყო, რომ ზეპური საზოგადოება ჰამამებში, როგორც წესი, მთელ დღეს ატარებდა.

*ჰამამის ტრადიცია ათასი წლის მანძილზე ფასაული რჩებოდა არა მარტო ჰამამებისა თუ მაჰანსაღაბის თვალსაზრისით, არამედ, როგორც დროის საბოლოო მატარებლისა და საზოგადოებრივი თავყვირის საშუალებად.*

## HASEKI HÜRREM SULTAN HAMAMI

ამ აბანოს აგება სულთან სულიეიმან პირველის თანამეცხედრემ, ჰურემ სულთანმა მე-16 საუკუნეში ხუროთმოძღვარ მიმარ სინანს (Mimar Sinan) მიანდო.

**გრილი დარბაზი** – აბანოში მისული სტუმარი თავდაპირველად სწორედ ამ ოთახში აღმოჩნდება. აქ შემოიხვევთ ფეშთამალს (აბრეშუმის ქსოვილის ნაჭერს) ბანაობის წინ. ბანაობის მერე აქვე შეგიძლიათ მოისვენოთ, მიირთვათ გამაგრილებელი შარბათი.

**თბილი დარბაზი** – ცხელ ოთახში ოფლის მოდენის შემდეგ მექისებები გემრიელად გაგიხეხავენ ზურგს.

**ცხელი დარბაზი** – მარმარილოს ვეება მაგიდა მასაჟისთვის ამ დარბაზში ზედ თალის ქვეშ დგას, აქეთ-იქით კი ცალკე საკნებად დატიხრული ოთახებია. ჰაერის ტემპერატურა 42-იდან 50 გრადუსამდე მერყობს, თუმცა თვით საკნებში 60-საც შეიძლება აღწევდეს. იქვეა გასაგრილებელი წყლით სავსე ვარცხლები და ოქროსვარაყიანი თუნ-

გები ტანზე წყლის გადასავლებლად. აუცილებელია თავდაპირველად ამ დარბაზში შეხვიდეთ, რათა ორთქლმა და სიმხურვალემ კანი გასახეხად უკეთ შეამზადოს. გახეხვის შემდეგ აქვე გადაგავლებენ ქაფიან წყალს და მასაჟსაც გაგიკეთებენ.

**ღიაა:** 08.00-22.00; **ჰამამის რიტუალის ფასი:** 40€

Cankurtaran Mh.,  
Ayasofya Meydanı No:2, 34122 Fatih

## CEMBERLITAS HAMAMI

ამ ჰამამის მონახულება, რომელიც მაშმუდ ფაშას მეჩეთისა და მედრესეს მახლობლად მდებარეობს, მხოლოდ მისი წარსულის გამოც კი ღირს: ის 1584 წელს აიგო ნურბანუ სულთნისათვის და მართალია, მას შემდეგ რამდენჯერმე განახლდა, მის თაღებში მოხვედრილი, მაინც სრული სისავსით იგრძნობთ გარდასული საუკუნეების სურნელს. **ღიაა:** 06.00-00.00

**ჰამამის პროცედურის ფასი:** 30€

Vezirhan Cad. No: 8, 34440  
Çemberlitasğ



## KILIÇ ALI PAŞAHAMAMI

ადმირალმა ალი-ფაშამ ამ ჰამამის, როგორც მეჩეთისა და მედრესეს (საგანმანათლებლო კომპლექსის) შემადგენელი ნაწილის, აგება თავისი დროის უდიდეს ხუროთმოძღვარს, მიმარ სინანს შეუკვეთა.

დახვეწილი არქიტექტურული მონახაზებითა და შთამბეჭდავი გუმბათის წყალობით ნაგებობა დღემდე რჩება სტამბოლის საპორტო უბნის ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობად.

შენობის მთავარ შესასვლელთან განთავსებული DeryaHamam Boutique-ი მომხმარებელს ჰამამის ტრადიციულ კულტურასთან დაკავშირებულ უამრავ ნივთს სთავაზობს. ჰამამის ტრადიციული რიტუალი თავისთავად არ გულისხმობს მასაჟის პროცედურას: ზეით მასაჟის ჩატარება აქ პროფესიონალ მკურნალებს აქვთ მინდობილი და წინასწარ ჩაწერა აუცილებელია.

**ჰამამის რიტუალის ფასი:** 45€

**ღიაა:** 08.00 - 23.30

Kemankeş Karamustafa Paşa Mahallesi,  
Hamam Sk. No:1, 34425 Beyoğlu







შავ და მარმარილოს ზღვებს შორის მდებარე ბოსფორის სრუტის სიგრძეა 32 კმ, სიმაღლე 700-3000 მ, სიღრმე კი 30-120 მ-ია. სრუტე სტამბოლის ცენტრშია და ქალაქს ავროპულ და აზიურ ნაწილებად ყოფს. ერთ-ერთი თაოროითი, სწორედ ბოსფორზეა მადის ავროპისა და აზიის საზღვარიც.

ბოსფორი ორი ზღვის ერთადერთ მაკავშირებელს წარმოადგენს, ამიტომ მისი სტრატეგიული და კომერციული მნიშვნელობა უდიდესია: ანტიკური ხანიდან არაერთი დამპყრობელი ცდილობდა მასზე კონტროლის მოპოვებას.

დღეს საზღვაო მოძრაობა აქ ძალიან ინტენსიურია: სრუტას წელიწად 50-60 ათასი გადაზიდული და საშენობლო ნაწილი გადის.



ბედაპირის წყლები ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიედინება (შავი ზღვიდან მარმარილოს ზღვისკენ), შიდა დინება კი საპირისპირო მხარეს მოძრაობს, ამიტომ დიდი გადამზიდებისგან აქ გადაადგილება სპეციფიკურ ცოდნას მოითხოვს.

აქ ჯერ კიდევ დარჩეს I-ს (ძვ. წ. 522-485) აუგია ხიდი-პონტონი. დღეს სრუტეზე აღმართულია დაკიდული ტიპის სამი გადასასვლელი. ერთ-ერთს, უბრალოდ, **ბოსფორის პირველი ხიდი** უწოდებენ, მეორე კონსტრუქციას **მეშველ ფათიშის, ოსმალების იმპერიის ფადიშაჰის** (XV ს.) სახელი ჰქვია. მესამე – რომელიც **სულთან სელიმის** სახელს ატარებს 2016 წელს გაიხსნა და მსოფლიოს ყველაზე გრძელ და ფართო დაკიდულ ხიდს წარმოადგენს (სიგრძე – 1.4 კმ; სიგანე – 59 მ. ხიდზე გადის 8-ზოლიანი ავტობანი და მატარებლის ორი ხაზი).



## კრუიზები ბოსფორზე



საექსკურსიო ბორნების უმეტესობა ემინონუს და ორთაქოს ნავმისადგომიდან გადის. სანაოსნო კომპანიებს შორის ყველაზე პოპულარულია ŞEHİR HATLARI. ის დიდ ბორნებს იყენებს და დამსვენებლებს კრუიზების რამდენიმე ვარიანტს სთავაზობს.

**დაისის ტური (MEHTAP TURU)** მხოლოდ შაბათ საღამოს და მხოლოდ ზაფხულობით ტარდება (5 ივნისიდან 15 სექტემბრამდე). შთამბეჭდავი მოგზაურობა ნავმისადგომ Kadıköy Bostancı-დან იწყება.

**მოკლე ტური (KISA BOĞAZ TURU)**, მოგზაურთა უმეტესობის არჩევანი, ორ საათს გრძელდება. ეს დრო სრულიად საკმარისია, ემინონუდან მეორე ხიდამდე არსებულ მონაკვეთზე ცურვისას ბოსფორის მშვენიერებით რომ ისიამოვნოთ.

**ბოსფორის ტურის ღირებულება (2018 წ):**  
**მრძალი ტური (ორივე მხა) – 25 TRY;**  
**მრძალი ტური (ერთი მიმართულება) – 15 TRY;**  
**მოკლე ტური – 12 TRY;**  
**დაისის ტური – 20 TRY.**


**გრძელი ტური (Uzun Boğaz Turu)** ნ საათს გრძელდება და უფრო მრავალფეროვანია. საათნახევრის განმავლობაში ბორანი ნელა მიცურავს ანადოლუ ქავალიმდე (Anadolu kavağı), მეთევზეთა დასახლებამდე, რომლის დასათვალიერებლადაც მოგზაურებს სამი საათი ეძლევათ.



თუ იახტის დაქირავებას გადაწყვეტთ, ამისათვის გირჩევთ, კომპანია Zoe Yacht-ის მომსახურებით ისარგებლოთ. ორსაათიანი კრუიზისთვის იახტის დაქირავება (12 კაცზე) დაახლოებით 300€ დაგიჯდებათ.

*მათვალისწინეთ, რომ ზაფხულში თურქეთში მზა ძალიან მწვალია, ამიტომ მოიზარაბთ რუჰის საწინააღმდეგო საცხები, მზის სათვალე და შალი; ამაასთან, ბორნის ღირებულება მარჯვენა და მარცხენა მხარეზე დასაბრუნებელი მოსაცემელიც, მანსაუბრებით შემოდგომა-ზამთრის პერიოდში.*

**ბოსფორის ტურის დროს სტამბოლის მნიშვნელოვან ღირსშესანიშნაობებსაც დაათვალიერებთ და ქალაქის ულამაზეს უბნებსაც მშვენიერი ბაღებით, კარკაბით, მარჯვენა და მარცხენა მხარეზე.**







პრინციპის კონსულატი, იმივე სტამბოლის კონსულატი ცხრა კონსულისგან შემდგარი ჯგუფია, რომელიც ქალაქის აზიურ ნაწილში მდებარეობს. მათი სახელწოდება სათავეს ბიზანტიისა და ოსმალეთის იმპერიების ეპოქიდან იღებს, როცა დინასტიების არასანდო წევრებს ამ კონსულატ-ზე განდევნიდნენ ხოლმე. მაქვივებული ლიდერგარკონების მარდა ამ ბარებიც ცხოვრობდნენ, ამიტომ კონსულატის კიდევ ერთი სახელწოდებაა KEŞİŞ ADALARI, რაც „ბარების კონსულატს“ ნიშნავს.

არქიპელაგის მთავარი კუნძულებია: **Kinalıada, Burgaz, Heybeliada** და **Büyükada**. მათ გარდა დასახლებულია მხოლოდ ერთი პატარა კუნძული – **Sedef**, რომელიც Büyükada-ს აღმოსავლეთითაა. Sedef-ის უმეტესი ნაწილი კერძო საკუთრებაა.

მთავარი კუნძულების მონახულება შესანიშნავი ერთდღიანი მოგზაურობაა, რომლისთვისაც საუკეთესო დრო გაზაფხული (აპრილი-მაისი) და შემოდგომა (სექტემბერი-ოქტომბერი). თუ ყველა კუნძულის დათვალიერების დრო არ გაქვთ, **Büyükada** აირჩიეთ.



**BÜYÜKADA-ს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში, უმატასად, მკინანი მ-19 და ადრანის მ-20 საუკუნის, ვიქტორიანული სტილის ხის სახლებია, დასავლეთ ნაწილში – უფრო მატად მდიდრული და შთამბეჭდავი.**

**BÜYÜKADA**

ბორნიდან ჩამოსვლის შემდეგ, სეირნობისას აუცილებლად შეამჩნევთ მოედანზე მდგარ საათს. ეს ქალაქის ცენტრია, რესტორნების უმეტესობა მისგან მარცხნივაა. რესტორნებითაა საგსე მარცხენა სანაპიროც. სამხრეთით ლამაზი სახლები და ვიწრო ქუჩებით დამშვენებული გორაა. Birlik Meydanı კიდევ ერთი ცენტრია – ფიჭვის ტყით გარშემორტყმული, კუნძულის შუაგული, რომელიც ორ გორაკს შორის მდებარეობს. ამ ადგილის სამხრეთით წრიული გზებია, ხოლო Birlik Meydanı-ს ზემოთ წმ. გიორგის ტაძარია.

ძრავიანი მანქანები კუნძულებზე აკრძალულია (სკოლის ავტობუსებისა და სასწრაფო დახმარების მანქანების გარდა), ამიტომ აქ გადაადგილების ყველაზე პოპულარული საშუალება ცხენებიანი ფაეტონებია, რომლებიც ტაქსის ფუნქციას ასრულებენ.

**კუნძულის ბარებში 15 კმ-იანი მარშრუტი BÜYÜK TUR – 80 TRY ღირს, ხოლო 45-ნუთიანი – 70 TRY.**



პრინციპის კუნძულებამდე მისასვლელად საუკეთესო საშუალება ბორანია. Şehir Hatları მოგემსახურებათ Kabataş-ში, Adalar-ის ტერმინალში, წლის მეორე ნახევრიდან კი Eminönü-ს ან Beşiktaş-ის ნავმისადგომებში გამოიყენება. აზიურ ნაწილში Kadıköy-ს პორტიდან 45-90 წუთი დაგჭირდებათ, გააჩნია, რომელიც კუნძულის მონახულებას აპირებთ. ყოველი ბორნის პირველი გაჩერება Kinalıada-ა, შემდეგ – Burgazada, Heybeliada, დაბოლოს – Büyükada.

ბორნების განრიგი სემონების მიხედვით იცვლება. ზაფხულობით, შაბათ-კვირას ისინი ძალიან გადატვირთულია, ამიტომ ადგილის დასაკავებლად გამგზავრებამდე 30 წუთით ადრე მისვლას გირჩევთ. აუცილებლად დაბაუსტეთ უკან გამომგზავრების დრო, რათა კუნძულზე არ დარჩეთ.

**ერთი გზის საფასურია: 10 TRY**



**ALIBABA**

„ალიბაბა“ Büyükada-ში საუკეთესო ადგილია ზღვის პროდუქტების დასაგემონებლად. ის ქალაქის ცენტრში, ნავმისადგომის მარცხნივ მდებარეობს და მენობიდან ზღვის ხედები მიჩანს. შაბათობით უმჯობესია მაგიდა წინასწარ დაჯავშნოთ. **ღიაა: 10.00-01.00**

**Gülstan Cad. 18, Büyükada**



**პლაჟები**

Çam Limanı Koyu წყნარი პლაჟია Heybeliada-ს სანაპიროზე. აქ Ada Beach Club-ი მდებარეობს. ამ კუნძულზე მანქანები არ მოძრაობს, ამიტომ მის დასათვალიერებლად სანაპიროზე კატერს დაელოდეთ.

Club Ada Sedef და Elio Sedef კუნძულ Sedef-ის ორი ყველაზე მშვენიერი პლაჟია, რომლებსაც მაღალი ქვის გალავანი არტყია. Club Ada Sedef-ი შაბათობით სმაურიან წვეულებებს მასპინძლობს, ხოლო Elio Sedef-ზე მუდამ სიმშვიდეა.



**AYA YORGI MANASTIR**

ტაძრამდე ციცაბო ბილიკს ფეხით უნდა გაუყვეთ და დაახლოებით 35-40 წუთში ადგილზე იქნებით. ნაგებობა არც ისე შთამბეჭდავია, მაგრამ მისი ეზოდან

კუნძულების ულამაზეს ხედებს დაათვალიერებთ. ყოველ 23 აპრილს, წმ. გიორგის დღესასწაულზე აქ ათასობით ადამიანი მოდის და სურვილს ჩაიფიქრებს. სურვილის ჩაიფიქრების რიტუალი

ხან მალეობზე ასვლითა და სანთლის დანთებით შემოიფარგლება, ხან კი ამ ბილიკზე ფეხშიშველა სიარულით. ტაძრის მომლოცველების უმეტესობა არაქრისტიანი თურქია.





## İSTANBUL ARKEOLOJİ MÜZELERİ

სტამბოლის არქეოლოგიური მუზეუმი სამი დამოუკიდებელი ექსპოზიციისგან შედგება. მთავარ ნაწილში ძველი აღმოსავლეთის მუზეუმი და შორეულკუთხედის (მოჭიქული ფილების) პავილიონია განთავსებული.

სხვადასხვა ეპოქის მილიონ ექსპონატს შორის იხილავთ უნიკალურ სარკოფაგებს, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნისაა. სიდონის სარკოფაგს ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრების ამსახველი სცენები ამშვენებს. აქვეა ე. წ. მტირალი ქალის სარკოფაგიც.

მუზეუმში მრავლადაა ძველბერძნული ქანდაკებები; არტეფაქტები, რომლებიც ტროის გათხრების შედეგადაა მოპოვებული; ზევსისა და ალექსანდრე დიდის ბიუსტი; ათენას ტაძრის ფრაგმენტები და სხვა.

მუზეუმის ექსპოზიცია ფასდაუდებელი ექსპონატების შთამბეჭდავ კოლექციას მოიცავს. გარდა ზემოხსენებული ორი სარკოფაგისა, წარმოდგენილია: ტაბიტიის სარკოფაგი; სატრაპის სარკოფაგი; ლიკიური საფლავის ქვა; ეფეზოსის ქანდაკება; ზევსის ქანდაკება ქალაქ პერგამონის ტაძრიდან; ლომის ქანდაკება, რომელიც მსოფლიო საოცრების,



*ცნობილი სამი სივალაან ერთ-ერთი, რომელზეც ამოთხვივრულია საშვიდოო ხელშეკრულება კალიპის ბრძოლის შემდეგ აპრიკატის ფარაონს, რამზაჲ II-სა და ხათუბის მადე ხათუსილა III-ს შორის.*

*შორეანკავაბის კავილიონი 5არ კიდავ 1472 წელს აუზიათ სულთან მავზად II დამპყრობლის ბრძანებით. ის სტამბოლში შემორჩენილი ოსმალური არქიტექტურის უძველესი ნიმუშია.*



ჰალიკარნასის მავზოლეუმიდან ერთადერთი გადარჩენილი ნივთია თურქეთში; გველის თავი აშშ-ში მოედინა სვეტიდან; ქალღმერთ კიბელას ქანდაკება; ზევსისა და ალექსანდრეს ბიუსტი; ათენასა და ამოსის ტაძრების ფრაგმენტები; ლურსმული დამპყრობის ქვის დაფების კოლექცია, რომელიც 75 ათას ექსპონატს აერთიანებს. მცირე ამის, მესოპოტამიის, არაბეთის ნახევარკუნძულისა და ეგვიპტის უძველესი ცივილიზაციების არტეფაქტები; სილოამური წარწერა იერუსალიმის ებეკიელის გვირაბიდან; გეგერის კალენდარი, რომელზეც ტექსტი პალეოებრაული ანბანითაა დაწერილი. **ღიაა:** ყოველდღე, ორშაბათს გარდა – 09.00-17.00; **ბილეთის ფასი:** 25 TRY

Cankurtaran Mh., 34122 Fatih



## İSTANBUL MODERN SANAT MÜZESİ

თანამედროვე ხელოვნების პირველი მუზეუმი სტამბოლში 2004 წელს გაიხსნა. ბოსფორის სანაპიროზე მდებარე 8000 კვ. მ-ის საპორტო-სასაწყობე სივრცე თურქი თანამედროვე არტისტების შემოქმედებას დაეთმო. მუზეუმის ღირსშესანიშნაობაა მისი რესტორანიც, რომელიც შენობის ბოლო სართულზეა და სტუმრებს ბოსფორის შესანიშნავ ხედს სთავაზობს, რომელიც სამუზეუმო სივრცეში განთავსებულ ხელოვნების ნიმუშებზე არანაკლებ შთამბეჭდავი.

მუზეუმის მუდმივი კოლექცია თანამედროვე თურქი ხელოვნების ნამუშევრებს სთავაზობს მნახველს, პირველ სართულზე განთავსებულ საგამოფენო დარბაზებში კი დროებითი ექსპოზიციები და კინოჩვენებები იმართება. მუზეუმს დამატებითი საგამოფენო სივრცეც აქვს, რომელიც სტამბოლში გამართულ მასშტაბურ გამოფენებს ეთმობა.

ეს არა მხოლოდ მუზეუმი, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეა, სადაც სტამბოლელები და ქალაქის სტუმრები სიამოვნებით ატარებენ თავისუფალ დროს.



**ღიაა:** ყოველდღე, ორშაბათის გარდა – 10.00-18.00; ხუთშაბათს – 10.00-20.00

**ბილეთის ფასი:** 25 TRY

Meclis-i Mebusan Cad.  
Liman İşletmeleri Sahası  
Antrepo No: 4



### SAKIP SABANCI MÜZESİ

ევგიპტელი პრინცის, მეჭმედ ალი ჰასანისთვის 1925 წელს აგებული ვილა 1951 წელს თურქმა მეწარმემ ჰაკი ომერ საბანჩიმ შეიძინა. ვილა თავის სახელს („სახლი ცხენით“) ცხენის ორ სკულპტურას უნდა უმადლოდეს – ფრანგი მოქანდაკის, ლუი დიუმას 1864 წლის ნამუშევარსა და ჯვაროსნული



ლაშქრობისას, 1204 წელს სულთან აჰმედის მოედნიდან ვენეციელების მიერ გატაცებული ანტიკური ცხენის ასლს.

1974 წლიდან სახლი კალიგრაფიის კოლექციონერის, საჭიფ საბანჩის მფლობელობაში გადავიდა. 1998 წელს საბანჩის ოჯახმა სახლი და კოლექცია საბანჩის უნივერსიტეტს გადასცა და მუზეუმად გადააკეთა. საბანჩის მუზეუმი კალიგრაფიისა და ყურანის ხელნაწერი ვერსიების უმდიდრეს კოლექციას ფლობს. აქ რეგულარულად იმართება მნიშვნელოვანი დროებითი გამოფენები.

**ღიაა:** ყოველდღე, ორშაბათის გარდა – 10.00-18.00; ოთხშაბათს – 10.00-20.00 (ამ დღეს მუზეუმი შესვლა უფასოა).  
**ბილეთის ფასი:** 30 TRY

Sakip Sabancı Caddesi, 42 Emirgan



### İSTANBUL DENİZ MÜZESİ

1897 წელს დაარსებული სტამბოლის საზღვაოსნო მუზეუმი ერთ-ერთი უძველესი და უდიდესია თურქეთში უმდიდრეს, 20 000 ექსპონატისგან შემდგარ კოლექციას ფლობს. კონსტანტინოპოლის, შემდეგ კი სტამბოლის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო საზღვაო შეერთება, ამიტომაც მუზეუმში უძვირფასესმა არტეფაქტებმა მოიყარა თავი. 2013 წელს მუზეუმი ახალ შენობაში გადავიდა. აქ არის უძველესი გემების ხის ორნამენტები, მოდელები და ბიზანტიური პერიოდის უზარმაზარი ჯაჭვი, რომლითაც გემებს კონსტანტინოპოლის წყლებში შესვლას უზღუდავდნენ. აქვე ნახავთ ოსმალეთის იმპერიის ხანის ფერადოვან ნაგებს, ეგრეთ წოდებულ კაიკებს.

**ღიაა:** ყოველდღე, ორშაბათის გარდა – 09.00-17.00; **ფასი:** 8,5 TRY

Hayrettin İskelesi Sok. 80690 Beşiktaş


### TÜRK VE İSLAM ESERLERİ MÜZESİ



თურქული და ისლამური ხელოვნების მუზეუმი სტამბოლის გულში, სულთან აჰმედის მოედანზე მდებარეობს. 1524 წელს აგებული ეს შენობა სულიმან ბრწყინვალის დიდ ვეზირს, პარგალი იბრაჰიმ ფაშას ეკუთვნოდა. მუზეუმი ისლამური კალიგრაფიის, ხალიჩების, კერამიკისა და ეთნოგრაფიული მასალის შესანიშნავ კოლექციას ფლობს. აქვე იხილავთ აბასიდების ხალიფატის საგანძურს, მოზაიკის ნიმუშებსა და ფრესკებს. მუზეუმში ინახება ჯიზრეს დიდი მეჩეთის გადარჩენილი კარი, რომელიც 1155 წლით თარიღდება.

**ღიაა:** 09.00-16.30; ორშაბათს დაკეტილია; **ბილეთის ფასი:** 25 TRY

At Meydanı Sok. İbrahim Paşa Sarayı No:46



### MASUMİYET MÜZESİ

„უმანკობის მუზეუმის“ უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი შექმნა ნობელიანტმა მწერალმა ორჰან ფაშუქმა თავის ცნობილ, ამავე სახელწოდების რომანთან ერთად ჩაიფიქრა.

ოსმალური ხანის ერთ-ერთ ტიპურ სახლში დღეს ნოსტალგიით გამსჭვალულ, მოგონებების მუზეუმს უდევს ბინა. სამუდამოდ წასულ წლებზე, უმანკობასა და ქალაქზე, რომელიც აღარ არსებობს, ყუთებში მოთავსებული ინსტალაციები გვიამბობენ.

**ღიაა:** ყოველდღე, ორშაბათის გარდა – 10.00-18.00; ხუთშაბათს – 10.00-21.00  
**ბილეთის ფასი:** 30 TRY

Firuzca Mahallesi Dalgıç Sk. No:2, Beyoğlu





## FOUR SEASONS, Sultanahmet

ეს მდოგვისფერი სასტუმრო ოდესღაც ციხე იყო. პატიმრების ვარჯიშისთვის განკუთვნილი შიდა ეზო დღეს ლანდშაფტურ ბაღადაა ქცეული.

Four Seasons Hotel Istanbul at Sultanahmet-ის სამსართულიანი ნეოკლასიკური ნაგებობა მარმარილოს კიბეებით Grand Bazaar-იდან სულ რაღაც ხუთი წუთის სავალზეა. მისი დახვეწილი და ნატიფი ინტერიერის მიუხედავად სასტუმროში მაინც არის შემორჩენილი მინიშნებები წარსულზე, მათ შორის, ტუსალის წარწერა მარმარილოს სვეტზე და მინარეთებით გადახურული საგუმბაგოები, რომლებიც ახლა ლიფტის სივრცეა.

ნომრები მყუდროა და ლამაზად მოწყობილი, საწოლის თავები ახლომდებარე ლურჯი მეჩეთის გუმბათებს მოგაგონებთ. სტუმრებისთვის ხელმი-

საწვდომია Kemer Golf-ი, Country Club-ი და Swissôtel-ის ჩოგბურთის კორტები.

სასტუმროს სახურავის ლაუნჯ A'Ya-დან აია სოფიას თვალისმოძრველი ხედი გეშლებათ თვალწინ. ეს ლაუნჯი ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ტერასაა სტამბოლში, საიდანაც ლურჯ მეჩეთსაც დაინახავთ. ნეოლასიკური სტილის A'Ya-ში ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების დიდი არჩევანი და არომატული წასახმსებლებია, მაგალითად, dolma, ბატკნის durum-ი და თურქული ცომეული.

მასაჟი Sultanahmet განსაკუთრებული ხელწერით გამოირჩევა. მასში კომბინირებულია აღმოსავლური და დასავლური მასაჟის ტექნიკა, რომელიც ღრმა რელაქსაციას იწვევს.

**ნომრის ფასი:** 280€-დან

Tevkifhane Sokak No. 1 Sultanahmet-Eminönü



## MR CAS HOTELS, Beyoğlu

იდეალური ადგილმდებარეობით გამოჩენილი სასტუმრო Beyoğlu-ს უბნისა და Istiklal-ის ქუჩის უნიკალური ატმოსფეროთი დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს გპირდებათ.

ასწლოვანი შენობის პირდაპირ ამ ქუჩის გამორჩეული ნაგებობები მოჩანს – Cicek Pasaji და უძველესი Balik Pazari ავთენტიკური დახლებითა და მალაზიებით. შენობის წინ სტამბოლის ტრადიციული ძველი ტრამვაი დადის. სასტუმროდან გამოსვლისას ისტორიულ სივრცეში შეაბიჯებთ.


სასტუმროს სახელი Guney Palas-ში მცხოვრებ საიდუმლოებით მოცულ მისტერ კასს უკავშირდება. მე-20 საუკუნის დასაწყისში ეს ადგილი გლამურისა და მოდის ცენტრი იყო.

მისტერ კასის წვეულებები, რომლებისთვისაც სტუმრები გულმოდგინედ ემზადებოდნენ, ნამდვილი დღესასწაული იყო. დღეს სასტუმრო Mr CAS-ი ისეთივე გულითადი მასპინძლობით გამოირჩევა, როგორც მისი სენია.

სასტუმროში არტ-დეკოს ავეჯით გაწყობილი 33-ზე მეტი ნომრია. მათი ფართობი 20 მ<sup>2</sup>-იდან 111 მ<sup>2</sup>-მდეა. ჭერის სიმაღლე 360 სანტიმეტრია, Mr CAS-ის ლაუნჯი კი კვირის ნებისმიერ დღეს ყველა სტუმრისთვის ღიაა. ლაუნჯ-ბარში კოქტეილის მისართმევედ მისვლას Istiklal-ზე სეირნობისას იმ შემთხვევაშიც გირჩევთ, თუ სასტუმროში არ ცხოვრობთ.

**ნომრის ფასი:** 100€-დან

Istiklal Street No:153, Beyoğlu  
mrcashotels.com



## THE MARMARA, Pera

კომფორტული ნომრების გარდა სასტუმრო გთავაზობთ სპას, გარე აუზს, სახურავზე მდებარე მოდურ ბარსა და რესტორან Mikla-ს. Beyoğlu-ს უბანში უძველესი ისტორია თანამედროვეობასთანაა შეზავებული, ამ სასტუმროს ტერასიდან კი სწორედ უბნის ცოცხალ ქუჩებს გადახედავთ.



The Marmara Café – კაფეში მყუდრო და თბილი გარემოა. ის ფოიეს სართულზე მდებარეობს და ფანჯრებიდან შესაძლებელია მრავალფეროვანი უბნის, Pera-ს შესწავლა.

მაღალტერიანი სასადილო სივრცე მოდური დიზაინით ზუსტად შეესაბამება უბნის უნიკალურ ხასიათს. კაფეს შუაგულში ბარია, გარშემო, ღია ცის ქვეშ კი – ტერასა. კაფე დღისით ღიაა და შესანიშნავ საუბრის ბუფეტს გთავაზობთ. ლანჩისა და სადილისთვის à la carte მენიუა, რომელშიც ღვინოების ჩინებული არჩევანია.

**Mikla Restaurant** – სტამბოლური Mikla ჩვეულებრივი რესტორანი არ გეგონოთ: აქაურ კულინარიას შეგიძლია თავისუფლად ვუწოდოთ ახალი ანატოლიური სამზარეულო, რომელშიც უიშვიათესი ინგრედიენტები გამოიყენება, მაგალითად, ჰალალის ბეთისხილი და თურქეთის შორეული პატარა სოფლების ჰალვა. ეს უძველესი კულინარიული ტრადიციების გადარჩენის წარმატებული მცდელობაა, მომზადების ანტიკური მეთოდებით ექსპერიმენტირება; თიხის ჭურჭლის გამოყენება შესანიშნავად ერწყმის სასტუმროს მე-18 სართულზე მდებარე რესტორნის მინიმალისტურ დეკორს.

**ნომრის ფასი:** 90€-დან (ნომრები ზღვის ხედით 30%-ით ძვირია).

Mesrutiyet Caddesi Tepebasi 34430






**PERA PALACE, Pera**

ეს სასტუმრო, რომელიც სტამბოლის „ოქროს კონცხს“ გადაჭყურებს, დიდი ხანია მწერლებისა და ხელოვანთათვის ერთგვარ შუქურად იქცა. ის სტამბოლში მოღვაწე ფრანგმა ხუროთმოძღვარმა ალექსანდერ ვალორამ ააგო 1892 წელს და, როგორც ამბობენ, აგათა კრისტიმ სწორედ აქ დაწერა თავისი ცნობილი რომანი „მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში“. ამ სასტუმროს ხშირი სტუმარი იყო ერნესტ ჰემინგუეიც.

სასტუმროს მუზეუმის სტატუსი აქვს მინიჭებული, განახლების შემდეგ შენობამ ძველი, ისტორიული პეწი დაიბრუნა, თუმცა დღეს ის ნაკლებად გამოირჩევა ოდინდელი ზღაპრული შარავანდედით. ამის მიუხედავად თალიანი სასადილო დარბაზი და აღმოსავლურ ნირზე გაწყობილი ბარი დიზაინერმა ანუსკა ჰემპელმა, საოცარი ოსტატობით, მინც მიუსადაგა იმ გარემოს, თითქოს ისევ გასული საუკუნის 20-იან წლებში რომ აბრუნებს აქ მოხვედრილ სტუმარს.

Mesrutiyet Caddesi 52, Beyoglu




**TOMTOM SUITES, Galata**

მე-19 საუკუნის ბოლოს აშენებული ეს ნაგებობა ერთ დროს ფრანცისკელთა ორდენის მონაზონთა ფრანგული მისიის ნაწილს წარმოადგენდა. დღეს აქ შუასაუკუნეების დროით ნაკარნახევი, ხით გაწყობილი ოცი მოსასვენებელი ოთახია მოწყობილი, რომლებიც, თავის მხრივ, თანამედროვე თურქული ხელოვნების ნიმუშებითაა მორთული. შუშის გამჭვირვალე ლიფტით ხუთსართულიანი ნაგებობის სახურავზე ასულს, თვალწინ ქალაქის ცენტრისა და ისტორიული ნახევარკუნძულის უმშვენიერესი ხედი გადაგეშლებათ. სახურავზევე განთავსებული რესტორანი Nicole, რომელსაც სახელი მისიის ყოფილი წინამძღვრის საპატივცემულოდ დაერქვა, ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ სტამბოლში. მისი მეპატრონეები ცოლ-ქმარი საქარიები არიან.

შეფ-მზარეული ბატონი ქანი თანამედროვე თურქული სამზარეულოს თავისებურად შეკმაშულ სხვადასხვა კერძს გთავაზობთ, ხოლო მისი მეუღლე, პროფესიონალი კონდიტერი აილინ იაზირიდლე უგემრიელესი ტკბილეულებს და სხვა ნუგბარით გაგიმასპინძლებათ. **ნომრის ფასი:** 110€-დან

Kaptan Sokak 18, Beyoglu; tomtomsuites.com



**WITT SUITES, Cihangir**

მწვანეში ჩაფლულ უბანში, შემალღებულ ადგილას წამომართული ეს მრავალსართულიანი ნაგებობა ცნობილი დიზაინერული კომპანია „აუტობანის“ მიერაა დაგეგმარებული, რომლის სტილისტურ გადაწყვეტაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მუხის სარწვეველა სავარძლებს, ტყავგადაკრულ ტახტებსა და მარმარილოს პრიალაზედაპირიან მაგიდებს. თითოეული სულ უმცირესი დეტალიც კი, მაგალითად, ნომრებში არსებული პატარა სამზარეულოები, სწორედ იმ თანამედროვე თურქული ესთეტიკის თვალსაჩინო მაგალითია, რითაც გაითქვა კიდევ სახელი „აუტობანმა“. თუმცა აქ ყველაფერი მდიდარი ოსმალური ტრადიციის გავლენითაცაა აღბეჭდილი.

ზედა სართულების ოთახებიდან ბოსფორის სრუტის ულამაზესი ხედი იშლება, ხოლო ზოგიერთი მათგანის ღია აივნებზე მუდმივად დანავარდობს ზღვიდან მონაბერი ნიავი. სახურავზე მოწყობილ ბაღში სტუმრებს შეუძლიათ სხვადასხვა გამაჯანსაღებელი პროცედურა ჩაიტარონ და აუზშიც იცურონ. **ნომრის ფასი:** 90€-დან

Defrdar Yukusu 26, Beyoglu; witeistanbul.com



**A'JIA HOTEL, Beykoz**

ეს ბუტიკის სტილის სასტუმრო რომანტიკული და საინტერესო ადგილია ნამდვილი სტამბოლური გამოცდილების მისაღებად.

აქ 16 ნომერი და სუიტია, სადაც ფუფუნება და თანამედროვე დიზაინი 1870-იანი წლების პავილიონში ერთდროულად გვხვდება. სასტუმროში არის 10 Deluxe ნომერი, რომელთაგან ხუთს თავისი აივანი აქვს, ასევე, 6 Deluxe სუიტი – 3 მათგანი ანტრესოლის სართულებით. ყველა ნომრიდან და სუიტიდან პირდაპირ იშლება ბოსფორის ხედეები.

ბოსფორის ლურჯი ფერები ამ ოსმალური რესტორნის ვიწრო და ვრცელი ფანჯრებიდან შთამბეჭდავად ჩანს და კიდევ უფრო მძაფრად აღიქმება ინტერიერის შუქი ტონების გამო. მენიუში ხმელთაშუა ზღვის კულინარიის დელიკატესებია, შეფ-მზარეული კი არაერთი ჯილდოს მფლობელია. კვირარაობით A'jia Restaurant-ი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია სტამბოლში ბრანჩის მისართმევად.

**ნომრის ფასი:** 200€-დან

Halide Edip Adivar Cad. No:27, Kanlica  
www.ajiahotel.com/en



## LES OTTOMANS, Bosphorus

მუშინზადე მეჰმედ ფაშას ყოფილი სახლი თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ნაგებობა იყო. აჰმედ III-ის ეპოქის ნანგრევებზე აშენებული ეს სახლი თავისი ელემენტური შადრევნითა და ბაღის კომპლექსით ოსმალური ბაღებისა და წყლის არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშია. 1790-1929 წლებში აქ სახლის მეპატრონეები ცხოვრობდნენ, 1980-იან



წლებში კი მათმა მემკვიდრეებმა ის გაყიდეს. განახლებული შენობა თურქეთის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროდ იქცა. Les Ottomans Bosphorus-ი თავის სტუმრებს მდიდრული ცხოვრების ყველა დეტალს სთავაზობს, თითოეული სუიტის უნიკალური დეკორი კი ოსმალური ტრადიციისა და თანამედროვე ფუფუნების ჰარმონიული ერთიანობაა.

ეს სასტუმრო ფენ შუის სერტიფიცირებული ბუტიკის ტიპის სასტუმროების მცირერიცხოვან სიაში შედის. დიზაინში ფენ შუის 3500-წლიანი ტრადიციის ყველა დეტალია გათვალისწინებული – მეცის, დედამიწის, ჰაერისა და წყლის ელემენტებისა და თავად ადამიანის, დროისა და სივრცის ღერძის, კონცეფციების მიხედვითაა შექმნილი.

Swiss – Les Ottomans Bosphorus-ის ბაღში მდებარე ეს რესტორანი სტუმრებს, გარდა გამორჩეული კულინარიისა, ღვინის მარნითაც გააკვირვებს. SWISS-ის სარდაფში მსოფლიოს ჩინებული ღვინოები ინახება, რომლებიც აქაურ დელიკატესებსა და ყველს იდეალურად უხდება.

Park Şamdan – რესტორანი მუდმივად მასპინძლობს მსოფლიო ვარსკვლავებს და ყველაზე წარმატებულ ბიზნესმენებს. აქ Park Şamdan-ის კლასიკური მენიუ და ბოსფორის ხედები მოგზიბლავთ, გამორჩეული დიზაინის ბაღი Park Şamdan & The Bar-ს კიდევ უფრო მეტ მომხიბვლელობას სძენს.



Spa – Caudalie Vinotherapie Spa ნამდვილი სამოთხეა, სადაც ძვირფასი ეთერზეთების უნიკალური არომატები და საუკეთესო მასაჟი გელით.

აქ სხეულის მოვლის გამორჩეული მეთოდებს ვთავაზობენ: კასრის აბაზანასა და დაჭყლეთილი კაბერნეს სკრებს, რომელიც ყურძნის წიპწებით კანის გაჯანსაღების შესანიშნავი პროცედურაა.

Caudalie Vinotherapie Spa-ს მენიუში ტრადიციული მასაჟები და სხეულის მოვლის სხვა მეთოდებიცაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

**ნომრის ფასი:** 300€-დან

Muallim Naci Cad. No:68, Kurucesme



## THE GRAND TARABYA, Tarabya

The Grand Tarabya თურქეთის ერთ-ერთი პირველი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა. ამ 12-სართულიან შენობაში 168 Deluxe ნომერი, 79 სუიტი, ერთი საპრეზიდენტო სუიტი და 30 ექსკლუზიური აპარტამენტი. ეს სასტუმრო იდეალური ადგილია სტამბოლში ოჯახური დასვენებისათვის.

The Grand Tarabya-ს რესტორნები და ბარები დახვეწილი დეკორითა და კერძებით ნებისმიერი გემოვნების გურმანს აღაფრთოვანებს. რესტორნებიდან ბოსფორის, თარაბიის უბნისა და ნავმისადგომის ხედები იშლება. The Brasserie Restaurant-ში ღია ბუფეტის ტიპის სრულყოფილ საუბმეს მიირთმევთ, ლანჩზე à la carte მენიუს შემოგთავა-

ზებენ, ხოლო კვირაობით შიდა და გარე ტერასებზე ბრანჩისათვის იდეალურ ადგილს იპოვით.

ზღვის პროდუქტების რესტორანი Limani ახალი ინგრედიენტებითა და ადგილობრივი დელიკატესებით, სუნელებითა და მცენარეებით გამოირჩევა. R.E.A.D. Cafe & Bakery-ში ყველაზე დახვეწილი ნამცხვრები და ცომეულია, რაც კი ოდესმე გაგისინჯავთ. შესანიშნავი ხედების მქონე Diba Bar-ი დამლელი დღის შემდეგ მოგადუნებთ, უნიკალური ლაუნჯი – The T Lounge კი 1960-იანი წლების სასტუმროს გლამურულ ატმოსფეროში გამოგზაურებთ: აქ შუადღის ჩაის სმას თან ახლავს პიანინოს, არფისა და ვიოლინოს ჰანგები.

4500 მ<sup>2</sup> ფართობის Therapia Spa ყველაზე ექსკლუზიურ თერაპიას და სხეულის მოვლას შემოგთავაზებთ, თან ბოსფორის პეიზაჟითაც დატკბებით. აქ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საუკუნოვან სპა-რიტუალებს იყენებენ. მთელ სივრცეში საუნა, ორი პირადი სპა-სუიტი, 14 სხვადასხვა მასაჟის ოთახი და თერაპიული კაბინეტები. სასტუმროს ფიტნესის ცენტრი საუკეთესოადაა აღჭურვილი. ამ სივრცეშია, აგრეთვე, პილატესის სტუდია. გარეთ ღია აუზებია, სადაც გაფილტრული ზღვის წყალი და გამთბარი იატაკი იდეალურ კომფორტს ქმნის.

**ნომრის ფასი:** 190€-დან

Tarabya Mahallesi Haydar Aliyev Cd. No:154, Tarabya





**მგზავრობა აეროპორტიდან**

ათათურქის (Atatürk) აეროპორტიდან ქალაქში მოხვედრის ყველაზე მარტივი საშუალება ყვეთელი ტაქსის დაქირავებაა. გრძელი რიგები ნუ შეგაშინებთ, აეროპორტის სადგურზე საკმარისი რაოდენობის ტაქსია. საფასურს გავლილი კილომეტრების მიხედვით გადაიხდით. თურქულ ტაქსიში იშვიათად თუ შეძლებთ საკრედიტო ბარათით გადახდას, ამიტომ თან იქონიეთ თურქული ლირა. მძღოლისთვის ფეხის ქირის მიცემა სავალდებულო არაა, თუმცა თანხის დამრგვალება კარგი შესტია.

**Atatürk-ის აეროპორტიდან:** 30 კმ, 45-90 წუთი, 60-100 TRY;

**Sabiha Gökçen-ის აეროპორტიდან:** 50კმ, 60-120 წუთი, 120-150 TRY.

**მეტრო**

Atatürk-ის აეროპორტიდან Aksaray-მდე მეტროს M1 ხაზით 35 წუთში მიხვალთ 4 TRY-ად.

**ავტობუსი**

TH-1 ექსპრეს ავტობუსი Atatürk-ის აეროპორტიდან Taksim-ის მოედანამდე 60 წუთში მიგიყვანთ 4 TRY-ად. ავტობუსები ყოველ ნახევარ საათში გადის დილის 04.00-იდან ღამის 01.00 სთ-მდე.

**მანქანა პირადი მძღოლით**

აეროპორტიდან ქალაქში მოსახვედრად პირადი მძღოლის დაქირავება თუ გსურთ, წინასწარ უნდა შეუკვეთოთ. მძღოლი აეროპორტში დაგხვდებათ და ბარგზეც თავად იბრუნებს.

**ამ მომსახურების ღირებულებაა:** ერთი გზა – 60€-დან, პლუს18% VAT

**დაჯავშნა:** 0212 444 25 75

**საზღვაო ტაქსი**

Sea Taxi ანუ საზღვაო ტაქსი სტამბოლში ტრანსპორტის ახალი სახეობაა, რომელიც დღეში 24 საათს მუშაობს. სტამბოლელებს საზღვაო ტაქსიში ჩაჯდომა ბოსფორის გასწვრივ მდებარე 27 პუნქტში შეუძლიათ, ასევე, პრინციპის კუნძულზემდებარე რამდენიმე სადგურსა და აზიური ნაწილის ზოგიერთ პორტში.



UberBOAT-ის სერვისი კი ვთავაზობთ აპლიკაციას, რომლითაც სწრაფ, პირად ნავს დაქირავებთ ქალაქის ცნობილ საზღვაო მარშრუტზე სამოგზაუროდ. წყლის პირას მდგარ კლიენტს ტელეფონი აჩვენებს უახლოეს ნავს, რომლის შეკვეთაც შეუძლია. ნავები 7-10 ადამიანს იტევს და მგზავრობის საფასური 50 TRY-დან იწყება.

**ტაქსი**

სტამბოლში ტაქსით მგზავრობა ხანმოკლე მოგზაურობის დროს საუკეთესო არჩევანია, მგზავრობა ძვირი არ ღირს. ავტომობილის კარებზე კომპანიის ემბლემებით აღნიშნული ტაქსები უფრო უსაფრთხოა, თანაც თუ მანქანაში რაიმე ნივთი დაგრჩებათ, ადვილად მოძებნით. სასტუმროში დაბინავების შემთხვევაში სასტუმროს ტაქსის სერვისით სარგებლობა ჯობს, რადგან მძღოლები უფრო ყურადღებიანები არიან.



რთულია ტაქსის დაჭერა დღის სამი საათიდან ოთხ საათამდე – ამ პერიოდში მძღოლების ცვლა მთავრდება, იგივე მდგომარეობაა წვიმიან და თოვლიან ამინდში. სტამბოლელი ტაქსის მძღოლები მანქანას სწრაფად მართავენ და მკაცრი სასჯელის მიუხედავად მოძრაობის წესებს ხშირად არღვევენ.

**VOYAGER კომენტარი**

არ დაგავიწყდეთ, მძღოლს მრიცხველის ჩართვა მოსთხოვთ. მგზავრობის დაწყება 4 TRY ღირს, ყოველი კილომეტრი 2.5 TRY. სტამბოლში არ არსებობს ღამის განსხვავებული ტარიფი. გირჩევთ, ყოველთვის თურქულ ლირაში გადაიხადოთ საფასური, ტაქსისტების გაცვლითი კურსი არახელსაყრელია. მიღებულია თანხის დამრგვალება ერთი-ორი ლირით.



**ტრამვაი**

ხაზი Kabataş-Bağcılar გამორჩეულად პრაქტიკულია, რადგან მას Kabataş-იდან ძველი ქალაქისკენ მიჰყავხართ. Sultanahmet-მდე მანქანით მიღწევა ძალიან რთულია, რადგან ყველა გზაზე საცობია. ტრამვაით მგზავრობა ასევე განსაკუთრებით სასიამოვნოა, რადგან ისტორიული ნახევარკუნძულის ხედებითაც დატკბებით.

**ერთი ბილეთი:** 4 TRY  
**Istanbulkart:** 2.30 TRY



**მეტრობუსები**

მეტრობუსებს მხოლოდ სტამბოლში შეხვდებით. დიდი, მოდერნიზებული ავტობუსები მხოლოდ მათთვის გამოყოფილ ზოლზე მოძრაობენ, რაც გამოირიცხავს ავარიებს, საცობებსა და გაჩერებაზე ლოდინს.

**ერთი ბილეთი:** 4 TRY

**Istanbulkart:** 10 TRY ღირს მრავალჯერადი ბილეთი (ერთი მგზავრობა – 2.30 TRY).

**TÜNEL**

Tünel (გვირაბი) მოკლე მიწისქვეშა მარშრუტია, რომელიც Karaköy-დან Beyoğlu-მდე მიდის. ამ გზის გავლას მხოლოდ 1,5 წუთი სჭირდება, მგზავრობის ინტერვალი კი 5-7 წუთია. ეს სატრანსპორტო სისტემა 141 წლისაა და სიძველით მსოფლიოში მეორე ფუნქციონირია. Tünel-ი ადგილობრივების ერთ-ერთი საყვარელი ტრანსპორტი და პრაქტიკული გზაა, რადგან ციკაბო გორაკებზე სიარულს თავს აარიდებთ. **ერთი ბილეთი:** 4 TRY

**Istanbulkart:** 2.30 TRY







## ASITANE, Fatih

ოსმალური სამზარეულო

ძველი ქალაქის შუაგულში მდებარე Asitane 1991 წლიდან არსებობს და ის სტამბოლის უნიკალური რესტორანია, რომელიც „ოსმალური სასახლის“ კულინარიის მიმართულებით სპეციალიზირდება. სამეფო კერძების რეცეპტები ყოველთვის გასაიდუმლოებული იყო და ისინი სასახლის ახალ მზარეულებს ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდათ.

Asitane-ს შეფ-მზარეულებმა რამდენიმე ასეული ისტორიული კერძი აღადგინეს თოფაფისა და დოლმაბაჰჩეს სასახლეებში გამართული ნადიმების მატინეების შესწავლის შედეგად. კერძების უმეტესობა 1539 წელს სულიმან ბრწყინვალის ვაჟის წინდაცვლის აღსანიშნავად გამართული ნადიმიდანაა, მათ შორის, სახელგანთქმული ნუშის წვნიანი.

ღიაა: ყოველდღე, ოთხშაბათის გარდა – 12.00-22.30

Edirnekapi Mahallesi, Kariye Cami Sk. No: 6

## VOYAGER კომენტარი

### MEZE

თურქული მეზე ანუ საუზმეული ძალზე მრავალფეროვანი საკვებისგან შედგება, როგორცაა: ზღვის პროდუქტები (ფარშირებული ხამანწყები, შემწვარი კალმარები და რვაფეხები), რძის ნაწარმი (თეთრი, ფეტას ტიპის ყველი, მწვანილებით ან ნივრითა და კიტრით შეზავებული იოგურტი, ძაძიკი), ფარშირებული ბოსტნეული (დოლმა და სამრა). ასევე პოპულარულია ნიორსა და ხახვთან ერთად მომზადებული ხორცი ან ლობიოს მარცვლები ტომატის სოუსში და გუფთა, ტრადიციულ მარცვლეულ გარნირთან – ბულღურთან ერთად.

მეზე სპარსულად გასინჯვას ნიშნავს და აღმოსავლეთში საყოველთაოდ გავრცელებული ეს მოვლენა მართლაც პატარა ულუფებისგან შემდგარი კერძების დაგემოვნების პროცესია. მეზეს ხშირად სადილის დასაწყისში მიირთმევენ, ძირითადი კერძების შემოსვლამდე.



მინიზი თითოეული კერძის წარმოშობის თარიღი და წარმოშობა წერია და იმ ეპოქის მათობებით მზადდება.



## რეკომენდებული კერძები:

Ottoman Hummus;

Ciğer Köftesi (ღვიძლის ბურთულები);

Dolma (ვაზის ფოთლის ტოლმა მუავე ალუბლით);

Beyza Be Cihet-i Börek-i Makiyan (ცომეული ქათმის ხორცის, კვერცხისა და სუნელების შიგთავსით);

კომში შიგთავსით ან ნესვის Helatiye (პუდინგი ნუშით, ფსტით, სეზონური ხილით – ვარდის წყლის სიროფში).

## ÇIYA SOFRASI, Kadiköy

ოსმალური სამზარეულო ვარიაციებით

კულინარიულ სამყაროში კარგად ცნობილი შეფის მუსა დაღდევირენის – Musa Dağdeviren რეცეპტები მის ეკლექტიკურ მენიუში, Çiya Sofrasi-ს სტამბოლის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ადგილად აქცევს. აქ თქვენს საყვარელი კერძების საინტერესო ვარიაციებს გასინჯავთ, მაგალითად, არტიშოკის ტოლმას; ბრინჯითა და დაკეპილი ხორცით გამოტენილ, გრილზე შემწვარ ზღმარტლს; კლასიკურ ტოლმას კარამელიზებულ ნიორთან ერთად. დაღდევირენი არაჩვეულებრივ ტკბილი გოგრის წვეს ამზადებს, რომელიც ძალიან უხდება ტიპურ თურქულ საკვებს. **ღიაა:** ყოველდღე – 11.00-22.00

Caferaga Mah. Güneşlibahçe Sk. No:43



## KANAAT LOKANTASI, Üsküdar

გემოს რეცეპტორების ფეიერვერკი

ამ ტრადიციულ ლოქანთაში სადილის მიერთება თურქული კულინარიის კურსის გავლას უდრის. 1933 წელს დაარსებული ეს რესტორანი ბოსფორის აზიურ ნაწილში გასეირნებად ღირს.

მრავალფეროვანი მეზეს შემდეგ განსაკუთრებულ ხორცის კერძს მოგართმევენ, მაგალითად, ბოსტნეულითა და ყველით მომზადებულ elbasan tava-ს. აუცილებლად შემოინახეთ თავი უგემრიელესი დესერტისთვის. შექრიანი ზედაპირის ქვეშ ნოტიო და ფაფუკი keşkül-ი იმალევა – ბრინჯის პუდინგი ნუშით, ლეღვით, გარგარითა და კრემით გემოს რეცეპტორებისთვის ნამდვილი ფეიერვერკია.

ღიაა: ყოველდღე – 07.00-23.00

Sultantepe Mahallesi, Selmani Pak Cd No:9





**KIYI, Tarabya**

საუკეთესო თევზგული

ზღვის პროდუქტების ტრადიციულ რესტორანში, რომელიც 1966 წლიდან არსებობს მუდმივი კლიენტებითა და უზარმაზარი სივრცით, მუდამ ხალხმრავლობაა. მყუდრო ინტერიერში კედლებს ადგილობრივი არტისტების ნახატები ამშვენებს, ასევე, ოდნავ უცნაური, არტ-დეკოს სტილის ქმნილებები.

გარეთ ტერასაა, სადაც სადილობა ზაფხულში განსაკუთრებით სასიამოვნოა.

რესტორანი აპეტაიზერების დიდ არჩევანს გთავაზობთ, მათი უმრავლესობა თევზით და სხვა ზღვის პროდუქტებითაა დამზადებული. მთავარი კერძები, ძირითადად, თევზისაა, ხოლო მათ, ვინც თევზის რესტორანში საკუთარი სურვილის წინააღმდეგ მოხვდა, უგემრიელეს სტიკს შესთავაზებენ.

**რეკომენდებული კერძები:** Asma yaprağına sarılı çinekop (ვაზის ფოთოლში გახვეული ლუფარი), Kılıç Şiş (შამფურზე შემწვარი შიმშერი).



ღია: ყოველდღე – 12.00-24.00

Haydar Aliyev Caddesi No.186/A, Sarıyer

**MAVI BALIK, Kuruçşme**

ბოსფორის საუკეთესო ხედი

სტამბოლის ერთ-ერთ ულამაზეს ადგილას რესტორანი 1995 წელს გაიხსნა. აქ ზღვის პროდუქტების საუკეთესო კერძებს დააგემოვნებთ, თევზგულის არჩევანი კი სტამბოლში ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანია. აუცილებლად გასინჯეთ მათი სახელგანთქმული წითელი კეფალი ან ლუფარი.

რესტორანი, სეზონის მიხედვით, გთავაზობთ როგორც შიდა, ისე ტერასის სასადილო სივრცეებს.



ღია: ყოველდღე – 12.00-01.00

Muallim Naci Cd. 64/A, Beşiktaş



**BALIKÇI SABAHATTIN, Cankurtaran - Eminönü**

თევზის რესტორანი

Balıkçı Sabahattin ანუ „მეთევზე საბაჰთინი“ სტამბოლის ერთ-ერთი საუკეთესო რესტორანია ტრადიციული თურქული ზღვის პროდუქტების გასასინჯად. მისმა მეპატრონემ, ზღვის პირას, მეთევზეების ოჯახში გაზრდილმა საბაჰთინმა ნამდვილად იცის თევზის ფასი და თავის ვაჟებთან ერთად სტამბოლში საუკეთესო რესტორანი შექმნა შინაურული ზღვის პროდუქტების კერძების დასაგემოვნებლად.

ღია: ყოველდღე – 07.00-24.00

Cankurtaran Mh., Seyit Hasan Kuyu Sok. No:1

**AHIRKAPI BALIKCISI Fatih**

თევზის რესტორანი

Ahirkapi Balıkçısı სტამბოლის ცენტრიდან შორს, მილიონი მიყრუებული ქუჩიდან ერთ-ერთზე მდებარეობს, მაგრამ თუ მას ესტუმრებით, აქაური კულინარია აუცილებლად დაგამახსოვრდებათ. რესტორანს ოთხი შიდა და ხუთი გარე მაგიდა აქვს. კერძები უგემრიელესია – საუცხოო პატარა თევზებით დამზადებული კერძი, საუცხოო ბოსტნეული და შინაურული დესერტები, მაგალითად, თურქული ჰალვა, რომელსაც მეპატრონის ცოლი ამზადებს, ნამდვილი დელიკატესებია.

ღია: 12.00-23.00

Cankurtaran Mh., No, Keresteci Hakkı Sk. No:38,



**HAREM ISTANBUL, Sultanahmet**

ტრადიციული ოსმალური

ეს რესტორანი სულთნის საკადრის კერძებს გთავაზობთ. აქ კლასიკურ ოსმალურ კულინარიას ეზიარებით, ინგრედიენტები ძალიან მაღალი ხარისხისაა.

რეკომენდაციას ვუწევთ Harem Istanbul-ის შემწვარ ანჩოუსებსა და გრილზე მომზადებულ ქორჭილას. ამ რესტორანმა თურქული ზღვის პროდუქტების კულინარია ახალ საფეხურზე აყვანა.

ღია: ყოველდღე – 11.00-24.00

Alemdar Mh. Biçki Yurdu Sk. No:6



**TARIHI, Karaköy**

ცხარედ შეკამაზული თევზგული

ერთი შეხედვით, ნაკლებად გულმისასვლელი ადგილი სინამდვილეში სტამბოლში ერთ-ერთ გამორჩეულ თევზის რესტორნად ითვლება, აქაური Kagitta Levrek-ი (ზღვის ცხარედ შეკამაზული თევზგული) ქალაქის ყველა კუთხიდან იზიდავს თევზგულის მოყვარულებს. კრვეტებსა და ქამბალას აქ ეგოსის ზღვის სანაპიროზე მოყვანილი ზეთისხილის ზეთმოსხმულ სალათთან ერთად მოგართმევენ. თევზის საფირმო წვნიანს უძველესი რეცეპტით ამზადებენ. ღია: 08.00-23.00, კვირას დაკეტილია.

Tersane Caddesi 30, Beyoğlu



## KANTIN, Şişli

დელიკატესების ინოვაციური ვერსიები

დღის კერძები სეზონური და ადგილობრივი ინგრედიენტებით მზადდება. ტრადიციული თურქული კულინარიისა და საერთაშორისო დელიკატესების ინოვაციური ვერსიები ჯანსაღი კვების მოყვარულ გურმანებს იზიდავს. კლიენტები ზედა სართულზე მიერთმევენ ლანჩს, ან თან მიიქვთ სალათები, ცომეული



და სხვა წასახემსებლები. მიუხედავად იმისა, რომ მენიუ ყოველდღიურად იცვლება, არ გამოტოვოთ ფალაფელი, თუ მას მენიუში აღმოაჩენთ.

**ღიაა:** სამშაბათი-შაბათი – 11.30-14.45/19.00-22.30; ორშაბათი – 11.00-17.00; კვირას დაკეტილია. დაჯავშნეთ წინასწარ.

Teşvikiye, Maçka Cd.  
Milli Reasürans Pasajı 35A D:16 ve 60

## FRANKIE, Nişantaşı

ხმელთაშუა ზღვის მენიუ

The Sofa Hotel-ის ბოლო სართულზე მდებარე Frankie Istanbul-ი სწრაფად იქცა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ადგილად სტამბოლში. გამოირჩეული და დახვეწილი იერით, სრულიად ბუნებრივად ჩაეწერა Nisantasi-ის გარემოში. რესტორნიდან მართლაც ზღაპრული ხედი იშლება და აქ მოხვედრილი სტუმარიც თავს ისე გრძნობს, როგორც ზღაპარში.

მენიუ ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვისპირა სამზარეულოების ერთგვარი ნაჯერია, რაც თურქული გემო-სურნელებითაა გაზავებული. ეს კი უკვე მთლიანად შეფ-მზარეულის, სიმეონ ტრიანტაფილუს (Symeon Triantafyllou) დამსახურებაა. უგემრიელესი კერძების გარდა რესტორანი შესანიშნავი ღვინოების ფართო არჩევანითაც გამოირჩევა.

**ღიაა:** 12.00-02.00

Harbiye Mahallesi, Teşvikiye Caddesi, 41-41/A



## BEYMEN BRASSERIE, Şişli

ფრანგული სამზარეულო

Nişantaşı-ს უნიკალური ატმოსფერო და ხასიათი ამ 100 კვ. მეტრი ფართობის ბრასერიშია ჩატეული. სივრცე ორ ნაწილადაა დაყოფილი: შიდა დარბაზში შესასვლელი Beymen-ის მაღაზიდანაა, ხოლო ტერასა კი მოპირდაპირე მხარეს ჩვეულებისამებრ ჩასაფრებული პაპარაცების სამიზნეა, რადგანაც რესტორანი ადგილობრივი და არა მარტო ადგილობრივი ვარსკვლავების შეკრების უსაყვარლესი ადგილია.

მენიუში ფრანგული სალათები და გრილზე შემწვარი კერძებია, რომლებიც ადგილობრივ გურმანებს აღტაცებს ჰვგრის.

**ღიაა:** ყოველდღე – 10.30-01.00

Harbiye Mh.,  
Abdi İpekçi Caddesi No:23/1, Şişli



## NICOLE, Beyoğlu

თანამედროვე თურქული

ბეიოღლუს კულინარიული სამყაროს საგანძური იდეალურაზამდე დახვეწილ კერძებს გთავაზობთ. ეს თანამედროვე სამზარეულოა და სეზონური ინგრედიენტების ჰარმონიული ერთობაა, კერძების გემო კი დაუვიწყარია. რესტორანი ბუტიკის ტიპის სასტუმროს, TOM-TOM SUITES-ის ბოლო სართულზე მდებარეობს. მენიუ ყოველ ექვს კვირაში იცვლება და ინგრედიენტებს შეფ-მზარეულები ხელით არჩევენ სტამბოლის ორგანული პროდუქტების ბაზრობებსა და კულინარიულ მაღაზიებში.

NICOLE-ში ვიზიტი საგანგებოდ დაგეგმილი მოგზაურობაა გასტრონომიულ სამყაროსა და კულინარიულ ჯადოქრობაში. რეკომენდაციას უკლებლივ ყველა კერძს ვუწევთ.

**ღიაა:** სამშაბათი-შაბათი – 18.30-იდან, ბოლო შეკვეთა 21.30; კვირას და ორშაბათს დაკეტილია.

Boğazkesen cad. Tomtom Kaptan Sok. No:18

## MIKLA, Beyoğlu

საკუთესო ადგილი საუხუბო ხედი

აქურობის მასპინძელი და შეფ-მზარეული, თურქ-ფინელი მეჭმედ გურსი (Mehmet Gurs) დაუმრეტელი ფანტაზიით გამოირჩევა. სასტუმრო Marmara Pera-ს რესტორან Mikla-სთვის შედგენილი მისი უგემრიელესი მენიუ სტამბოლისათვის დამახასიათებელ ისეთ კერძებს მოიცავს, როგორცაა balik ekmek (ფქვილში შემწვარ-შეპიჭინებული ქაფშია) თუ sutlac (ბრინჯის ფლავი).



გურსი რეცეპტებსაც და თითოეული კერძისთვის აუცილებელ ინგრედიენტებსაც მუდამ გულდასმით არჩევს, საკუთარი თავი კი გასტრონომიის ანთროპოლოგად და რეგიონული სამზარეულოს უზადო მცოდნედ მიანიჭა. **ღიაა:** 18.00-02.00, კვირას დაკეტილია.

The Marmara Pera  
Meşrutiyet Caddesi 15

**VOYAGER**  
კომანტარი

მიუხედავად იმისა, რომ ფეხის ქირის ჩუქება თურქეთში სავალდებულო არაა, თანხის დატოვება კარგი შეესტია იმის ხაზგასასმელად, რომ მომსახურებით კმაყოფილი და-რჩით. რესტორნებში მიღებულია ფასის 10-15%-ის დატოვება, ტაქსებში კი – თანხის დამრგვალება ერთი ან ორი თურქული ლირის დამატებით.





**ZUMA, Sarıyer**

საუკეთესო სუში

ლონდონის, ჰონკონგისა და ნიუ-იორკის ყველაზე ტრენდული იაპონური რესტორნის სტამბოლური ფილიალი სუშის დასაგემოვნებლად იდეალური ადგილია. Zuma-ს მრავალფეროვანი და უგემრიელესი ზღვის პროდუქტების კერძები გამორჩეულ კულინარიულ გამოცდილებას შეგძენთ სტამბოლში ყოფნისას.

ავთენტიკურ იაპონურ კერძებს შეფ-მზარეული რაინერ ბეკერი, Rainer Becker ამზადებს. Zuma-ს მენიუში ისეთი დელიკატესებია, როგორცაა: შემწვარი კიბორჩხალა ვასაბის მაიონეზით, ყვითელკუდიანი საშიმი ნიგრის მწილით, ქორფა ისპანახი და პონზუს სოუსი, მისოში მარინირებული შავი ვირთევზა, რომელიც ჰობას ფოთოლშია გახვეული, ღუმელში გამომცხვარი ლობსტერი ნივრითა და ჩილის კარაქით. **ღიაა:** ყოველდღე – 12.00-24.00

Istinye Mahallesi, Boyir Çk. Istinye park No:461

**რეკომენდაციური კოქტეილები:** LYCHEE MARTINI, ASIAN COOLER. **რესტორანი** İSTİNYE PARK-ის მდიდრული შოპინგ მოლის ტერიტორიაზე მდებარეობს, სადაც მოსახვედრად ცენტრიდან საუკეთესო შემთხვევაში 30 წუთი მიიწვდება. **ეს ახალგაზრდა და მდიდარი სტამბოლელაბის საყვარელი ადგილია. საცილაბელი წინასწარ დაჯავშნა.**



**IST TOO, Beşiktaş**

სუში ბარი

მიუხედავად იმისა, რომ სასტუმრო Shangri-La მედიდურად გამოიყურება თავისი ოქროსა და მარმარილოს დეტალებით, უამრავი დაცული შესასვლელით, მაინც ღირს ამ ბარიერების გადალახვა ხალხმრავალ Ist Too-ში შესაღწევად.

ხისა და სპილენძის დეტალებით შექმნილი დიზაინის ავტორია ახალგაზრდა ჰონკონგელი დიზაინერი ანდრე ფუ. შესასვლელში სუში-ბარია, შემდეგ – რამდენიმე პრივატული სივრცე, კუთხის რესტორანი და ატრიის დახლი. მენიუში კლასიკური კერძებიცაა.

**ღიაა:** 06.00-23.00

Sinanpasa Mah, Hayrettin Iskelesi Sok, No:1



**TUTI, Taksim**

ადგილობრივი გასტრონომიული ტრადიცია

Marmara Taksim-ის ბოლო სართულიდან, რომელიც სტამბოლის ნებისმიერი წერტილიდან ჩანს, განსაკუთრებული ხედები გადაგეშლებათ. რესტორანი ახალი სტამბოლური კონცეფცია და აქ ყველა ადგილობრივი გასტრონომიული ტრადიცია ერთიანდება: თურქული, ჩერქეზული, სომხური, ქურთული, ანატოლიური და ბალკანური. სემონური ვარიანტები მოიცავს ეგეოსურ მცენარეულ სალათას, ege otları-ს, არტიშოკებით გამოტენილ ტოლმას ან perde pilav-ს – ცხარე ბრინჯს, რომელიც გავარვარებულ ქვაზე ლეღვით, გარგარით, ქიშიშითა და ნუშით მზადდება. კერძებზე მისაყოლებლად რაქისა და ადგილობრივი ღვინოების დიდი არჩევანია.

**ღიაა:** 06.30-22.30

The Marmara Taksim, Gümüşsuyu Mahallesi Tak-ı Zafer Caddesi, No 3, Beyoğlu, Istanbul



**AHESTE, Beyoğlu**

რეგიონული სამზარეულო

მოდურ Pera-ში, ისტორიულ ქუჩაზე მდებარე Aheste, რომლის სახელწოდებაც „ნელს“ ნიშნავს, კვებას სრული სერიოზულობით უდგება. შინაურულად გამომცხვარი პური, ახალთახალი ორგანული ბოსტნეულით, ადგილობრივი სუნელებით, მაგიდებზე მდგარი ველური ყვავილების თაიგულებით ის ბუნებრივ ციკლებსა და სემონებს მიაგებს პატივს.

Aheste Pera-ში შევიძლიათ არ იჩქაროთ: გასინჯეთ არომატული ფლავი ხილის ჩირებით, არტიშოკის სალათა, თხილი და ყველი tulum, ცეცხლზე ხანგრძლივად მომზადებული ბატენის ხორცი და ა. შ. შეფი ირანელი წარმოშობის სტამბოლელი სარა თაბრიზია, რომელიც რეგიონული, თურქული, ბერძნული და სომხური ტრადიციებით

დამზადებულ კერძებს გთავაზობთ. და ყველაზე საინტერესო კერძია დუდი ბრინჯი (Dudi rice), ირანული ზერეშკის კენკრით. ასევე არტიშოკი ერზინჯანის თხის ყველით!

**ღიაა:** ორშაბათი-პარასკევი – 06.30-23.00; შაბათი-კვირა – 09.00-15.00, 18.30-23.00

Asmalı Mescit Mahallesi Meşrutiyet Caddesi no. 107/F



*როგორც ხელთაშუა ზღვის ტრადიციას შეაფარება, სტამბოლელაბი სასადილოდ გვიან გაღია, მანამდე კი რამდენიმე კოქტეილს სვამენ. სადღიო საღამოს ცხრა საათზე და უფრო გვიანაც იწყება ხოლო, რადგან სტამბოლში ყველა „ფაშანაბალურად“ იგვიანებს. სადღიოს შემდეგ კიდეც უფრო მეტ სასმელს მიირთმევენ კლუბებში, რომლებიც დღიამდე ღიაა. ამ ქალაქში შედარებით სიწყნარე მხოლოდ კვირა საღამოსაა, როცა სტამბოლელებს ორშაბათის სევდა შემოუთავთ.*





## KARAKÖY LOKANTASI, Beyoğlu

ანატოლიური სამზარეულო

2000 წელს გახსნილი ეს საოჯახო რესტორანი კარგადაა ცნობილი სტამბოლის ელიტური საზოგადოებისათვის. ის იმითაცაა მიმზიდველი, რომ უმაღლესი ხარისხის თურქულ კერძებს აქ ხელმისაწვდომ ფასად მოგართმევენ და არც დაღვევას დაგიშლით ვინმე.



მენიუ ყოველდღიურად იცვლება, თუმცა ლანჩის დროს ხშირად მეორდება ისეთი საფირმო კერძები, როგორიცაა: hünkâr beğendi – საქონლის ჩაშუშული ხორცი დაკეპილ ბადრიჯანთან ერთად და izgara süt kuzu pırzola – თოთო ბატკნის ქაბაბი. რაც შეეხება ვახშამს, აქ ხორციანი კერძების ფართო არჩევანია, ისევე როგორც თევზეულისა თუ, ზოგადად, ზღვის ნობათის: გამორჩეულად გემრიელი არტიშოკის გულის მწნილი, შემწვარი წიწილა-ტაბაკა ბრინჯის გარნირითა და ხორცში გადაზედილი ბადრიჯანი. ჩარობად შეგიძლიათ თურქული ტკბილეული მოითხოვოთ – მაგალითად, baklava ანდა vişne soslu muhallebi – რძიანი ნამცხვარი, ზედ მოსხმული ალუბლის წვენი. რესტორანში მაგიდა რამდენიმე დღით ადრე უნდა დაჯავშნოთ.

ღიაა: ყოველდღე – 12.00-24.00

Kemankeş Karamustafa Paşa Mh., Kemankeş Cd. 37/A



## MÜRVER, Beyoğlu

ნაკვერჩხალზე მომზადებული კერძები


კოცონზე ხორცის შეწვა არა მარტო ღია ცის ქვეშაა უპრიანი, არამედ სტამბოლის შუაგულში აღმართული 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს ბანზეც. აქაურ სამზარეულოს შეფი ილმამ ოზთურქი (Yılmaz Öztürk)



უძღვება, სწორედ მისი დანერგულია ბევრი იმგვარი სიახლე, რომელთა წყალობითაც ცეცხლის ალზე შემწვარი, შებოლილი თუ ნაკვერჩხალზე მომზადებული არაერთი კერძი დაუვიწყარი გემოთი გამოირჩევა. გირჩევთ, გასინჯოთ შებოლილი ენა ვაშლის მწნილთან ერთად, ასევე, ნაკვერჩხალზე შემწვარი რვაფეხა და მაყალზე შემწვარი კალმარი. მთავარ კერძად თრაკიული ბატკანი ანდა საქონლის დაძველებული ხორცი უნდა მიირთვათ, რასაც გარნირად განსაკუთრებით უხდება ფლავი, ანდა სურნელოვანი ჩირი.

ღიაა: ყოველდღე – 12.00-15.00, 16.00-24.00

Kemankeş Kara Mustafa Paşa Mah  
Kemankeş Cd. 57-59



## YENİ LOCANDA, Beyoğlu

ახლებურად წარმოდგენილი ანატოლია

შეფ-მზარეულ ჩივან ერის (Civan Er) მიზანმიმართული ამოცანაა, ბუნებრივად შეუხამოს ერთმანეთს თანამედროვე გემოვნება და ტრადიციული ანატოლიური კერძების ეგზოტიკურობა. სიახლის დამფასებელი ის სტამბოლელელებიც, რომლებ-

საც ამ რესტორანში ადგილის დაბეჭება მოუხერხდებათ, პირველ რიგში, ალუბლის მურაბამოსხმულ ხორბლის ფაფას უკვეთენ, რასაც მოსდევს ბადრიჯნის რავიოლი მაწვნით და ნივრით შეკვამული კუბატი მუხუდოს გარნირით. ასეთი ახალი, გნებავთ, განახლებული მიდგომით, რესტორანი მთელი სტამბოლის გურმანთათვის მიმზიდველი გახდა. თუმცა საქმე მხოლოდ კერძების დაუვიწყარ გემოში როდია: სრულიად გამაგნებელია აქაური საფირმო კოქტეილები, რომელთა შეზავება აქ მართლაც რომ ხელოვნების დონეზეა აყვანილი.

Tomtom Mahallesi, Kumbaracı Ykş.  
No:66, 34433 Beyoğlu

## ALANCHA, Beşiktaş

თანამედროვე ანატოლიური

Maçka Residence-ში მდებარე რესტორანში შეფ-მზარეული ქემალ დემირასალი (Kemal Demirasal) უგემრიელეს კლასიკურ კერძებს გთავაზობთ ანატოლიური კულინარიიდან. თითოეული რეცეპტი განსაკუთრებულია, იდეალური არომატებითა და უნიკალური პრეზენტაციით – ეს განუმეორებელი სენსორული შთაბეჭდილებაა. ორიგინალური და მრავალფეროვანი ტექსტურები და არომატები აქაურ სადილს დაუვიწყარს ხდის.



ღიაა: ყოველდღე – 18.30-02.00; კვირას დაკეტილი.

Vişnezade Mahallesi, Şht.  
Mehmet Sk. No:9

## ÇORBA EVİ, Karaköy

წვინანები

ეს წვინანების მომცრო სამფლობელო მთელი კვირა, დღეში 24 საათს მუშაობს. ყოველდღიურად ამზადებენ წვინანებს, რომელთა რეცეპტებიც ამინდისა და სეზონის მიხედვით იცვლება. ჩვეულებრივ, 8-10 წვინანს შემოგთავაზებენ. ჩვენ კი რეკომენდაციას შავი კომბოსტოსა და თარჰანას წვინანებს ვუწევთ.

Mumhane Caddesi No.35/A, Karaköy



# Expo Georgia

Since 1958

International Exhibition & Events

## გამოფენების კალენდარი

2018

**23-24 თებერვალი** **IEFG – განათლების საერთაშორისო გამოფენა**

უმალღესი და პროფესიული განათლების, საზღვარგარეთ სწავლისა და სტუდენტური სერვისების მე-8 საერთაშორისო გამოფენა

[www.educationfair.ge](http://www.educationfair.ge)

**12-14 აპრილი** **CTF'18 – CAUCASUS TOURISM FAIR**

მე-20 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა

[www.tourismexpo.ge](http://www.tourismexpo.ge)

**26-29 აპრილი** **CAUCASUS BUILD 2018**

მშენებლობისა და ინტერიერის 23-ე საერთაშორისო გამოფენა

[www.buildexpo.ge](http://www.buildexpo.ge)

**17-20 მაისი** **TAF'18 – TBILISI ART FAIR**

**15-17 ივნისი** **WINEXPO GEORGIA'18**

- ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-11 საერთაშორისო გამოფენა
- ღვინის მე-10 საერთაშორისო კონკურსი

[www.winexpo.ge](http://www.winexpo.ge)







## ANTICA LOCANDA, Beşiktaş

იტალიური სამზარეულო

Antica Locanda უბადო დეკორის მქონე სივრცეა, სადაც საუკეთესო ხარისხის იტალიური კულინარიის დაგემოვნება შეგიძლიათ. Arnavutköy-ს უბანში, რომანტიკულ, ქვით მოპირკეთებულ ქუჩაზე, ბერძნული ტაძრის გვერდით მდებარე ეს რესტორანი სტუმრებს როგორც ატმოსფეროთი, ისე თავისი დელიკატესებითა და სერვისით ხიბლავს. კერძების ჩამონათვალი არც ისე ვრცელია, მაგრამ ყველა მათგანი უნაკლოა. მენიუში, სხვა იტალიური რესტორნებისგან განსხვავებით, იდეალური ბალანსია პასტებს, პიცებსა და მთავარ კერძებს შორის. აუცილებლად მოიკითხეთ დღის კერძი. დღინის მენიუში თურქული და იტალიური მარკები.

*რეკომენდებული კერძები: ახალი ბურბას ყვავილი გამოშვარალი კომიდვრებითა და თეთრი ძრუიფალის ზეთით; კრავატების კოვტილი; შინაურული ტალიატელას კასტა არყით და თომატის კრავ-სოსიანი ორაგული; კარამელიზებული ქათმის შაქარი ჟოლოს სოსით; შაშვარი საჟონის სპი ბრანდით, მხვანა ლედვის ჯავითა და გორგონოლას სოსით.*



**ღია:** სამშაბათი –18.30–23.30; ოთხშაბათი-კვირა – 12.00–14.30, 18.30–23.00; ორშაბათს დაკეტილია.

Arnavutköy Mahallesi, Satış Meydanı Sk. No:12



## NEOLOKAL, Beyoğlu

თანამედროვე ანატოლიური

შეფა მაქსუთ აშქარმა, Maksut Aşkar განიზრახა, სრულიად ახლებურად წარმოეჩინა ანატოლიის თითოეული კუთხის სამზარეულო და მოახერხა კიდევ თანამედროვე, უგემრიელესი კერძებით გაეოცებინა გურმანები. რესტორანი იმავე შენობაშია განთავსებული, სადაც SALT Galata, თუმცა

აქაურობა მთლიანად განახლდა და გადახალისდა მას მერე, რაც აქ „ოტომან ბანკი“ ბინადრობდა. ეცადეთ, მაგიდა ჭერიდან იატაკამდე აზიდულ ფანჯარასთან დაიკავოთ და ვიდრე თანამედროვე თურქული სამზარეულოს მიღწევებს გაეცნობით, თან ქალაქის ძველი უბნის დაუვიწყარი ხედებით ისიამოვნოთ.

**ღია:** სამშაბათი-შაბათი – 19.00–02.00; კვირას და ორშაბათს დაკეტილია.

Arap Cami Mahallesi, Bankalar Cd. No:11



## LUCCA, Bebek

საუკეთესო კოქტეილები

ქუჩის კუთხეში მდებარე ეს ბარი თავშეყრის საყვარელი ადგილია ბებექის უბნის ახალგაზრდებისათვის: მათ აქაურობა ერთგვარ დისკოთეკას დაამსგავსეს, სადაც ხშირად ნაშუალამევის ორ საათამდე გრძელდება ხოლმე ცეკვები (ზოგჯერ მედ მაგიდებზეც კი). მართალია, Lucca ზედმეტად გამოცოცხლებული ბარია, მაგრამ აქ მაინც მუდამ ში-



ნაურული განწყობა სუფევს; სამზარეულოც შუალამედე არ იკეტება და კედლებიც ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრებითაა მოფენილი. **ღია:** ყოველდღე – 10.00–2.00

Bebek Mh. Cevdet Paşa Cd. 51/A



## TOI, Beşiktaş

სავტორო კერძები

თუ ერთხელ ესტუმრებით, მაშინვე მოგინდებათ, რომ აუცილებლად დაბრუნდეთ – შეფ-მზარეულმა ისმეთ სამმა, İsmet Saz გორდონ რამსის სამზარეულოშიც დაამტკიცა თავისი ოსტატობა.

ყველა კერძი საზის რეცეპტებით მზადდება – პური და კარაქიც კი. Toi თვითონ აძველებს ხორცს, ასე რომ, აქაური სტიკი თავიდან ბოლომდე რესტორნის გუნდის დამზადებულია. საზის ფავორიტი Beef Wellington-ია.

რვაფეხას სალათი მსუბუქი და არომატულია, ხოლო ცხელი, შოკოლადის დესერტი სადილის იდეალური დასასრულია.

**ღია:** ორშაბათი-შაბათი – 19.00–02.00; კვირას დაკეტილია.

Kuruçeşme Mahallesi, Kuruçeşme Cd. No:11

## FERAHEZA, Beyoğlu

მომწუსხავი ხედები

საუკეთესო სამზარეულოს გარდა რესტორანი იმითაა გამორჩეული, რომ გალათას კომქსა და სულთანაჰმედის მოედანს გადაყურებს. შეფ-მზარეულ ოზჰან შივეთოღლუს (Ozhan Sivetoğlu) მიერ დამზადებული საფირმო კერძები თანამედროვეცა და ყოველთვის ვითარებას მორგებული – იქნება ეს შემწვარი რვაფეხა, სოკოთი შეკმზული ლობიო, წვრილად დაჭრილი შემწვარი ღვიძლი, კრევეტები თუ ზღვის სხვა რამ ნობათი. ზაფხულობით სახურავზე მდებარე დარბაზის ჭერი იხსნება და სტუმრებს ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ შეუძლიათ ვახშმის მირთმეცა და სასაღის წრუპავც.

**ღია:** ყოველდღე – 18.00–02.00

Kemankeş Karamustafa Paşa Mahallesi, Kemankeş Cd. No:31







## KÜLHANBEYI

Beyoğlu

რესტორნის სარდაფში სქელი ხავერდის ფარდის უკან მიმალული Küllhanbeyi სტამბოლის ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური კოქტეილის ბარია. აქ ნამდვილად იგრძნობა 1920-იანი წლების ატმოსფერო, მათ შორის, დეკორში, ავეჯსა და ჭურჭელში, რომელიც სათუთადაა შერჩეული სტამბოლის ფლიმარკეტებსა და ანტიკვარიატის მაღაზიებში. ბარი იმ ადამიანის სეზონიაა, რომელიც სარკინიგზო „ნახშირის ოთახში“ დანადგართან მუშაობდა – აქედან მარაგებოდა ენერჯით თავის დროზე სტამბოლის პირველი მეტრო. აქაური კოქტეილები საუცხოოა. **ღიაა:** ყოველდღე – 18.00-02.00

Asmalı Mescit, General Yazgan Sokak, No 3B

## EFENDI

Şişli

Teşvikiye-ს მაცხოვრებლების საყვარელი ბარი Efendi შაბათ-კვირას ყოველთვის ხალხითაა სავსე, მისი სტუმრები კოქტეილებით ხელში გარეთაც იყრიან ხოლმე თავს. ინტერიერის დიზაინი ანტიკური თემებისა და რეტროს ნაზავია, მუსიკა კი – ჯაზი, ფანკი ან სოული.

ბარის უკან სახელგანთქმული ბარმენი უგურ თექებაში ერთმანეთში ურევს სხვადასხვა საუცხოო სასმელს და საავტორო კოქტეილებს ამზადებს, რომლებიც კლასიკურია და მცენარეული შტრიხებით გამოირჩევა.

**ღიაა:** ორშაბათი-შაბათი – 16.00-02.00

Hacı Emin Efendi Sokak, No 28/A



## MITTE

Karaköy

დიდ ბრიტანეთსა და ნორვეგიაში მუშაობის გამოცდილების მქონე მიქსოლოგის, თანერ ოზჩანის ბარი თავისი სახასიათო კოქტეილებით გამოირჩევა. აქ სასმელებში მცენარეული და ხილის არომატები ჭარბობს, ბარმენის სამომავლო გეგმებში კი შეზღოლილი და მოლეკულური კოქტეილებით მენიუს კიდევ უფრო გამდიდრება შედის. აქაური კლასიკური კოქტეილი – Negroni თქვენზე წარუმღეველ შთაბეჭდილებას მოახდენს.

**რეკომენდებული კოქტეილები:** Siberian Satsuma, Matruska

**ღიაა:** ორშაბათი-კვირა – 10.00-01.00

Necatibey Caddesi No.66/A, Karaköy



## NEU X COLONIE

Karaköy

Neu X Colonie სტამბოლის ლამის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და განახლების შემდეგ გასტროპაბის სტატუსით სარგებლობს. ეს პოპულარული და ალტერნატიული თავშეყრის ადგილია, მისი მენიუ კი შინაურულ ლუქსა და მიქსოლოგ სევთა ილდირიმის კლასიკურ კოქტეილებს მოიცავს. აქაური კერძები უახლეს ტრენდებს შეესაბამება. ცალკეა გამოყოფილი ბარი და საცეკვაო მოედანი, სადაც ხუთშაბათიდან შაბათის ჩათვლით ადგილობრივი DJ-ები საცეკუბო ღამეებს სთავაზობენ სტუმრებს.

Kemankeş Caddesi No.87/A, Karaköy



## FINN KARAKÖY

Karaköy

იმისათვის, რომ Karaköy-ში თავი დაიმკვიდრო, კლიენტს რაიმე უნიკალური უნდა შესთავაზო, Finn Karaköy კი საკუთარი კოქტეილებითა და წასახემსებლებით ამ პირობას იდეალურად აკმაყოფილებს.

მიქსოლოგის და ბარის ერთ-ერთი მეპატრონის, ონურსან გენცერის შემოქმედება მენიუში 14 კოქტეილითაა წარმოდგენილი, რომელთა უმეტესობაში ტეკილა ფიგურირებს.

**რეკომენდებული**

**კოქტეილები:**

Sour queen, Dream quest

**ღიაა:** ორშაბათი-კვირა – 11.00-02.00

Arapođlan Sokak No.8/B



## ALEXANDRA

Bebek

სტამბოლში ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბარის, Alexandra-ს მყუდრო ინტერიერში ხის ელემენტები ჭარბობს. მენიუ მოკლე და ლაკონურია – ცხრა სახასიათო კოქტეილის ჩამონათვალით, რომელშიც შედის Amor Duro. ამ უკანასკნელმა მოუტანა გამარჯვება ბარმენ ბაისანს Tahona Society-ს კოქტეილების კონკურსში.

Alexandra ქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო კოქტეილ-ბარის სახელის მოხვეჭას ცდილობს და ამ სტატუსისკენ დამაჯერებლად მიისწრაფვის.

**ღიაა:** ყოველდღე – 09.00-01.00

Bebek Arnavutköy Caddesi No. 50



## ANY

Bebek

Arnavutköy-ს საუკეთესო ბისტრო ღამით საუკეთესო ბარად გადაიქცევა ხოლმე და სასმელების შესაკვეთად მისული ხალხის ნაკადი არა და არ წყდება. როცა ბარის ზემოთ მდებარე ულამაზეს ოსმალური სტილის სახლს შენიშნავთ, მიხვდებით, რომ ANY-ში ხართ.

ლუდის ფართო არჩევანი და შინაურული კოქტეილები ძალიან პოპულარულია; რაც მთავარია, აქაური DJ-ების ცოცხალი მუსიკა სასმლის ხარისხს არ ჩამოუვარდება.

**ღიაა:** ორშაბათი-პარასკევი – 09.00-02.00

Bebek Caddesi No.71/A



## LUZIA

Bebek

ბერლინური ბარის, Luzia-ს თურქული ფილიალი გამორჩეულია შესასვლელში მდგარი სკულპტურით – უზარმაზარი მარმარილოს ლომით. ორიგინალური იატაკი, რეტრო სტილის მოდური ავეჯი, ძველი პიანინო მეორე სართულზე აშკარად მიგვანიშნებს ბარის ბერლინურ წარმომავლობაზე.

კაფე დღისითაც ღიაა, ღამით კი ზედა სართულზე მდებარე ბარი შესანიშნავი ადგილია იდეალურად მომზადებული კოქტეილების დასაგემოვნებლად.

**ღიაა:** ყოველდღე – 08.00-02.00

Arnavutköy Bebek Caddesi No.64



## KALE, Rumeli Hisari

„ქალე“ კლასიკური სტამბოლური სასაუზმეა, მისი ინტერიერის დიზაინი ნამდვილად არაა შთამბეჭდავი, მაგრამ თავად საუზმე და ბოსფორის ხედი ერთ-ერთი საუკეთესოა. თუ გინდათ, ნამდვილი თურქული საუზმე მიირთვათ, სწორედ აქ უნდა მიხვიდეთ.

შეუკვეთეთ Serpme Kahvalt, რომელშიც შედის შემწვარი ჰალოუმის ყველი, პომიდვრის სალათა, ზეთისხილი, ყველის ნაირსახეობები, შედედებული ნაღები და თაფლი, თურქული ძეხვი, სუჯუკით შესუნელებული შემწვარი კვერცი; შეგიძლიათ დამატებით შეუკვეთოთ მენემენი. **ღიაა:** 05.00-21.00

Yahya Kemal Caddesi 10



**ბრადიციულ საკვირაო საუზმეს ოჯახისა და მეგობრების ზრახვი შეეძლება. სტამბოლში ბოსფორთან მდებარე რასტორნების უმეტესობა დილის ათ საათზე უკვე სასვსა, მანსაკურთებით მზიან აჟინდში. საკვირაო საუზმის ჯამად უამრავი სტამბოლელი, მანსაკურთებით აზიურ ნაწილში მცხოვრები, ზღვის ნაკირას სეირნობს.**

## KIVA, Galata

ანატოლიური სამზარეულოს რესტორანი ზუსტად გალათას კოშკის ჩრდილქვეშა შეყუჟული და საუკეთესო ადგილად ითვლება დილაადრიან სტუმრობისათვის. საფირმო საუზმე აქ უგემრიელესია, თუმცა განსაკუთრებით გირჩევთ აქაურ მენემენს. **ღიაა:** 09.00-23.30

Galata Kulesi Meydanı No:4



**2 კარსონაზა ბრადიციული თურქული საუზმა დაახლოებით 60 TRY ღირსდება.**

## SAVOY PASTANESI

Cihangir

ზოგიერთი ადგილი თავისთავად იქცევა უზნის ღირსშესანიშნაობად: 1950 წელს გახსნილი Savoy Pastanesi ერთ-ერთი მათგანია. ორსართულიანი მაღაზია დროთა განმავლობაში შეიცვალა, თუმცა ყველაფერი, რაც მზადდება, ახალთახალია. აქაური სასუსნავით გემოვნების რეცეპტორებს ბედნიერებას მიანიჭებთ, მაგალითად, Savoy-ს სახელგანთქმული საუზმით, რომელიც Cihangir-ის გურმანებს იზიდავს.

ყველით, ჯემით, თაფლითა და კაიმალით, პომიდვრითა და კიტრით, ზეთისხილითა და არომატული პურით შეკრული საუზმე განუმეორებელია. **ღიაა:** 07.00-23.00

Sıraselviiler Caddesi no. 91A

## MANGERIE, Besiktas

კერძო ხის სახლებითა და ბოსფორის სრუტისკენ გამავალი პარკით ცნობილი ბებექი (რაც თურქულად „ბავშვს“ ნიშნავს) სტამბოლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალისმომჭრელი და მდიდრული უბანია, ხოლო იქ მდებარე Mangerie – ამ უზნის ყველაზე გემოვნებიან მცხოვრებთა საყვარელი ადგილი, სადაც ისინი დილის გარბენის შემდეგ წასაუზმებლად ამჯობინებენ. ნუ შეგაშინებთ დამრეცი კიბის მრავალსაფეხურიანობა და ადით სახურავზე, სადაც საუკეთესო მასპინძლობას გაგიწევენ. ერთი საიმოვნებაა ღია აივანზე საუზმობის შემდეგ ყავის მშვიდად მოწრუპვა, როცა სრუტეში ცისკიდურზე ჩარიგებული ვეება ტანკერების მუქი სილუეტები იკვეთება.

**ღიაა:** 08.00-12.30

Cevdet Paşa Caddesi 69

თურქეთში საუზმე განსაკუთრებული ფენომენია. ეს არა მხოლოდ ოჯახური რიტუალი, არამედ კვების მწყობრი სისტემის განუყოფელი ნაწილია. თურქულ საუზმეში შედის შემწვარი კვერცი და ძეხვი (სუჯუკი და ბასტურმა), ყველისა და ზეთისხილის ნაირსახეობები, კიტრისა და პომიდვრის სალათა, სემამის მარცვლებიანი სიმითი და თხელი ლავაში.

კვერცი შესაძლოა იყოს მომზადებული: მაგრად მოხარშული, პატარა ტაფაზე – საჰანზე შემწვარი, ან ეგრეთ წოდებული მენემენი. მენემენი ხახვთან, მწვანე და წითელ წიწაკასთან ერთად პომიდორში ჩაშუშული ერბოკვერცხია. პოპულარული დილის კერძია მიჰლამა, რომელსაც ზოგიერთ რეგიონში ქაიმაქს ეძახიან. ეს ტაფაზე შემწვარი, სიმინდის ფქვილით შეზავებული რამდენიმე სახეობის ყველია.

საუზმეზე ძეხვეულიდან ყველაზე ხშირად მიირთმევენ sucuk-ს, რომელიც მოჭარო გემოს სალიამის ჰავს და, აგრეთვე, pastirma-ს – სხვადასხვა სანელებელში ამოვლებული საქონლის ხორცის ლორს. დილას თურქეთში ახლად დაყენებულ ჩაის ანიჭებენ უპირატესობას.



პროფიტეროლს მრავალ ქვეყანაში შეხვდებით, მაგრამ განსაკუთრებულად გემრიელი თურქეთშია. შუს მსგავსი ჰაეროვანი, თხელი ცომის ნამცხვარი კრემითაა სავსე. თურქულ ვერსიას უხვად მოსხმული შოკოლადი და ზემოდან მოყვრილი თხილი გამოარჩევს. საუკეთესო პროფიტეროლი Saray Muhallebicisi 1935-ში უნდა მიირთვათ.

Istiklal Cd. No: 173 Beyoglu

## KARAKÖY GÜLLÜĞÜ

ფახლავა

კაფე 1949 წლიდან სტამბოლში საუკეთესო ფახლავას ყიდის. მაღაზიის დეკორაცია აუცილებლად შეგახსენებთ, რომ დაჭრილი თხილით გამოტენილი და არომატული სიროფში ამოვლებული ეს უგემრიელესი ნამცხვარი მე-17 საუკუნეში შეიქმნა თოფქაფის სასახლის სამზარეულოში. ყოველდღიურად Karaköy Güllüğü-ში 70 000 ფახლავა მზადდება შესაშური ოსტატობითა და სიტკობებით. **ღიაა:** 07.00-23.00; კვირას – 8.00-23.30

Rıhtım Caddesi, Katlı Otopark Altı, 3-4, Karaköy

## KOSKA HELVACISI

შალვა, კანფეტები

ეს თურქული ტკბილეული მშრალი, ფხვიერი, ტაჰინისაგან დამზადებული ნუგარია. თურქებს მისი მიერთმევა დესერტად სადილის შემდეგ უყვართ, განსაკუთრებით თევზიანი კერძის მერე, ან საუზმისას პურზე თხელ ფენად უსვამენ. Koska მშენებელი ადგილია pekmez-ის (ხილის ბადეცი), რაჰათ ლუქუმის და finikli cerezeye-ს (სტავილოლს ჟელე თხილითა და ქოქოსით) ფართო არჩევანის დასაგემოვნებლად. **ღიაა:** 08.30-22.00

Yeniçeriler Caddesi no. 55/A, Beyazıt





**ყავა**

თურქული ყავაცა და მისი მომზადების წესიც ფართოდაა ცნობილი და მას რომცრო ჭიქებით, მცირე რაოდენობით მიირთმევენ, მიღებული კოფეინისა და კალორიების შედარებით სიმცირის გამო, შეგიძლიათ დღეში რამდენჯერმე ისაიმოვნოთ.

მოხალულ და წმინდად დაფქულ ყავას წყალსა და სასურველი რაოდენობის შაქარს ურევენ და ნელა ადუღებენ იდეალურ კონდიციამდე ე. წ. ჯეზეში (cezve) და მერე ჭიქაში ასხამენ, სადაც დალექვა უნდა აცალოთ. ყოველი ფინჯანი ყავა ინდივიდუალურად მზადდება. თურქული ყავის ერთი განმასხვავებელი ნიშანიც ისაა, რომ ნაღვეს ყოველთვის ტოვებ – ის მხოლოდ მკითხაობისთვისაა განკუთვნილი. კარგად მომზადებულ თურქულ ყავას ზედაპირზე სქელი ქაფი აქვს.

ყავას სადილის შემდეგ მიირთმევენ, ან ჩაის შესვენების დროს და ჩაისანებში. თურქულ ყავას პატარა ფინჯნებით სვამენ. ზოგჯერ მას ჭიქა წყალს ან რაიმე ნუგბარსაც ატანენ ხოლმე.

*ნამდვილი თურქული ყავა CEZVE-ში დულდება და შახიძლიათ შუაჯვით შავი – SADE, ოდნავ ტაბილი – AZ ŞEKERLI, ტაბილი – ORTA ŞEKERLI ან ძალიან ტაბილი – ŞEKERLI.*

**Kurukahveci Mehmet Efendi**

ყავის მოყვარულებს ძალიან მოეწონებათ Kurukahveci Mehmet Efendi, რომელიც სუნელების ბაზრობასთან მდებარეობს და 1871 წლიდან ხარშავს ყავას.

ღიაა: 07.00–19.00

Tahmis Sokak no. 66  
Eminönü

**Kronotrop Coffee Bar & Roastery**

აქ ყავას სრულიად ახალი მოყვანილობის მქონე ყავადნებში ადუღებენ და განსხვავებულჩვეულებრივსა და აქაურ ყავას შორის იმწამსვე იგრძნობთ.

KuloğluMh. Firuzada Cami  
Sk. No:4, 34433 Cihangir

**Mandabatmaz**

ეს სტამბოლის ერთ-ერთი ყველაზე ავთენტიკური ყავის სახლია. Mandabatmaz-ში ყავის მარცვლებს თავად ხალავენ და თითოეულ ფინჯან შავ, მაგარ ყავას შესანიშნავი და განუმეორებელი არომატი აქვს. აქ ჩაისაც შემოგთავაზებენ და მას უზარმაზარი სამოვრიდან ჩამოვიხსამენ.

Istiklal Caddesi Olivya  
Geçidi No.1/A İstiklal



**SALEP**

ტკბილი სალექი უძველესი თურქული სასმელია, განსაკუთრებით სასიამოვნო ზამთრის სიცივეში.



ის, ძირითადად, ორქიდეის დანაყილი ფესვებისაგან მზადდება, რომელსაც რძე და დარიჩინი ემატება.

**Şıra**

შირა ყურძნის ან ვაშლის წვენიდან მზადდება და, დიდი რაოდენობით ფრუქტოზის წყალობით, უტკბილესი სასმელია.



**BOZA**

ბოზა მზადდება დუღილის მეთოდით ხორბლის, სიმინდის ან ფეტვისგან, ჩვეულებრივ, შეიცავს 1% ალკოჰოლს და მომუავო ტკბილი არომატი აქვს. ზოგჯერ დარიჩინსა და შაქარს უმატებენ და ამიტომ მოყვითალო ფერი დაჰრავს. მას, ძირითადად, ზამთარში სვამენ.

**ŞALGAM**

შალგამი შავი თაღამისა და მეწამული ფერის ერთგვარი სტაფილოსგან მზადდება; მას დიდი ჭიქებით მიირთმევენ, რომლებშიც სწორედ ამგვარი სტაფილოს დამწნილებული ნაჭრები ყრია ხოლმე და განსაკუთრებით სასიამოვნო დასალექია ქაბაბთან ერთად. ზოგი მას არაყს ატანს ალკოჰოლის გემოს შესარბილებლად.



**AYRAN**

აირანი ცინცხალი იოგურტის, წყლისა და მარილის ერთგვარი ნაზავია და საუკეთესო სოუსია შემწვარ ხორცზე მისატანებლად. საუკეთესო აირანს შუმურლუქის (Şu-surluk) მხარეში ამზადებენ და ისე ამაყობენ ამით, რომ სექტემბერში შუმსუნა აირანის დღესასწაულსაც კი აწყობენ. ეს სასმელი მხოლოდ კარგად ჩაცივებულ უნდა მიირთვათ!

**LIMONATA**

მას მსუყე ყვითელი ფერი დაჰრავს და განსაკუთრებული სურნელითა და საამო გემოთი გამოირჩევა. ამ სასმლის მოსამზადებლად ლიმონს ჯერ კანს აცლიან, შემდეგ ჭყლეტენ, ატკობენ და ბოლოს წვენს აცივებენ.



**SERBET**

შარბათი ცივი სასმელია, ტკბილია, ხილის სურნელი დაჰრავს, მათ შორის, ლიმონის, ვარდისა და ბროწეულისა.



**VOYAGER კომპანია**

**ჩრის ბაკათება არ შიძლება თურქეთში:**

- უარის თქმა შემოთავაზებულ ჩაიზე, ყავაზე ან მათთან მისაყოლებელ დესერტზე. უარს უზრდელობაში ჩამოგართმევენ;
- ალკოჰოლის დალევა დღისით, ტერასაზე, რამაზანის თვეში. ეს აკრძალული არაა (სხვა ბევრი მუსლიმური ქვეყნისგან განსხვავებით), მაგრამ ადგილობრივი კულტურის უპატივცემულობის ნიშანია;
- რაქის სასმისის თქვენს კომპანიონზე მალლა დაჭერა ჭიქების მიჭახუნებისას. ეს თავხედობად მიიჩნევა.



## BALIK PAZARI

ტრადიციული თევზის ბაზარი

Beşiktaş-ის შუაგულში მდებარე ეს თევზის ბაზარი გამორჩეულად პოპულარულია, ყოველთვის ხალხმრავალია და ერთგვარი პროტექტია სუპერმარკეტების ქსელების წინააღმდეგ. ბაზრის თანდათანობით ზრდასთან ერთად არქიტექტორებმა GAD & Gökhan Avcıoğlu-დან აქ სადა ბეტონისა და რკინის კონსტრუქცია ააგეს, რომლის ქვეშ მეთევზეების დახლებია. Balık Pazarı თან შთამბეჭდავია, თან ელევანტური. კონსტრუქცია ბაზრის სიმბოლოა – ის ყველასთვის ღიაა, წარმოშობის მიუხედავად.

Sinanpaşa Mahallesi, Mumcu Bakkal Sokak, Beşiktaş



## TUNÇ BALIKÇILIK

თევზგული

lakerda ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეზუა. თხლად დაჭრილი თევზი ბონიტო, რომელიც ზღვის წყალშია დაკონსერვებული, ადგილობრივი კულინარიული კულტურის ნაწილია ბერძნებისა და ოსმალეთის დროიდან. Tunç Balıkçılık-ის მეპატრონის აზრით, საუკეთესო ლაკერდა უფრო დიდი ზომის ბონიტოსგან მზადდება. Tunç-ი კი იმ კაცის სახელია, რომელმაც 1959 წელს გახსნა ეს მაღაზია, თავისი საიდუმლო რეცეპტი შვილიშვილს გადასცა და სწორედ ამიტომ, რომ ათეულობით წელია გურმანები Tunç Balıkçılık-ში დადიან. **ღიაა:** 08.00-19.30; კვირას დაკეტილია.

Dudu Odaları Sokak 10

## KÜRŞAT

არტიზანული პროდუქცია

კურსატების ოჯახი წარმოშობით კრეტიდანაა, სადაც საუკეთესო ზეთუნის ზეთს ამზადებდნენ. სახელგანთქმული შავი, მწვანე და ვარდისფერი ზეთისხილი პირდაპირ მათი ნაკვეთებიდან ჩნდება მაღაზიის დახლებზე.

**ღიაა:** 10.00-20.00; კვირას დაკეტილია.

Şakayık Sokağı no. 75/B



## ANTRE GOURMET SHOP

ადგილობრივი ყველი

ყველის მოყვარულთათვის ეს ნამდვილი სამოთხე ორმოცი სახეობის თურქული ყველს გთავაზობთ. პატარა თაროებზე ზეთისხილს, ზეთუნის ზეთს, შინაურულ ჯემებს და სხვა ადგილობრივ პროდუქტებსაც იხილავთ.

**ღიაა:** 09.00-21.00; კვირას – 20.00-მდე

Akarsu Yokuşu no. 40

## LA CAVE

ჩინებული ალკოჰოლური სასმელები

ეს უზარმაზარი მარანი საგულდაგულოდ შერჩეული ისეთი ღვინოებისა და ალკოჰოლური სასმელების სახლია, როგორსაც სხვა მაღაზიებში ძნელად თუ მიაგნებთ. აქ ყველაფერია – მაღალი ხარისხის მაგარი სასმელები, ღვინოები და შამპანურები. La Cave-ში შეგიძლიათ აღმოაჩინოთ თურქული Kavaklıdere ან Paşaeli, ვისკი Johnny Walker Black Label, შამპანური Cristal 1999 ან Gran Patron Burdeos Tequila.

**ღიაა:** 10.00-21.00; კვირას – 13.00-19.00

Siraselviler Caddesi no. 109, Cihangir;



## SUVLA-KILYE

ღვინო, ზეთი, კონსერვები

Suvla-Kilye დელიკატესებისა და თურქული ღვინოების მოულოდნელობებით აღსავსე კომბინაციებს გთავაზობთ. აქ პროდუქტები მინისა და თუნუქის კონსერვის ქილებში იყიდება, მათთან ერთად კი – თურქული საუზმის კომპონენტები, მაგალითად, მწვანე ზეთისხილის პასტა, ცხელი წიწაკის საწებელა acuca, ზეთუნის ზეთები სხვადასხვა რეგიონიდან და ზეთისხილის ჯემიც კი.

**ღიაა:** 10.30-20.00; კვირას – 12.00-18.00

Lenger Sokak 2, Cihangir

## ASRI TURŞUCU

Turşu სეზონური ბოსტნეულის მჟავე სახით მომზადების მეთოდია. Asri Turşucu 1913 წელს დაწყებული ოჯახური ბიზნესია და აქ ყველანაირ მწინილულს იხილავთ – კიტრის, კომბოსტოს, პომიდვრის, ბადრიჯნის და პარკოსანი მცენარეებისასაც კი. ყოველი მათგანის დამზადებისას ლიმონის წვენი გამოიყენება. აქ შეიძლება turşu suyu ანუ მწნილის წვენიც შემოგთავაზონ, ასევე, ბროწეულის ბადაგი და მწვანე ქლიავის მწნილი.

**ღიაა:** 08.30-20.30; კვირას – 12.00-19.00 (დაკეტილია ივლისსა და აგვისტოში).

Kuloğlu Mahallesiö Ağa Hamamı Caddesi 9



## MISIR ÇARŞISI

სანელებლების ეგვიპტურ ბაზრობაზე სულთანჰამედში 1660 წლიდან იყიდება სამკურნალო ბალახები, სუნელ-საკმაზები. მთავარ პავილიონში უგემრიელეს ტკბილეულსა და ათასგვარ ნუგბარსაც შეიძენთ. ლითონის გუმბათოვანი ბაზრის ჩრდილოეთის ფრთაში მდებარეობს ლეგენდარული რესტორანი



Pandeli, სადაც ოდესღაც მუსტაფა ქემალ ათათურქი, ლევ ტროცკი, აგათა კრისტი სადილობდნენ. **ღიაა:** ყოველდღე – 08.00-19.00

Rüstem Paşa Mahallesi, Erzak Ambarı Sok. No:92, 34116 Fatih





## KAPALIÇARŞI

მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი, უძველესი და სახელგანთქმული დიდი ბაზრის, ქაფალი ჩარსი (იგივე Grand Bazaar) 61 ქუჩაზე 4000 სავაჭრო მდებარეობს. ყოველდღიურად მას ნახევარი მილიონი ადამიანი სტუმრობს. ბაზრობა, ჩვეულებრივ, საქონლის მიხედვით, რამდენიმე ნაწილად იყოფა. ძირითადად, ასეთი განყოფილება ექვსია. საიუველირო ნაწარმი იყიდება Kalpakçılar Caddesi-ში, ოქრო – Kuyumcular Carsisi-ში, ავეჯი – Divrikli Caddesi-ში, ხალიჩები – Sahafilar Caddesi-ში, ტყავული – Perdahçılar Caddesi-ში, ტყავის აქსესუარები და ტანსაცმელი – Bit Pazarı-ში.

ორი დახურული ბედესტანის მშენებლობა 1453 წელს, სულთან მეჰმედის ბრძანებით დაწყებულია. ოსმანთა ეპოქაში აქ საქონელი მთელი მსოფლიოდან იყიდებოდა, იდებოდა ფინანსური გარიგებები, მუშაობდა ბანკები და ბირჟა; 1545 წელს, სულეიმანის ბრძანებით, მოშორებით აშენებულ ახალ ბედესტანსა (Sandal Bedesten) და ძველს შორის ნელ-ნელა ამოიზარდა სავაჭრო ქუჩები, სადაც XIX საუკუნეში მონებით ვაჭრობის ცენტრი იყო. 1890 წელს „გრანდ ბაზარში“ ითვლებოდა 4399 დახლი, 2 ბედესტანი, 2195 ოთახი, ჰამამი, მეჩეთი, 10 მედრესე, 19 შადრევანი და მავზოლეუმიც კი. კომპლექსი 30 ჰექტარს მოიცავდა.

**ღია:** ყოველდღე, გარდა კვირისა – 09.00-19.00; დღესასწაულებზე დაკეტილია.

Beyazit Mh., 34126 Fatih



### VOYAGER კომენტარი

თურქეთში ბაზრებში შევატრება მიღებულია, სშირად აუცილებელიც, გამყიდველი რომ არ გაანაწყენოთ. თუ კომუნიკაბელურობასა და კეთილგანწყობას გამოიჩინოთ, ფასდაკლება გარანტირებული გაქვთ. გამყიდველი წაგებულნი არასდროს რჩება, თუნდაც სამჯერ დააკლოს თანხას. ასე რომ, თამამად ივაჭრეთ. დააკვირდით, სად ყიდულობენ ადგილობრივები და თქვენც იმ დასლებთან შეიძინეთ სასურველი ნაწარმი.



### ZEYNEP EROL JEWELRY

სტამბოლში დამზადებული სამკაული უძველესი დროიდანაა სახელგანთქმული. ამ ქალაქში იუველიერების მთელი თაობებია წარმოდგენილი, რომელთა ნაკეთობებითაც მთელ მსოფლიოში იწონებენ თავს სამეფო ოჯახების წევრები თუ ცნობილი კინოვარსკვლავები. სტამბოლელი ზეინაპ ეროლი ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული და სახელგანთქმული იუველიერია.

**ღია:** 10.00-18.30

Teşvikiye Mh. Atiye Sok. Yuva Apt. No:8/3  
K:1, 34365 Şişli

### KAFKAS

1950 წელს დაარსებული ფირმა Kafkas-ი დღემდე ოჯახურ ბიზნესად რჩება. კომპანიას სტამბოლში 5 მაღაზია აქვს, მათ შორის, „ისტინია პარკის“ მოლოში. „კავკასის“ ნაკეთობების უმეტესობა, ძირითადად, ბრილიანტებითა და იშვიათი ყვითელი ბრილიანტებითაა შექმნილი. მათი ნამუშევრები ოსმალური ოქრომჭედლობის ტრადიციის გაგრძელებაა.

İSTİNYE PARK; VIP Kat: 1 No: 35  
Sarıyer



### ANGEL GOLD

„გრანდ ბაზარში“ მდებარეობს Angel gold jewellery, რომლის მონახულებაც ნამდვილად ღირს, თუ სამკაულები გიყვართ. პატარა მაღაზია სავსეა ულამაზესი ნაკეთობებით, სამაჯურებით, ბეჭდებითა და საყურეებით. სპეციალური დაძველების მეთოდით დამზადებული ძვირფასეულობა ყოველ ნივთს ვინტაჟურ ხიბლს სძენს, რაც სამკაულების დელიკატურ დიზაინს კიდევ უფრო ეფექტურს ხდის.

Beyazit Mh., Kılıççılar Sok. Çuhacı Han  
No:36, 34126 Fatih





## ISTINYE PARK

სავაჭრო ცენტრის 270 000 კვ. მეტრ ფართობზე 300 მაღაზიაა. აქ საუკეთესო შოპინგის გარდა შეგიძლიათ გაერთოთ, დაისვენოთ და დანაყრდეთ კიდევ: 12 კინოთეატრი, სტამბოლის საუცხოო რესტორნები, საუკეთესო კაფეები – ეს ყველაფერი ერთ სივრცეშია გაერთიანებული.

აქ იმდენი ცნობილი ბრენდია წარმოდგენილი, Chanel-ით და Dior-ით დაწყებული, H&M-ით და Benetton-ით დასრულებული, რომ მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. უბრალოდ იცოდეთ, რომ თუკი შოპინგი გადაწყვიტეთ, İstinyepark-ში აუცილებლად უნდა წახვიდეთ.

ცენტრიდან დაახლოებით 30 წუთშია, თუ დიდი საცობი არ არის.

Pınar Mahallesi, Katar Cd No:73  
34460 Sarıyer

## BEYMEN

Beymen-ი მომხმარებელს მხოლოდ მოდის სამყაროს საუკეთესო ნაწარმს სთავაზობს.

700-ზე მეტ ბრენდს შორისაა Dior, Saint Laurent, Valentino, Celine, Stella McCartney, Dolce & Gabbana, Etro, Balenciaga, Dsquared2, Bottega Veneta და Chloé, რომლებსაც Beymen-ი თურქეთში ექსკლუზიურად წარმოადგენს. მაღაზიათა ქსელში Beymen-ის საკუთარი ბრენდებია Beymen Collection, Academia, Beymen Home, Beymen Kids.

აქ სახლის აქსესუარებისა და საიუველირო ნაწარმის გარდა უმაღლესი ხარისხის კოსმეტიკაცაა – ყველაფერი, რაც ფუფუნებისთვის არის საჭირო.



Beymen-ი საუკეთესო საშოპინგო გამოცდილებასაც სთავაზობს მომხმარებლებს: ინგლისურად შესანიშნავად მოსაუბრე თანამშრომლები, საყიდლების შერჩევის პროცესში დამხმარე პერსონალი მაღაზიაშიც მოგემსახურებათ და, სურვილისამებრ, თქვენს სასტუმროშიც; ბრენდის სხვა სერვისებია: VIP მომსახურება VIP ოთახებში, ნაყიდი ნივთების იმავე დღეს გადაცვლა, სპეციალური ფასდაკლების ბარათები.

Beymen İstinyePark  
İstinyepark AVM İstinye  
Bayırı Cad. No:73 – İstinye

Beymen Nişantaşı  
Abdi İpekçi Caddesi No:23/1 – Nişantaş

Beymen Zorlu Center  
Zorlu Alışveriş Merkezi – Zincirlikuyu

## ZORLU CENTER

ავანგარდული დიზაინი, უამრავი კაფე, ბარი და ტერასიანი რესტორანი მსოფლიო ბრენდების უდიდეს არჩევანთან ერთად ზორლუს სტამბოლის სავაჭრო რუკაზე მთავარ ადგილად აქცევს.

ცენტრის კონცეფცია მოიცავს ბიზნეს-ცენტრს, საცხოვრებელ რაიონს ცათამბეჭენიდან ბოსფორის და ძველი სტამბოლის ფანტასტიკური ხედვით, აგრეთვე, სუპერკომფორტულ ხუთვარსკვლავიან სასტუმრო Raffles-ს.

ზორლუში ძალიან საინტერესო თანამედროვე ხელოვნების გალერეაცაა, უნიკალური აკუსტიკით. აქ მსოფლიო დონის ორკესტრები უკრავენ და არაერთხელ გამართულა ბროდვეიდან ჩამოტანილი მუსიკალური წარმოდგენა.

კომპლექსის ცენტრში Apple-ის ფანებისათვის დიდი შუშის კუბია აღმართული და „ვაშლის მოყვარულთათვის“ ყველაზე საინტერესო, ფაქტობრივად, სალოცავ ადგილს წარმოადგენს.

ზორლუ ისე არ დატოვოთ, რომ არ შეიაროთ ცნობილ იტალიურ ბაზარში EATALY, სადაც უამრავი დასახელების იტალიური პროდუქტის შექენა, ნამდვილი იტალიური პასტის მირთმევა და საუკეთესო იტალიური ყავის დაღევა შეგიძლიათ.

Zorlu Center-ში 250-ზე მეტი მაღაზიაა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი, რომლის გამოც აქ შოპინგზე მოდიან, ორ სართულზე განლაგებული მაღაზია Beymen-ია, სადაც იპოვით ისეთ ლუქსბრენდებს, როგორცაა: Balmain, Dsquared2, Dior, Rick Owens, Dries Van Notten, Lanvin, Alexander Wang, Neil Barret, Valentino, Burberry, Dolce & Gabbana, Louis Vuitton, Prada, Saint Laurent, Miu Miu, Bvlgari, Moncler, Emilio Pucci, Brooks & Brothers, Lanvin, Stella McCartney, Tory Burch, Fendi, Michael Kors, Calvin Klein, Roberto Cavalli, Fendi, Max&Co., Sevan Bıçakçı, Sponza, Tiffany& Co., Urart; All Saints The Kooples.

აქვეა Cos, H&M, Zara, Beymen Club, GAP, Gant, İpekyl, Lacoste, Superdry, Network, Koton, Pinko. **ღიაა:** ყოველდღე – 10.00-22.00

Zorlu Alışveriş Merkezi – Zincirlikuyu



## ANAYI 313

გარაუბესა და სახელოვნობის შორის მდებარე ეს კონცეპტმაღაზია სადილებსაც გთავაზობთ და შოპინგსაც კურატორის დახმარებით. ის პოსტ-ინდუსტრიულ გარემოში, ცენტრალური გზებისგან მოშორებითაა. ამ სივრცეში პატარა რესტორანი და მაღაზიაა, სადაც Enis Karavil-ის ავეჯი, თანამედროვე ნივთები, მაღალი კლასის აქსესუარები, ხელით დამზადებული ტყავის ჩანთები იყიდება. ტერასიან რესტორანში უგემრიელეს ლანჩს მიირთმევენ – მენიუში სალათები, ცომეული, მსუბუქი კერძები და დესერტებია, მათ შორის, შოკოლადისა და კარამელის ტარტი ზღვის მარილით.

Maslak Mahallesi, 10. Sk. Atatürk Oto Sanayi Bölgesi No: 313







**VAKKO**

თურქეთის პირველი ლუქსურენდი ვიტალი ჰაკომ 1934 წელს შექმნა. ქუდების მაღაზია ცოტა ხანში სახელი შეიცვალა, „ვაკო“ დაირქვა და დღემდე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული ადგილობრივი ბრენდია. მისი პირველი მაღაზია 1962 წელს



გაიხსნა და ამჟამად უკვე რამდენიმე ფილიალი აქვს ქალაქში. „ვაკოს“ სახელი დაკავშირებულია ხარისხიან და ძვირადღირებულ პროდუქციასთან.

მისი „მოდის სახლი“ ქუდების გარდა ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ჩანთებს, მარფებს და აქსესუარებს გვთავაზობს, ხოლო მისივე ატელიეში ცნობილი ვარსკვლავების კაბების ანალოგები შეგიძლიათ შეუკვეთოთ. Vakko თავის ექსკლუზიურ შოკოლადსაც უშვებს.

**ღიაა:** ყოველდღე – 10.00-22.00

Zorlu Center, Levazım Mahallesi, Koru Sokađı No:2, 34340 Beşiktaş

**VAKKO WEDDING**

მსოფლიოში სახელგანთქმული მოდის ბრენდების საქორწინო კაბების ერთობლიობა ამ მაღაზიაში საოცარ ატმოსფეროს ქმნის. Vakko Wedding-ში ისეთი ბრენდების კაბებს ნახავთ, როგორცაა: Oscar De La Renta, Vera Wang, Emanuel Ungaro, Elie Saab და სხვა.

Vakko Wedding-ის დიზაინერები სპეციალური შეკვეთით ექსკლუზიურ კაბებს არა მარტო პატარძლის, არამედ მისი მეგობრებისა და ოჯახის წევრებისათვისაც კერავენ. **ღიაა:** 10.00 – 22.00

Bağdat Cad. No:438/a Kadıköy/suadiye 34740 Kadıköy

**NAKKAS ORIENTAL RUGS & TEXTILES**

რაც ამ ბრენდს სხვა ტექსტილსა და ხალიჩით მოვაჭრეთაგან განასხვავებს, ფართო არჩევანია.



აქ ნახავთ უძვირფასეს აბრეშუმს, ინტერიერის ნივთებს და ანტიკურ ხალიჩებს როგორც ცენტრალური ამიიდან და ანატოლიიდან, ისე სპარსეთიდან. **ღიაა:** 09.00-21.00

Sultan Ahmet Mahallesi, Nakilbent Sok. No:13, 34122 Fatih

**HIC**

Hic თარგმანში „არაფერს“ ნიშნავს, არადა, იმხელა არჩევანს, როგორცაა ეს ბრენდი გვთავაზობს, პოპულარულ Ikea-შიც კი ვერ ნახავთ.

Hic-ი ინტერიერის დიზაინის სახლი-სამუქროა და წარმოგვიდგენს ავეჯის ფართო სპექტრს, რომელიც გაცერებულია თანამედროვეობით, თუმცა ტრადიციულ ელემენტებზეც არ ამბობს უარს. ლითონის მოძრავ მაგიდებს, კერამიკულ კათხებს სიძველის ელფერით, ტყავის ოტომანებს და ულამაზეს სამეულეებს ქმნიან დიზაინერები თურქეთიდან, ახლო აღმოსავლეთიდან, აფრიკიდან (აფრიკელი დიზაინერებიც აქტიურად თანამშრომლობენ Hic-ის გუნდთან). **ღიაა:** ყოველდღე – 11.00-19.00

Hacimimi Mahallesi, Lüleci Hendek Cd. No:35, 34425 Beyoğlu



**MIDNIGHT EXPRESS**

2008 წელს ორმა მეგობარმა გახსნა პატარა კონცეპტუალური მაღაზია, რომელიც იმდენად პოპულარული გახდა, რომ მალევე იქცა ქსელურ ბრენდად. მაღაზიაში წარმოდგენილია მზა ტანსაცმელი ქალებისა და მამაკაცებისთვის. ბუტიკი ასევე გთავაზობთ მდიდრული აქსესუარებისა და დეკორის ნაშებს, რომლებიც თურქი დიზაინერების მიერაა შექმნილი.

**ღიაა:** 10.30-19.30

Bebek Mh., Küçük Bebek Cad. No:3/A 34342 Beşiktaş



**ATELIER REBUL**

ტკბილი არომატის მქონე სითხე kolonya ყველა თურქული სახლის განუყოფელი ატრიბუტია. მას, ძირითადად, ლიმონის, თაფლის, უსამინის, მაგნოლიის, ვარდისა და ლავანდის სურნელი აქვს და დეკორატიულ ფლაკონში ინახება.

წყლისგან, ალკოჰოლისა და არომატიზატორისგან შექმნილ სითხეს იყენებენ ჰაერის გასაწმენდად, სუნამოდ, თავის ტკივილის დასაამებლად და ხანდახან, ალკოჰოლური შემცველობის გამო, როგორც ანტისეპტიკს. kolonya-ს ტრადიციისათვის სათავეს ოსმალეთის იმპერიის ეპოქიდან იღებს.

Atelier Rebul-ი კი ყველაზე ხარისხიან და ძვირადღირებულ თურქულ არომატებს გთავაზობთ.

**TRUPROJECT**

Project-ი საინტერესო კონცეპტუალური მაღაზია როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვისაც. ის განსაკუთრებით პოპულარული გახდა მოდის მოყვარულთა შორის თავისი ფერადი მაისურებით, აქ შეგიძლიათ შეიძინოთ ქაშმირის სვიტერები, სპორტული მარფლები, საცურაო კოსტუმები და ბევრი სხვა სასურველი ნივთი.

Bebek Mh., Küçük Bebek Cd. 11A

**TAJI**

1998 წელს, 26 წლის ასაკში, თაჩეთ სერქერმა თავისი პირველი ატელიე დააარსა ქალაქ სტამბოლში, დღეს კი მისი ფილიალები მსოფლიოს არაერთ ქალაქშია. ერთ-ერთი ბოლო ფილიალი მანჭეტენზე გაიხსნა.

Taji საყვარელი ბრენდია როგორც პოლიტიკოსების, ისე მოდურად ჩაცმის მოყვარული მამაკაცებისათვის.

ნიშნათაშის რაიონში მდებარე ატელიეში შეგიძლიათ ინდივიდუალურად შეუკვეთოთ ნებისმიერი რამ, პიჯაკიდან დაწყებული, საცურაო კოსტუმით დამთავრებული; ასევე შეგიძლიათ უკვე მზა პროდუქციის შეძენა.

**ღიაა:** 10.00-20.00

Harbiye Mahallesi Abdi İpekçi Cd. 6-8, 34365 Şişli





# ქარვისფარი ოღისა

„ჰენესის ახსნა შეუძლებელია, მას უბრალოდ უნდა ჩასწვდე“, – ასე გვიხასიათებენ კონიაკის სახლის მესვეურები მათი კოლექციის ყველაზე პრესტიჟულ ალკოჰოლურ სასმელს „Richard Hennessy“-ს, რომელიც ბრენდის დამფუძნებლის სახელს ატარებს და ერთი დიდი მოგზაურობის – წარსულსა და აწმყოს შორის უწყვეტი დიალოგის შესახებ მოგვითხრობს.

მოგზაურობის ეს ამბავი კი ოკეანის გადალახვით დაიწყო: სამი საუკუნის წინათ კაცმა, სახელად რიჩარდ ჰენესიმ, მშობლიური ირლანდიური ზღვისპირა სოფელი მიატოვა და საფრანგეთის ნაპირებს მიაღწა ფრანგთა მეფის, ლუი XV-ის არმიაში ჩასაწერად. თუმცა ის ისტორიას არა მილიტარისტული კარიერის გამო, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კონიაკად მიჩნეული დიდი ბრენდის დამაარსებლის სახელით შემორჩა.

რიჩარდ ჰენესი ერთ დღესაც კონიაკის მხარეს, საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ვენახებს ეწვია და ადგილობრივი Eau de vie (ფრ. „სიცოცხლის წყალი“) – სპირტები დააგემოვნა. და თუმცა მისი განცდების შესახებ წყაროები ბევრს არაფერს გვეუბნება, თავისუფლად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იმ მისთვის იღბლიან დღეს ჰენესი ალბათ სითბოს მონატრებული ჩრდილოელის სიხარბით მიეფიცხა სამხრეთის მზეს და ისეთი ვნებით დაეწავა „სიცოცხლის წყალს“, როგორც



როკო ირემაშვილი

სიმძაფრეც მხოლოდ ომგამოვლილებს შეუძლიათ განიცადონ სიცოცხლით ტკბობისას.

დანამდვილებით ისიც ვიცით, რომ ირლანდიელ ოფიცერს აზროვნებისა და საქმის წარმოების ის მასშტაბები აღმოაჩნდა, ზღვისპირეთში გაზრდილ ბიჭუნებს ბუნებრივად რომ დაჰყვებათ ხოლმე: მათ, ვინც არასდროს უშინდება უსასრულო ჰორიზონტებს და ვისთვისაც ყველა დიდი თავგადასავალი იალქნიანი გემის ერთი გადაცურვით იწყება.

ჰენესიმ 1765 წელს კონიაკის საწარმო დააარსა და ალკოჰოლური სასმლით ვაჭრობას შეუდგა, 1794 წელს კი ის უკვე ახლად შექმნილ შვედეთულ შტატებში გაიტანა ექსპორტზე. 1819 წელს ქარვისფერი სასმელი ინდოეთში გადის გასაყიდად, 1855 წლიდან – ავსტრალიაში, 1859 წლიდან კი – ჩინეთში და შორეულ აღმოსავლეთში ფრანგული კულტურის ელჩის როლს ითავსებს. მას შერე კონიაკი მთელ მსოფლიოში მოგზაურობს და ყოველწლიურად 120-ზე მეტ ქვეყანაში 60 მილიონი ბოთლი „ჰენესი“ იყიდება.

**„ჰენესის  
ახსნა  
შეუძლებელია,  
მას უბრალოდ  
უნდა ჩასწვდი“**

2017 წელს „ჰენესის სახლი“ National Geographic-თან ერთად მორიგ თავგადასავალში ჩაება და „აბრეშუმის გზის ოღისა“ წამოიწყო. პროექტის ინსპირაციის წყაროა, ერთი მხრივ, კონიაკის სპირტების ოსტატის – ემილ ფილუს მიერ მე-18 საუკუნეში შექმნილი



სასმელი Hennessy X.O (Extra Old), რომელიც საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებულ გემოს ინარჩუნებს, მეორე მხრივ კი, უძველესი მარშრუტი – აბრეშუმის დიდი გზა. პროექტი საკრალური რიცხვის – 7-ის გარშემო აგებული: მოგზაურობის მარშრუტი ისტორიული გზის შვიდ ქალაქს მოიცავს და ის სიმბოლურად Hennessy X.O-ს არომატების პალიტრის შვიდ შეგრძნებაზე მიგვანიშნებს: მწველი ცეცხლი, შოკოლადის ხვედროვნება, მზარდი მხურვალეობა, ხის ისტორია, პიკანტური ზღვარი, ტკბილი ნოტები და უსასრულო ექო.

არავინ იცის, ზუსტად როდის გაჩნდა აბრეშუმის გზა – „მსოფლიოს პირველი საკომუნიკაციო საშუალება“, რომელიც ევრაზიის აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე და ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე გადაშლილ ტერიტორიებზე გამავალი და ერთმანეთში გადახლართული მარშრუტების რთულ სქემას წარმოადგენს.

შორეული აღმოსავლეთის მიწები, ძლევა-მოსილი თუ მისუსტებული იმპერიები, ფათე-რაკებით აღსავსე მოგზაურობა უდაბურ სტეპებში და მთიან ხეობებში და გაუგონარი, ჯერაც უცხო სიმიდირე: აბრეშუმი, ძვირფასი ქვები, ფაიფური, უცხო ნაკეთობები და სუნელები – აბრეშუმის გზა ჩვენს გონებაში მომწუსხველი ფაქტებისა და ალუზიების ერთი დიდი ნაკადია. უთვალავი, ზოგჯერ ცნობილი, უფრო კი დროში გამქრალი ადამიანების ამბავი, რომლებიც გზას დადგომით ბედს ეწიენ, ანდა უკვალოდ გადაიკარგნენ, თუმცა მათი ძალისხმევა, გლობალური გაგებით, ხშირად პირველი დიალოგი იყო განსხვავებულ კულტურებსა და რელიგიებს შორის, მათი პირველი შეხვედრა და პირველი ქსენოფობიების დამარცხებაც.

„ჰენესის სახლის“ 21-ე საუკუნის პროექტიც სხვა არაფერია, თუ არა დიალოგი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. კომპანიამ შვიდი ხელოვანი აბრეშუმის გზის ქალაქებიდან – ბურჩაკ ბინგოლი (სტამბოლი, თურქეთი), ვიქტორ სირნევი (ბიშკეკი, ყირგიზეთი), რაშად ალაკბაროვი (ბაქო, აზერბაიჯანი), როკო ირემაშვილი (თბილისი, საქართველო), ვიანესლაგ უსეინოვი (ფერგანა, უზბეკეთი), აშკათ ახმედოვი (ასტანა, ყაზახეთი) და ინ შიუჟენი (პეკინი, ჩინეთი) ჯერ თავისთან, კონიაკში მიიწვია საკუთარ ისტორიასთან საზიარებლად, მოგზაურობით შთაგონებულმა არტისტებმა საკუთარ სამშობლოში დაბრუნებისას 7 ნამუშევარი შექმნეს, რომელიც 7 ქვეყანაში გამოიფინა.

პროექტის მიზანს „ჰენესის“ ელჩი გიომ დე გიტო შემდეგნაირად ხსნის: „ანტიკური გზის მარშრუტის გამოვლენის მიზანი გაზიარების სურვილი იყო – კულტურების, აზრების, გამოცდილების გაზიარების. ეს პროექტი ასევე საკულტო სასმლის, Hennessy X.O-ს მშვენიერების გაზიარებასაც ემსახურება, რომლის შვიდი არომატიც შვიდი სახელოვნებო ნამუშევრის შექმნის ინსპირაცია გახდა იმ ხელოვანთათვის, რომლებიც აბრეშუმის ისტორიული გზის შვიდ ქალაქში ცხოვრობენ. სრულიად მომავადობელია იმის ხილვა, თუ როგორ შეიძლება ასე სიმბოლურად დაუკავშირდეს სახელოვნებო ნამუშევარი სხვადასხვა იდეასა და მასალას“.



პროექტის ქართული პრეზენტაცია 14 ნოემბერს გაიმართა ზურაბ წერეთლის სახელობის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში. მის ფარგლებში სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ენახათ როგო ირემაშვილის ნამუშევარი – „წონასწორობა“, რომელიც „ჰენესის“ სახლის დამაარსებლების, რიჩარდ ჰენესისა და ემილ ფილუს შეხვედრის შთაგონებით შეიქმნა.

ირლანდიელმა ოფიცერმა და სპირტების ფრანგმა ოსტატმა მე-18 საუკუნეში საკუთარი გამოცდილება და იდეები ერთმანეთს გაუზიარეს და ამგვარად ჩაუყარეს საფუძველი დიდ მოგზაურობას. აბრეშუმის გზის ლეგენდებიც ხომ არა მხოლოდ სავაჭრო საქონლის, არამედ სწორედ აზრებისა და ამბების გაცვლის შედეგად შეიქმნა: უჩვეულო ამბების – სხვადასხვა რელიგიათა, ჩვეულებათა, კულტურათა და გამოგონებათა შესახებ, რომლებსაც დიდი მოგზაურობებისას ქარვასლებში სულის ამოსათქმელად ჩამომდგარი ვაჭრები – ძალიან გამბედავი ადამიანები ერთმანეთს უზიარებდნენ.

**მოგზაურობის  
მარშრუტი  
ისტორიული გზის  
შვიდ ქალაქს  
მოიცავს და ის  
სიმბოლურად  
HENNESSY X.O-ს  
არომატების  
კალიტრის შვიდ  
შეგრძნებაზე  
მიგვანიშნებს.**





# PLUS

ურთიერთობას  
მოაქვს კლუსი

დააგროვეთ PLUS ქულები  
SOLO ბარათით გადახდისას  
და გადაცვალეთ PLUS  
კატალოგის განსაკუთრებულ  
საჩუქრებზე

[www.plus.ge](http://www.plus.ge)

ყოველ გადახდილ  
1 ლარზე მიიღებთ  
2.5 PLUS-ს



ყოველ გადახდილ  
1 ლარზე მიიღებთ  
2 PLUS-ს



 **ჩითოჯიმი**

233 000 

ქალის  
საათი  
TISSOT



759 000 


APPLE  
IPHONE 8  
64GB



189 000 

სასაჩუქრე  
ბარათი  
500 ლარი

  
**Roniko**







1 750 000



კარიბის  
ზღვის  
კრუიზი

captain plus



CROWNE PLAZA  
BORJOMI

165 000



1 ღამე  
2 ადამიანისთვის  
საუზმით



Villeroy & Boch

1748

329 000



სადილის  
სერვიზი  
MARIEFLEUR GRIS  
6 პერსონაზე



ჯანსიჩუატი  
ALCORIUM

59 000



კონიაკი  
HENNESSY VSOP  
მოცულობა: 0,7ლ







# ოსმალეთიდან თურქეთამდე

აკა მორჩილაძე

ერთი ასეთი ძველი ამბავია, რომ სპარსელებისგან დევნილი, განაწამები მეფე თეიმურაზ პირველი იმერეთშიც ალარ და გონიოს ციხეში იდგა თავისი ხალხით და გადაწყვიტა, სულთანთან წავალო. საქართველოს ცხოვრება ხომ ასე იყო, ორი დიდი მსპობი და შუამღვლელო ჰყავდა, სპარსეთი და ოსმალეთი, რომლებიც ერთმანეთსაც მტრობდნენ და ჩვენი მეფეები ცდილობდნენ ხოლმე ამ მტრობის გამოყენებას: შენად მიგულე და იმათ წინააღმდეგ მომიხმარეო.

ადგა და წავიდა.

იმ ჩასვლით რა გამოვიდა და რა შეველა იყო, სხვა ამბავია, მაგრამ მთელი ოსმალეთი რომ გადაიარეს და სტამბოლს უწიეს, თეიმურაზმა თქვა, სანამ სასახლეში მივალთ და სულთანს წარვუდგებით, ერთი რამე უნდა ვქნათო: სამჭედლო ნახეთ სადმე და რაც ვერცხლი გვაქვს, ნალებად გადავადნოთ და ცხენები დავჭედოთ, რადგან თოფქაფის საჯინიბოში რომ დაგვიბამენ ცხენებს, ნახავენ, ვერცხლით დაჭედილი ცხენებით გვივლია, მეფე ვარო. ასეც მოიქცნენ.





قلعه قدساردو

ولاية قلاوری



پورتو تورو اتو

قيه اشاحصان

თოქჯაფის სასახლის შენება მეჰმედ მეორემ დაიწყო კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ. იქიდან ოთხ საუკუნეს სასახლე სულ შენდებოდა, მშენდებოდა და ფართოვდებოდა და ამ ოთხ საუკუნეს სწორედ აქედან იმართებოდა უზარმაზარი სახელმწიფო, იმპერია, რომლის ხელქვეითიც ძალიან დიდხანს იყო ბევრი ქვეყანა.

ოსმალეთი იყო სახელმწიფო, რომელიც მეთორმეტე საუკუნიდან იქმნებოდა და აპატარავებდა ბიზანტიას, სხვა ქვეყნებს, იპყრობდა მიწებს, იერთებდა ერებს, ქალაქებს და თან კიდევ ქმნიდა თავის სახელმწიფო წყობას და მმართველობას, თავისებურსა და ყველასგან განსხვავებულს.

ეს იყო დიდი და ძალზე შემტევი ქვეყანა, დამპყრობელი, რომელმაც დიდი, განუმეორებელი ისტორია განვლო სირდარიის მომთაბარული მიწებიდან ევროპამდე, აღმოსავლეთ რომის სამუდამო სამშობლოდ ქცევამდე. მტკიცედ და შეურყევლად დამკვიდრდა იქ, სადაც საბოლოოდ დამკვიდრება გადაწყვიტა.

**ილუსტრაცია:  
ფირი რაისის რუკები**

ფირი რაისი მათაქვსშება საუკუნეში მოღვაწე ოსმალის ადმირალია. მის ნავიგაციის წიგნში KITAB-I BAHRIYE დაბალური ინფორმაცია და ჯადმიწავსით სწორი საზღვაო რუკებია ხელთაშუა ზღვის მნიშვნელოვანი პორტებისა და ქალაქების აღწერით. 1513 წელს მან თავისი პირველი მსოფლიოს რუკა შექმნა მის მიერვე შეგროვილ ოც სხვადასხვა ძველ რუკასა და ნახაზებზე დაყრდნობით. ეს ერთ-ერთი პირველი, ყველაზე ზუსტი მსოფლიოს რუკაა.



ეს იყო სამხედრო-პოლიტიკური ძალა, რომელმაც ვენის კედლებს უწია და სადაც შედიოდა, შედიოდა სუნიტური ისლამის რწმენით და იქ მკვეთრ პოლიტიკურ, კულტურულ და სულიერ მმართველობას ამყარებდა, რასაც ახლდა გამართული, საუკუნეებით ჩამოქნილი სახელმწიფო-სამოხელეო მუშაობა.

ეს იყო იმპერია, რომელიც დაიქცა იმპერიათა დიდი დაქვევის ეპოქაში, მანამდე კი ბევრი იომა და იბრძოლა თავის გადასარჩენად, თუმცა იმპერიათა მარადი ხელობის, დაპყრობების, მიერთების უნარები და, ამასთან, მმართველობის ფორმებიც დაუძველდა და იმ უზარმაზარ მიწაზე, რომელიც ამ მძლე ტრადიციის სახელმწიფომ შეინარჩუნა, შეიქმნა ახალი ქვეყანა – თურქეთის რესპუბლიკა.

ამ ქვეყნის მამა ქემალ ათათურქი იყო, „თურქების მამა“ – ყველამ იცის მისი გვარის პირდაპირი თარგმანი. ამ სამხედრო კაცმა, სრულიად გარკვეული შეხედულებებით წინსვლის შესახებ, შეცვალა ყველაფერი, რაც საზიანოდ მიიჩნდა რესპუბლიკის მშენებლობისთვის. მან ააშენა რესპუბლიკა.

მემკვიდრეებმა უერთგულეს ათათურქის შეხედულებებს. მეოცე საუკუნე თურქეთმა ათათურქის ფილოსოფიით განვლო. ეს იყო ნაციონალიზმი, სეკულარიზმი და დემოკრატია, რომელიც რკინის მუშტით და სამხედრო გადატრიალებებით ასწორებდა ხოლმე ნებისმიერ გადახვევას ათათურქის ხაზიდან – მარცხნივაც და მარჯვნივაც.

დიდი, პასპორტით ერთეროვანი, ისე კი მრავალეროვანი თურქეთი დღეს საქართველოს უმნიშვნელოვანესი მეზობელია, ახლო პოლიტიკური თანამშრომელი და უფართოესი ეკონომიკური პარტნიორი. საერთოდ, ეს მრავალფეროვანი სურათია: დღევანდელი ჩვენი ისტორიები, განწყობები და მისწრაფებები თურქეთთან მიმართებაში.

რა თქმა უნდა, დღევანდელი საქმიანი ცხოვრებისა და პოლიტიკური ამბების უკან დევს გარინდული წარსული და კოლექტიური მეხსიერება. მიიმე ომი და ცუდი მშვიდობა, ალბათ უფრო ასეთია ჩვენი შუასაუკუნეების წარსული, გაჯერებული სიტყვებით: დიდი თურქობა, ოსმალობა, გურჯისტანის ვილაეთი, ბათუმის ფაშა, აჩიკ ბაშის ქვეყანა და ასე დაუსრულებლად...

და ვინ აღარ გავგახსენდება ხოლმე: დიდგორი, თევდორე მღვდელი, სიონის კარში ჩამდგარი გივი ამილახვარი, ახალციხის დაბრუნება, სამუსლიმო საქართველო, ჩვენებურები,

მერე მახნიაშვილი, აჰმედ მელაშვილი, ტყვეთა სყიდვა, იანიჩარები და ჰარამხანები, ერთი უცხოელი ექიმის მოგონება, სულთნის ქართველი დედის სამკურნალოდ რომ მიიყვანეს და ზეპირად წამლობა რომ მოუწია, რადგან პაციენტი ქალის გასინჯვა აკრძალული ჰქონდა...

ეს ისტორიაა და წარსულია, მაგრამ დღევანდელობაც დღევანდელობაა და ჩვენს საზღვრებზე გაბმული რიგები და სხვა უამრავი რამეც იმის ნიშანია, რომ ისტორიის ამ ნაკვეთში, დღევანდელობაში ბევრად მეტი შვება, ვიდრე იმ წარსულში. მეხსიერებაში ბევრი თურქეთი გვაქვს და ადამიანებს ხომ საუკეთესოს არჩევის სურვილი აქვთ. ცხადია, ორმხრივად.

**თურქეთი კი დიდი და მრავალფეროვანი ქვეყანაა, რომლის ყოველდღიურად ვითარდება. როგორც ისტორია, იმ კვანავს ცოცხალია ქველი საყვარო, ვინაიდან იმ კვანავს ენავი ბროსა, რახვად ზანიქანასი, სადაც ვაროლოცა ჩაწა თავის სოცარ ნიგს და, სართოდ, უამრავ რაჟს იწაა.**

თუ ქვეყნის დასავლეთი, ხმელთაშუა ზღვას აკრული ქალაქები და სანაპიროები და იქაური ყოფა ერთი ხნით მოგებზრდა, წამოხვალ ყველაზე იდუმალ და გასაოცარ კაბადოკიაში, ლამაზი ცხენების ქვეყანაში, იქაურ კლდის ლაბირინთებში, ქვის ლექსებში დასაკარგად და იქაც რომ დაიღლები, მაშინ კვლავ უკან გამოსწევ და ეფესოში მოხვალ, მცხუნვარე მშის ქვეშ ჩამოვდები იქაურ ოდიონზე, ივლი და ივლი, სანამ თვალი არ დაიღლებ. ხოლო თუ ანტალიის ზღვისპირისკენ გიწევს გული, რადგან იქ ყოველთვის მიღეთის ხალხი ირუჯება და დგაფუნობს, იმავე მხარეში მოიძევ ძველ ქალაქ ფასელისს და ასე ყოველ ნაბიჯზე და ყოველ მხარესა და კუთხეში.

ადრე თურქეთი დიდად არ იყო ტურისტული ქვეყანა, მაგრამ სიძველენი ხომ მაინცდამაინც ტურისტის არაა, შენს ხალხს უფრო სჭირდება. ამიტომ, ამ ქვეყანაში რომ დადიხარ, თითქოს მის ოთხ-ხუთ ეპოქაში ცხოვრობ. ეს დიდი საჩუქარია.

ახლა პირიქითაა, თურქეთი უდიდესი ტურისტული ქვეყანაა, მაგრამ ამ ტურიზმს მიღმა თურქეთი ღრმაცაა და საინტერესო. იქ ყოველ მხარეს, ყოველ ქალაქს აქვს თავისი ხასიათი და გამორჩეული ისტორია, ხოლო უამრავ ადგილს – თავისი სტილი. ასეა ბურსა, ოსმალთა პირველი დედაქალაქი და ასეთია ყოველთვის გამორჩეული, რალგნაირად თავისუფალი იმირი და ამ თავისუფლებაში მას გაჯიბრებული ბოდრუმი, ნახსენები ძველი ჰალიკარნასი.

საერთოდ, დიდ ქვეყნებზე მოკლედ მოყოლა ძნელია ხოლმე. მარკო პოლოს ძველი ოსტატობა, რამდენიმე წინადადებით მოეთხორო მთავარი გზად შეხვედრილი ადგილის შესახებ, ალბათ არ დაკარგულა, მაგრამ ეს ის შემთხვევა არ არის, რადგან ბევრი გვაქვს სანახავი, გასაგებიც ბევრი გვაქვს, განსაცდელიც და, შესაბამისად, მოსაყოლიც.







قلعه علايشه

چقالصه

نشان

نشان

بيگارخدايي

حمام

ايزمه

قويو

جانب اناطوليه

سقه ايرماغ

علايشه كارلومي

برنج خانه

ديم صويي

قلعه احمدجه خراب





# ქალაქი, როგორც პალიმფსესტი

გიორგი მაისურაძე

პალიმფსესტი ისეთ ხელნაწერს ეწოდება, რომლის ქვეშაც სხვა ნაწერი იმალება. მოგვიანებით ეს სიტყვა გადაწერილი-გადახატული ხელნაწერების მნიშვნელობას გასცდა და ხილვადი ზედაპირის ქვეშ დამალული შინაარსების აღმნიშვნელად იქცა. ამგვარად, პალიმფსესტი ქალაქსაც შეიძლება მიესადაგოს. ასეთ შემთხვევაში სტამბოლი, რომელიც თურქეთის ყველაზე დიდი მეგაპოლისის რიგით მეოთხე ოფიციალური სახელია, ქალაქ-პალიმფსესტის ნიმუშადაც შეიძლება გამოდგეს. სტამბოლის ხილულ და უხილავ შრეებში ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტებია შემონახული.

ამდენად, ამ ქალაქში მოხვედრით დროში მოგზაურობაც იწყება. ქალაქის ამჟამინდელი თურქული სახელი **Istanbul**-ი, რომელიც ოფიციალურად მას მხოლოდ 1876 წელს ოსმალეთის იმპერიის კონსტიტუციით ეწოდა („ოსმალური სახელმწიფოს დედაქალაქია ქალაქი ისტანბული“), ბერძნული გამონათქვამის – **eis tòn pólin**-ის („ქალაქისკენ“, „ქალაქში“) გათურქულებული ფორმაა. ამ მეტსახელს, რომელიც ქალაქმა ბიზანტიურ ხანაში, თავისი ყველაზე ხანგრძლივი სახელის – კონსტანტინოპოლისის პარალელურად შეიძინა, ბერძნები **istámbolin**-ად გამოთქვამდნენ.



Galata Bridge and a view of Pera. IMAGE: LIBRARY OF CONGRESS





ქალაქი ბოსფორის სრუტესთან ძველი წელთაღრიცხვით 660 წელს ბერძენმა კოლონისტებმა დააარსეს და სახელად ბიზანტიონი უწოდეს. ცხრა საუკუნეზე მეტი ბიზანტიონი ხან ბერძენების, ხან სპარსელების, ბოლოს რომის იმპერიის ერთი პროვინციული სავაჭრო ქალაქი იყო და შეიძლება მისი სახელი დღეს მხოლოდ ისტორიკოსებისთვის ყოფილიყო ცნობილი, რომ არა ახალი წელთაღრიცხვით IV საუკუნეში მომხდარი კარდინალური ცვლილება, რამაც არა მხოლოდ ამ ქალაქს, არამედ მთელი სამყაროს ისტორია რადიკალურად შეცვალა.

იმ დროს შიდააშლილობისგან დასუსტებულ რომის იმპერიას ერთდროულად ოთხი იმპერატორი ჰყავდა, რომლებიც ერთპიროვნული მმართველობისთვის ერთმანეთს ექიმპებოდნენ. ამ ბრძოლაში კონსტანტინე I-მა გაიმარჯვა, რომელიც თავის აღზევებას ქრისტიანების ერთადერთ ღმერთს უმადლიდა. მასვე მიეწერება ცნობილი ფრაზა: „**ერთი ღმერთი, ერთი იმპერია, ერთი კეისარი**“, რაც სამყაროს ისტორიაში ახალი, მონოთეისტური რელიგიების ეპოქის დასაწყისს იუწყებოდა. კონსტანტინემ, რომელმაც 330 წელს მთელი რომის იმპერია საკუთარი ერთმმართველობის ქვეშ გააერთიანა, თავისი ერთადერთი ღმერთისა და განახლებული იმპერიისათვის ახალი დედაქალაქის დაარსება გადაწყვიტა.

საამისოდ კეისარი ადგილს თავდაპირველად ლეგენდარული ტროის მიდამოებში ეძებდა, რამდენადაც ძველი რომაული მითოლოგიური გადმოცემის თანახმად, ტროელები რომაელების წინაპრები იყვნენ. საბოლოოდ კონსტანტინემ პატარა, მაგრამ გიგანტური მეგაპოლისის პოტენციალის ქალაქი ბიზანტიონი შეარჩია, რომელიც მოცულობით ხუთჯერ გააძლია და სახელად **Nova Roma** – „ახალი რომი“ უწოდა. ეს ახალი სახელი საკმაოდ ხანმოკლე კი აღმოჩნდა, მაგრამ ის შინაარსს, რომელიც ამ სახელში იყო ჩადებული, ქალაქს XX საუკუნემდე არ დაუკარგავს: ახალი რომი ჩვეულებრივი, თუნდაც

დიდი, ქალაქი ვერ იქნებოდა – ის ახალი, გაქრისტიანებული რომის იმპერიის დედაქალაქი და, შესაბამისად, სამყაროს ახალი ცენტრი უნდა ყოფილიყო. 337 წელს, კონსტანტინეს გარდაცვალებასთან ერთად, ქალაქს სახელი შეუცვალეს და **კონსტანტინოპოლისი** ანუ კონსტანტინეს ქალაქი დაარქვეს.

ათასწლეულის მანძილზე კონსტანტინოპოლი აღმოსავლეთ რომის, იგივე ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი და მართლმადიდებლური სამყაროს პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი იყო, რაც დღემდე კონსტანტინოპოლის პატრიარქის, როგორც „მსოფლიო პატრიარქის“, ტიტულშია შემონახული.







Tophane Place Istanbul.  
IMAGE: LIBRARY OF CONGRESS



A cook  
in the Rue  
de Stamboul.  
IMAGE: LIBRARY  
OF CONGRESS



Barbers near  
Seraskerat.  
IMAGE: LIBRARY  
OF CONGRESS

VI საუკუნეში იმპერატორ იუსტინიანე I-ის მითითებით აგებული აია სოფიას ტაძარი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ყველაზე დიდი მოცულობის საეკლესიო ნაგებობა იყო, დღემდე აღმოსავლური ქრისტიანობის სიმბოლურ ცენტრად მიიჩნევა.

ბიზანტიურ ხანაში კონსტანტინოპოლი იმ მთავარ ქალაქად წარმოიხატებოდა, რომლის ირგვლივაც მთელი სამყარო ტრიალებდა, ხოლო მისი მფლობელი მსოფლიოს ხელმწიფედ მიიჩნეოდა. ასეთად აღიქვამდნენ მას როგორც იმპერიის მოქალაქეები, ისე მასთან მტრულ ურთიერთობაში მყოფი ხალხებიც. ასეთი შინაარსისა ჩადებული კონსტანტინოპოლის ძველ რუსულ და ბულგარულ სახელში – „ცარგრად“ (**Царьград**), რაც „კეისრის ქალაქს“ ნიშნავს.

კონსტანტინოპოლმა, როგორც „ახალმა რომმა“, აღმოსავლეთ საქრისტიანოს ხალხებში იმპერიული ძალაუფლების ცენტრის უნივერსალური სიმბოლოს შინაარსი შეიძინა და ასეთად ჩაიბეჭდა მათ კულტურულ მეხსიერებაში. მხოლოდ ის, ვისი ტახტიც კონსტანტინოპოლში იდგა, შეიძლება ყოფილიყო ტყემმარითი მართლმადიდებელი იმპერატორი.

ამიტომაც 1739 წელს რუსეთის იმპერატორმა ელისაბედმა რუსეთის წმინდა მიხნად კონსტანტინოპოლის დაპყრობა გამოაცხადა, ხოლო ეკატერინე II-მ 1787-1792 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს კონსტანტინოპოლის აღების და ახალი, რუსული ბიზანტიის იმპერიის აღდგენის გეგმა შეიმუშავა, თუმცა ეს მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა.



ბოვი ისტორიკოსის ვარაუდით, 1945 წელს მსგავს გეგმებზე სტალინსაც უნდა ეფიქრა, რომლის შექმნილ საბჭოთა იმპერიას ირონიულად „წითელ ბიზანტიასაც“ უწოდებენ.

ამ იმპერიის შემადგენლობაში მყოფი „მცირე ერებისთვის“ კი კონსტანტინოპოლი იმპერიული ჩაგვრის მეტაფორად იქცა. ასეთ კონტექსტში გაისმის კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ კონსტანტინოპოლის ძაგება: „დამპალი ქალაქია ბიზანტიონი“ – რასაც მკითხველში საბჭოთა იმპერიასა და მისი ძალაუფლების ცენტრზე ასოციაცია უნდა გამოეწვია. კონსტანტინოპოლის, როგორც „ახალი რომის“ სიმბოლური მნიშვნელობის, მიმართ არც ოსმალები იყვნენ გულგრილნი. სულთანმა მეჰმედ II-მ, რომელმაც 1453 წელს კონსტანტინოპოლი დაიპყრო და ბიზანტიის იმპერია ისტორიად აქცია, პოლიტიკური შინაარსის მითი შექმნა თავისი უზარმაზარი სამხედრო წარმატების კიდევ უფრო მაღალ ისტორიულ ხარისხში ასაყვანად: ოსმალები მან ტროელების შთამომავლად გამოაცხადა, რომლებმაც ტროის დაქვევისათვის ბერძნებზე შური იძიეს და ისტორიული სამართლიანობა აღადგინეს.

ამ უცნაური შინაარსის მითში საკმაოდ დიდი პოლიტიკური განაცხადი იმალებოდა: რამდენადაც ტროელების შთამომავლად რომის იმპერია წარმოადგენდა საკუთარ თავს, ამიერიდან ოსმალებიც „ახალ რომად“ – მსოფლიო იმპერიად უნდა გადაქცეულიყო.

ახალი მსოფლიო იმპერიის დედაქალაქი გარეგნულადაც ისეთი ახალი ბრწყინვალეობით უნდა შემოსილიყო, რომ ევროპისა თუ ამიის ყველა სხვა დიდი ქალაქი დაეჩრდილა. ამ უაღრესად ამბიციური გეგმის შესრულება XVI საუკუნეში სულთანმა სულეიმან I-მა, რომლის დროსაც ოსმალებმა თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია, არქიტექტორ სინანს დაავალა. სწორედ მაშინ აშენდა საარაკო სიმდიდრითა და არქიტექტურული მრავალფეროვნებით გამორჩეული სასახლეები, მეჩეთები, ხიდები და შადრევნები, რომლებიც დღემდე მილიონობით მნახველს განაცვიფრებს. ბერძნულ-



The Scutari district. IMAGE: LIBRARY OF CONGRESS

რომულ, ბიზანტიურ და ისლამურ-აღმოსავლურთან ერთად, მრავალეთნიკური ოსმალების იმპერიის დედაქალაქში თანდათანობით ახალი, დასავლურ-ევროპული არქიტექტურაც გაჩნდა და ისიც მალე ქალაქის ორგანულ ნაწილად იქცა.

მულტიკულტურულობა მსოფლიო იმპერიების თვისებაა: იმპერია არა მხოლოდ დაპყრობილ ქვეყნებში ამკვიდრებს საკუთარ სტილს, არამედ დაპყრობილებისგანაც სწავლობს და ამდიდრებს საკუთარ კულტურას. იმპერიის დედაქალაქში მთელი ამ კულტურული მრავალფეროვნების შერწყმა-შეზავება მიმდინარეობს და, ამდენად, ასეთი მეგაპოლისები თავად ქვეყნის ძირითადი ნაწილისგან განსხვავებული იერ-სახითა და კულტურით გამოირჩევიან. სტამბოლს ეს თვისება არც მაშინ დაუკარგავს, როდესაც ოსმალების იმპერიის დაშლასთან ერთად მან დედაქალაქის გვირგვინიც დაკარგა – 1923 წელს თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებელმა ქემალ ათათურქმა ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი ანკარაში გადაიტანა.



Galata Bridge. IMAGE: LIBRARY OF CONGRESS

**პირიქით, აან  
სტამბოლი  
თანამედროვე  
მსოფლიოს ერთ-  
ერთ ყველაზე  
კოსმოპოლიტურ  
ქალაქად  
განაწილდა, სადაც  
ერთმანეთისგან  
რადიკალურად  
განსხვავებული  
შახალღვანეობისა თუ  
ცხოვრების წესის  
აღაშინავენი თავს  
ილა გრძნობენ,  
როგორც საკუთარ  
სახლში.**





# სტამბოლი

## აკა მორჩილაძე

სტამბოლის განსაკუთრებულობა მხოლოდ მის უკიდევანობაში, დაუსრულებლობაში, ისტორიულობასა და გეოგრაფიაში არ უნდა იყოს. არც მის ოცდაექვსსაუკუნოვან წარსულში, ბიზანტიუმში, კონსტანტინოპოლში, ისტანბულში. ამ ქალაქში არის რაღაც ისეთი, რაც ადამიანს იზიდავს, არა მხოლოდ ტურისტისთვის საუცხოო აურაცხელი რამით და მართლა შემამფთოთებელი დაუსრულებლობით, არამედ ყოფითაც.

სტამბოლი ფუტკრის სკასავით ქალაქია.

მილიონი ფუტკრის სკა რომ შეაერთო. ან ეგებ მეტი, რას გაიკვებ? გატედილი, გადატედილი, ძნელად სასიარულო, უზარმაზარი ტურისტული ქუჩებისა და ბუნების მქონე და თან ისეთი, ყოველდღიურად რომ იცვლება, სხვაფერდება და ლამაზდება კიდევ. წინა წელიწადს ნანახ ძველ ქუჩას, სადაც დაბზარული, სანახევროდ ფანჯრებატედილი სახლების წინ კუმტად ისხდნენ ამ ქალაქის საყვარელი ცხოველები – კატები, მომდევნო წელიწადს ვეღარ იცნობ ხოლმე. ფასადების

აღდგენა, მთელი ქუჩების გაკრიალება, კეთილმოწყობა. მოკლედ, როგორც ხდება მზარდ ეკონომიკურ ვითარებაში, თუ როგორ იტყვიან ხოლმე. თან ასეთი რამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გხვდება.

ჯერ კიდევ გახსოვს ძველი უბრალო, ღარიბულიც კი, ჩაიხანები და ლოქანთები მუშაობის სუფრებით, სადაც ოდესღაც სწორედ ის შემოგხვედრია, რასაც ქალაქის სულს უწოდებენ ხოლმე და ხშირად ტყუილადაც ეძებ ამ ადგილებს. ხვდები, რომ ისინი სამუდამოდ გამქრალან და მათ ადგილას ახლა, ასე რომ ვთქვათ, მასობრივად მიმზიდველი რესტორნები გაუსხნიათ.

ყველაზე მეტად თვალში საცემი სტამბოლში ნაცხოვრები, ანდა იქ ბევრჯერ ნამყოფი ადამიანისთვის სწორედ ესაა, რომ ყოველ ჯერზე რაღაც ახალს გაუდის კრიალი. განსაკუთრებით იმ ადგილებში, რომლებსაც მთელი მსოფლიო აწყდება. ეს ახალი ხშირად მასშტაბურაცაა ხოლმე და მთელ



უბანს ცვლის. უბრალო ჩასასვლელი გალათას კოშკთან, ძველი ხმაურიანი მოედანი, საიდანაც ქუჩებით წყლისკენ ჩაუყვები, ორ-სამ წელიწადში თავიდან ბოლომდე ტურისტულ თავდაღმართადაა ქვეული, იქ კი ადრე შეამჩნევდი სამშობიარო სახლთან მომლოდინე მღელვარე ნათესავებს, აღმართში წყლის მზიდავებს, სხვა ასეთ ხალხს, ქალაქის უბრალო ცხოვრებას.

ასეა, რა თქმა უნდა, ყველაფერი იცვლება. ძველი ნივთებით მოვაჭრენი ვთქვათ, ალა ჰამამის ქუჩაზე თანდათან უთმობენ ადგილს ახალი ნივთებით მოვაჭრეებს, ერთ დროს მიმზიდველ სტამბოლის სიძველეების პატარა ბაზარს ორთაქოს ნავსადგურში ახლა, მგონი, ორმოცდაათი რესტორანი შემოჯარავია და არავინ იცის, კიდეც რამდენი დაემატება.

ყველგან ხალხია, აუარებელი ხალხი, უცხოელები.

ისთიქალის გრძელი გამზირი, რომელზეც დღეში მილიონობით ადამიანი გადი-გამოდის, ძველი საელჩოების ქუჩა, რომელიც ტაქსიმის მოედნიდან იწყება და გალათას კოშკს ჩასწვდება, ბევრს ალბათ ტრამვაის გარეშეც ახსოვს, ახლა კი აქ ძველი ტრამვაი ადი-ჩამოდის.

აქეთ-იქითაც იერნაცვალი დიდი მალაზიები და სასტუმროები. ერთ დროს წიგნების მალაზია „ადა“, სადაც ადრე ჩაისაც მოგართმევდნენ, ტერასებმოდგმული რესტორანია, რომელშიც წიგნებისთვის ერთი კუთხე დაუტოვებიათ, დანარჩენი კი მოსადილეებისთვის მიუციათ. სამაგიეროდ, კვლავაც იბოვნი საზღვაო წიგნის ძველ ბუკინისტურ მალაზიას, რომელიც რაღაც მანქანებით კვლავაც ინარჩუნებს თავის ადგილს.

დაბლა, შვედეთის საელჩოსთან რომ ჩაუხვევ, მისახვევ-მოსახვევებში აშმედ სერდარის პატარა ქუჩა იწყება, რომელზეც ასევე თვალში საცემია განახლების ხელი და სადაც მხოლოდ ღობეები ყოფს ერთმანეთისგან მეჩეთს, ანგლი-კანურ ეკლესიას და კათოლიკურ ტაძარს. ეს ძველი სტამბოლის პატარა ნაკუწია, უფრო დაბლა ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველთაძველი ხის სახლი, მთლად ჩაშავებული, ჩამჭვარტლული, ოდნავ გადაბრეცილი, მაინც სინათლით ფანჯრიდან და ირიბი საკვამლე მილით.

ყველაფერი იცვლება და ყველაფერი თვალსა და ხელს შუა იცვლება. და თქვენ გგონიათ, ტაქსიმის მოედანს იცნობთ, იქ ძველი რომ არ გეგულებოდეთ?! იცვლება, ფართოვდება. როგორც იტყვიან, უკეთესობისკენ. ძველი სტამბოლის ქუჩები კი კვლავ წვრილია, ტაქსები – კვლავ პატარა და ყვითელი და ამ ქუჩებზე ეს ტაქსები კვლავ ფეხით მოსიარულეებივით დადიან.

სტამბოლი ხომ ორია, ევროპული და აზიური. თვალისთვის ეს გვარიანად პირობითი დაყოფაა და არც ვიცი, რამდენად ოფიციალურია თავად დასახელებები, მაგრამ გაყოფა ბოსფორის ორ ნაპირზე ქალაქის გაშენების ამბავია. სტამბოლის უდიდესი საღვთო საჩუქარი სწორედ ბოსფორია და ამ ბოსფორიდან ევროპულ მხარეს შემოჭრილი ოქროს რყა. არის ასეთი სურათები, უცნაურად დასამახსოვრებელი, ვთქვათ, ბებექში, სადაც წყლის ნაპირთან დგახარ და უყურებ, როგორ გამოდის ბოსფორში

დიდი თეთრი გემი. შეიძლება საათობით უყურო. უყურო. ამოუცნობი ჯადო აქვს. ნავსადგური უამრავ ქალაქშია. ყველგან მაგარი და საყურებლად შემტყუებელი, მაგრამ ბოსფორი არცერთ ქალაქში არ არის. საოცარი საყურებელია. თან აქ ვერ ნახავთ მობანავებს, პლაჟებს და ასე. პირდაპირ ნაპირია.

გზა ათათურქის აეროპორტიდან სტამბოლისკენ ბოსფორს მიუყვება. ვისაც ეს გზა თავიდან ბოლომდე გაუვლია და ამგვარი მგზავრობა სისხამ დილით მოუხერხებია, თან კი ქალაქის ევროპული ნაწილის სულ ბოლო კიდემდეც მისულა, სადაც, თუ მოინდომე, შავ ზღვასაც დაინახავ, ალბათ მიხვდება, რამხელა რამაა ბოსფორის კიდემე ქალაქად ყოფნა. აქედან ამინდი, უფრო სწორად, ბრიზი, როგორღაც ნაპირიდან ძალიან შორს სწვდება ადამიანს.

სტამბოლის ღირსშესანიშნაობანი თავისთავად იგულისხმება. ისტორიაც იგულისხმება და ოსმალური არქიტექტურაც თავისი პერიოდებით. მასშტაბი იგულისხმება. ასევე, იგულისხმება მკითხავი დეიდების მწკრივები ჩაიხანებში, ნარდის მოთამაშე გოგო-ბიჭებიც პატარა ქუჩაზე. სახლის წინ გამოდგმული ტახტიც, რომელიც სადარბაზო კარის წინ დაუდგამთ და ზედ მოხუცი კაცი მიწოლილა კატებთან ერთად, რაც სრულიად არ გამოიყურება უხერხულად.

იგულისხმება პატარა ბიჭიც, რომელიც მამას დახლთან დაუტოვებია და ახლა მღელვარედ ითვლის ხურდებს, რადგან მაინცდამაინც მშობლის არყოფნაში მოსდგომია მყიდველი.

იგულისხმება შემწვარი წაბლის სურნელიც, გვიანი შემოდგომით რომ მოედება ხოლმე ქუჩებს და გამოტედილი სადალაქოებიც და ჩაის ჭიქებიანი ლანგრებით გატედილი ქუჩებზე მქროლავი მიმტანები, რომლებიც ახლომდებარე ოფისებში დაარბენინებენ შეკვეთილ ჩაის და, საერთოდ, ბევრი რამ იგულისხმება, ძალიან სასიამოვნოც და ხშირად ეგებ უსიამოვნოც, თავისი წილი, დიდი ქალაქის თაღლითობებით და მომქანცველობით, მაგრამ სტამბოლი იმ გაქანების და სუნთქვის ქალაქია, სადაც ყველა და ყველაფერია.

**რა სიტყვოვანს არ უნდა ჩამოთვალო და რა რაჰით დაქაჰით განავრილ თითავიჯ არ უნდა იღოჰო, სტაჰოლინ ყვანაჰა მოულოდენალი და გაჰრიალი რაჰა არის სიჰჰოლა. უანარი, გჰუდრო, თითჰოს პილიონი რაჰით დანადი სიჰჰოლა ათიღ აჰ ოროჰარიალი. სიჰჰაჰ ჰი არა, სროჰალ სიჰჰოლა, როჰალიჯ მოღის მოულოდენალ და გიჰილაჰა ერთ დაჰჰოჰი გაჰჰა და გიჰილაჰა უღარანსროს ნავიღას.**







# სტამბოლი – კონსტანტინოპოლი – ბიზანტიუმი

ნიკა ჩხიძე

## თარქაი თვითყოფილი არქიტექტურის კიბაში

ერთხელ უცხოელმა მეგობარმა ანთროპოლოგმა მითხრა, ძალიან მიკვირს, პარიზის შესახებ უფრო მეტი რომ იცით, ვიდრე უახლოესი მეზობლების – თურქეთის ან ირანის დედაქალაქების შესახებო.

კაცმა რომ თქვას, იგი მართალი იყო. ქართველებისთვის ევროპისა და, ზოგადად, ცივილიზებული სამყაროსკენ სწრაფვა იმდენად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ მთელი ჩვენი ყურადღება დასავლეთის დიდი ურბანული მეგაპოლისებისაკენ არის მიპყრობილი.

არადა, საქართველოსთვის თურქეთის და, განსაკუთრებით, სტამბოლის ფენომენი, ისევ და ისევ საკუთარი თვითმყოფადობის შესასწავლად, ძალზე საგულისხმო მაგალითია – არა მხოლოდ ამ ქვეყნის არქიტექტურა, არამედ ისიც, თუ როგორ შეძლო თურქეთმა თანამედროვე ურბანულ სამყაროში გამორჩეული ადგილი დაემკვიდრებინა – ეს საქართველოს არქიტექტურული განვითარებისათვის ძალზე საინტერესო პარალელებისა და ახალი გზების ძიების შესაძლებლობაა.

ძველი თბილისისა და სტამბოლის ქუჩებში სეირნობისას შეამჩნევთ, რომ ამ ორი ქალაქის ბევრი კუთხე თუ ურბანული დეტალი საოცრად ჰგავს ერთმანეთს.

**Perfect imperfection** (სრულყოფილი არასრულყოფილება) – ეს სტამბოლის მეტსახელია, რომელიც მას სწორედ არქიტექტურისა და ქალაქგეგმარების თავისებურების გამო შეერქვა.



ტასლივის ყაყის სახლი, სტამბოლი



მრავალფეროვნება სტამბოლის მთავარი ურბანული მახასიათებელია. სტამბოლი – კონსტანტინოპოლი – ბიზანტიუმი: ამ ისტორიული უწყვეტობისა და ქალაქის ადგილმდებარეობის ერთიანი ხასიათი კი მისი მრავალფეროვნების საფუძველია. მცირე მონაკვეთზე არქიტექტურული შედეგების კონცენტრაციასაც სწორედ ეს უწყვეტობა ქმნის.

თურქეთის განსახლების პრინციპი მომთაბარე ტომების დაბანაკების სისტემის მსგავსია. მთავარი იურტა ანუ სარაი, იგივე სასახლე, ბელადის სამყოფელია. მის გარშემო კონცენტრირებულად განლაგებულია იერარქიულად ზემდგომ მეთაურთა იურტები. ყველა იურტის პატრონის მიზანია, ცენტრალურ სარაისთან რაც შეძლება მიახლოებული იყოს.


ასევეა თურქეთიც. არის სტამბოლი და... სხვა დანარჩენი. ყველა თურქის ნატვრაა, სტამბოლში იცხოვროს. ამდენად, გასაკვირი სულაც არ არის ქალაქის ჰიპერტროფიული ანუ გადაჭარბებულად სწრაფი ზრდა და ხშირად ყოველგვარი პრივატული ხასიათის გარეშე ჩამოყალიბებული ახალი უბნები. ქალაქური, არამომთაბარე, ურბანული სედიმენტაცია თურქებს ნაკლებად ახასიათებთ. ამიტომაც უწყვეტობა: სტამბოლი – კონსტანტინოპოლი – ბიზანტიუმი ასე მნიშვნელოვანია თურქული არქიტექტურისათვის.

სტილებისა და მიმდინარეობების გადმოღება, ეკლექტიკა, აღრევა – ერთგვარი არაპარმონიული „სქაილიანი“ – დღევანდელი თვალსაწიერიდან ეს ყველაფერი გაცილებით აშკარა და ადვილად გასაგები ხდება.

თუმცა თურქი არქიტექტორებისა და მეცნიერების დიდი ხნის კვლევის მიზანი თვითმყოფადი ეროვნული არქიტექტურის ძიებაა, რაც თურქული სახლის, როგორც მოდელის, სამ ძირითად კომპონენტში აისახება.



სტამბოლში ყოფნისას ყველაზე მეტად „ჰილტონში“ დაბინავება მიყვარს. ალბათ იმიტომ, რომ, ზოგადად, დიდი სასტუმროები მხიბლავს. მომწონს ანონიმური სივრცეები, სადაც სამყაროს დინამიკას გრძნობ და შენი პიროვნულობა თითქოს ამ საერთო განურჩევლობასა და წარმავლობაში ითქვიფება.



ათათურქის სასელოების ბიბლიოთეკა, სტამბოლი



სედად ჰაკი ელდემი



სასტუმრო „ჰილტონი“, სტამბოლი

„ჰილტონის“ მოდერნისტული არქიტექტურა გასული საუკუნის 60-იანი წლების ინტერნაციონალური სტილისა და სასტუმროების კომპლექსის იმდროინდელი კონცეფციის კლასიკური მაგალითია. სრული დომინირება ლოკალურ გარემოში და, ამავე დროს, ნამდვილი განმარტოება იმ პერიოდის ტრენდი იყო. გლობალური სამყაროს მოგზაურისთვის სასტუმროს კომპლექსში ერთიანი მომსახურების სპექტრი უნდა მიეწოდებინათ, თანაც სხვა ადგილობრივი სერვისების გამოყენების გარეშე.

დღეისათვის ტრენდი შეიცვალა და სასტუმროები ადგილობრივ კულტურასთან სრულ ინტეგრირებას ცდილობენ. მართალია, „ჰილტონი“ ერთგვარი გამონაკლისია, მაგრამ, მიუხედავად სრული იზოლაციისა, ის მაინც სტამბოლის ამ ულამაზეს უბანში ცოცხლობს; ბეიოღლუსა და ნიშანთაშს შორის მოქცეული ლანდშაფტის „კურავებით“ სწორედ ამ გარემოშია ჩაქარგული. პროექტის ავტორი და განმხორციელებელია ფირმა „სომი“. ეს საუკუნოვანი ამერიკული კომპანია არქიტექტურის სფეროს მულტინაციონალური დინოზავრია. თუმცა არსებობს კიდევ ერთი არქიტექტორი, რომლის დამსახურებაც ადგილობრივ ლანდშაფტში ნაგებობის „რობილი“ ინტეგრირებაა.

სედად ჰაკი ელდემი თურქული არქიტექტურის იდენტობის შექმნის პროცესის ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა. იგი სტამბოლის ელიტის წარმომადგენელია და განათლება გერმანიასა და საფრანგეთში მიიღო. სამშობლოში დაბრუნებული ელდემი თურქული თვითმყოფადი არქიტექტურული ენის ძიებას მალევე შეუდგა. იმ გერმანელ არქიტექტორებს, რომლებიც, ძირითადად, თურქეთში მუშაობდნენ, იგი პოლემიკური შინაარსის ტექსტებით ეპაექრებოდა. 30-იან წლებში ელდემი წერდა: „ნაციონალური სტილის წარმოშობის სამი ფუნდამენტი არსებობს: ადგილობრივი კულტურა, აქაური მუშახელი და ინჟინრები, ეროვნული კონტექსტი (ადგილმდებარეობა, კლიმატი, მასალები).“





ბოსფორის სანაპირო

### ბოსფორის სანაპიროს ღიღუღიანობის კიბაში

30-იან წლებში ელდემმა, როგორც მეცნიერმა და მკვლევარმა, ბოსფორის სანაპიროზე მდებარე ოსმალური ელიტის სახლები შეისწავლა. მისმა ნახაზებმა, ანაზომებმა და სახელოვნებათმცოდნეო კვლევებმა რეაბილიტაციისა თუ აღდგენის პროცესში მრავალი პროექტის განხორციელებას შეუწყო ხელი. ელდემი დოღმაბაჰჩესა და ჩირალანის სასახლის რეკონსტრუქციამაც მუშაობდა. ბოსფორის სანაპიროს მნიშვნელობა მისი ძიებების ერთ-ერთ უმთავრეს თემად იქცა. ოსმალეთის იმპერიაში ელიტის საცხოვრებელი საუკეთესო სახლები თუ სასახლეები ხომ სწორედ ბოსფორის სანაპიროზე იყო განლაგებული. მოგვიანებით ელდემმა, ბოსფორის ოსმალური არქიტექტურის საუკეთესო ტრადიციებზე დაყრდნობით, რამდენიმე შესანიშნავი მაგალითი შექმნა.

სწორედ ეს კვლევები იქცა ელდემისათვის ერთგვარი ბიძგის საფუძვლად, რომ მას ტრადიციული თურქული სახლის ტიპოლოგია შეედგინა.

### ტრადიციული თურქული სახლი, როგორც მოდელი

50-იანი წლებიდან მოყოლებული, ელდემი თავის ნამუშევრებში ტრადიციული თურქული არქიტექტურისა და მოდერნიზმის შეკავშირებას იწყებს. პირველი მათგანი, გამორჩეულად, ვილეებისა და კერძო სახლების არქიტექტურაში ვლინდება, თუმცა აღსანიშნავია რამდენიმე პროექტი (განსაკუთრებით ზეირეკის სოციალური დაზღვევის საოფისე



ზეირეკის სოციალური დაზღვევის საოფისე შენობა, სტამბოლი

შენობა), რომელშიც იგი არა მხოლოდ ტრადიციული თურქული სახლის ტიპს იყენებს, არამედ მთელ „მაჰალეს“ ანუ სტამბოლის ტრადიციულ კვარტალს ქმნის. ამით ელდემი კონტექსტსა და გარემოს უსვამს ხაზს. ასევე აღსანიშნავია ტასლიკის ყავის სახლი, რომელშიც ტრადიციული თურქული არქიტექტურა მკაფიოდ ვლინდება.

50-იან წლებში ელდემი წერდა: „ნაციონალური არქიტექტურა არის ერთი ერის კულტურული პროდუქტი, ერისა, რომელიც სხვადასხვა რეგიონისა და ხალხისაგან შედგება“.

სედად ელდემის ტრადიცია თურქული არქიტექტურის გამორჩეულ ნამუშევრებში კვლავაც გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ გამაღებელი ურბანიზაციის პირობებში ქალაქმშენებლობის უსახური და უკონტექსტო განვითარების მაგალითებიც მრავლადაა.



სახლები ბოსფორის სანაპიროზე, სტამბოლი






# თანამედროვე მხარის კონსტრუქცია


## საქირინის მხარე

თურქეთში თანამედროვე რელიგიური არქიტექტურა არანაკლებ საინტერესო ფენომენია. მოდერნისტული მიდგომა მეჩეთებსაც შეეხო, რაც ძალზე გამორჩეული კულტუროლოგიური მოვლენაა. გამორჩეულია საქირინის მეჩეთი – Şakirin Camii, რომლის დახვეწილი ინტერიერის დიზაინის შემქმნელი ზეინებ ფადილიოღლუა – Zeynep Fadilloğlu. იგი პირველი ქალია, რომელმაც მეჩეთის დიზაინზე იმუშავა. ფადილიოღლუს ელევანტური ქმნილება მოდერნიზმის, ტრადიციული ორნამენტისა და სხვა სტილური დეტალების ნაზავია. რადგან მეჩეთის ინტერიერის დიზაინის შემქმნა საკმაოდ რთული პროცესია, ავტორი საგანგებო კომისიებისაგან ხშირად კონსულტაციებს იღებდა.




**„დიდი მხარის კვალი ყოფნისას საკუთარი სიხშირის განცდა გაუფრთხილდა... მე მხარისადა ყველა ელემენტი, რომელიც, ანაზა დროს, ტრადიციულს უკავშირდება, აღნიშნული მსახიბის მათვალისწინებითა და ერთგვარი სიტკბოთი მხარისადა, რათა მხარის დიდებულებით გამორჩეული უახლოვის მხარისადა ნაწილობრივ გააქარწყლებინა“.**

ზეინებ ფადილიოღლუ



## სანჯაქლარის მხარე

გამორჩეულად საინტერესოა ცნობილი თურქი არქიტექტორის, ემრე აროლატის (Emre Arolat) მიერ შექმნილი სანჯაქლარის, Sancaklar მეჩეთი. უდაბნოს ტიპის ლანდშაფტში აგებული შენობა გარემოს არაჩვეულებრივად ეთვისება და, შეიძლება ითქვას, მიწისქვეშა ნაგებობას წარმოადგენს. შორიდან შეხედვისას მხოლოდ ქვის კონსოლი თუ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენ წინაშე არქიტექტურული ქმნილებაა. ამფითეატრის კიბეები კი არქეოლოგიური ობიექტის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასკეტურია ინტერიერიც, რაც ღმერთთან მართო დარჩენისა და ლოცვის სიწრფელის აუცილებლობით არის განპირობებული. ბუნებრივი განათების ე. წ. „ჭები“ კი შიდა სივრცეს განსაკუთრებულ დრამატულობას სძენს. თანამედროვე თურქულ არქიტექტურაში მნიშვნელოვანი ძიებები სწორედ ტრადიციისა და ახალი ტრენდების შერწყმას ეფუძნება.







## ფეხბურთი



### ბიძინა ბარათაშვილი

ფეხბურთისადმი თურქების ფანატიკური დამოკიდებულებისა და სრულიად „ავადმყოფური“ სიყვარულის შესახებ ბევრი დაწერილა და მეც ბევრი წამეკითხა, მაგრამ ამ ფენომენთან უშუალო შეხება მხოლოდ 1994 წლის შემოდგომაზე მომიწია. შეგახსენებთ: ეს ის დროა, როცა თბილისის „დინამო“ ევროთასებზე საასპარეზოდ ვარსკვლავურ შემადგენლობას მოუყარა თავი და დროებით დაიბრუნა სამეზობლოში ფეტიშად ქცეული ტყუპი არველაძეები.

იმხანად „იბერვიზიის“ ეთერში მუდმივად გადაიცემოდა მათი „ტრაბზონსპორის“ თამაშების რეპორტაჟები თურქი კომენტატორების უწყვეტი ყიჟინის თანხლებით და პოპულარული დეჟინიცია „შოთა – აჩი შოუც“ პირველად მაშინ მოვისმინეთ...

უფას თასის გათამაშების პირველ წრეში „დინამომ“ რეზი არველაძის კინკილა გოლით შინ მინიმალურად აჯობა ავსტრიულ „ტიროლს“ (1-0) და საპასუხო თამაშისთვის 25 სექტემბერს შესრულებულ ჩარტერულ რეისზე ჟურნალისტებიც თან გვიახლა. მგზავრობა ვერ გამოდგა მთლად კომფორტული – ინსბრუკის ნაცვლად ჯერ ვენაში დაგვსვეს და რამდენიმე საათი უქმად დაგვაკარგვინეს, მერე კი სულაც მატარებლით გავგამგზავრეს იოდლის მხარეში...

თავადაც მიხვდებოდით, რომ ვენის აეროპორტის იატაკზე „მოკალათებულებს“, საღალბოდ არ გვეცალა და არც ავსტრიული „მასპინძლობით“ გახლდით აღფრთოვანებულნი... სწორედ ამ დროს შევამჩნიეთ შორიახლოს შეჯგუფული ახალგაზრდები, ინტერესით რომ გვადევნებდნენ თავს. მალე გამბედაობა მოიკრიბეს, მოგვიახლოვდნენ და ძმებ არველაძეებთან ფოტოს გადაღება გვთხოვეს. ტრაპიზონელები აღმოჩნდნენ, ევროპაში სამუშაოს საძებრად

ჩამოსულიყვნენ და მოულოდნელად თავიანთ კერპებს გადააწყდნენ. არასოდეს დამავიწყდება ამ პატარა ბიჭების ანთებული თვალები და ბედნიერი სახეები, როცა რეზიმ, შოთიმ და აჩიმ „საგვარეულო შოუ“ მოუწყვეს და დაღლილობის მიუხედავად დიდხანს პოზიორობდნენ დაფეხვილი ფოტოკამერების წინ...

მეორე დღეს, უკვე ალპურ ზონაში დაბანაკებულებს, ღამის გუნდური ვარჯიშის დროს, ღობეზე გადმომძვრალ ტრაპიზონელთა კიდეც ერთი ჯგუფი გვესტუმრა. იმათაც ფოტოსესია უნდოდათ, მერე თამაშსაც დაესწრნენ, შოთის გოლზეც ილრიალეს და ბოლო წამამდე გულმხურვალედ უქომავეს თბილისელებს, რომლებსაც, სამწუხაროდ, არაფერი ჰქონდათ საზეიმო – 1-5 წავაგეთ...

ანალოგიური ზეიმის მოწმე გავხდი 2004 წლის 4 სექტემბერსაც, როდესაც უკვე საკუთრივ ტრაპიზონში ადგილობრივმა პუბლიკამ ფეხზე მდგომმა მოუწყო ოვაცია „უსეინ ავნი აქერის“ მინდორზე გამოსულ შოთა არველაძეს და გონა ჯამარაულს (რომელიც ასევე იცავდა „ტრაბზონსპორის“ ღირსებას 1997-98 წწ. სეზონში) ფრედ დასრულებული სანაკრებო პაექრობის წინ...

ქართულ-თურქული საფეხბურთო ურთიერთობების შესახებ საუბრისას ვთქვათ ისიც, რომ სანაკრებო მატჩებში მეზობლები გვკობნიან (+3=1-), ჩვენ კი აქაც წარსულის მოგონებებით ვიმშვიდებთ თავს, როცა „დინამო“ ყოველწლიურ ამხანაგურ მატჩებში მუსრს ავლებდა იმავე „ტრაბზონსა“ და „ბურსასპორს“, ხოლო საბჭოეთის სახელით მოთამაშე ქართველები (მესხი, მეტრეველი, ჩოხელი, ასათიანი, კავაშაშვილი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ნოდია, დარასელია, გუცაევი, შენგელია, ჩივაძე და კეტაშვილი)



პროფესიულ გაკვეთილებს უტარებდნენ შემდგომში თურქეთის ნაკრების მწვრთნელებად დანიშნულ ფათიჰ თერიმსა და შენოლ გიუნეშს... მაგრამ ეს ყველაფერი 1960-1980 წლებში ხდებოდა, იქამდე თურქეთმა ორჯერ მოასწრო მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვება და ერთხელ, 1954 წელს მუნდიალზე იასპარეზა კიდევ მომავალი ჩემპიონისა (გფრ) და ფინალისტის (უნგრეთი) ჯგუფში. ამასთან, საკვალიფიკაციო ეტაპზე თურქებმა თვით ესპანეთი ჩამოიშორეს! 4 წლით ადრე კი მხოლოდ უსახსრობის გამო იუარეს შორეულ ბრაზილიაში ვოიაჟი და მოგებული საგზური „გახსუნეს“...

**ფხვართი ოსმალეთის იმპერიიდან, ისევე როგორც დაღესტნის ყვავა სხვა კუთხეები, ზრინადავება ჩინეთს. როგორც აზოვან, ჰირვანი სავრთხანეთი პატივების იმპერია ვაჭრებს რაზმარებით 1875 წელს სილიციური (დღევანდელი თესლონიკი), სადაც თაბახოსა და ზაბვის გადასახილად ჩასვლაზე, თურქი რაზმარები აღვიღებენ ბარქანის დახმარებას.**

გეოგრაფიულად დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ისტორიული პირველობა იმპირს უჭირავს. 1877 წელს აქ ინგლისელებმა ჯერ ოფიციალური თამაში ჩაატარეს, 1894 წელს კი პირველი კლუბი – Football Club Smyrna (იმპირის ძველბერძნული სახელი) წარუდგინეს პუბლიკას. მომდევნო წლიდან ფეხბურთი სტამბოლშიც გაიგნეს, აქაც ინგლისელებისა და ბერძნების დახმარებით. მერე ადგილობრივებიც მოვიდნენ იმტაზე, თუმცა კიცოტა ხნით: მათ მიერ დაარსებული კლუბი Black Stocking ანგარიშით 1-5 გაანადგურდა დაპყრობილ ბერძენთა კრებულთან, რამაც გუნდის დაშლა გამოიწვია – ადგილობრივ ოფიციალს ისედაც არ მოსდოდა თვალში ფეხბურთი და მარცხი ხომ საერთოდ მიუღებელი იყო... სხვათა შორის, სწორედ ამ დაშლილ გუნდში დაიწყო კარიერა ფუათ ხუსუნუ ქაიაჯანმა, რომელიც პირველ თურქ ფეხბურთელადაა მიჩნეული.

დამლილი კლუბიდან იგი ინგლისელი ჯეიმს ლაფონტინისა და ჰორას არმიტეჯის მიერ დაფუძნებულ Cadi Keuy FRC-ში გადავიდა და კლუბში ერთადერთი აბორიგენი იყო. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ასიმილაციის დასაჩქარებლად მან მეტსახელად „ბობი“ დაირქვა...

მოკლედ, 1905 წლამდე რეალური თურქული ფეხბურთი არ არსებობდა და „საკვირაო ლიგას“ (ასე იწოდებოდა ქვეყნის პირველი ჩემპიონატი) ისევ ინგლისურ-ბერძნული გუნდები (Elpis, FC Moda, Imogene FC) იგებდნენ. აი, 1905 წელს კი უკვე დღევანდელი „დიდი სამეულის“ პირველი წარმომადგენელიც დაფუძნდა – „გალათასარაი“, რომლის შექმნის გადაწყვეტილებაც ამავე სახელწოდების ლიგის შემსრულებელმა ლიტერატურის გაკვეთილზე მიიღეს!

1907 წელს სენ ჟოზეფის ფრანგულენოვანი სკოლის მოსწავლეებმა „ფენერბაჰჩე“ ჩამოაყალიბეს. რაც შეეხება „ბეშიქთაშს“, იგი ყველაზე ადრე, 1903 წელს გაფორმდა, მაგრამ წმინდა საფეხბურთო კლუბად მხოლოდ 10 წლის შემდეგ გადაიქცა!

სადღესოდ საფეხბურთო თურქეთს ბევრი მიღწევით შეუძლია იამაყოს: ქვეყნის ნაკრების ყულაბაში ინახება 2002 წლის მუნდიალის ბრინჯაო, ამავე სინჯის მედლები 2003 წ. კონფედერაციის თასზე და ევროპის 2008 წლის პირველობაზე; კლუბები მუდმივად მონაწილეობენ ევროტურნირებში, „გალათასარაი“ კი სულაც 2000 წ. უეფას თასისა და სუპერთასის გამარჯვებულია.

ცალკე თემა უცხოეთში მცხოვრები თურქები, რომლებიც მრავლად არიან ავსტრიის, შვეიცარიის, შვედეთისა თუ გერმანიის ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებში. გერმანიის თურქული დიასპორა იმდენად ძლიერია, რომ ერთი მხრივ, თურქულ გვარებს ბუნდესნაკრების ყველა ფორმაციის კრებულში ვხვდებით (მეშვეთ შოლი, მესუთ იოზილი, ემრე ჩანი, ილქაი გიუნდოგანი), მეორე მხრივ კი, გერმანიაში გამართულ ამხანაგურ სანაკრებო მატჩზე სტადიონზე მისულთა შორის თურქი გულშემამტკივარი მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ადგილობრივი!!!

**თურქული ფხვართის რაქონები**

**მომხრული ნაპრები**

**პირველი მატჩი:** 26.10.1923; თურქეთი – რუმინეთი 2-2

**სარეკორდო მოგება:** 7-0 (სირია 20.11.1949; სამხრეთ კორეა 20.06.1954; სან მარინო 10.11.1996)

**სარეკორდო წაგება:** 0-8 (პოლონეთი 24.04.1968; ინგლისი 14.11.1984; ინგლისი 14.10.1987)

**ყველაზე მეტი მატჩი:** რუმუთ რეჩებერი – 120

**ყველაზე მეტი გოლი:** ჰაკან შუქური – 51

**წაუგებელი სეზონი:** გალათასარაი (1985/86, 36 მატჩი), ბეშიქთაში (1991/92, 30 მატჩი)

**ყველაზე მეტი გატანილი გოლი სეზონში:** 105 – გალათასარაი (1962/63, 42 მატჩი)

**ყველაზე უხვგოლიანი მატჩი:** ფენერბაჰჩე – გაზინთესპორი 12-8 (1991/92)

**ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება:** ბეშიქთაში – ადანა 10-0 (1989/90)

**ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება:** ანკარაგიუჯუ – გალათასარაი 0-8 (1992/93)

**წაუგებელი სერია:** 48 მატჩი – ბეშიქთაში (1990/91 – 1992/93)

**წაუგებელი საშინაო სერია:** 90 მატჩი – ტრაბზონსპორი (1975/76 – 1981/82)

**წაუგებელი საგარეო სერია:** 40 მატჩი – გალათასარაი (1997/98 – 1999/2000)

**ყველაზე დიდი დასწრება ადგილობრივ თამაშზე:** 22.09.2013; ბეშიქთაში – გალათასარაი (76 127 მაყურებელი – Atatürk Olympic Stadium)

**ყველაზე დიდი დასწრება საერთაშორისო თამაშზე:** 31.07.2002; გალათასარაი – ოლიმპიაკოსი (79 414 მაყურებელი – Atatürk Olympic Stadium)

**ყველაზე დიდი დასწრება ნიტრალურ თამაშზე:** 25.05.2005; მილანი – ლივერპული (72 059 მაყურებელი – Atatürk Olympic Stadium)

**ყველაზე დიდი დასწრება საერთაშორისო თამაშზე:** 22.09.2013; ბეშიქთაში – გალათასარაი (76 127 მაყურებელი – Atatürk Olympic Stadium)

**ყველაზე მეტი მატჩი ლიგაში:** ოგუზ ჩეტინი – 503 (1981-2000)

**ლიგის საუკეთესო ბომბარდირი:** ჰაკან შუქური – 249 გოლი (289 მატჩში)

**ლიგის საუკეთესო ბომბარდირი (% მიჩვენებ-ლით):** ტანჯუ ჩოლაკი – 0,85 (240 გოლი 282 მატჩში)

**ლიგის საუკეთესო მწვრთნელი (ტიტულების რაოდენობით):** ფათიჰ თერიმი – 6

**ყველაზე მეტი ჩემპიონის ტიტული (კლუბი):** გალათასარაი

**ყველაზე წარმატებული კლუბი:** გალათასარაი (55 ტიტული: 53 საშინაო + 2 საერთაშორისო)

**ყველაზე წარმატებული მწვრთნელი:** ფათიჰ თერიმი (13 ტიტული: 12 საშინაო + 1 საერთაშორისო)





თეფში, მე-16 საუკუნის  
მეორე ნახევარი, იზნიკი

## ოქროს, ფაიფურის და ხაღის ტიტაზი

### სალომე დაუნაშვილი

ანატოლიის ველებზე მომთაბარე ტომების კარგებიდან ოსმალეთის იმპერიის დახვეწილ სამეფო კარამდე თურქულმა კულტურამ საინტერესო და მრავალფეროვანი გზა განვლო. ხელოვნების მრავალი დარგის აყვავების ხანა XVI საუკუნეს, ოსმალეთის იმპერიის განვითარებისა და სიძლიერის მწვერვალის ეპოქას ემთხვევა.

ალბათ არცერთმა იმპერიამ არ გამოიყენა განვითარებისთვის თავისი სიძლიერე ისე, როგორც ეს ოსმალეთმა შეძლო. იმპერიათა თამაშის წესი და დიდი ცდუნება დაპყრობილ ქვეყნებში საკუთარი კულტურის, გამოცდილების, რელიგიის დანერგვა იყო. ოსმალეთის იმპერია სხვა მეთოდით მოქმედებდა, რომლისთვისაც უმნიშვნელოვანესი ხარკის აღება იყო, იქნებოდა ეს ფინანსები თუ „სისხლის ხარკი“ (ამ უკანასკნელს მხოლოდ ქრისტიანული ქვეყნები იხდიდნენ). სამაგიეროდ ოსმალეთის იმპერიის კულტურამ სიამოვნებით შეითვისა, მიიღო და განავითარა ხელოვნების დარგები

თუ სხვადასხვა ხელობა დაპყრობილი ქვეყნებიდან. მთელ ცივილიზებულ სამყაროსთან ოსმალეთის სავაჭრო ურთიერთობებმა თავისი წვლილი შეიტანა ხელოვნების დარგების აყვავებაში. შედეგად იმპერიაში განვითარების ახალ მწვერვალებს მიაღწია ისეთმა დარგებმა, როგორიც იყო: ხალიჩების ქსოვა, კერამიკა, კალიგრაფია და საიუველირო საქმე.

ისლამი ადამიანის გამოსახვას კრძალავს და სწორედ ამიტომ ისლამური სახვითი ხელოვნება ორნამენტაციის გზით განვითარდა. ეს ტენდენცია, ცხადია, ოსმალეთის იმპერიის ხელოვნებასაც შეეხო. თოფქაფის სასახლეში ჩინური ფაიფურის უმდიდრესი კოლექცია ინახება. კონსტანტინოპოლის პორტში ყველა ქვეყნის გემი უშვებდა ღუმას და ჩინური ფაიფურიც ამ ქალაქში თავიდანვე სათანადოდ დააფასეს, სულთნებმა კი საუკეთესო ნიმუშების შეგროვებაც დაიწყეს. მალე ადგილობრივი წარმოებაც ჩამოყალიბდა.



## კერამიკა

თუ ადრეული პერიოდის თურქული კერამიკა გეომეტრიული ორნამენტებითა და ფერების შეზღუდული გამოთავი ცნობილი, XV-XIV საუკუნეების ფილები თუ ჭურჭელი არნახული დახვეწილობის ორნამენტითა და მდიდარი ფერთა გამოთავით გამოირჩევა. იზნიკსა და ქუთაშიაში კერამიკის წარმოების ახალ-ახალი სკოლები ფუძნდებოდა და ვითარდებოდა. სულთნის კარი ამ საქმიანობას პატრონაჟს უწევდა. მალე ლურჯ, ცისფერ და მწვანე კერამიკულ ნაწარმს და ფილებს ახალი ფორმები და ფერები შეემატა, თურქულ კერამიკაზე წითლად და იისფრად აყვავდა ტიტები და ჩიტებმა და სიცოცხლის ხეებმა კი ახალი, უფრო დახვეწილი ფორმები შეიძინა. თუ სპარსული კერამიკის ერთ-ერთი საყვარელი მოტივი ვარდი და ბუღბული იყო, თურქულზე ტიტა ლიდერობდა. თურქული ფაიფური არა მხოლოდ შესანიშნავი ორნამენტებითა და მკვეთრი ფერებით, არამედ მდგრადობითაც იყო ცნობილი. დღეს იზნიკის ფაიფურის საუკეთესო ნიმუშები თურქეთში არ ინახება, მაგრამ ათეულობით მეჩეთის კედლებზე ყვავის კვიპაროსების, ვარდების, ტიტებისა და მიხაკების ბალები.



იზნიკის ფაიფური, თოფქაფის სასახლე, სტამბოლი

## ხალიჩები

ანატოლიური, დღეს თურქულად წოდებული ხალიჩების მომთაბარე თურქული ტომების ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტი იყო. ქილიმებით კარავებს ფარავდნენ, ხალიჩებით კი იატაკს სიცივისგან იცავდნენ. ოსმალეთის იმპერიის გავლენისა და მასშტაბის წყალობით თურქული ხალიჩის ფენომენი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია მსოფლიოში. თურქულმა ხალიჩებმა, როგორც სიმდიდრისა და სილამაზის სიმბოლომ, რენესანსის ხანის ევროპელი მხატვრების ტილოებზეც კი შეაღწია.

ხალიჩები და ქილიმები შალის, ბამბის, ხანდახან კი აბრეშუმის ძაფით იქსოვებოდა. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ კონიასთან ახლოს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქილიმების ნაშთები ჩვენს წელთაღრიცხვამდე 7000 წლით თარიღდება.

თურქ-სელჩუკების ხალიჩების ექსპორტი XIII საუკუნეში უკვე ყვაოდა. ამის დამადასტურებელი არაერთი დოკუმენტური ცნობაა შემონახული, მათ შორის, მარკო პოლოს ჩანაწერები,

სადაც მოგზაური აქსარაიში დამზადებული ხალიჩების სილამაზეზე საუბრობს. ჩვენს დრომდე მოღწეული, კონიის მეჩეთში შემონახული უძველესი ხალიჩა სელჩუკების ხანის, XIII საუკუნის ნიმუშია. ამ პერიოდის თურქული ხალიჩები დიაგონალური, გეომეტრიული მოტივებით გამოირჩევა. მოგვიანებით პოპულარული ხდება მონოლოლების წყალობით ჩინეთიდან შემოტანილი მოტივი, ფენიქსისა და დრაკონის გამოსახულებები.

XVI საუკუნეში, სულიმან ბრწყინვალის ხანაში ოსმალეთის იმპერიამ აღზევების პიკს მიაღწია. დაპყრობილ ქვეყანათა რიცხვს სპარსეთიც დაემატა და სტამბოლი პოლიტიკური გავლენის ცენტრად იქცა. იმპერიის სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულ ხელობა ყვაოდა. ხალიჩების ქსოვის ხელოვნებით უმაქმა გაითქვა სახელი.

დახვეწილი, რბილი ფერთა გამა და რთული ორნამენტი თურქულ ხალიჩებს დღემდე კოლექციონერთა საოცნებო ობიექტად აქცევს.



ხალიჩა, მე-17 საუკუნე, ანატოლია



ხალიჩა, მე-13 საუკუნე, კონიის მეჩეთი





ევროპელი ელჩები თოფჯაფის სასახლეში, ოსმალური მინიატურა, თურქეთი, მე-17 საუკუნე

**მინიატურაში და კალიგრაფია**

მინიატურის ხელოვნებამ ოსმალეთის იმპერიაში არა მარტო სპარსული, არამედ ჩინური გავლენაც განიცადა. ევროპული სახვითი ხელოვნების ნიმუშებისგან განსხვავებით ისლამური მინიატურა მეტად მიდრეკილია დეკორატიულობისკენ და არ ისახავს მი-

ზნად ადამიანებისა თუ ნივთების ზედმიწევნით რეალისტურად გამოსახვას.

მინიატურები, ძირითადად, წიგნის ილუსტრაციები იყო, ამიტომ ამ მიმართულებამ კალიგრაფიასთან ერთად განიცადა განვითარება. ოსმალეთის იმპერიაში არაბულ ანბანს იყენებდნენ. ერთ მინიატურაზე ხშირად მხატვრების მთელი გუნდი მუშა-

ობდა. ადამიანის ფიგურებს ერთი ქმნიდა, ფონს – მეორე, კალიგრაფიის ნაწილს კი – მესამე, ამიტომაც უმეტეს შემთხვევაში ეს ნამუშევრები ანონიმურია. ოსმალეთის იმპერიაში მინიატურის ორი სკოლა მძლავრობდა.

პირველი სკოლის დაარსებას სულთან მეჰმედ მეორეს უნდა ვუმაღლოდეთ. ნაქაშანე რუმის სკოლა თოფჯაფის სასახლეში ჩამოყალიბდა და სულთანს ემსახურებოდა. მას შემდეგ, რაც XVI საუკუნეში ოსმალეთმა თავრიზი აიღო, სულთნის ბრძანებით, თოფჯაფში უამრავი სპარსული ხელნაწერი წიგნი გაიგზავნა, რასაც სტამბოლში მინიატურების მეორე, სპარსული სკოლის ჩამოყალიბება მოჰყვა.

პირველი სკოლის წარმომადგენლებს უფრო ოფიციალური დოკუმენტების გაფორმება ევალებოდათ, მეორე, სპარსული სკოლა კი სულთნების ყოველდღიურობას, ელჩების მიღების ცერემონიებს, ნადიმებსა და ნადირობის სცენებს ასახავდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა კალიგრაფიას, რომელიც ხელოვნების დონეზე იყო აყვანილი. მეჩეთების კედლებზე გამოყვანილი ყურანის სურები სულ უფრო და უფრო დახვეწილი ხდებოდა. იგივე ეხებოდა ხელნაწერ წიგნებსაც და ცალკეულ კალიგრაფიულ ნიმუშებსაც.



კალიგრაფიის ნიმუშები



ილუსტრირებული ყურანი, მე-16 საუკუნე, თურქეთი



## ოქრომჭედობა

„მარგალიტებისა და ზურმუხტების წყება, რომელიც მუხლებამდე ეშვებოდა, ინდაურის კვერცხისოდენა ბრილიანტით გვირგვინდებოდა“, – გაცხადებული წერდა მე-18 საუკუნეში ინგლისის ელჩი თურქეთში სულთნის ცოლის ყელსაბამის შესახებ.

აღმოსავლური სიმდიდრის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება – სამკაულები ოსმალეთის იმპერიის მმართველთა სისუსტე იყო. თოფქაფის სასახლის, კერძოდ კი, სულთნის განკარგულებაში 90 საიუველირო სახელოსნო იმყოფებოდა. სამკაულებს იმპერიაში მამაკაცები, ქალები და ცხენები ერთნაირი წარმატებით ირგებდნენ. ხშირად სულთნის საყვარელი ცხენის მორთულობა ყველაზე მშვენიერი ქალის სამკაულზე უფრო შთაბეჭდავი იყო.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სამკაული სულთნის კარზე ჩალმაზე დასამაგრებელი, ბუმბულით დაგვირგვინებული მოსართავი იყო, რომელიც თავის გარშემო ორ ან სამ წყებად აცმული ძვირფასი ქვების მწკრივით სრულდებოდა. ჰარამხანაში ქალები ასეთ მოსართავს სულთნისგან განსაკუთრებული სიმპათიის გამო იღებდნენ.

ქალების სიყვარული უბრალო ოქროს სამაჯურებისადმი, რომლებიც მათ ათობით ეკეთათ, კეთილხმოვანი წკრიალისა და ბზინვარების გარდა პრაქტიკული დანიშნულებითაც აიხსნებოდა: სამაჯურები ფულის დაბანდების საშუალება იყო. ქალს შეეძლო მთელი თავისი ავლადიდება ხელზე ჰკეთებოდა და ნებისმიერ მომენტში ფულად ექცია.

მსგავსი დანიშნულება ჰქონდა ძალიან პოპულარულ ყელსაბამებსაც, რომლებიც, ძირითადად, ოქროს მონეტებისგან შედგებოდა. მარგალიტის ან სხვა ძვირფასი ქვების რიგს ოქროს მონეტებს ურთავდნენ. ამ ყელსაბამის მიხედვით ქალის სტატუსისა და მატერიალური მდგომარეობის შესახებ შეგეძლო გემსჯელა.



ძვირფასი თვლებით მოჭედილი ოსმალური ხანჯალი, მე-18 საუკუნე



ოსმალური ოქრომჭედლობის ნიმუშები, მე-18 საუკუნე

KAŞIKÇI ELMASI  
86-კარატიანი, მსხლის ფორმის ბრილიანტი და 17,2 მრამხს იწონის.

KAŞIKÇI ELMASI მსოფლიოში არსებულ მისი სახეობის ყველაზე დიდი ზომის ბრილიანტებს შორის მეოთხე ადგილს იკავებს. ის თოფქაფის სასახლის მუზეუმში, სულთნის საბანძულის კოლექციაშია დაცული.



სულთნის საგანძური, თოფქაფის სასახლე

ოსმალურმა საიუველირო ოსტატობამ, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგებმა, მე-16 საუკუნეში მიაღწია განვითარების მწვერვალს და განუმეორებელი სტილით ჩამოყალიბდა. ოსტატები საიუველირო ნაწარმში ხშირად იყენებდნენ სხვადასხვა ფერად მეტალს, უფრო მეტად მიჰყვებოდნენ ძვირფასი ქვების ნატურალურ ფორმას, თვლების გამოყენების, ოქროს ან ვერცხლის შავად დაფერვის ხარჯზე მეტ სიღრმესა და რელიეფურობას ანიჭებდნენ სამკაულს.

მწვანისა და წითლის შეხამება, ყვავილოვანი მოტივები, ტიტის, ვარდის, შროშანის ფორმები დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ბეჭდების, საყურებისა და ყელსაბამების გარდა ოსმალეთის იმპერიაში ქალებისთვის ყველაზე პოპულარული სამკაული ქამარი იყო, რომელსაც წელზე ან თეძოებზე იკრავდნენ. მდიდრულად ორნამენტირებული, ძვირფასი თვლებით შემკული ვერცხლისა და ოქროს სარტყლების გარეშე ვერცერთი შეძლებული ქალი ვერ იქნებოდა მშვიდად.

საიუველირო ხელოვნება მხოლოდ სამკაულების შექმნით როდი შემოიფარგლებოდა – სულთნის კარზე ძვირფასი ქვებით მოოჭვილი იყო ყველაფერი, რასაც იმპერიის მბრძანებელი ეხებოდა: თასები, სურები, ჭიქები, ზარდახშები და, რაც მთავარია, იარაღი.

ხმლის ტარის გარდა მოვარაყება და მოსევადება თავად ფოლადზეც გადადიოდა. ასეთ ხმლებს, ცხადა, უფრო დეკორატიულ-რიტუალური, სააღლუმე დანიშნულება ჰქონდა, თუმცა ისინი თავის ფუნქციას შესანიშნავად ასრულებდნენ.





ორჰან ფამუქი, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა

# ზნაჩადი, რომელიც ქაღიან (არ) უყვარს

ლამა ბულაძე

ჯოისს უთქვამს, მწერალი, რომელიც ტოტალურად უყვართ თავის ქვეყანაში, ან მკვდარია, ან მატყუარაო. ალბათ ეს სიტყვები თავის ირლანდიელებზე განაწყენებულმა ჩაწერა, რაკი ვერაფერი გაუგეს მის განუმეორებელ „ულისეს“.

ამ სიტყვების თქმა თავისუფლად შეეძლო მწერალს, ვის გამოც ბევრმა ახლებურად და, საერთოდ, პირველი სიყვარულით შეიყვარა სტამბოლი, ქალაქი, რომლის მეღანქოლიურობისა და სილამაზის არსის კვლევის თუ აღწერის გამოც მას ნობელის პრემია მიენიჭა.

ორჰან ფამუქი ბევრს უყვარს მთელ მსოფლიოში, მაგრამ არც თუ ბევრს – თავის მშობლიურ ქვეყანაში, თურქეთში, რადგან ის ხშირად იმაზე მეტად კრიტიკული და ობიექტურია, ვიდრე „მასას“ შეუძლია ამის ატანა.

ბევრისთვის იგი სტამბოლელი მწერალია და ნაკლებად – თურქი, ის ელიტების მწერლად აღიქმება, ავტორად, რომელიც „დასავლეთისთვის“ წერს და არა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ისტორიულ ლაბირინთებში აბნეული თანამემამულეებისთვის.

მას სწოვრობისკენ მიიჩნევენ, მიუხედავად იმისა, რომ ფამუქი – რედიარდ კიპლინგის ცნობილი თემისი-განაჩენის საპირისპიროდ – მუდმივად ცდილობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი კულტურული თუ ფილოსოფიური ხიდების აგებას.

ამ ფატალურ კავშირებსა თუ დაუკავშირებელ დრამებს ეძღვნება მისი მთავარი რომანი – „მე მქვია წითელი“, სადაც თურქ მხატვრებს მხოლოდ იმის გამო კლავენ, რომ მათ სივრცობრივ-ვიზუალური პერსპექტივა გააჩინეს აღმოსავლურ მინიატურებში და ტრადიციული აღმოსავლური „უპერსპექტივობა“ პოსტრენესანსულ-ევროპული „პერსპექტივობით“ გაამრავალფეროვნეს.

როცა ფამუქზე ვფიქრობ, ვლადიმერ ნაბოკოვის შეფასება მასხენდება ლევ ტოლსტოის შესახებ, რომელიც ამ მწერლის სიდიადეს საბოლოოდ იმიტლა ხსნიდა, რომ უბრალოდ შეუძლებელი იყო მისი ტექსტებისგან მოწყვეტა – ტოლსტოის რომანებს არა რაიმე აუცილებლობის, მნიშვნელოვნების ან „ვალდებულების“, არამედ გაუღვეველი ინტერესის და სიამოვნების გამო ვერ ვეღვეითო.

ჩემთვის ტოლსტოის „საიდუმლოს“ მფლობელია ფამუქიც: მისი წიგნების კითხვა – თუნდაც გაწეილებების – ყოველთვის საინტერესო და სასიამოვნოა.

ის კიდევ ერთი (შესაძლოა ვილაცისთვის მეტისმეტად ინფანტილური ან არააკადემიური) თვისებით გამოირჩევა სხვა ცნობილი და თანამედროვე რომანისტებისგან: ფამუქი საყვარელი მწერალია, უფრო სწორად, გვესაყვარლება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, როცა დიდი მწერლის საყოველთაო პოპულარობაზე ვსაუბრობთ. შესაძლოა აღტაცებულები ვიცით მიშელ უელბეკის ტალანტითა და სასტიკი ფანტაზიით,



გავგაოგნოს და სამუდამოდ მოგვაჯადოოს საღმან რუშდის ეპიკურობამ და უნივერსალურმა გენიალურობამ, შოკში ჩავგავადოს ელფრიდ იელინეკის კათარტულმა ცინიზმმა და შეუბრალებელმა სიშიშვლემ, მაგრამ ამათგან განსხვავებით ფამუქს კიდევ აქვს რაღაც, რაც უფრო მეტად გვაახლოებს მასთან: სწორედ ეს – სიახლოვის შეგრძნება, განცდა, რომ ის ჩვენგან – მკითხველებისგან – შორს არ არის და ზუსტად ის (და ისე) აბედნიერებს ან ასევდიანებს, რაც (და როგორც) ჩვენ – მის მკითხველებს.

ამ კუთხით ანუ სისაცვარლით და ახლოს მოსვლის უნარის ფლობით კიდევ ორ მოქმედ მწერალს გამოვარჩევდი ფამუქთან ერთად: მართო ვარგას ლიოსას და მილან კუნდერას, რომელთა წიგნებს – უპირველეს ყოვლისა – სიამოვნების გამო ვკითხულობთ, ამ სიტყვის ნაბოკოვისეული გაგებით.

ფამუქის საუკეთესო რომანების ჩემეული ოთხეული ასეთია:

1. „მე მქვია წითელი“
2. „თოვლი“
3. „სტამბოლი“
4. „წითელთმიანი ქალი“

ბოლო რომანით – „წითელთმიანი ქალი“ ფამუქმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა ის ძველი სიბრძნე, რომ კაცობრიობა სინამდვილეში ერთსა და იმავე ამბავს ჰყვება, მაგრამ უცნაური და გამაოგნებელი სწორედ ისაა, ვინ როგორ ჰყვება ამ ამბავს: თუნდაც ოიდიპოსის მითს – მამის მკვლელობასა და შუენგნელი ინცესტის ფატალურ ტრაგედიას, რომელსაც მწერალი უჩვეულო და დამაფიქრებელი კუთხით წარმოაჩენს თავის ახალგამოსულ რომანში.

მართალია, არ მიყვარს ამგვარი სენტიმენტალური და ზერე-ფე შეფასებები, მაგრამ უნდა გავიმხილოთ, რომ თავად ფამუქი ძალიან ჰგავს თავის პერსონაჟებს, განსაკუთრებით კი პოეტ კას „თოვლიდან“. ყოველ შემთხვევაში, როცა თბილისში ჩამოსვლის დროს შევხვდი ჩემს კოლეგებთან ერთად, ის ისეთივე დაბნეული, საკუთარ თავში წასული (უფრო სწორად კი, ჩაკარგული) და მძიმე მომეჩვენა, როგორც კაა მელანქოლიურ ყარსში ჩასვლისას.

ეს თავიდანვე ჩანდა, რომ მას გარკვეული ძალისხმევა სჭირდებოდა, რათა „ინტროვერტული მდგომარეობიდან“ გამოსულიყო. მწერალი მთლიანად საკუთარ თავსა და სამყაროში იყო წასული, ან საერთოდაც ახალ რომანში, რომელსაც, სავარაუდოდ, თბილისში ჩამოსვლის დროსაც წერდა („ჩემს უცნაურ ფიქრებს“ ან უკვე „წითელთმიანი ქალს“). ის ტაქტით და პატივისცემით გვეპყრობოდა, მაგრამ არც თუ დიდი ინტერესით, რადგან ჩვენნიანი ალბათ მილიონი ხვდებოდა ასეთ თუ სხვანიან კოლეგიალურ ვახშმებზე.

რაც ვნახე, მხოლოდ ორჯერ ანთო თვალები ცნობის-მოყვარეობისგან: პირველად, როცა უაბროდ გავიხუმრე, რომ მის ავტოგრაფს ვილაგ ბრაზიანი ქალი ითხოვდა („მართლა ბრაზიანია? რატომ გაბრაზდა?“ – მკითხა) და მეორედ, როცა არ მახსოვს, რატომ, მაგრამ ვილაგამ უელბეკი ახსენა: „უელბეკი ჭკვიანი მწერალია, – თქვა, – ძალიან ჭკვიანი“. მეტი არაფერი. ვილაგ ქალი კი მართლა აქტიურად ითხოვდა მის ავტოგრაფს, ოღონდ რაკი თავს უხერხულად გრძნობდა, სირცხვილს ფამილარობით მალავდა და რაღაცნაირად უზრდელო-ეგზალტირებულად იბრძოდა ფამუქის ხელ-მოწერისთვის: „ვაიძე, არ შეიძლება, რომ მომიწეროს ხელი?! რა მოუვა?!“

ფამუქი ისედაც შთაბეჭდილების ქვეშ იყო ავტოგრაფის მომლოდინეთა უგრძელესი რიგის დარღვევის გამო, რასაც

მანამდე თითქმის ათწუთიანი ლექცია მიუძღვნა – როგორ უნდა დამდგარიყენენ ავტოგრაფის მთხოვნელები, ვის და რამდენ ასისტენტს უნდა სჭეროდა გადაშლილი წიგნი და, ზოგადად, რამდენი დრო უნდა წაეღო წიგნებზე ხელის მოწერას, – და ახლა კიდევ ახალი, „გაუთვალისწინებელი“ მკითხველი აღმოცენებულიყო ხმაურიან ქართულ რესტორანში. მაშინ ნათლად გავაცნობიერე, თუ როგორ შეიძლებოდა დალილიყო მსოფლიო ბესტსელერების ავტორი დაუსრულებელი ავტოგრაფების გაცემის დროს.

„თუკი 1000 კაცი მოვა, ავტოგრაფების გაცემას 30 წუთში მოვახერხებთ, – უთქვამს მისი საღამოს ერთ-ერთი ორგანიზატორისთვის, – თუკი მეტი ხალხი მოვა, სიტუაციის გააზრება მოგვიწევს“. რუსთაველის თეატრში, სადაც მასთან გაიმართა შეხვედრა, ათას კაცზე მეტი მოვიდა და რიგიც ხელადავ აიშალა (რომელი რიგი დაუცავთ საქართველოში, ფამუქისთვის რომ დაეშვათ გამონაკლისი), შესაბამისად, მწერალს – პირდაპირი მნიშვნელობით – გაქცევა დასჭირვებია გასასვლელისკენ, სადაც, თუკი იმ საღამოს აპოკრიფულ ლეგენდებს ვენდობით, ერთი მთვრალი რეჟისორი გადალობებია წინ და რუსულად მიუმართავს მისთვის: „ა პოჩემუნი დოლოტე ავტოგრაფ ვაშიმ ჩიტატელიამ?“ შეშინებული ფამუქისთვის ძლივს მიუგნიათ ყოფილი „ქიმეიონის“ კატაკომბებში. თუმცა მისი წამება ამით არ დასრულებულა: რესტორანში სადისტურად ხმამალლა ბლაოდნენ ძველი ქართული წესისამებრ („გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო!“) და მხოლოდ მას შემდეგ გადაერთნენ შედარებით ხმადაბალ რეპორტუარზე („დარკვეთელო ქალო, რა დიდგულა ხარო“), როცა ქართულმა გამოცემელმა ფამუქს ხელსახოცებზე დაატოვებინა მომღერლებისთვის განკუთვნილი ავტოგრაფები.


ეს ბოლო მე მოვიგონე, მაგრამ არსობრივად ბევრი არაფერი შემიცვლია, რადგან ერთი რამ აშკარა იყო, რომ საყვარელი მწერლის ჩვენ შორის ყოფნამ უცნაურად ალგვავგზნო და დაგვავბინა, გაპრანჭვა მოგვანდომა მასთან (ხინკლის მოხვევაც კი სთხოვეს, რაზეც ზრდილობიანად თქვა უარი) და ემოციების ფრქვევის კუთხით თითქმის იმგვარივე მდგომარეობაში ჩავგავადო, როგორშიც სამყაროს პირველი მითოლოგიური მწერლის თავყანისმცემლები ჩაცვივდნენ, როცა ფამუქივით სევდიანი ორფეოსი მრავალ ნაწილად დაგვიფაქს სყვარულისგან. ერთი ესაა, ორფეოსისგან განსხვავებით ფამუქი მშვიდობიანად დავუბრუნეთ მის მშფოთვარე და სევდიან სტამბოლს.



ორჰან ფამუქი უმანკოების მუზეუმში, სტამბოლი

Copyright © 2014 The Museum of Innocence. All rights reserved.





# ALLA TURCA

## პეტიტორიდან მოცარტამდე და პეპლი

### კანა თოლორდავა

მუსიკა ომში ძალიან ადრე წავიდა. უფრო ზუსტად, ომში ჯერ ცალკეული ინსტრუმენტები „წაიყვანეს“, ძირითადად, დასარტყამი და ჩასაბერი. მათ სამი რამ ევალებოდათ: წესრიგის დამყარება და კოორდინაცია ჯარების გადაადგილებისას, კომუნიკაცია საჯარისო ნაწილებს შორის და მტრის ფსიქოლოგიური დათრგუნვა.

„ბჰაგავატიტაში“ კურუშეტრას დიდი ბრძოლის დაწყებამდე სწორედ ნიჟარების, დოლების, ბუკების, საყვირების და რქების მეშვეობით აშინებდნენ ერთმანეთს პანდავების და კურუს დინასტიების მეომრები, ხოლო ვერძის რქის საყვირების ხმამ იერიქონის კედელი ჩამოაქცია, ალბათ უფრო ალევგორიულად, მაგრამ მაინც.

ასევე იქცეოდა მუსიკა და მუსიკალური ინსტრუმენტები ანტიკურ საბერძნეთში, ძველ რომში, ბიზანტიაში, ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ჩინეთში, ინდოეთში, ყველგან. ისინი ამყარებდნენ წესრიგს, აგულიანებდნენ მეომრებს, ადიდებდნენ ღმერთებს და გმირებს ბრძოლის წინ და შიმშილს, სცემდნენ მოწინააღმდეგეებს.

მოკლედ, ომს უყვარდა მუსიკა, მუსიკასაც შეუყვარდა ომი და მათი ეს ურთიერთობა საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა.

ისინი ერთად ვითარდებოდნენ, იცვლიდნენ სახეს და ბგერას, ზოგჯერ ცოტა ხნით ემდურებოდნენ კიდევ ერთმანეთს, მაგრამ მერე კვლავ რიგდებოდნენ და კვლავინდებურად ჰარმონიულად თანაცხოვრობდნენ. არავინ იცის, რამდენი მეომარია დაღუპული დოლების ბრაგაბრუსსა და ჩასაბერი ინსტრუმენტების ჭყვიტინ-ჭყვიტინში. ისიც არავინ იცის, რამდენ მეომარს გადაადგმევინა გაბედული ნაბიჯი ომში წასული მუსიკალური ინსტრუმენტების კვიჩნამ.

მერეკიმობდას, რაც უკვე ყველამ ვიცით: ომის ხვანაირი გახდა, მალატექნოლოგიური, უფრო დამანგრეველი, დისტანციური, ხმამალალი და როდესაც გაირკვა, რომ ომი და მუსიკა ერთად საბრძოლველად ვეღარ ივლიდნენ, მაინც ვერ შეელივნენ ერთმანეთს და ომმა მუსიკას შესთავაზა, დარჩენილიყვენ ერთად, ოღონდ ცალ-ცალკე ეცხოვრათ. ასე შეიძინა სამხედრო მუსიკამ ცერემონიალურ-რიტუალური მდგომარეობა.



როგორც ამბობენ, ყველა მნიშვნელოვან არმიას თავისი მუსიკალური ბგერა და რიტმული სტრუქტურა ჰქონდა. ხშირად ამა თუ იმ არმიის მეომრები იმდენად იხიბლებოდნენ მოწინააღმდეგე არმიების მუსიკალური ხმოვანებით, რომ უმაღლესი თავისთვის ირგებდნენ მოსმენილს.

ჯვაროსნული ლაშქრობების დროს ახლო აღმოსავლეთში ჯვაროსნები იმდენად მოხიბლა სარკინოების „მუსიკალურმა წესრიგმა“, რომ სასწრაფოდ გაითავისეს უცნობი მუსიკალური სტრუქტურები, ინსტრუმენტები და მათი მოხმარების პრაქტიკული პრინციპები.

ამ პრინციპებზე თავის „ომის ხელოვნებაში“ უკვე მაკიაველიც კი წერდა და მე-16 საუკუნის დასაწყისში, როდესაც ეს შრომა შეიქმნა, მას, წესით, უკვე უნდა სცოდნოდა – შეიძლება ყურმოკრულად – იანიჩარების, ოსმალეთის იმპერიის არმიის ელიტარული ქვეითი დანაყოფების შესახებ, თუნდაც იმიტომ, რომ იმ დროისათვის ევროპული არმიების „მუსიკალური არსენალი“ იანიჩარების სამხედრო მარშების საგრძნობი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ამ არმიის დიდება მთელ ევროპაში ქუხდა და მისი ტრადიციები ჯერ კიდევ მე-13 საუკუნიდან მყარდებოდა და იხვეწებოდა. იანიჩარების რიგები ომებში დატყვევებული ან მოტაცებული ქრისტიანი ახალგაზრდებით ყალიბდებოდა და ივსებოდა – ძირითადად, ბერძნებით და ალბანელებით, მაგრამ ოსმალეთის იმპერიის გაფართოებასთან ერთად იანიჩარების დანაყოფებში გაჩნდნენ ბულგარელები, სომხები, ხორვატები, სერბები, სომხები და უნგრელები, მოგვიანებით კი, თუმცა იშვიათად, ქართველები, უკრაინელები, რუსები და რუმინელები.

ამ არმიის მტერზე ფსიქოლოგიური ზეწოლის ტექნიკას, ყველაფერთან ერთად, მუსიკალური ინსტრუმენტების მთელი არსენალი უმაგრებდა მხარს. ერთ-ერთი უცნობი ისტორიკოსის თქმით, როდესაც 1453 წელს მეჰმედ II ფათიხის არმიამ იერიში მიიტანა კონსტანტინოპოლზე, „იანიჩარების ინსტრუმენტების ხმაურმა მთლიანად ჩაახშო ქალაქის ზარების ხმა, რომლებიც საბრძოლველად უხმობდნენ მეომრებს“.

მეპთერები – ასე უწოდებდნენ სამხედრო მუსიკოსებს ოსმალეთის იმპერიაში – იმდენად კარგად გაწვრთნილი და ორგანიზებული ჯგუფი იყო, რომ ბრძოლის ველზე სწორედ მათი მეშვეობით ხერხდებოდა არმიის ქვედანაყოფების შეუცდომელი მანევრები და ითვლებოდა, რომ სანამ ისინი უკრავდნენ, არმიის ყველა ქვედანაყოფი დაგეგმილ ბრძოლის წესრიგს მიჰყვებოდა.

სიტყვა „მეპთერი“ სპარსულ „მაჰითერს“ ეფუძნება და ახალ ნახევარმთავარეს ნიშნავს. ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობა, აგრეთვე სპარსულ „მიჰთერზე“ დაყრდნობით, ქვეითი ჯარისკაცია. თურქულად სიტყვა „მეპთერან“ მეპთერების სახლს ნიშნავს და დღეს ამ სიტყვით იანიჩარების სამხედრო დანაყოფებში შემავალი ორკესტრები მოიხსენიება. მეპთერების პირველი ორკესტრი, სავარაუდოდ, 1299 წელს ჩამოყალიბდა, როდესაც ოსმანთა სახელმწიფოს დამაარსებელ ოსმან I-ს რუმის სულთანმა ქეი-ყუბად III-მ საჩუქრად დაფაფი მთართვა მისი ბეგობის აღსანიშნავად. ოსმალეთის იმპერიაში მეპთერების ორკესტრის ყოლა

**ამეპთერები – ასე უწოდებდნენ სამხედრო მუსიკოსებს ოსმალეთის იმპერიაში – იმდენად კარგად განვითარდნენ და ორგანიზებული ჯგუფი იყო, რომ ბრძოლის ველზე სწორედ მათი მეშვეობით ხერხდებოდა არმიის ქვედანაყოფების შეუცდომელი მანევრები და ითვლებოდა, რომ სანამ ისინი უკრავდნენ, არმიის ყველა ქვედანაყოფი დაგეგმილ ბრძოლის წესრიგს მიჰყვებოდა.**

დიდ პატივად ითვლებოდა. სულთნის სამეფო მეპთერების გარდა არსებობდნენ პრემიერ-მინისტრის, გენერალ-გუბერნატორის და იანიჩარების მეთაურების მეპთერები. მათი დაქირავება სხვადასხვა ცერემონიაზე იყო შესაძლებელი – ალღუმებზე, დღესასწაულებზე, ქორწილებში, დიპლომატიურ შეხვედრებზე, ომისთვის მზადების პერიოდში თუ ოფიციალურ მიღებებზე. აქედან მოდის ამ ორკესტრების ცერემონიალური დანიშნულებაც.

როგორც ამბობენ, სამეფო მეპთერების ორკესტრი უკრავდა მაშინაც კი, როდესაც სულთანი წვერს იპარსავდა. შესაბამისად, მეპთერების ინსტრუმენტული (ინსტრუმენტებს მათთვის, სულ ცოტა, 100-150 ხელოსანი ამზადებდა, ძირითადად, ბერძნები და სომხები) შემადგენლობა განსხვავდებოდა ბრძოლის ველზე და სხვადასხვა ცერემონიის დროს.

ბრძოლის ველზე მეპთერების ინსტრუმენტული არსენალი, ძირითადად, დასარტყამი და ჩასაბერი ინსტრუმენტებით იზღუდებოდა, მაგალითად, ორი უზარმაზარი დაფდაფისგან







შემდგარი კოში, რომელზეც ჯოხებით უკრავდნენ, შეიძლება სპილოზე, აქლემზე ან რომელიმე ცხოველზე ყოფილიყო გადაკიდებული, თუმცა დასარტყამი ინსტრუმენტების სია ამით არ ამოიწურებოდა: მეჭთერები ომში ნაკარებს (მომგრო ზომის დაფდაფები), ზილებს (ციმბალები) და დავულებს (ცილინდრის ფორმის დაფდაფები) დაატარებდნენ (ალბათ ამიტომაცაა, რომ მეჭთერანს ზოგჯერ დავულჰანესაც უწოდებდნენ, რაც „დასარტყამი საკრავების სახლს“ ნიშნავს).

ჩასაბერებიდან მეჭთერების აუცილებელ არსენალს ზურნა და ბორუ (საყვირი) შეადგენდა. ცერემონიების დროს ამ შემადგენლობას ბევრი სხვა ინსტრუმენტი ემატებოდა. ამ დროს, როგორც წესი, მეჭთერები ნახევარწრეში იდგნენ ნაკარებს დამკვრელების გარდა, ხოლო უზარმაზარი კოში ნახევარწრის შუაგულში თავსდებოდა და მისი გამოყენების უფლება მხოლოდ სამეფო მეჭთერების ორკესტრს ჰქონდა.

თითოეულ ინსტრუმენტულ შემადგენლობას თავისი ხელმძღვანელი ანუ ალაჰყავდა, სრულ ორკესტრს კი – ერთი დირიჟორი. მათი მუსიკა ოსმალური ხანის თურქული ხალხური მუსიკის ელემენტებს ეფუძნებოდა, მკაცრად განსაზღვრულ პრინციპებს, სადაც ყველაზე თვალშისაცემი ამ მუსიკის მონოფონური ტექსტურები, არათანაბარი მეტრი და სპეციფიკური კილოკავები იყო.

მათი რეპერტუარი, მიუხედავად იმისა, რომ თავად მუსიკა საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, საკმარისი იმისთვის, რომ ოსმალური მუსიკალური სამყაროში გაჩენილიყო ტერმინი – Alla Turca (თურქულ სტილში). ამ ყველაფერთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით მეჭთერების ამჯერად უკვე ცერემონიული მუსიკისათვის ბევრი მნიშვნელოვანი თურქი კომპოზიტორიც წერდა მუსიკას. ერთ-ერთი ყველაზე ძველი მეჭთერული მარში მე-16 საუკუნით თარიღდება, რომლის ავტორიც ნეფიზი ბერჰამია. მეჭთერების მუსიკამ, მათმა მარშებმა, უამრავ ბრძოლაში მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის, ევროპულ კამპანიებშიც, თუმცა ეს მუსიკა ევროპული ქვეყნების სასახლეების კარზეც ისმოდა ხოლმე სამხედრო და დიპლომატიური მოლაპარაკებების თუ შეხვედრების დროს. 1826 წელს სულთანმა მაჰმუდ მესამემ



**ოს უყვარდა აუსიკა, აუსიკასაც  
აუყვარდა ომი და ათი ეს  
ურთიერთობა საუკუნეების  
განმავლობაში გრძელდებოდა. ისინი  
ერთად ვითარდებოდნენ, იცვდილენ  
სახეს და გზას, ზოგჯერ ცოტა ხნით  
ეძღვრებოდნენ ჯილდვ ერთმანეთს,  
აბრუნდნენ ახლად რიგდებოდნენ  
და ავღვივდებოდნენ ჰერმონიულ  
თანაცხოვრობდნენ.**

(სხვათა შორის, მისი პერიოდის სამეფო ორკესტრის მთავარი ხელმძღვანელი გაეტანო დონიცეტის ძმა ჯუზეპე ფაშა დონიცეტი იყო!) იანიჩარების კორპუსი საბოლოოდ გააუქმა. ამის მიზეზი იანიჩარების მხრიდან აჯანყების არა ერთი და ორი მცდელობა იყო, მაგრამ ამ დროისათვის ამ კორპუსის და მათი მძლავრი მუსიკალური ელემენტის პოპულარობა უკვე მთელ ევროპას მოსდებოდა.

მეჭთერების დაფდაფების და ზურნების მძლავრი ხმაური ვენის მაცხოვრებლებმა ჯერ კიდევ 1529 წელს, ოსმალეთის არმიის პირველი წარუმატებელი კამპანიისას მოისმინეს. ამავე არმიის უკანასკნელი კამპანია ავსტრიაში 1683 წელს კვლავ წარუმატებელი გამოდგა და სწორედ აქედან იწყება ოსმალეთის მძლავრი იმპერიის ჩასვენების პერიოდიც, ჰაბსბურგების დინასტიის მომძლავრება და ავსტრიის კულტურული ცხოვრების აღმავლობა.





კონფლიქტი ავსტრიასა და ოსმალეთს შორის კიდევ წლებს განმავლობაში გაგრძელდა, მაგრამ 1781 წლისათვის, როდესაც ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი ვენაში ჩავიდა, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის იმპერიის და მისი უძლეველი არმიის მითი კვლავაც საკმაოდ მყარად არსებობდა, რეალურად ეს იმპერია „ქალაქის ვეფხვი“ იყო და სხვა არაფერი. ამის მიუხედავად მეჭთერების მარშები ისევ ხიბლავდა ძალიან ბევრ ხელოვანს, მათ შორის, მუსიკოსებსაც, თანაც იმდენად, რომ ბევრ დასავლელ კომპოზიტორს მოანდომა Alla Turca მუსიკის შექმნა.

დღეს ბევრს დავობენ იმის შესახებ, მოსმენილი ჰქონდა თუ არა მოცარტს მეჭთერების ორკესტრისთვის. ბევრს მიაჩნია, რომ არა, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ირწმუნებიან, რომ მოცარტს შეეძლო მეჭთერების მოსმენა ვენაში ოსმალების ერთ-ერთი დიპლომატიური მისიის დროს, ვინაიდან ოსმალეთის დიპლომატთა გარკვეული ნაწილი, როგორც წესი, საკუთარ მეჭთერების ორკესტრთან ერთად მოგზაობდა.

**მოცარტის „თურქული მარში“, მისი მე-11 საფორტეპიანო სონატის მე-11 ნაწილი, აღზატ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მავალითია იმ გავლენისა, რომელიც მეჭთერების მარშებმა იქონია დასავლელ კომპოზიტორებზე. მოცარტი ერთადერთი არაა, ვინც მეჭთერების გავლენით იყენებდა თურქული მუსიკის ელემენტებს თავის ზოგიერთ ნაწარმოებში. მეჭთერების მუსიკის ელემენტებს (ეს შეიძლება ყოფილიყო მარტივი, ყურმოკრული იმიტაცია ან უფრო სიღრმისეული მცდელობები) სხვადასხვა დროს იყენებდნენ ცეზარ ფრანკი, ჟან ბატისტ ლული, ჟან ფილიპ რამო, კრისტოფ ვილიბალდ გლუკი, იოჰან მიქაელ ჰაიდნი, ფრანც იოზეფ ჰაიდნი, ფრანც კრისტოფ ნაუბაუერი, იოზეფ სტარცერი, კარლ მარია ფონ ვებერი და ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი.**

ასეა თუ ისე, მოცარტის „თურქული მარში“, მისი მე-11 საფორტეპიანო სონატის მე-11 ნაწილი, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მავალითია იმ გავლენისა, რომელიც მეჭთერების მარშებმა იქონია დასავლელ კომპოზიტორებზე. მოცარტი ერთადერთი არაა, ვინც მეჭთერების გავლენით იყენებდა თურქული მუსიკის ელემენტებს თავის ზოგიერთ ნაწარმოებში. მეჭთერების მუსიკის ელემენტებს (ეს შეიძლება ყოფილიყო მარტივი, ყურმოკრული იმიტაცია ან უფრო სიღრმისეული მცდელობები) სხვადასხვა დროს იყენებდნენ ცეზარ ფრანკი, ჟან ბატისტ ლული, ჟან ფილიპ რამო, კრისტოფ ვილიბალდ გლუკი, იოჰან მიქაელ ჰაიდნი, ფრანც იოზეფ ჰაიდნი, ფრანც კრისტოფ ნაუბაუერი, იოზეფ სტარცერი, კარლ მარია ფონ ვებერი და ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი.

რა თქმა უნდა, დასავლეთის ქვეყნებისათვის სამხედრო მუსიკის ელემენტები მეჭთერებამდეც ცნობილი იყო, მუსიკალური ინსტრუმენტები ომში იქაც მიჰქონდათ, მაგრამ ნებისმიერი დასავლური სამხედრო ორკესტრის საწყისებს მაინც სწორედ მეჭთერებთან მივყავართ. მაგალითად, ითვლება, რომ ფრანგებს ერთ-ერთი პირველი რეგულარული სამხედრო ორკესტრი ჰყავდათ ევროპაში, ჟან ბატისტ ლულის მიერ შეკრული ორკესტრი, რომელიც მხოლოდ ჰაბსბურგულ უკრავდა. დღეს უცნობია, რა სახის მუსიკას ასრულებდა ეს ორკესტრი, მაგრამ თუ შევხედვით მის მივიღებთ იმას, რომ ლულიმ ის ლუი XIV-ის თხოვნით შექმნა, მაშინ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მან კარგად იცოდა „მეფე მის“ სისუსტე თურქული მუსიკის მიმართ.



*თურქეთში მოგზაურობისას მეჭთერების ორკესტრის მოსმენა სტამბოლის სამხედრო მუსიკის მუსიკალური.*

მეფე ხშირად მასპინძლობდა თურქულ დიპლომატიურ მისიებს და ამ დროს ყოველთვის სთხოვდა კომპოზიტორს, გამოეყენებინა თურქული მუსიკალური ინსტრუმენტები სამეფო კოლექციიდან. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ჰაბსბურგებისგან შემდგარი ფრანგული სამხედრო ორკესტრი მეჭთერების მარშების ნაწილობრივ გავლენას მაინც განიცდიდა.

ასეთი ისტორიები და ვარაუდები მეჭთერებთან მიმართებაში უამრავია. საუკუნეების განმავლობაში სამხედრო ორკესტრების აკუსტიკური ელემენტების გაცვლა-გამოცვლა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სულ უფრო და უფრო ინტენსიური გახდა და ამით ორივე მხარე მოგებული დარჩა. მერე კი, ნელ-ნელა, მეჭთერების მარშებმა, ზოგადად, თურქულმა მუსიკამ, განსაკუთრებით კი ამ მუსიკისათვის დამახასიათებელმა არათანაბარმა რიტმულმა სტრუქტურებმა თანამედროვე დასავლურ პოპულარულ კულტურაშიც მოიკიდა ფეხი.

როდესაც ერთხელ დღევ ბრუბეკი, ამერიკელი ჯაზ-პიანისტი და კომპოზიტორი, ქუჩაში სეირნობისას თურქ მუსიკოსებს გადაეყარა, ის სწორედ მათი მუსიკის რიტმით მოიხიბლა. „საიდან ასეთი რიტმი?“ – იკითხა მან. „ეს რიტმი ჩვენთვის იგივეა, რაც თქვენთვის ბლუზი“, – უპასუხეს თურქებმა. ეს რიტმი კი მათში საუკუნეების განმავლობაში დგებოდა, რიტმი, რომელმაც, როგორც ოსმალთა მემატიანე და მოგზაური ევლია ჩელები წერდა, „ულანეტა ვენერაც კი ააცვიკა“.







# ათას პეიროთა ღღის სიკვამლე

## ირინა ბაბაური

მისტიკურ სამყაროებში ყველაფერი სხვანაირად ხდება: მიჩუმებული ამბები ხანდახან თავისით იდგამენ ენას და დედამიწას აცნობენ იმას, რისი გაგონება ხშირად არ უნდოდათ, ზოგჯერ ვერც წარმოედგინათ, ზოგს კი დიდი ხნის მივიწყებული ეგონა.

ასე მოხდა მეოცე საუკუნის კონიაშიც – უკვე პროვინციულ ქალაქში, რომლის წარსულ დიდებას თითქოს ერთიანად გადასცლოდა ფერები და ანატოლიის მწველი მზის ქვეშ გადახუნებულიყო. მივარდნილ ქალაქს მოულოდნელად დასავლეთ სამყაროს პოლიტიკურმა ელიტამ დასდო პატივი – 1953 წელს კონიას ამერიკელი დიპლომატები ეწვივნენ. ქალაქის თავკაცმა საპატიო სტუმრების ვიზიტთან დაკავშირებით ძალ-ღონე არ დაიშურა და საკმაოდ სახიფათო რისკზე წავიდა იმისთვის, რომ სტუმრები როგორმე საკუთარი ქალაქით განეცვიფრებინა.

კაცმა რომ თქვას, ვისი რა სჭირდა დასაწუნი კონიას, მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს დასახლებას, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ბიბლიური წარღვნის შემდეგ ნოეს მოდგმის მიერ დაარსებულ შვიდ ქალაქთაგან ერთ-ერთია, თუმცა ქალაქის მერი ისტორიული ფაქტებისა და ღირსშესანიშნავი ძეგლების სიმრავლეს არ დასჯერდა და გადაწყვიტა, დიპლომატები იმ რიტუალური სანახაობით გაეოცებინა, რომლის შესრულებაც თურქეთის მთავრობამ ამ ვიზიტამდე 27 წლით ადრე აკრძალა. მან ხელისუფლებას დიდი ხვეწნით

გამოსთხოვა ნებათვა და დერვიშებს მიადგა თხოვნით, სტუმრებისთვის თავიანთი რიტუალი ეჩვენებინათ: მხოლოდ ერთი პირობით – მედიტაციური ცეკვა წარმოედგინათ, როგორც წმინდა ფოლკლორული სანახაობა, და სიტყვა არ დაეძრათ მისი მისტიკურ-რელიგიური ბუნების შესახებ.

ფარულ მოღვაწეობაში გატარებული ბევრი წლის შემდეგ ხალხში, დიპლომატთა წინაშე პირველად გამოჩენას დიდი წარმატება ხვდა წილად. ეს გამოსვლა მრავალწლიანი წყევლის ახსნას ჰგავდა, რის შემდეგაც დერვიშები ნელ-ნელა დაუბრუნდნენ საზოგადოებას, რომლის წინაშე გამოჩენაც, ათათურქის ბრძანებით, 1925 წლიდან სასტიკად ეკრძალებოდა.

ქვეყნის მთავარსარდალს თურქეთის სეკულარულ, დასავლურ ქვეყნად ქცევა ჰქონდა განზრახული და ამ კონცეფციაში, მისი აზრით, არაფრით ჯდებოდა სუფიების ფილოსოფია და მათი რელიგიური რიტუალები.

ისლამური სუფიზმი არა რელიგია, არამედ უალრესად თავისუფალი ფილოსოფიური მიმდინარეობაა. სიტყვა „სუფი“ არაბულად „შალს“ ნიშნავს, რადგან მის მიმდევრებს, სინანულისა და ამქვეყნიურ ამაოებაზე უარის ნიშნად, ტანთ ღარიბული შალის კაბები ემოსათ – მათი ერთადერთი საბადო, რომელსაც, „მსგავსად ალაჰის ასი სახელისა“, ასი ნახვრეტი მაინც აჩნდა.



სუფიზმი, რომელიც ისლამის ეზოთერულ მხარეს წარმოადგენს, როგორც ფილოსოფია, სავარაუდოდ, ისლამამდე დიდი ხნით ადრე გაჩნდა, ის ისეთი აღმოსავლური კულტურების სინთეზია, როგორიცაა: ირანული მაზდეანობა და ინდური ბუდიზმი, ეგვიპტური თუ სირიული მისტიკური მიმდინარეობები.

თუკი სუფიზმის წარმოშობის ზუსტი ისტორიული პერიოდი უცნობია, სუფი დერვიშების ცეკვის ამბავი კონკრეტულად მე-13 საუკუნეს, იმ დროისთვის რუმის სასულთნოს დედაქალაქს, შუასაუკუნეების აღმოსავლეთის მეცნიერებისა და ხელოვნების კერას – კონიას და აღმოსავლეთის ერთ-ერთ უდიდეს მისტიკოს პოეტს, მევლანა ჯალალ ედ-დინ რუმის უკავშირდება.

ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, ერთ დღესაც პოეტმა კონიის ქუჩებში სეირნობისას ოქროს სამჭედლოსთან ჩაიარა და უროს ცემის ხმა მოესმა. თანაბარი რიტმის გაგონებაზე რუმიმ ხელები გაშალა და დატრიალდა. თავბრუსხვევამ გონებით დედამიწას მოსწყვიტა და სამჭედლოს გამაყრუებელი ხმაურის ნაცვლად ღვთის ხმა ჩაესმა.

ასე გაჩნდა დერვიშთა ცეკვა – სემას რიტუალი, რომელიც, ტრადიციულად, რუმის გარდაცვალების დღეს, ყოველი წლის 17 დეკემბერს სრულდება. ამ თარიღს სუფიები „ქორწილის ღამე“ მოიხსენებენ, რადგან, მათი რწმენით, ამქვეყნიური ცხოვრების დატოვებასთან ერთად პოეტმა მარადისობაზე იქორწინა.

გავრცელებული მოსაზრებების თანახმად, რიტუალის პირველ შესრულებამდე დერვიშებს ევალებათ, 1001-დღიანი წვრთნა გაიარონ, რომლის დროსაც, ცეკვასთან ერთად, ისინი რელიგიას, ეთიკას, მუსიკასა თუ პოეზიას ეზიარებიან.

რიტუალს, როგორც წესი, დერვიშები თეთრ სამოსში გამოწყობილები ასრულებენ. ტანსაცმლის სისპეტაკე ადამიანის სულის სუდარის სიმბოლოა, მოგრძო ქუდი კი საფლავის ქვას აღნიშნავს. ლოცვის დაწყებამდე ღვთისმსახურები შავ მოსასხამებს იხდიან და ამ ჟესტით გულის კარს უხსნიან მარადიულ ჭეშმარიტებას.

სემას შესრულებისას რიტუალში ჩაბმის კურთხევას დერვიშებს მათივე მოძღვარი აძლევს, რომელიც მოწაფეებს ღვთიური გზისკენ მიუძღვის და შემდეგ უკან, მიწაზე დაბრუნებაში ეხმარება.

ტრიალი „გულის გარშემო“, მარცხნიდან მარჯვნივ, მკერდზე გადაჯვარედინებული ხელებით იწყება, რის შემდეგაც დერვიშები მკლავებს შლიან, მარჯვენა ხელს ცისკენ აღაპყრობენ ნიშნად იმისა, რომ მადლიერებით იღებენ ყოველივეს, რაც ღვთისგან მიეცემათ, მარცხენა ხელი კი მიწისკენ აქვთ გაშვებული, რათა ღვთისგან მიმადლებული წყალობა მიწაზე მყოფ ადამიანებს უწილადონ. ხელების პოზიცია დროდადრო ლოცვის ხასიათიდან გამომდინარე იცვლება. რიტუალის მსვლელობისას მუსიკოსები ამონარიდებს ასრულებენ ყურანიდან და ჯალალ ედ-დინ რუმის პოეზიიდან.

ტრიალისას აუცილებელია საკუთარი ღერძის შენარჩუნება: ცეკვის დროს მლოცველმა გონებით უნდა შეძლოს ფრენა და, ამავდროულად, არ დაკარგოს ის ფესვები, მიწაზე რომ აქვს გადგმული.

სუფიზმის ოქროს ხანის, მე-13 საუკუნის შემდეგ დერვიშებმა არაერთი დევნა განიცადეს და მიუხედავად იმისა, რომ მისი

მიმდევრები ფარულად მაინც განაგრძობდნენ საქმიანობას, მეოცე საუკუნეში დერვიშთა ცეკვის რიტუალი გაქრობისგან, დიდწილად, დასავლური სამყაროს ინტერესმა იხსნა.

1973 წელი იუნესკომ რუმის გარდაცვალებიდან 700 წლის აღსანიშნავად პოეტის წლად გამოაცხადა და, შესაბამისად, რიტუალის ცოცხლად ნახვის მოთხოვნაც გაიზარდა. დერვიშებმა მსოფლიოს ქალაქებში დაიწყეს მოგზაურობა და, ამავდროულად, სუფიზმით დაინტერესებული ადამიანებისთვის თურქეთი ტურისტულად მიმზიდველ ქვეყნად აქცეის.

„წმინდა ფოლკლორული ცეკვა“ – ეს იყო რიტუალის დეფინიცია და აუცილებელი პირობა, რომელმაც საშუალება მისცა დერვიშებს, ხალხში დაბრუნებულიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ცნობადობის გაზრდასთან ერთად საზოგადოებამ უკეთ შეიტყო რიტუალის პირველადი დანიშნულების შესახებ, სემა, ნაწილობრივ, იქცა კიდევ ფოლკლორულ და კომერციულ სანახაობად.

დღეს დერვიშები დიდ დარბაზებს და ხშირად სტადიონებსაც კი ავსებენ, ამასთან, რამდენიმე მნიშვნელოვანი ცენტრი დაუბრუნდათ საკუთარი მოღვაწეობისა და სწავლების გასაგრძელებლად.

2005 წელს იუნესკომ დერვიშთა ცეკვა – „მეველი სემას“ ცერემონია მსოფლიოს არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა, 2007 წელი კი ჯალალ ედ-დინ რუმისა და ტოლერანტობის წლად გამოაცხადა.

1925 წელს, იმ დროს, როდესაც თურქეთის მთავრობამ სუფიური რიტუალები აკრძალა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ დერვიშების ეს ცეკვა წლების შემდეგ ქვეყნის სავიზიტო ბარათად იქცეოდა, სუფიების ფილოსოფია კი, რელიგიური რადიკალიზმის საპირისპიროდ, ისლამური ტოლერანტობის მაგალითად მოეცლინებოდა მსოფლიოს.

სუფიების რწმენით, ადამიანმა არსებობის მანძილზე ბევრი თვისება დაკარგა, განსაკუთრებით კი – სულიერი ხედვა. მათი სულიერი გზაც სწორედ ამ დაკარგული უნარებისა და სიყვარულის გზის პოვნას ემსახურება, ამიტომ, ფოლკლორზე მეტად, დერვიშთა რიტუალში სწორედ ეს ეზოთერული ფილოსოფია ნუსხავს სულ უფრო მეტ ადამიანს, რომლებიც შორეული ქვეყნებიდან ყოველწლიურად ანატოლიის სამხრეთ-დასავლეთით მიემუშრებიან წმინდა აღმოსავლურ მისტიციზმსა და წმინდა პოეტურ ცეკვასთან საზიარებლად.

**წრე საქრაღრი სიპოლო, რომელიც სხვადასხვა რადიკალიზმით დაერთიანდა, სრულყოფილად აღნიშნავს. დერვიშთა ცეკვა ღვთიური და პირობის სახელოს კანონზომიერების გამოხატულებას წარმოადგენს, სადაც ყოველივე, იმისთვის, რომ იარსებოს, უნდა იტრიადოს – ისევე, როგორც ზრუნავს ატომატი, ვანატი და ვარსკვლავები.**







ჰარამხანა აღმოსავლეთში ნებისმიერ მდიდარ კაცს შეეძლო ჰქონოდა. ისლამამდელ პერიოდში ცოლების რაოდენობა შეუზღუდავი იყო და მამაკაცს უფლება ჰქონდა იმდენი ცოლი ჰყოლოდა, რამდენსაც მოსურვებდა. მუჰამედმა მათი რიცხვი ოთხამდე დაიყვანა, ამავდროულად, საყვარელთა ოდენობა ისევე განუსაზღვრელი დარჩა. ეს უკანასკნელი უუფლებო მონების რიცხვიდან ირჩეოდნენ და ჯარიებად (მონა-ხარტები) იწოდებოდნენ. ზოგადად, ჯარიელიქი (ქალთა მონობა) უძველესი დროიდან არსებობდა.

სხვათა შორის, არც სულთანს ჰქონდა პირადი ცხოვრების სრული თავისუფლება. ჯერ ერთი, ის ვალდებული იყო, პარასკევიდან შაბათის ღამე მხოლოდ ერთ ცოლთან გაეტარებინა, ხოლო თუ მეუღლე ზედმედ სამი პარასკევის მანძილზე დარჩებოდა „მოუკითხავი“, მას სასამართლოში ჩივილის უფლებაც კი ეძლეოდა. ოსმალეთის იმპერიის თავკაცებს, ტრადიციულად, 4-8 ცოლი ჰყავდათ, ამიტომ, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ერთ-ერთ მონა-ხარტას სულთნის პაემანთა სკრუპულოზური აღნუსხვა ევალებოდა.

ჰარამხანაში ცხოვრება არაერთი თავისებურებით გამოირჩეოდა. იქაურ „თანამდებობის პირთა“ შორის გვხვდებოდნენ თანამედროვე „პროტოკოლის სამსახურის“ ხელმძღვანელი მონა-ხარტები – უუფლებო ქალები, რომელთაგანაც ზოგს ხაზინის გასაღები ებარა, ზოგსაც სულთნის დიდი ბეჭედი! რა თქმა უნდა, ჰარამხანის ძალაუფლებრივ ვერტიკალში მსგავსი მნიშვნელობისა და ნდობის მქონე ხარტები უბრალო მონებად ვეღარ დარჩებოდნენ. ბევრ მათგანს საბოლოოდ ათავისუფლებდნენ კიდევ და ზოგჯერ სარფიანადაც ათხოვებდნენ...

XVIII საუკუნის ერთ მეტად საგულისხმო დოკუმენტში – სულთან მაჰმუდ I-ის ჰარამხანის ერთგვარი „სამტატო განრიგია“ დეტალურად გაწერილი: მარანი – 17 მონა ქალი;



მუსიკოსი ქალები, ოსმან ჰამდი ბეი, 1880

უფლისწულთა მოსამსახურე – 72 ხარტა; სხვა სამეურნეო საქმიანობა – კიდევ 230; ფავორიტის სტატუსი კი მხოლოდ 15 რჩეულს აქვს მინიჭებული! როგორც ჩანს, მლიქვნელთა ქება-დიდების მიუხედავად სულთანს მთლად ღვთიური სიძლიერით ვერ დაიკვებინდა. ჩვეულებრივ მოკვდავთაგან კი (სამწუხაროდ), თუნდაც დაუოკებელი სურვილის მიუხედავად, არავის ძალუძს გარშემო მყოფი ყველა ქალის ჟინის დაკმაყოფილება. გამოდის, რომ ჰარამხანის მკვიდრთა დიდი ნაწილისთვის ეს ერთგვარი ციხე იყო, მათი სექსუალური ცხოვრების შეზღუდვის თვალსაზრისით.

გასაკვირი სხვა რამეა: ჰარამხანაში გატარებული 9 წლის შემდეგ ნებისმიერ მონას, რომელსაც ამ ხნის მანძილზე არ ეღირსებოდა ბატონთან სარეცლის გაყოფა, შეეძლო თავისუფლად დაეტოვებინა „ოქროს გალია“ – სულთანი მას საქმროსაც ურჩევდა და მზითვესაც კი ატანდა. არადა, ამ უფლებას ყველა როდი იყენებდა. ბევრს ისევ სასახლეში მზამზარეულზე ყოფნა ერჩივნა დამოუკიდებელი ცხოვრების რეალობასთან შეჯახებას, ზოგსაც ალბათ მაინც სჯეროდა ფავორიტად ან სულაც სულთნის ცოლად გახდომის სასწაულისა...

ჰარამხანის იერარქიის სათავეში ერთპიროვნულად მეფობს სულთანი; მეორე საფეხური უპყრია მის დედას (ვალიდე), რომელიც, როგორც წესი, წარმოშობით უცხოელია; შემდგომ მოდიან ცოლები (ქადინ-ეფენდი), ფავორიტები (გიუზიდე) და ბოლოს მონა-ხარტები (ჯარია). პირველი ორის გარდა ყველა სხვა საფეხური პირობითი იყო და მათი მკვიდრი ხშირად ცვლიდნენ ადგილებს.

ჯარიასარანაირი უფლება არ გააჩნდა და მეტწილად სამეურნეო საქმიანობა ებარა. ყველაზე ღამაში მონები სულთანთან განსაკუთრებით დაახლოებულნი იყვნენ. ჩვეულებრივ, იგი 8 მონას გამოარჩევდა ხოლმე: ამათგან ნახევარს მისი პირადი საძინებლის მომსახურება ევალებოდა, 4 კი ფავორიტად (გიუზიდედ) მოიაზრებოდა. სასიყვარულო ღამისთვის შერჩეულს წინასწარაც ასაჩუქრებდნენ და მერეც – იმ შემთხვევაში, თუ „მბრძანებელი“ კმაყოფილი რჩებოდა. დაფეხმძიმებულნი „ბედნიერთა“ (იქბალი) კატეგორიაში გადადიოდნენ. თუ ასეთი რამდენიმე იყო, მაშინ მათ რანგი ენიჭებოდათ – პირველი, მეორე, მესამე... შემდგომში იქბალები ჰარამხანის ყველაზე მნიშვნელოვან ქალებად იქცნენ და სულთნის სიკვდილის მერეც სერიოზულ პრივილეგიებს ფლობდნენ. იქბალს ბავშვის გაჩენა უკვე ოფიციალური ცოლის სტატუსს აძლევდა და ქადინ-ეფენდი ხდებოდა. აქაც პირველი ცოლი მთავარი იყო, დანარჩენები, შესაბამისად, მეორე, მესამე... რომელიმეს გარდაცვალების შემთხვევაში მას სხვა ცოლი ან იქბალი ანაცვლებდა.

ჩვენი წარმოდგენა ჰარამხანაზე, ძირითადად, რომანტიკოსი ევროპელი მხატვრებისა თუ მწერლების ნამუშევრებსა და ანალოგიური სულისკვეთებით გადაღებულ კინოფილმებზეა დაფუძნებული. ეს არცაა გასაკვირი – უცხო თვალისთვის ჩაკეტილი გარემო მხოლოდ ფანტაზიისა და ვნებისთვის თუ დატოვებდა ადგილს. რეალობა კი შორს იყო რომანტიკისგან.

ჰარამხანის ცხოვრებას მკაცრი რეგლამენტი ჰქონდა და შიდა იერარქიას ემორჩილებოდა. მართალია, ისტორიამ ისეთი შემთხვევებიც შემოგვინახა, როცა უუფლებო ღამამზანებს სრულად დაუმონებიათ თავიანთი მბრძანებლები და გადამწყვეტი როლიც უთამაშიათ იმპერიის ცხოვრებაში, მაგრამ ეს მაინც გამონაკლისი შემთხვევებია. უფრო დიდა ისეთი ღამამზანების რიცხვი, რომლებსაც ჰარამხანაში



**ტარიხი „ჰარამხანა“ „ჩინდა, ხალხიდახალ ხანს“ ნიხანს - ანა ხანს, რომელიც ანაპაპაპი ცოლიათან, მონახსა და შვილიათან ერთად ცხოვრობს. ზოგჯერ ან „დარ უს საღათს“ (ჯადნიარაპის სახლი) ეძახდნენ. არსაპოგს სხვა სინონიმაპი: სარალი, ზინანა, ფარღანი...**



ჰარამხანა, თოფქაფის სასახლე

გატარებული წლების მანძილზე ერთხელაც არ უნახავთ ბატონი. XVI საუკუნემდე იქ მხოლოდ მონა-ხარტები ცხოვრობდნენ, რომელთა ყოველი დღე მარმარილოს შადრევნებთან და აუგებთან წამოწოლაში, აღმოსავლური ტკბილეულის მირთმევასა და ერთმანეთთან ბაასში ილეოდა.

მათ ასწავლიდნენ მუსიკას, ეტიკეტს, წერა-კითხვას, მოგვიანებით - სპეციფიკურ ხელოვნებას, რომელიც დასტირდებოდათ, თუკი მბრძანებლის ყურადღებას დაიმსახურებდნენ. ახალგაზრდა ქალები ყოველდღიურ ჯამაგირს და საჩუქრებს იღებდნენ, მათთვის არ არსებობდა ტანსაცმლისა თუ თავის მოვლის საშუალებების პრობლემა. დროდადრო სულთანის რომელიმე საძინებელში მიიწვევდა, მაგრამ ცოლობაზე საუბარიც არ იყო.

ბაიზიდ II გახდა ის, ვინც რეალობა შეცვალა. მისი მმართველობის პერიოდიდან იწყებენ სულთნები ჰარამხანის მკვიდრებთან ქორწინებას. XVI საუკუნემდე სულთანს არ შეეძლო ოფიციალური ცოლის არჩევა თავისი ჰარამხანიდან და არც თავისუფალ მუსლიმ ქალთან ჰქონდა ურთიერთობა (თავისუფალ მუსლიმ ქალს ჰარამში ხარტად მისვლა ეკრძალებოდა), ამიტომაც იძულებული იყო, უცხოური დინასტიის წარმომადგენელზე ექორწინა.

იმპერიის მომძლავრების შემდეგ პოლიტიკური ქორწინების აუცილებლობა გაქრა და ოსმალეთის იმპერიის ბელადებს ხელ-ფეხი გაეხსნათ, შესაბამისად, ჰარამხანის როლიც ამალდა. იქ მოხვედრილი ხარტა სულთანთან ან მის



რომელიმე ვაჟთან გატარებული „მოწონებული“ ღამის შემდეგ მისი რჩეული ხდებოდა და გოგონების საერთო ოთახიდან ფავორიტების ოთახში გადაჰყავდათ. მერე უკვე დაორსულებზე უწევდა ზრუნვა და თუ ვაჟი ეყოლებოდა, სულთნის ცოლის სტატუსსაც გამოჰკრავდა ხელს. საწუწუნო არც გოგონას გაჩენის შემთხვევაში ექნებოდა - ფავორიტად მაინც ტოვებდნენ და, როგორც საგვარეულოს წევრის დედა, სხვა პრივილეგიებითაც სარგებლობდა.

აქედანვე იწყება პრობლემებიც. მოგეხსენებათ, ერთ ტერქემში ორ ქალსაც კი უჭირს თანაცხოვრება, აქ კი ათობით და ასობით ქალის ინტერესები გადაიკვეთა. საჭირო გახდა მმართველობის მკაცრი სისტემის შემოღება და... გაჩნდა საჭურისთა ინსტიტუტი! პირველად კასტრაცია ძველ ასურეთში შემოიღეს, მომდევნო საუკუნეებში კი სპარსეთში, საბერძნეთსა და რომშიც გავრცელდა. მეჰმედის დროიდან ჰარამხანების დაცვა მათ დაევალიათ: ჯერ თეთრკანიანებს, მოგვიანებით კი - აბისინიელებს, რომლებიც თურმე მტკივნეულ პროცედურას უფრო მალე უღებდნენ ალღოს და ტკივილსაც უკეთ იტანდნენ.

მათაც ჰქონდათ თავიანთი მკვეთრად ჩამოყალიბებული იერარქია, რომელიც ყველას საკუთარ ადგილსა და უფლება-მოვალეობებს განუსაზღვრავდა. საჭურისებს ბევრი დაუფარავი ირონიით უყურებს, არადა, სულთნის კარზე მათი გავლენა უზარმაზარი იყო. მათგან მთავარი საჭურისი ქვეყანაში მესამე კაცი იყო დიდი ვეზირისა და სასულიერო ლიდერის, შეიხ ულ-ისლამის შემდეგ. 1852 წლიდან მოყოლებული, ჰარამხანა მთლიანად საჭურისთა მმართველობას დაექვემდებარა. სწორედ მათ დაევალიათ მონების შექმნა და სულთნის ინფორმირება მისი ცოლებისა თუ ხარტების ქცევის შესახებ.

ასეთ რეჟიმში გაილია ნახევარ საუკუნეზე მეტი. მერე იყო პირველი მსოფლიო ომი - თურქეთის მარცხიანი ალიანსი გერმანიასთან, ანტანტის მიერ ქვეყნის ოკუპაცია და მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ დაწყებული რევოლუცია... ოსმალეთის უკანასკნელი სულთანი ბრიტანული გემით გაექცა აჯანყებულებს, მის მიერ მიტოვებული ჰარამხანის ბინადრები კი სხვადასხვა მიმართულებით დიქსაქსნენ. დაცარიელებულ სასახლეში 1924 წლის მარტში თურქეთის რესპუბლიკა გამოცხადდა, მისი ერთ-ერთი პირველი კანონი კი ჰარამხანის ინსტიტუტის გაუქმებას ეხებოდა...



# თურქული სერიალი და ისტორიის სიყვარული

## ლაშა ბულაძე

როგორც არ უნდა ვიმართლოთ თავი, ეს კი უნდა ვაღიაროთ გულწრფელად, რომ სერიალები გვათავყვანებენ.

დახვეწილად გადაღებული და დრამატურგიულად ჩახვეული სერიალები ღირსების და სიამოვნების შეგრძნებით გვათავყვანებენ, ხოლო დაუხვეწავად გადაღებულები და პრიმიტიული დრამატურგიისანი ეტაპობრივად იწვევენ ჩვენს მენტალურ თუ სოციალურ დეგრადაციას.

რაიმეზე დამოკიდებულება უკვე თავისთავად გულისხმობს გარკვეულ გამოთავყვანებას, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ გამოთავყვანებასაც ჰქონდეს თავისი ხარისხი?!

ანუ ღირსეულ რამეზე გამოთავყვანდე და არა უღირსზე?!



ცხადია, შესაძლოა სიამოვნების მომგვრელი და, საერთოდ, თერაპიულიც კი იყოს იმგვარ „უღირსზე“ გამოთავყვანება, რომელიც კიდევ უფრო მეტად დაგვაფიწყებს „არაღირსეულ“ რეალობას და ისეთ სამყაროში გადაგვტყორცნის, სადაც შვებაა გამოთავყვანება, მაგრამ, ზოგადად, მაინც ის აჯობებს, რომ პრეტენზიით მივუდგეთ მასობრივი გამოთავყვანების ერთ-ერთ მთავარ ფენომენს – უკულმინაციო ამბებს (მრავალსერიან „საპნის ოპერებს“ ანუ), რადგან ყველას გვახსოვს, რა ბედი ეწია სერიალების ნარკოტიკში გახვეულ პედრო კამაჩოს მარო ვარგას ლიოსას „დეიდა ხულიამი“.

უკულმინაცია სერიალების მთავარი დამახასიათებელია და გამოთავყვანების მთავარი საიდუმლო სწორედ აქ იმალება, რადგან კულმინაცია ყოველთვის გარკვეულ კატარზისთან არის დაკავშირებული: ასე დაიწყო, ასე განვითარდა და ასე დასრულდა. აქ კი, რაკი კულმინაცია არ არსებობს (ან, ყოველ შემთხვევაში, გაურკვეველი ვადით არის გადაღებული), კატარზისი არა და არ დგება... მაგრამ ზოგჯერ სასიამოვნოა, როცა რაღაც დაუსრულებელი გან-

ვითარების თუ განუვითარებლობის პროცესშია და არა და არ ხერხდება კულმინაციამდე მისვლა, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა რეალურად ყველაფერი სადღაც სრულდება და სრულდება არც თუ სასიამოვნოდ.

როცა საბჭოთა კავშირი დასრულდა 1991 წელს, 200 მილიონი მაცურებელი არანორმალურად გაჭიმულ და ბედნიერად გამომათავყვანებელ ბრაზილიურ სერიალს უყურებდა ტელევიზორებში, ხოლო როცა დამოუკიდებელი საქართველოს ახლად შექმნილი ერთიანობა სრულდებოდა ჩვენ თვალწინ, ზუსტად აფხაზეთის ომის კულმინაციის დროს მოსახლეობა დაჰიპნოზებულვით ეჯდა აღტაცებამდე იდიოტურ მექსიკურ საგას „მდიდრებიც ტირიან“. რად უნდა თქმა, რომ ამ სერიალების ყურებით მოსახლეობა თერაპიულ კურსს გადიოდა.

თუმცა თურქულმა სერიალებმა აქამდე არსებულ სერიალებზე დიდი და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს – მათ ისტორია შეაყვარეს ქართველ მაცურებელს. მართალია, ამ ეტაპისთვის ოსმალეთის, მაგრამ მაინც ისტორია...

ეჭვი არ მეპარება, საქართველოში შესაძლოა ბევრმა სულაც არ იცოდეს, რა გაუკეთებია სიმონ მეფეს ან სოლომონ მეორეს, მაგრამ უკვე დეტალურად იცნობდეს სულთან სულიმან პირველის ყოფას. ცუდს ამაში ვერაფერს ვხედავ, უფრო პირიქით, რაც მეტი გვეცოდინება ჩვენს მეზობლებზე, მით უკეთესია, განსაკუთრებით კი იმ გამოცდილების გათვალისწინებით, როცა რუსულ-საბჭოური ისტორიის სახელმძღვანელოებში თითქმის ვერაფერს ვაიგებდი რეალური და არც თუ უმნიშვნელო ოსმალეთის შესახებ.

ერთი ჩემი კოლეგა რამდენიმე წლის წინ ქართველ ტელემაცურებლებთან ერთად აღმოჩნდა თურქეთში, სადაც მათთან ერთად ზედაპირულად მაინც უნდა მიეკვლია ოსმალურ-ქართული (თუ ქართულ-ბიზანტიური) კვალისთვის. ჰოდა, ხან სად წაუყვანია, ხან სად, რასაც კარგა მაგრად მოუქანცავს ყველა იქ მყოფი: აღარ გვინდა სიარული, დაღლილობისგან დავიხიციეთო. ჩემს კოლეგას ესლა ჩაულაპარაკებია, თქვენთვის სერიალ „დეიდებული საუკუნის“ მთავარი გმირის, სულიმან პირველის მეჩეთის ჩვენებალა მინდოდაო... ამის თქმა და ქართული დელეგაციის გამოცოცხლება ერთი ყოფილა: ამ ხალხს იქვე უხუვლია, სადაა, წავიყვანეთო. ვილას ახსოვდა დაღლილობა! ბიზანტიელ თუ ბერძენ წმინდანთა ნაწილების მოსალოცად ჩასული ტელემაცურებელი რამდენიმე საათის განმავლობაში ვერ მოუცილებიათ სულიმან პირველის საფლავისგან და ისე და იმ ხმით უტირიათ, როგორც მასზე გადაღებულ სერიალში მოთქვამდნენ ერთგული თუ თვალთმაქცი ნაზირ-ვეზირები; დარაჯმა ძლივს ააწყვიტა ლეგენდარული სულთნის საფლავსო...

ჰოდა, როგორ არ უნდა დავაფასოთ გენიალური თურქი პროდიუსერები, როცა მათ ასე ნიჭიერად შეაყვარეს ქართველ მაცურებელს ოსმალეთის დიდი ისტორია?!



# სულთნის სამზარეულოს საიდუმლოებანი ანუ რა სარგებელი მოაქვს ზრდილთარინან კოვზს

## სალომე დადუნაშვილი

მსოფლიო კულინარია სამ ტრადიციულ სკოლაზე დგას – ფრანგულ, იტალიურ და თურქულ კვების სისტემებზე, რომლებიც მთელ მსოფლიოში დომინირებს; თუმცა აღნიშნავენ იმასაც, რომ თუ ფრანგული კულინარიის ფუძედ შეგვიძლია სოუსი, იტალიურის კი – პასტა მივიჩნიოთ, თურქულ სამზარეულოში ვერაფრით გამოვყოფთ დომინანტურ პროდუქტს ან კერძს, რომელიც მთელი სამზარეულოს ხასიათს განსაზღვრავს.

თურქული სამზარეულო უაღრესად მრავალფეროვანი და დაბალანსებულია. კვების რაციონში ხილი, ბოსტნეული, რძის პროდუქტები და ბურღულეული, ხორცთან შედარებით, ბევრად მეტია და მის ძირითად ნაწილს შეადგენს.

ოსმალეთის იმპერიამ კვების ეს სისტემა და კულინარიული ხელოვნება რელიგიური კულტის დონეზე აიყვანა. სანელებლებისა და უცხო პროდუქტის შედინება და გადინება კონსტანტინოპოლში სულთნების უშუალო კონტროლს ექვემდებარებოდა.

ხშირად ის, ვინც სულთნის სამზარეულოს განაგებდა, მის გულსაც ფლობდა. თოფთაფის სასახლის სამზარეულოებში 150 შეფ-მზარეული შრომობდა. ყველას თავისი სპეციალიზაცია ჰქონდა: მაგალითად, ფახლავის მცხოვრებელს არავინ ანდობდა ხორცის მომზადებას, შარბათების სპეციალისტს კი – ფლავის შეკვამვას. მე-17 საუკუნის დასაწყისისთვის სასახლის სამზარეულოებში 1500-მდე ადამიანი შრომობდა და ყოველდღიურად 10 000-მდე სასახლის ბინადრისა და მოწვეული სტუმრისთვის ამზადებდა საჭმელს.

განსაკუთრებულ ნადიმებზე კერძების რაოდენობა ასს აღწევდა. სამწუხაროდ, ოსმალური სამზარეულოს რეცეპტების მოპოვება თანამედროვე შეფებისა და მეცნიერთათვის არც თუ მარტივი საქმეა, რომელიც არქეოლოგიურ გათხრებს წააგავს. ტრადიცია თითქმის 100 წლის განმავლობაში იყო დავიწყებული. გარდა ამისა, ყველა დიდი შეფი, სასტიკი კონკურენციის გამო, თავის რეცეპტებს საიდუმლოდ ინახავდა.



სულთნის სამზარეულო უზარმაზარი სამყარო იყო – ცალკე ქვეყანა თავისი ისტორიით, ინტრიგებითა და შუღლით. არცაა გასაკვირი, რომ ასეთ პირობებში რეცეპტების შესანახად საუკეთესო ადგილი მეხსიერება იყო.

არაბული და სპარსული დამწერლობით შესრულებული კულინარიული წიგნები, რომლებიც ოქროდ ფასობს სპეციალისტებს შორის, ინფორმაციის მხოლოდ მცირე ნაწილს იძლევა იმის შესახებ, თუ რა რეცეპტებით სარგებლობდნენ სულთნის კარზე.

სამზარეულოს საქმეებს თავად იანიჩარები – სულთნის პირადი დაცვა განაგებდა, რომელიც, ტრადიციულად, სისხლის ბეგარით იმპერიის ქრისტიანული ქვეყნებიდან 10-12 წლის ასაკში შეგროვებული ბიჭებისგან შედგებოდა. იანიჩარების რაოდენობა სასახლეში სხვადასხვა პერიოდში 30 000-იდან 120 000-მდე აღწევდა. მათი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია კონსტანტინოპოლის მეჩეთებთან არსებული ღარიბების სამზარეულოების განკარგვა იყო.

არაფერს უფროთხილდებოდა იანიჩარი ისე, როგორც სულთნის ჯანმრთელობას და ჩალმაში გარჭობილ კოვზს, რომლითაც ღარიბებისთვის განკუთვნილი წვნიანი უნდა გაეცინჯა.







წელიწადში ერთხელ სულთანს იანიჩარებს ყაზარმებში ფახლავას უგზავნიდა. თუ ლანგარი ცარიელი ბრუნდებოდა, იანიჩარები ყველაფრით კმაყოფილები იყვნენ, თუ ფახლავა ხელუხლებელი რჩებოდა, სულთანს პრობლემები ჰქონდა. თოფქაფის სასახლეს იანიჩარების არაერთი აჯანყება ახსოვს.

ოსმალეთის იმპერიის კარზე მდიდრული ნადიმების მოწყობა ისეთივე მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენდა, როგორც ქვეყნის მართვა. გარკვეულწილად ეს სწორედაც რომ ქვეყნის მართვის ნაწილი იყო. ასობით მინიატურაზე, რომელიც ხატოვანად გვიჩვენებს ნადიმების გრანდიოზულობას, კარგად ჩანს არა მხოლოდ შებრაწული ბატკნების გაუთავებელი რიგები, არამედ მიზანსცენაც, თუ როგორ არიან გადანაწილებულები მაგიდასთან ნადიმზე მიწვეული სტუმრები. თანამედროვე თურქეთში დღესაც ხშირად გაიგებთ გამოთქმას, რომელიც თავისუფალ თარგმანში ასე უღერს: „ყველამ თავისი კოვზი მოიპარავოს და ფლავის ჭამას შეუდგეს“. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველამ თავის საქმეს მიხედოსო.

ნადიმზე მიწვეულთათვის კოვზი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სასახლეში აურაცხელი ჭურჭელი ჰქონდათ, ყველასათვის საკმარის კოვზებს ვერ აუდიოდნენ. ვინ იცის, შესაძლოა სტუმრებს მაშინაც ჰქონდათ სუვენირების სახით კოვზების თან გაყოლების ცდუნება და ამიტომაც ყველას თავისი კოვზი უნდა მიეტანა. კოვზის გარეშე სტუმარი ბრწყინვალე ნადიმზე მშვიერი დარჩებოდა. ნადიმზე აუცილებელი იყო 2 კოვზის ქონა: ერთი – წვნიანისთვის და შარბათებისთვის, მეორე, გრძელტარიანი – ფლავის საჭმელად. საქმე ისაა, რომ ფლავით სავსე ლანგარი სუფრაზე ყოველთვის შენ წინ ვერ აღმოჩნდებოდა, ამიტომაც გრძელტარიანი კოვზის გარეშე ხორცის საუკეთესო ნაჭრებს კონკურენტი აგზავნიდა. სტუმრის სტატუსზე მიანიშნებდა ისიც, თუ რა მასალისგან იყო დამზადებული მისი კოვზი და რამდენად მდიდრულად მორთულ სპეციალურ ჩანთაში იყო მოთავსებული.

არჩევანის სიუხვე ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობაა მაღალი დონის კულინარიული სკოლის ჩამოსაყალიბებლად. ოსმალეთის იმპერიას, პრაქტიკულად, განუსაზღვრელი არჩევანი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის უსასრულო გავლენა და მისი ცენტრის გეოგრაფიული მდებარეობა ყველა სახის პროდუქტის უწყვეტი მოწოდების საშუალებას

იძლეოდა, ოსმალური სამზარეულო მაინც სეზონურობის, ახალი პროდუქტების ნატურალური გემოს შენარჩუნებისა და დაბალანსებული კვების პრინციპებს ეყრდნობოდა. ეს, თავისთავად, უაღრესად თანამედროვე მიდგომაა.

ტერიტორია, რომელზეც დღევანდელი თურქეთია განთავსებული, საუკუნეთა განმავლობაში ათობით დიდი ცივილიზაციის ალორძინებისა და დაცემის ადგილი იყო. კულინარიული ტრადიცია, რომელსაც სპეციალისტები 4000 წლით ათარილებენ, მწყობრ სისტემად იქცა, ბერძნული, სპარსული და არაბული ცივილიზაციების გავლენით გამდიდრდა და დაიხივეწა.

ანატოლიის ტერიტორიაზე ათასობით წლის წინათ დაიწყო ხორბლისა და ბურღულეულის კულტივაცია, ზეთის გამოხდა და რძის პროდუქტების ფერმენტაციის შედეგად მიღებული საკვების გამოყენება.

როცა ცენტრალური აზიის მომთაბარე ტომებმა ანატოლიისკენ, მცირე აზიისკენ გადმონაცვლეს, ახალ ტერიტორიებზე მათ არა მხოლოდ კულტურული – მაგალითად, ხალიჩების ქსოვის – ტრადიცია, არამედ კვებითი ჩვევებიც დანერგეს.

მომთაბარე ტომებისთვის დამახასიათებელი მეცხოველეობა თურქულ სამზარეულოში ბატკნის, ცხვრისა და საქონლის ხორცის გამოყენებით შევიდა და ხორცის დამუშავების ისეთ მეთოდებად დაიღიქა, როგორიცაა ბასტურმა და ყაურმა.

შესუნელებული ხორცის მგებე გამოშრობის ტრადიცია მომთაბარე ტომების ცხოვრების წესით აიხსნება. ასეთივე მეთოდით ინახავდნენ რძესაც, რომელსაც მგებე გაშრობით ფხვნილად აქცევდნენ და შემდეგ საკვებ დანამატად იყენებდნენ.

ტრადიციული თურქული საუზმის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად დღემდე რჩება რძის პროდუქტები. იოგურთიც თურქული ტომების გამოგონებად ითვლება. დაღერლილი ხორბალი და შვრია – ბულღური დღემდე თურქული სამზარეულოს მნიშვნელოვანი ნაწილია.

სპარსულმა კულტურამ უდიდესი გავლენა მოახდინა თურქულ სამზარეულოზე. ისეთ მოვლენას, როგორიცაა ერთად მომზადებული ხორცი და ბოსტნეული, ხორცი და ხილი (ცოცხალი ან ჩირი) – თურქული სამზარეულო სპარსულს უნდა უმადლოდეს. ასევე სპარსელების შემოტანილია ანატოლიის ტერიტორიაზე ყვავილოვანი კომბოსტო და ქინძი.





სულთნის სამზარეულოს მნიშვნელობის აღწერისთვის ერთი ფაქტი გამოდგება: მარია ანტუანეტას სიკვდილით დასჯის შემდეგ მისი ფრანგი მზარეული თოფაფის სასახლეში გადავიდა საშუალოდ. სწორედ მას მიაწერენ ოსმალური სამზარეულოს ერთ-ერთ ცნობილ კერძს, სახელწოდებით „სიამოვნება სულთნისთვის“. ეს არის მოშუშული ბადრიჯანი ბაშაშაჟის სოუსით, რომელზეც ნელი წვის მეთოდით შებრუნებული ბატკანია მოთავსებული.



და, რაც მთავარია, ფლავი სპარსული კერძის თურქული ვერსიაა. ანატოლიაში დასახლებულმა თურქულმა ტომებმა შეითვისეს ჩინური და მონღოლური ტრადიციებიც, მაგალითად, ატრია ან მანთები. ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებასთან ერთად თურქეთში ახალი ეგზოტიკური კერძების რეცეპტები და ახალი გემოები შევიდა. ოსმალურმა სამზარეულომ კარგად შემოინახა თურქების მიერ არაბებისგან აღებული პროდუქტების დამუშავების წესები თუ რეცეპტები.

სულთნის სამზარეულოს მნიშვნელობის აღწერისთვის ერთი ფაქტი გამოდგება: მარია ანტუანეტას სიკვდილით დასჯის შემდეგ მისი ფრანგი მზარეული თოფაფის სასახლეში გადავიდა საშუალოდ. სწორედ მას მიაწერენ ოსმალური სამზარეულოს ერთ-ერთ ცნობილ კერძს, სახელწოდებით „სიამოვნება სულთნისთვის“. ეს არის მოშუშული ბადრიჯანი ბეშამელის სოუსით, რომელზეც ნელი წვის მეთოდით შებრუნებული ბატკანია მოთავსებული.

მურად II-ის (1421-1451), მეჰმედ II დამპყრობლის მამის დროს თურქული სამზარეულო მაინც უაღრესად მარტივი იყო. კულინარიულმა ხელოვნებამ აყვავება კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ დაიწყო და ჩვენთვის ცნობილი ოსმალური სამზარეულოს სახელით ჩამოყალიბდა.

მიუხედავად იმისა, რომ თურქული სამზარეულოს ისტორია გავლენათა ცვლილების ისტორიაა, ის აბსოლუტურად თვითკმარი და უნიკალურია. სელჩუკების შესანიშნავი თვისება მათი ადაპტაციის უნარი იყო. მათ მთელი ახლო აღმოსავლეთიდან აიღეს კერძები და პროდუქტები, გადაამუშავეს, განავითარეს და თავისად აქციეს.

**მეჰმედ II მურადი იყო და სულთნის ნადიშაჰის დრამატურგიაზე ამ დროს დიხყო ფორმირება. ნადიში ყოველთვის წვნიანი იწყებოდა, რომელიც საუონლის, ფრინველის ან თევზის ბულიონით ან იოგურტით მზადდებოდა. მზარეული არ ითვლებოდა პროფესიონალად, თუ წვნიანის 100 ვარსისი მოშუალება მაინც არ შეეძლო. წვნიანს მოჰყვებოდა ფლავის მრავალსახეობები, თევზის, ფრინველისა და საუონლის ხორცის კარძები. ნადიში ტკბილესით სრულდებოდა.**



ოსმალური სამზარეულოს დახვეწილობა და ელევანტურობა მომთაბარე ტომების ფერადი კარვებიდან იღებს სათავეს. მან ბევრი აიღო მთელი მსოფლიოდან, მაგრამ ასევე უხვად გასცა კერძებიც და ინსპირაციაც. ევროპელებს, სხვა თუ არაფერი, თურქებისგან ნაბობები ყავის სმის ტრადიციაც ეყოფათ.

**თოფაფის სასახლის დიდებულება, მის შიდა უბოგბა და კარამიკის ფილაზე აწვარილი კვიკაროსები, მოკითხული ხალიჩების სიწრაღე არა მხოლოდ იმპერიული, არამედ ახლინარიული დრამების განვითარების სივრცე იყო. სამზარეულოთა უსასრულო რიცხვი და ოდესღაც ღია ცეცხლზე მოთხმთხე თუვის კარდალების კირაჟი რიგები ამ მრანდიოზული სკაქტაკლის დაკორაცია, რომელიც დღემდე შემორჩა.**

თუმცა ტკბილეულის მრავალი სახეობა მხოლოდ ჩაისთან ან ყავასთან მისაყოლებლად მზადდებოდა და ქალთა საზოგადოების პრივილეგია იყო.



ოსმალურმა სამზარეულომ ნომადური ცხოვრების წესის გამო შედარებით გვიან ათვისებული ბოსტნეულის მომზადების კულტურა დახვეწილობის მწვერვალზე აიყვანა. თურქული სამზარეულო განსაკუთრებით მდიდარია ფარშირებული ბოსტნეულის ნაირსახეობებით. ლიბანურ ან ბერძნულ რესტორანში აუცილებლად ნახავთ ფარშირებულ ბადრიჯანს, რომელიც ოსმალური სამზარეულოს გამოგონებაა. ბადრიჯანი განსაკუთრებით დიდ პატივში აღმოჩნდა. თურქეთში მისი მომზადების 40-მდე წესი არსებობს. ასევე ხშირად გამოიყენება ბულგარული წიწაკა და კიტრი.





# ქველი ქაღალის ახალი პეჯაჰი

თანამედროვე თურქი შეფები ანატოლიური და ოსმალური სამზარეულოს საუკეთესო ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებენ. ზოგიერთი მათგანი თავის რესტორანში მხოლოდ ოსმალური სამზარეულოს კლასიკურ კერძებს ამზადებს და ამისთვის სერიოზულ თანხებს ხარჯავს ძველი რეცეპტებისა და პროდუქტების დამუშავების წესების მოსაპოვებლად. ეს არც თუ ადვილი საქმეა, რადგან დოკუმენტური მასალა ცოტაა, თურქული სამზარეულოს ტრადიციები კი საუკუნეზე მეტ ხანს დავიწყებას იყო მიცემული.

ისევე, როგორც ოსმალეთის იმპერიის დროს, დღესაც სტამბოლის ბაზარში ყველა სახის პროდუქტის შეძენა შესაძლებელია. თურქი შეფები, ტრადიციულად, პოპულარული პროდუქტების მომზადების ახალ ვერსიებს ეძებენ და თურქული სამზარეულოს ისტორიის ახალ ფურცელს წერენ.



**მეჭმედ გურსი – Mehmet Gürs Şemsa** თურქეთში კარგად ცნობილი შეფი და 19 წარმატებული რესტორნის თანამფლობელია. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მათ შორის რესტორანი „მიკლა“ – Mikla, რომლის კულინარიული შედეგების შესახებაც ლეგენდები დადის.

1996 წლის შემდეგ, რაც ახალგაზრდა შეფ-მზარეული ამერიკიდან თურქეთში დაბრუნდა, მეჭმედ გურსი ურთულეს ამოცანას შეეჭიდა. მისი სამუშაო სივრცე სამზარეულოს კედლებს გასცდა და ბიბლიოთეკებში, ბუკინისტურ მაღაზრებში, მთებში ჩაკარგული სოფლების ბინადარი ბებების სამზარეულოებში გადაინაცვლა. მეჭმედის მიზანი ახალი ანატოლიური სამზარეულოს შექმნა იყო, ეს კი ძველის შესწავლის გარეშე არ გამოვიდოდა. ტრადიციული პროდუქტები, საჭმლის მომზადების ტექნიკა და წეს-ჩვეულებებიც კი მისთვის ინსპირაციის წყაროდ იქცა. შედეგად „მიკლა“ 2015 წლის მსოფლიოს 100 საუკეთესო რესტორანს შორის დასახელდა.

შეფ მეჭმედ გურსის საქმიანობის არეალი ძალზე დიდია. მის შემოქმედებას რესტორანთა ქსელში – Numnum café & restaurant, Trattoria Enzo-ში, თვითმომსახურების რესტორან Terra Kitchen-შიც შეგიძლიათ გაეცნოთ.

მისი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ახალი პროექტია Kronotrop Coffee Bar & Roastery. ყავის მოყვარულთათვის ეს ადგილი მექად იქცა. ამ ბარმა ყავის სმის ტრადიცია თურქეთში ახალ სიმაღლეებზე აიყვანა. ყავის ათობით სახეობა, თანამედროვე, ცოცხალი გარემო და მარცვლების მოხალისე



*ტრადიციული თურქული ოჯახი სახლში ამოიბრუნებს კვებას, რასტორანშიც თურქები ოჯახურ სამზარეულოს ავსებენ, ამიტომაც სახლის სითბოთი გამსჯვალულ გემოს არაერთ ცნობილ რასტორანში შეხვდებით.*

უმალესი ხარისხი წარმატების გარანტია აღმოჩნდა. კიდევ ერთი ადგილი, რომელიც ტრადიციული თურქული ოჯახური სამზარეულოს აპოლოგეტია, რესტორანი „კანტინი“. აქ ისეთი შეგრძნება გინდობა, რომ საჭმელი საყვარელმა ბებებმა მოგიმზადა. მენიუ რესტორანში ყოველდღე იცვლება იმის მიხედვით, თუ რომელი პროდუქტი მოახდენს შეფზე შთაბეჭდილებას. „კანტინიში“ ლანჩის დროს ადგილებს არ ჯავშნიან, საღამოს კი აუცილებლად ინახავენ ერთ მაგიდას მუდმივი კლიენტებისთვის. ამ თბილი და გემრიელი რესტორნის სული მისი შეფი **სემსა დენიზელია – Denizsel Kemal Demirasal**. ამ ჟღალთმიანმა ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ლონდონში საზოგადოებასთან ურთიერთობებს სწავლობდა, ადამიანებთან კონტაქტის საუკეთესო გზას მიაგნო და დაამტკიცა, რომ გზა არა მხოლოდ მამაკაცების გულისკენ გადის კუჭზე.

**ქემალ დემირასალი – Kemal Demirasal** თვითნასწავლი მზარეულია, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, რომ თურქეთში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რესტორანი გაეხსნა. ანატოლიური სამზარეულოსკენ ქემალს გულმა 15-წლიანი სპორტული კარიერის შემდეგ გაუწია. ვინდ-სერფინგისტი წარმატებულ შეფად იქცა და დღეს შეფის თესთინგ მენიუთი ისევე ახვევს თავბრუს თაყვანისმცემლებს, როგორც ოკეანის ტალღებზე – სითამამით. მის რესტორან „ალანჩაში“ აუცილებლად უნდა გასინჯოთ ფსტის ქაბაბი და ქერის შეჭამანდი. ეს ანატოლიური რეცეპტი ათასობით წლისაა. „ალანჩა“ მსოფლიოს საუკეთესო 50 რესტორანს შორისაა.



*ქემალ დემირასალის რასტორანი YEK ალაჩათიში მურმანბინსათვის ნამდვილ საკულტო ადგილად იქცა.*







## EZOVELIN ÇORBASI

თურქული სამზარეულოს ერთ-ერთი განსაკუთრებული კერძი წითელი ოსპის ცხარე წვნიანია. ოსპს უმატებენ ბრინჯს, წიწაკას და სახელებლებს. მისი სახელი – ეზოველინის წვნიანი უკავშირდება ქალს, სახელად ეზოს, რომელიც კერძის ავტორად ითვლება.



## MERCIMEK ÇORBASI

ოსპისგან დამზადებული ეს წვნიანი მარტივი და დახვეწილი თურქული კერძია. ის შეგიძლიათ შეუკვეთოთ, როგორც ძირითადი კერძი, და თურქული პური და სალათა მიაყოლოთ.

## İŞKEMBE ÇORBASI

ხაში საქონლის შიგნეულისგან მზადდება და ხშირად ნივრიან და ძმრის სოუსთან ან ლიმონის წვეთთან ერთად მიირთმევენ. განსაკუთრებულად სასიამოვნოა ნაბახუსევზე.



## DÜĞÜN ÇORBASI

ცხვრის ხორცისგან მოზადებული წვნიანის მიერთმევა, ტრადიციულად, თურქული საქორწილო ცერემონიის ნაწილია.

## TARHANA ÇORBASI

თარჰანას წვნიანი ტრადიციული თურქული კერძია, ის გამოშრალი ბოსტნეულისგან, იოგურთისა და ხორბლისგან მზადდება. თავად თარჰანა გამოშრალი ბოსტნეულისგან მომზადებული ფხვნილია, რომელსაც წვნიანის მთავარ ინგრედიენტად იყენებენ.

ჩვეულებრივ, მას ბაფხულის ბოლო პერიოდში ამზადებენ, როდესაც ბოსტნეული ვიტამინებითაა გაჯერებული.



## YAYLA ÇORBASI

მაწვნის სუპის მსგავსი კერძის მთავარი ინგრედიენტი თურქული იოგურთი, ბრინჯი და პიტნაა. წვნიანს ზემოდან ცხარე წიწაკას აყრიან. კერძის დასახელება „მთიან მდელოს“ ნიშნავს, რაც შემთხვევითი არ არის. კერძი განსაკუთრებულად გემრიელი ჩრდილოეთ თურქეთის მაღალმთიან რეგიონებშია, სადაც რძის პროდუქტი საუკეთესო ხარისხისაა.



## DOMATES ÇORBASI

ტომატის კრემსუპი ძალიან გემრიელია, იჭმება თბილი და, შესაბამისად, ცივი ზამთრის დღეებში განსაკუთრებით სასიამოვნოა.



## KARNIYARIK

შუაში გაჭრილი ბადრიჯანი ხახვის, ოხრახუშის, ნივრისა და პომიდვრის, ასევე, შესუნელებული ხორცის ფარშითაა გამოტენილი. ქარნიარიქს შემწვარს მიირთმევენ. ყველაზე გავრცელებული ვერსია ცხვრის ხორცისგან კეთდება, თუმცა ბევრგან საქონლის ხორცისგანაც ამზადებენ.



## KURUFASULYE

ეს მოკრძალებული ტრადიციული კერძი ტომატის საწებელში მოშუშული ღია ფერის ლობიოსგან მზადდება. ზოგჯერ ამ კერძს ხორცთან ერთადაც ამზადებენ. მას ბრინჯის ფლავსა და მწნილთან ერთად მიირთმევენ.



## PATLICAN SALATASI

ბადრიჯნის სალათა თურქული სუფრის კლასიკური მეხეა. გრილზე შემწვარ ბადრიჯანს შიგთავსს აცლიან და პიურედ აქცევენ, შემდეგ ურევენ მარილს, დაჭყლებილ ნიორს, ლიმონის წვეს, ბეთუნის ბეთს და წიწაკას.

## KÖZLENMIS PATLICAN SALATASI

სალათა ბადრიჯნის, წიწაკისა და პომიდვრისგან მზადდება. წიწაკას და ბადრიჯანს ღუმელში ან ტაფაზე შუშავენ, ამის შემდეგ პომიდორსა და ხახვთან ერთად ურევენ ბეთსა და მარილში.



## IMAM BAYILDI

ბეთუნის ბეთში მოშუშულ ბადრიჯანს პომიდვრისა და ხახვის სატენით აქვს გული ამოვსებული. კერძის განსხვავებული ვერსიაა karniyarik-ი, რომელიც საქონლის ხორცსაც შეიცავს.

## MÜCVER

დაჭრილ ყაბაყს ჯერ კვერცხში ავლებენ, შემდეგ კი – ფქვილში და ასე წვავენ ბოსტნეულთან ან ბეთუნის ბეთთან ერთად.

ზოგჯერ მას თეთრ ყველს, მწვანე ხახვსა და პიტნასაც უმატებენ.



## DOLMAK, SARMAK

დოლმა გამოტენილს ნიშნავს, ის ანატოლიური სამზარეულოს სახასიათო კერძია და, ძირითადად, ბოსტნეულის გულში (ბუღგარული წიწაკა, ყაბაყი, ბადრიჯანი და პომიდორი) ჩატენილი, ხშირად სუნელებით შეზავებული ბრინჯისგან მზადდება, რომელშიც ხორცის ფარშს ან ბოსტნეულის სხვადასხვა სახეობას ურევენ.



სარმა გახვეულს ნიშნავს: ამ შემთხვევაში შიგთავსი გახვეულია კომპოსტოს, სალათის ან ვაზის თხელ ფოთოლში.

მას საკუთარ წვენში ჩაწყობილს ან მშრალს, უფრო ხშირად ცხლად მიირთმევენ არაჟანთან ერთად.





**MANTI**

მას თურქულ რავიოლიდაც მოიხსენებენ. უთხელეს ცომში გახვეული პილპილსა და მარილში შეზავებული ხორცი წყალში ან ტომატის სოუსში იხარშება. ხშირად სხვადასხვა ზომისას ამზადებენ. ზოგი მათგანი იმდენად პატარაა, რომ რამდენიმე ცალი ერთდროულად ეტევა ერთ სუფრის კოვზზე. მოგართმევენ ახლად დამზადებულ იოგურთან, კარაქთან, წვრილად დაჭრილ მწვანე ხილთან ან დაფქულ წითელ წიწაკასთან ერთად. მანთის ერთ-ერთი სახეობაა ცომში გახვეული გრილზე შემწვარი ბადრიჯანი.

**CACIK**

ჯაჯივი წვრილად დაჭრილი კიტრის, იოგურთის, ხახვისა და პიტნის ძალიან ქორფა ნაზავია. ცხელი ზაფხულის დღეებში მას ყინულთან ერთად მოგართმევენ.



**ACILI EZME**

ის განსაკუთრებული სიცხარით გამოირჩევა. ძირითადი ინგრედიენტებია პომიდორი, წითელი ბულგარული წიწაკა, ცხარე წითელი წიწაკა, ზეითუნის ზეთი, ლიმონისა და ბროწეულის წვენი ან არეული.

მიირთმევენ ხრაშუნა ჩიფსთან, დაბრაწულ პურთან ან პიტასთან ერთად.



**PILAV**

ფლავის მრავალ სახეობას შეხვდებით თურქეთში. ბრინჯი ზეთთან ან კარაქთან ერთად იხარშება.

მის სხვა სახეობებს ბადრიჯანთან, თურქულ ბარდასთან, ხორცთან, ღვიძლის ნატრებთან ერთად ამზადებენ.



**BULGUR PILAVI**

ეს კერძი ბრინჯს მოგაგონებთ, თუმცა ხორბლისგან აკეთებენ.

ყველაზე გავრცელებული სახეობა მოხრაკულ სახეობასთან, მწვანე წიწაკასთან, ტომატ-პასტასა და პიტნასთან ერთად მზადდება.



შემწვარი ბოსტნეული – ბადრიჯანი, მწვანე წიწაკა, ყაბაყი, ჩაწყობილი ტომატის სოუსში ან იოგურთში, უგემრიელესი ვარსიანია ნებისმიერ კერძისთვის.

კიდევ უფრო პიკანტურს ხდის მას ნიორი.



**ქაღის საჭვავი**



**ARNAVUT CIGER**

კუბებად დაჭრილი ღვიძლი სანელებლებსა და ხახვთან ერთად არის შემწვარი.

**NOHUTRYU PILAV**

თეთრი ბრინჯი, მოხარშული თურქული ბარდისა და ქათმის თანხლებით, ტიპური თურქული კერძია, რომელსაც ხშირად გადაეყრებით ამ ქვეყნის ქუჩებში.



**SIMIT**

ეს ბეიგელის მსგავსი ცომეული – სიმითი შეგიძლიათ თურქეთის ნებისმიერ ქუჩაზე იყიდოთ. ხრაშუნა, სეზამის მარცვლებით დაფარული ბლითის ფორმის პური უმეტესად საუზმეზე იჭმება.

**MISIR**

შებოლილ და შემდეგ მსუბუქად გრილზე შემწვარ სიმინდის მარცვლებს ზემოდან მოყრილი აქვს მსხვილი მარილი, წიწაკა ან სხვა სანელებლები. ეს თურქეთში გავრცელებული წასახემსებელია, რომელსაც თითქმის ყველა ქუჩის კუთხეში გადაეყრებით ზაფხულობით.



**KESTANE**

ზამთარში სიმინდის დეფიციტია, შესაბამისად, ქუჩის გამყიდველები შემწვარ წაბლს შემოგთავაზებენ, რომლის სურნელიც მთელ ქუჩას გასდევს.

**KOKOREÇ**

შამფურზე აცმული, ცხვრის შეკამაზული ნაწლავები ხშირად პურის მეოთხედში არის ჩატენილი და მას დაჭრილ პომიდორსა და მწვანე წიწაკასთან ერთად მოგართმევენ. ქოქორეჩი კუჭმაჭის მსგავსი საჭმელია.

**MIDYE**

ორკარედთან ნიჟარებში ბრინჯი და მწვანილია ჩატენილი. რამდენიმე წვეთი ლიმონი და – კერძი მზად არის საჭმელად.



**BALIK EKMEK**

ახლად დაჭერილი ქორფა თევზისგან მომზადებული სენდვიჩი შეგიძლიათ პირდაპირ ნავიდან შეიძინოთ.



სასუკათასო თავზის სანდვიჩი ბალათას ხილთან უნდა მიირთვათ, მხნელის წვეთთან ერთად.





## KEBAP

ქაბაბი ვერძიკალურ შამფურზე შემწვარი ცხვრის, ქათმის ან საქონლის ხორცის ყვალაზე გავრცელებული სახეობაა. ყვალაზე გავრცელებული სახეობაა DÖNER KEBAP-ი: ლავაში ან ბაჭირს კურბი ჩაწყობილ ნაკვეთად დაწრილ ხორცს თქვენი გემოვნებით შეგიძლიათ შეურიოთ ბოსტნეული, მწვანილი და გემრიელი სოუსი.



კლასიკური SHISH KEBABI რკინის შამფურზე შემწვარი ხორცია. დამარინალებულ ცხვრის ან საქონლის ხორცს შამფურზე წამოაცმევენ, ჩვეულებრივ, ბოსტნეულის და დანამატების გარეშე, და ნაკვერჩხალზე წვავენ.



ADANA KEBABI – ამ კერძის სახელი ქალაქ ადა-ნას უკავშირდება. წითელი წიწაკით შეზავებულ ხორცს რკინის ბრტყელ და გრძელ შამფურზე წამოაცმევენ და გრილზე წვავენ. ცხიმის ჩამოწურვასთან ერთად ხორცის მასა ერთიანი ხდება და შამფურის გამოძრობის შემდეგ გრძელი მილის ფორმას იღებს. მას ხშირად გრილზე შემწვარ ბოსტნეულთან, ცხარე წიწაკასთან, ხახვსა და პომიდორთან ერთად მოგართმევენ.

ქალაქ ურფას სეხნია URFA KEBABI ადანური ქაბაბის მსგავსია, თუმცა ნაკლებად ცხარე.

ხორცს წიწაკის მაგივრად ხახვთან, ნიორთან, ორეგანოსა და ტკბილ პაპრიკასთან აზავებენ.



ÇÖP ŞİŞ – ჩოფ შიში ქაბაბის მომზადების შემდეგ მორჩენილი ცხვრის ხორცისა და ცხიმისგან მზადდება.

ამ უძველო ხორცის ნაჭრებს ნივრისა და პომიდვრის წვენიში, შავ წიწაკაში, ორეგანოსა და ზეითუნის ზეთის მარინაჟში ათავსებენ. ყველაზე ხშირად მას ხის წვრილ შამფურებზე წვავენ ქაბაბის სხვა სახეობებთან ერთად. ხორცის პატარა ნაჭრები მალევე იცვლის ფერს ყავისფრად, ხოლო ცხიმის ნაჭრები ხრამუნა ხდება და მას განსაკუთრებულ არომატს სძენს. მას ხშირად აპეტაიზერის სახით მიირთმევენ, ვიდრე ძირითადი კერძი – ქაბაბი მომზადდება.



## DÖNER KEBABI

ბურსაში მცხოვრებმა ისკანდერ ეფენდიმ ჯერ კიდევ 1800-იან წლებში გამოიგონა სპეციალური გრილის სახეობა, რომლითაც შესაძლებელი გახდა ხორცის ვერტიკალურ მდგომარეობაში შეწვა.

დიდ შამფურზე სქლად აცმული ხორცი მუდმივად ბრუნავს და გრილზე იბრაწება, მის ჩამონათალ, ხორცის მომცრო ნაჭრებს ბრინჯთან ან დურუმთან – თხელ ლავაშთან ერთად მიირთმევენ.



ISKENDER KEBABI ქაბაბის ეს სახეობაც ქალაქ ბურსაში დაიბადა. Döner-ის დაბრაწული ანათალი ბრტყელი თურქული პურის, pide-ს ნაჭერზე განთავსდება. კერძს განსაკუთრებით უხდება ჩამდნარი კარაქი, იოგურთი და ტომატის სოუსი.



POLITE ALI, იგივე ALI-NAZIK KEBABI – ალინაზიქ ქაბაბი გრილზე შემწვარი ცხვრის ხორცისა და შერაწული ბადრიჯნის ნაზავია იოგურთთან ერთად.



თურქული ხორცის ბურთები, სახელად KÖFTE, ჩვეულებრივ, ცხვრის ან ბატკნის გატარებულ ხორცში შერეული პურის, ხახვისა და სუნელებს

ბისგან მზადდება. ყველაზე გავრცელებული სახეობაა Izgara Köfte. ის გრილზე შემწვარია და გრილზე მომზადებული ბულგარული წიწაკის, დაჭრილი ოხრახუმის თანხლებით მიირთმევენ; ზოგჯერ სენდვიჩით იღება გაჭრილ ბადრიჯანში და ზემოდან ზეითუნის ზეთს ასხამენ.



## ÇIG KÖFTE

ხორცის ბურთულებისგან და მზადებული კერძი ძალიან ჰგავს სტიკ ტარტარს.

ტრადიციულად, მას დაფქული ბულღურის, სკალიონის (წვრილად დაჭრილი ნიორი), სანელებლებისა და ქორფა, უმი ხორცისაგან ამზადებდნენ. დღეს კერძმა ცოტათი სახე იცვალა და მას დაფქული ბულღურსა და სანელებლებში ამოვლებულს მოგართმევენ; თან მოაყოლებენ ყველანაირ მწვანე გარნირს, ლიმონის წვეს, სალათის ფოთოლს ან ბრტყელ პურს.



## TAVUK, იგივე PILIÇ

ქაბაბის ეს სახეობა, ჩვეულებრივ, საქონლის მკერდის ან შავი ხორცისგან მზადდება. შეწვამდე ხორცს რძეში ან თხელ იოგურთში აწყობენ, შემდეგ ზეითუნის ზეთსა და სანელებლებში, ან დაქუცმაცებულ წითელ წიწაკაში ავლებენ.

BEYTI გატარებულ საქონლის ხორცს უთხელეს ლავაშში, იუფქაში (yufka) ახვევენ, მრგვლად ტრიან და ლუმელში წვავენ.





# ჩაი თურქეთის მთავარი სასმელი



დღეს თურქეთი ერთ-ერთი ლიდერია ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს შორის და საკუთარი ნაწარმის მთავარი მომხმარებელიც. თურქეთი ჩაის მოსავლის მიხედვით მსოფლიოს ქვეყნების პირველ ხუთეულშია და დედამიწაზე მოყვანილი ჩაის 6-იდან 10 პროცენტამდე აწარმოებს. ეს კულტურა შავიზღვისპირეთში, რიგეც პროვინციაში გაშენებულ პლანტაციებში მოჰყავთ. თურქეთის შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს რბილი, ნოტიო ჰავა და ნოყიერი მიწა უმაღლესი ხარისხის შავი ჩაის ფოთოლს იძლევა. ჩაი თურქეთის ერთგვარი სიმბოლოც გახდა, ის თურქეთის სოციალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ჩაიდან მუდამ თუხთუხებს ყველა ოჯახში, ოფისში, მაღაზიაში, რესტორანსა და ჩაიხანაში... ჩაით გიმასპინძლებიან ნაცნობებიც და უცნობებიც.

მაგრამ ჩაის ამ ქვეყანაში სულაც არ აქვს ისეთი ღრმა წარსული, როგორი მნიშვნელობაც შეიძინა. ჩაი თურქეთში, რეალურად, საქართველოდან შევიდა. 1893 წელს, რუსეთის იმპერიის ინიციატივით, ბათუმსა და მის შემოგარენში ჩაის კულტურის გასავითარებლად ჩინეთიდან ლაო ჯონჯაო ჩამოიყვანეს, მაი ჩინეთიდან 15950 ჩაის ბუჩქი ჩამოიტანა და პლანტაციები ქობულეთიდან რიგეც ჩათვლით ტერიტორიაზე გააშენა. ეს არეალი მაშინ მთლიანად საქართველოს ნაწილი იყო. ასე დაიწყო საქართველოსა და თურქეთში ჩაის კულტურის გავრცელება. თურქული ორსართულიანი ჩაიდანიც (Çaydanlık) რუსული სამოვრის ადაპტირებული ვერსიას.

## VOYAGER რეკომენდაცია

### როგორ დავაყენოთ

**ჭურჭელი:** ალუმინის ორსართულიანი ჩაიდანია, წელში გამოყვანილი შუშის ჭიქა და ლამბაქი; **მასალა:** შავი ჩაი (წონით), ნატეხი შაქარი, წყალი.

ქვედა, დიდ ჩაიდანში ავადულოთ წყალი. ზედა, პატარა ჩაიდან ამაღობაში გაცხელდება, ჩავყაროთ 4-5 საცხე სადილის კოვზი შავი ჩაი და ნელ-ნელა, წრიული მოძრაობით დავასხათ მდულარე წყალი. როცა ჩაიდანია წყლით გაივსება, კოვზით მოვურიოთ და სახურავი დავაფაროთ. ქვედა ჩაიდანში ჩავასხათ ცივი წყალი, ზემოდან დავადგათ პატარა ჩაიდანია და ავადულოთ.

წყალი რომ ადუღდება, ცეცხლს დავუწიოთ და კიდევ 15 წუთს დავტოვოთ, რომ ჩაი „ჩავარდეს“.

მუცლიან შუშის ჭიქებს ცხელი წყალი გამოვავლოთ, დავასხათ ჯერ ჩეფირი (ჩაის ნაყენი) სასურველი სიმაგრის მიხედვით და დავამატოთ ცხელი წყალი; დავდოთ ლამბაქზე და მოვუდოთ 2 ნატეხი შაქარი. ჩაიდანია დაბალ ცეცხლზე უნდა დავაბრუნოთ: სანამ ჩეფირი ვნათავდება, ის ცხლად უნდა შეივნახოთ; ქვედა ჩაიდანში კი საჭიროებისამებრ დავამატოთ ასადულებელი წყალი.



### როგორ მივიროთვათ

ზოგი ჩაის შაქრის ნატეხებს ატანს, მაგრამ თავად თურქები, ძირითადად, უშაქროდ სვამენ, მხოლოდ ლიმონის რამდენიმე წვეთს თუ ჩაუმატებენ ხოლმე. თურქეთში ჩაის მთელი დღის განმავლობაში მიირთმევენ. ეს პროცესი საუზმიდან იწყება და ძილის წინ მთავრდება.

„ჩაის დრო“, ჩვეულებრივ, დღის სამიდან ხუთ საათამდეა და სასმელს ნამცხვრებთან ან სხვა ტკბილეულთან ერთად მიირთმევენ, თუმცა ჩაის სმა მხოლოდ დღის ამ მონაკვეთით არ შემოსაზღვრება. ყველა ოჯახში თუ სამსახურში ჩაი ყენდება და მუდამ მზადაა სტუმრისათვის. ოფისებში, კანონის მიხედვით, სამუშაო დღის განმავლობაში ორი ჩაის შესვენებაა გათვალისწინებული.

## ÇAY BAHÇESİ

ჩაის ბაღი თურქული სოციალური ცხოვრების შეუცვლელი ნაწილია. ფართოდ გავრცელებული, ხშირად არაფორმალური და ყველასთვის ხელმისაწვდომი ფასების

მქონე ჩაის ბაღები იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ ცხოვრების ყველაზე დიდი სიამოვნებები ხშირად ყველაზე იოლად მისაღწევია. ბაღებში შემოთავაზებული ჩაის სახეობები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება.



## DOLMABAĞÇE

ულამაზესი მარმარილოს საათიანი კოშკურის ჩრდილქვეშ, Dolmabahçe-ს სასახლის ვალავანთან, სანაპიროზე მდებარე ეს ჩაის ბაღი იდეალური ადგილია მზის ჩასვლის საყურებლად.

აქედან მარმარილოს ზღვის ჰორიზონტი მოჩანს.

Vişnezade Mahallesi,  
Gümüşsuyu Caddesi,



## ÇENGELKÖY ÇINARALTI

ზედ ბოსფორზე მდებარეობს და მთელი დღის განმავლობაში ღიაა. მისი სახელწოდება რამდენიმე ასწლოვანი ნეკერჩხლის პატივსაცემადაა შერჩეული, რომელთა ჩრდილიც ამ უზარმაზარ ტერიტორიას ეცემა.

Çengelköy Cad.  
Çınarlı Camii Sok. No:4






## BAKLAVA

ფახლავა ყველაზე ცნობილი თურქული ჩარობია. ის ათეულობით უთხელებს ფენა ცომისაგან მზადდება, რომელთა შორის თაფლს, ქიშმიშს, თხილსა და წაბლს ატანენ, ზოგჯერ კი სიროფსაც უმატებენ. ცომის ფენები, როგორც წესი, კარაქითაა ხოლმე გაუღენთილი და დახვეული, ან დაკეცილი სახით ლაგდება. შემდეგ მას ღუმელში აცხობენ.

ფახლავის მრავალი სახეობა არსებობს, მათ შორის, ტრადიციული ფახლავა ფსტით, Sütlü Nuriye – თხილით (მის ცომს წყლის მაგივრად რძეში ზეღენ, შესაბამისად, ეს ვერსია უფრო მსუბუქია), ბურმა – ფახლავის მოგრძო სახეობა, რომელიც ითვლება, რომ უფრო ნაკლებ კალორიულია, Bülbül yuvası, იგივე ბულბულის ბუდე – თავისი ფორმით მართლაც ბუდეც ჰგავს, რომელშიც ფსტას ან სხვა თხილეულს დებენ.

Fıstıklı Sarma ფსტის ფახლავაა (ვიზუალურადაც მთლიანად ფსტის ფერია), რომელიც განსაკუთრებულად გემრიელია Maraş-ის ნაყინთან ერთად.



## LOKMA

მომცრო ზომის შემწვარი ბურთულა ცომის, თაფლის, შაქრის სიროფისა და დარიჩინისაგან მზადდება. გარედან ხრამუნა, რბილი შიგთავსის მქონე, ის მართლაც ერთ ლუკმად იჭმება.



## ŞAMBABA – ŞAMBALI

ამ ტკბილეულს შამბალის და შამბაბას ქუჩის კონდიტრები ყიდნიან. გამოცხვარა ბისკვიტი ყველაზე ხშირად დაფარულია არაქისის კარაქით. ზოგჯერ კაიმაღთან ერთად მოგართმევენ.



## HELVA

ფქვილისგან დამზადებული ეს ნუგბარი უფრო მეტად ჟელატინის მაგვარია, მაშინ როდესაც თხილის, კარაქისა და შაქრისგან დამზადებული ვერსიები ფხვიერია. ნებისმიერ შემთხვევაში შეიგრძნობთ თხილის სასიამოვნო ფაქტურას.



## HALKA TATLISI

უმარტივესი ტკბილი ფუნთუშეულია, რომელიც აუცილებლად ხელით უნდა ჭამოთ. ზოგჯერ ზემოდან დაფუქულ ფსტას ან შაქარს აყრიან. ის ენერჯის აღდგენაში დაგეხმარებათ.

## REVANI

Semolina-სგან დამზადებულ, ტკბილი სიროფით გაუღენთილ ნამცხვარს ყვითელი ყვავილის წყალს უმატებენ, ზემოდან კი დაფუქულ ფსტას აყრიან.



## CEZILI SUCUK

ის ნუგბარი ვიზუალურად ჩურჩხელას ჰგავს. მზადდება გამომშრალი ხილისა და თხილისაგან, რომელსაც ძაფზე აცვამენ და ყურძნის სქელ წვენი (დაწურული ყურძნის წვენი შერჩენილი აქვს კანი და ნაყოფი) ავლებენ, შემდეგ კი მზებე კიდებენ გამოსაშრობად.

## AŞURE

პუდინგს შაქრის, ხორბლის, თურქული ბარდისა და ლობიოს მარცვლებისგან ამზადებენ; ზემოდან აყრიან გამომშრალ ხილს – ატამს, ლეღვს, ქიშმიშს, აგრეთვე, თხილსა და ნიგოზს.



## ŞEKERPARE

ტკბილი და ნაზი ფუნთუშა მანანის ბურღულისა და შაქრისგან მზადდება. გამოცხვარს მოტკბო ლიმონის სიროფში აწყობენ, სანამ მაქსიმალურად არ გაიჟღინთება.

ეს დესერტი ფახლავის მერე ყველაზე პოპულარულია.

## EKMEK KADAYIFI

ხორბლის ფქვილისგან დამზადებულ პუდინგს, ჩვეულებრივ, კაიმაღთან ერთად მიირთმევენ სადილის შემდეგ.



## İRMİK HELVASI

Semolina-ს ჰალვას რელიგიური დღესასწაულების დღეებში ამზადებენ, ის დაკრძალვის რიტუალის ნაწილიც არის.



## KAZANDIBI

ქაზანდიბი რძიანი ნამცხვარია, რომელიც, როგორც არ უნდა გავიკვირდეთ, ხშირად ქათმის მკერდის თეთრი ხორციტაა გაძეცილი, თუმცა კი ჩარობად ითვლება.





**AYVA TATLISI**

კლასიკური თურქული დესერტი შემწვარი კომშისგან მზადდება. ეს ტკბილი და საოცრად ჰაეროვანი ნუგბარი ისეთივე ლამაზია, როგორი გემრიელიც.



**MARZIPAN**

ამ ტკბილეულმა ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის ზეობის ხანაში გაითქვა სახელი. მას საუკუნეების განმავლობაში ამზადებდნენ ქალაქ ედირნეში, ოსმალეთის იმპერიის უძველეს დედაქალაქში.

**FIRIN SÜTLAÇ**

თურქული ბრინჯის პუდინგის მოსამზადებლად წყალს, რძეს, ბრინჯს, შაქარს და ბრინჯის ფქვილს იყენებენ. მას დარიჩინს ან გატარებულ თხილსაც უმატებენ.

**KEŞKÜL**

ეს მარტივი, მაგრამ, ამავედროულად, უგემრიელესი ნუშის პუდინგი დაფუჭული ნუშის, რძის, შაქრის და ბრინჯის ფქვილისგან მზადდება; ხშირად ზემოდან მოყრილი აქვს ქოქოსის და ფსტის პუდრი.



**KABAK TATLISI**

თურქული გოგრისგან მომზადებული დესერტი სხვა დესერტებს არ ჰგავს. ის მარტივად მზადდება, ნაკლებკალორიულია და ყველას გულს მოიგებს, ვინც კი გასინჯავს. განსაკუთრებით უხდება ზემოდან მოყრილი ნიგოზი.



**KESTANE ŞEKERİ**

შაქარწყალში მოხარშულ წაბლს ჯერ კიდევ 700 წლის წინათ ამზადებდნენ.



**თურქული კურაული**

პურს ამ ქვეყანაში 5000-წლიანი ისტორია აქვს, ხორბალს – 10 000-წლიანი.

**KATMER**

ქათმური ტრადიციული დახვეული ცომის სახეობაა, შეიძლება ტკბილი ან მარილიანი სახით შეგხედეთ იმის მიხედვით, თუ რომელი ტიპის შიგთავსით არის გამოტენილი.



**AÇMA**

თურქულად ანმა ღვებელია და ვიზუალურად სიმითს ჰგავს. მას, ჩვეულებრივ, საუზმეზე ან წასახემსებლად მიირთმევენ.



**AK EKMEK**

თეთრი ფქვილისგან გამომცხვარ პურის ამ მარტივ სახეობას სხვადასხვა ფორმით შეხვდებით: რკალისებურს, მრგვალს... მას ხშირად ზემოდან მოყრილი აქვს სეზამის ან ყაყაჩოს მარცვლები.

**LAVAŞ**

თურქული ლავაში ძალიან თხელია და აუცილებლად ახალგამომცხვარი, ცხელ-ცხელი უნდა მიირთვათ.



**YUFKA**

იუფკა უთხელესი პურია, რომელსაც თურქეთის ტერიტორიაზე უკვე საუკუნეებია იცნობენ. მასში სხვადასხვა კერძს ახვევენ და ისე მიირთმევენ.

**PIDE**

ამ პურს ზოგჯერ ისეთი ინგრედიენტების თანხლებით ამზადებენ, როგორიცაა: ხახვი, დაჭრილი პომიდორი და სხვა სანელებლები, ასევე, ყველი, ხორცი და სხვა. ეს ვერსია პიცას მოგაგონებთ. არსებობს ფიდეს სხვა სახეობებიც, მაგალითად, Pide Ekmeği ან იგივე Ramazan Pidesi – რამაზანის ფიდე

მრგვალი, ბრტყელი პურია, რომელსაც ხშირად ზემოდან აქვს მოყრილი სეზამის მარცვლები ან თურქული წიწკაკი.



**SIGARA BÖREĞİ** – ეს სახეობა შედარებით მომცრო ზომისაა და მას ცილინდრის ფორმა აქვს. ყველაზე ხშირად შიგთავსად თეთრი, ფეტას მსგავსი ყველი ან ოხრახუში გამოიყენება. იშვიათად შეხვდებით მას ხორციან, ხახვსა და ოხრახუშის ნაზავთან ერთად.



**GÖZLEME**

გოზლემე ტიპური კერძია თურქეთის სოფლებში. ლავაში ან ფილოს ცომში გახვეულია ისპანახი, ყველი და ოხრახუში, გატარებული ხორცი ან კარტოფილი.



**LAHMACUN**

მენიუებში ამ კერძს თურქულ პიცადაც მოიხსენიებენ. ლაჰმაცუნი შევიძლიათ გადაახვიოთ და მიირთვათ წვრილად დაჭრილი ხორციით, ხახვითა და წიწკაკით, ოხრახუშითა და ლიმონის წვენი.



**BÖREK**

ბორეკს, ოსმალური სამზარეულოს ტრადიციულ კერძს, ყველაზე ხშირად საუზმეზე მიირთმევენ. გამომცხვარ თხელ ცომში ხშირად შეხვდებით ისპანახი, ყველი, პომიდორი ან ხორცი.



თურქეთის ტერიტორიაზე ღვინოს უკვე 7000 წელია წარმოება. დღეს, თურქეთი მსოფლიოში ყურძნის მოსავლის (4 264 000 ტონა) მხრივ და მოთხოვნა – ვენახების სიდიდით, რითაც ის მხოლოდ ესპანეთს, საფრანგეთსა და იტალიას ჩამოუვარდება.

1200-მდე ავტოქტონური ვაზის ჯიშებიდან, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე ხარობს, მხოლოდ 60-იდან ამზადებენ ღვინოს; დანარჩენის ნაყოფს მიიროთხავენ და კვების ინდუსტრიაში იყენებენ.



### თქა სხიარალი

#### პეღვინოზის ძირითადი ზონები

თურქეთში მრავალფეროვანი კლიმატია, ამიტომ ღვინის წარმოების რამდენიმე ურთიერთგანსხვავებული არეალია.

**თრაკია** დიონისეს (ბახუსის) სამშობლოა. აქ ვენახები მარმარილოს ზღვის გასწვრივაა განფენილი. თურქული ღვინის 40% სწორედ თრაკიაში მზადდება. ყურძნის ადგილობრივი ტიპური ავტოქტონური ჯიშებია: წითელი – Adakarasi, Cinsault და Papazkarasi (ჩვეულებრივ, ურევენ Cinsault-ს), თეთრი – ციტრუსისა და ლიმონისფერი – Narince და Yapincak.

**ცენტრალური ანატოლიის** ვენახების უმეტესობა ზღვის დონიდან 1250 მეტრის სიმაღლეზეა გაშენებული. კონტინენტური კლიმატი ცივი, მკაცრი ზამთრით გამოირჩევა. ხშირად ტემპერატურა მინუს 25 გრადუსამდეც ეცემა. ზაფხული კი მშრალი და მზიანია. ცენტრალურ ანატოლიაში ხარობს „ვარსკვლავური“ წითელი ყურძნის ჯიში Kalecik Karasi, ასევე – Papazkarasi, თეთრი Narince და Emir.

**ეგეოსის ზღვის სანაპირო** (იზმირის სიახლოვეს) – ეს არეალიც, ხმელთაშუა ზღვის კლიმატით, რბილი და თბილი ზამთრითა და მშრალი ზაფხულით გამოირჩევა. აქ თურქული ღვინის 20% იწარმოება. გავრცელებული ყურძნის ჯიშებია: თეთრი – Sultaniye (უგემრიელესი ნაყოფი ქიმიის დასამზადებლად გამოიყენება) და Misket (მუსკატი); წითელი სახეობებიდან გამოირჩეულია Kalecik Karasi.



აღმოსავლეთ ანატოლიაში, ლეგენდის თანახმად, ბიბლიურ ნოეს პირველი ღერწი დაურგავს. ეს მეღვინეობის უძველესი რეგიონია. ვენახები ეფრატის ველზეა გაშენებული. აქ ადგილობრივი ჯიშები მოჰყავთ, თუმცა მოსავლიანობა დაბალია. **გამორჩეული ჯიშებია: წითელი – Okuzgozu, Bogazkere; თეთრი – Narince.**

#### ყურძნის ხატი „ვარსკვლავური“ ჯიში

**Emir (ემირი)** – კაბადოკიური თეთრი ყურძნისაგან, რომელიც დაბალ ტემპერატურას უძლებს და დიდ სიმაღლეზე ხარობს, მალალი მჟავიანობის მქონე ღვინოს აყენებენ, რომელსაც მინერალების დიდი შემცველობა, ციტრუსებისა და ვაშლის ელემენტური არომატი ახასიათებს.



**Narince (ნარინჯე)** – თეთრი ჯიში, რომლის სამშობლოდაც ფრაკია მიიჩნევა, ფართოდ გავრცელდა სხვარეგიონებშიც. მისარომატში შეიგრძნობა ციტრუსები, თეთრი ყვავილები, დაძველებისას კარგად ეგუება მუხის კასრს, რაც ღვინის სტრუქტურასა და გემობრივ ბალანსს აუმჯობესებს.



**Kalecik Karasi (ქალეჯიკ ქარასი)** – ეს წითელი ყურძნის ჯიშია, რომელიც თხელი კანით, ტანინების დიდი რაოდენობით, უნიკალური გემოთი და განუმეორებელი ხარისხით გამოირჩევა.

**Öküzgözü (ოქუზგოზუ)** – წითელი ყურძნის ჯიშია, რომლის სახელწოდება ითარგმნება, როგორც „ხარის თვალი“. ეს ყველაზე დიდი ზომის მარცვლებიანი ყურძენია თურქეთში.



მუქი ფერის ნაცოფისგან დაძველების დიდი პოტენციალის მქონე ღვინოს აყენებენ – ის 10 წელზე მეტ ხნის განმავლობაში ინარჩუნებს და იუმჯობესებს თვისებებს. მსუბუქი ტანინები და შესანიშნავი ბალანსი, კარამელიზებული ხილის, მუქი კენკრისა და ალუბლის გემო მისი მახასიათებლებია.

თურქეთი მაშმადიანური ქვეყანაა და ალკოჰოლი აქ ისტორიულად აკრძალულ ხილად (haram) მიიჩნევა, მოსახლეობის 83% საერთოდ არც ეკარება სასმელს. ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, ღვინის მოხმარება სულ რაღაც 1.5 ლიტრია წელიწადში. XX საუკუნის ოციან წლებში თურქეთში ღვინის წარმოების შექმნა მუსტაფა ქემალ ათათურქს უკავშირდება. ამობენ, რომ ის კარგი სასმელების დამფასებელი იყო და მართალია, ძირითადად, მაინც ვისკის ეტანებოდა, ცდილობდა ქვეყანა დასავლური ღირებულებებისათვის მიესადაგებინა. სწორედ მაშინ დაარსდა დღესაც მოქმედი უმსხვილესი მწარმოებელი კომპანიები – Doluca (1926) და Kavaklıdere (1929).

დღეს თურქეთში არაერთი საუკეთესო ღვინის მწარმოებელი მცირე მარანია, რომელთა ღვინოებს საზღვარგარეთ უკეთ იცნობენ და მოიხმარენ, რადგანაც ადგილობრივი ღვინო თურქეთში უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ექსპორტზე გატანილი: 2013 წელს თურქეთის პარლამენტმა აკრძალა ალკოჰოლიანი სასმელების რეკლამა, დაუშვებლად გამოაცხადა სკოლებისა და მეჩეთების თუნდაც შორიახლო მათი გაყიდვა და, რაც მთავარია, ორჯერ გაიზარდა გადასახადი ალკოჰოლური პროდუქციის წარმოებაზე, რამაც თურქული ღვინო საკმაოდ გააძვირა და მკვეთრად შეამცირა მოხმარება.

**VOYAGER რეკომენდაცია**



**KAVAKLIDERE, Cotes d'Avanos Narince-Chardonnay 2013**  
Cotes d'Avanos-ის ვენახი ერთადერთია მთელ თურქეთში 950 მეტრის სიმაღლეზე, ვულკანური წარმოშობის მთის ფერდობებზე. ღვინოს აშკარად დაჰკრავს ფორთხოლისა და ვაშლის სურნელი, დასაღებად მთელი 10 თვის განმავლობაში ინახავენ ფრანგულ მუხის კასრებში. **ალკ. 14.5%, ფასი 30€**


**SEVILEN, Plato Kalecik Karasi 2013**  
სევილენის Kalecik Karasi წითელი ღვინოა, ცოტათი Pinot Noir-ს რომ წაავაგვს, სიმსუბუქით; ახალ მუხის კასრებში დაძველების შედეგად, მასში ტანინიც საგრძნობია. **ალკ. 14%, ფასი 25€**

**URLA, Nero D'Avola-Urta Karasi 2014**  
ბოლინამიკური წესით მოვლილ, 3000-წლიან ტერასაზე მოყვანილი ყურძნისგან დამზადებული ეს ღვინო, ძირითადად, სიცილიური Nero d'Avola-სა და 10% Urla Karasi-ს მეტად ნაჯერი, ტანინიანი, მესურნელოვანი სასმელია. მასში ლამის იდეალურადაა შერწყმული სიმბაგრე და სურნელოვნება. **ალკ. 15%, ფასი 54€**

**Boğazkere (ბოღაზქერე)** – წითელი ყურძნის ჯიშია, რომლის სახელიც ითარგმნება, როგორც „რკინის ხახა“. მისგან დაყენებული ღვინო მდიდარი, დატვირთული გემოთი გამოირჩევა და ტანინებით მდიდარია.



Boğazkere-ს და მისგან დამზადებული საუკეთესო თურქული ღვინის დასავემოვნებლად ღვინის ტურში წასვლას გირჩევთ იმპირთან ახლოს, მეღვინეობის უძველეს რეგიონში, Urla-ს მუურნეობაში, რომელიც თურქეთის ყველაზე ცნობილი ღვინის მწარმოებელია.



Urla Sarapçılık და Uzbas Arboretum – თურქული აგროკულტურული ტურიზმის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. Urla Sarapçılık-ი ბუტიკის ტიპის ღვინოების ასიათასობით ბოთლს აწარმოებს და მსოფლიოს საუკეთესო ტექნოლოგიებს იყენებს. Uzbas Arboretum-ი ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების აგროკომპანიაა. მის მიწებზე ანანასი, მეთისხილი, პალმები, სხვადასხვა ტიპის ბუჩქოვანი კულტურები, არომატული მცენარეები და ფოთლოვანი ხეები იზრდება, რომლებიც 52 სხვადასხვა ქვეყნიდანაა ჩამოტანილი. აქაური 2000 მ<sup>2</sup> ფართობის პალმის ტყე ევროპაში უდიდესია.

## TWO ROOMS

Urla-ს სახელგანთქმული ღვინის ქარხნის ნაწილი, მდიდრული და მომხიბლავი ბუტიკის ტიპის სასტუმრო, Two Rooms Hotel-ი ვრცელი კერძო ვენახებითაა გარშემორტყმული. სასტუმროს ბალთან ულამაზესი წყალსაცავია. ნომრები ელევანტური დეკორით გამოირჩევა, ფანჯრებიდან კი ვენახი მოჩანს და თითოეულს საკუთარი 200 კვ. მ ფართობის ტერასა აქვს. სეზონის მიხედვით, სტუმრებს შეუძლიათ ღვინის დამზადების სხვადასხვა ეტაპში მიიღონ მონაწილეობა – იქნება ეს რთველი თუ დაწურვა. სასტუმრო პლაჟიდან ერთი კილომეტრითაა დაშორებული.

**ნომრის ფასი: 170€-დან**

Kuskular Koyu 8O28 Sok. No:12 Urla, Izmir, 3543O Urla, Turkey



**თურქეთში ღვინის მოხმარება ალკოჰოლის საერთო მოხმარების მხოლოდ 7%-ია, ლუდის – 89%, რაჟის – 30 4%.**

**RAKI** – რაჟი ანუ ლომის რძე, როგორც მას უწოდებენ ხოლმე, ანისულის სურნელით გაჯერებული არაყია. ზოგი წყლით აზავებს, ზოგი კი ვინულის ნატეხებს ყრის შიგ. რაჟის ნესეს, ცხვრის ან თხის ყველს აყოლებენ.





## იომგზაურად ისტორიულ ტაო-კლარჯეთში

ირინე გივიაშვილი

**ტაო-კლარჯეთი გაგზავნილია მძიმე დაწინაურებული ქართული საზოგადოებისთვის და, ტაოს და კლარჯეთის გარდა, ასევე გუბიაში, თრიალეთის საზღვრებში შედარებით ისტორიული საქართველოს სახრად-დასავლეთ პროვინციებს: კოლა, ოდიში, ერუხეთი, შავშეთი, მაჭახელი და სხვ. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში სამომავლოდ თრიალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის პროვინციებში – ართვინში, არღვანში და არგვანში უნდა გაეგზავნათ.**

ტაო-კლარჯეთი საქართველოსთვის გაცილებით დიდი მნიშვნელობის აღმოჩნდა, ვიდრე მხოლოდ ერთი მხარე. აქ ჩაისახა და განხორციელდა საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, იდეა, აქ შეიკრა პირველად იბერთა და კოლხთა ჯარი. XI საუკუნეში მოღვაწე ისტორიკოსი ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ მეფე ფარნავაზს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს, იბერიას ძველი წელთაღრიცხვით III საუკუნეში განაგებდა, ბრძოლა გაუმართავს აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან. ამ ბრძოლაში მასთან ერთად გამოსულან კოლხნი და ოგსნი. ბრძოლის ველი კი ყოფილა ადგილს, რომელსაც ეწოდა ჰური, ქაჯთა ქალაქი, იმ დროს რომ უკვე ნაქალაქარად იყო ქვეული.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართულ ქალაქებს შორის უძველესი, რომელიც მითური ქართლოსის შვილებმა დააარსეს, ყოფილა ციხე-ქალაქები – თუხარისი (კლარჯეთში) და ქაჯთა ქალაქი, ჰური (არტანუში). თუხარისის ადგილმდებარეობა დღემდე არ არის დაზუსტებით დადგენილი, ხოლო არღვანის ვილაეთში, სოფელ ალთაშის (Altas) ტერიტორიაზე კლდეში ნაკვეთი კომპლექსი, რომელიც დღესაც „ნაქალაქოს“ სახელის მატარებელია, ალბათ ამ ისტორიის მოწმე უნდა იყოს.

აქ, არტანის სოფელ ერუშეთში აუშენებიათ ახლად მოქცეული იბერიისთვის პირველი ეკლესია მცხეთისკენ მომავალ ბიზანტიელ ხუროებს; აქ, კლარჯეთში დააარსებულა პირველი საეპისკოპოსოები აჭიზასა და მერეში და მალევე ოზიზაში დაფუძნებულა პირველი მონასტერი – ყველა მათგანი ვახტანგ გორგასლის დროს; ამ მხარიდან დაიწყო ბაგრატიონთა ათასწლოვანი მეფობა, როცა არაბობადამტყდარი ქართლიდან აშოტ კურაპალატმა თავი სამხრეთ საქართველოს შეაფარა და რეზიდენციად არტანუჯის ციხე გამოაცხადა; იქვე იმავე დროს მოღვაწეობდა დიდი მეუდაბნოე მამა წმ. გრიგოლ ხანძთელი თავის საძმოსთან ერთად, რომელმაც დააარსა და განაახლა კლარჯეთის თორმეტი მონასტერი.

ტაოში აშენდა ყველაზე გრანდიოზული ტაძრები და აქ შექმნილმა არქიტექტურულმა სკოლამ შთააგონა მთლიანად ქართული ხუროთმოძღვრება; აქ ითარგმნებოდა და იქმ-



ნებოდა საღვთისმეტყველო ლიტერატურა და ვრცელდებოდა მთელ ქართულ სამყაროში; აქედან წავიდნენ დიდი საერო და სასულიერო მოღვაწეები ათონის მთაზე იბერთა მონასტრის დასაარსებლად; აქ იწახებოდა ქართველთა უდიდესი საუნჯე, სასწაულმოქმედი ხატები, ხოლო ის, რაც უამთა სიავეს გადაურჩა, დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზებსა და სხვადასხვა არქივშია დაცული.

ტაო-კლარჯეთის ისტორია საქართველოსგან ტერიტორიული მოწყვეტით არ დასრულებულა. საბჭოთა პერიოდის 70 წლის განმავლობაში კი ქართველთაგან ტაო-კლარჯეთი მიუწვდომელი და იდუმალი სამყარო იყო... დღეს აქ მოხვედრა ადვილია, მაგრამ მოგზაურობის სიმარტივე ერთი წამითაც კი არ გავიფერმკრთალებთ იდუმალ გრძნობას, რომელიც ამ ადგილების მონახულებისას დაგეუფლებათ.

**სამოგზაუროდ საუკეთესო დრო ზაფხული-აღრუბლი შემოდგომაა. ზაფხული საკმაოდ ცხელია და მოგზაურობისას თავსაბურავი და წყლის მათარა სულ თან უნდა გქონდეთ.**



**ომკი**

ომკის მონასტერი ისტორიულ ტაოში მდებარეობს, თორთუმის ტბის არეალში, არზრუმის ვილაეთის სოფელ ჩამლიამაჩში (Çamlıyamac). იოანე ნათლისმცემლის სახელობის დიდი გუმბათიანი ეკლესიის ფასადები მდიდარია რელიეფებითა და წარწერებით. სამხრეთ ფასადის აღმოსავლეთ ნაწილშია დიდი ვედრების სცენა, რომელშიც ეკლესიის მამულებელი მეფე დავითი და მისი ძმა ბაგრატე ეკლესიის მოძღვრებით ხელში არიან გამოსახულნი ღვთისმშობელთან და იოანე ნათლისმცემელთან ერთად და ცენტრში გამოსახული ქრისტესკენ არიან ვედრებით მიმართულნი. ეკლესიის შენების ამბავს ტაძრის კედლებზე დიტანილი წარწერები გვიცვებიან.

ტაძრის კურთხევა 963 წლის 25 მარტს, ხარება დღეს მომხდარა და შენება 10 წელს გაგრძელებულა. XX საუკუნის განმავლობაში ეკლესიის სამხრეთის მკლავში მეჩეთი იყო მოწყობილი. ეკლესიის აღმოსავლეთით სამონასტრო კომპლექსის გრანდიოზული შენობების ნანგრევებია.



*ტაო-კლარჯეთში მოგზაურობას ბავრი ტურისტული კომპანია გვთავაზობს. თუმცა ისტორიულ საქართველოში მოგზაურობა და მოუპოვებლადაც, ოჯახის ან ჯგუფობის წრეში შეგიძლიათ დაგეგმეთ, თქვენს სმარტფონში არსაბული რუკა და GPS მონაცემები ყველა მზას მიმასწავლით; ტაო-კლარჯეთში სამოგზაუროდ შეგიძლიათ აირჩიოთ სარფის, ვალას ან კარნახის სასაზღვრო გამშვები კუნთები.*



**სარფიდან პირველი დასახლებული პუნქტი** ქემალფაშა (Kemalpaşa), ძველი **მაკრიალი**, იგივე ნოღედი. დღეს ის ცნობილია სავაჭრო ფუნდუკების სიმრავლით. ზღვის სანაპიროზე სუროში გახვეული შენობა დგას. ეს არის მცირე დარბაზული ეკლესია მაღალი კოშკით. ცნობილია, რომ მეფე ბაგრატ V-ის და ანა კომნენოსის ქორწილი 1367 წელს მაკრიალში ჩატარებულა.

**ვალეს მხრიდან მიმავალს**, ხერთვისის ციხე გაგაცილებთ, საზღვარს გადახვალთ და მტკვრის ხეობის სათავდაცვო სისტემის არაერთი კოშკურა გამოგყვებათ; მტკვარს თუ აუყვებით და არდაჰანი-ჩილდირის გზას გაუყვებით, ისტორიული საქართველოს კიდე ერთ უდიდეს ციხეს მიადგებით: ეს არის **Saytan Kale**, ძველი ქაჯის ციხე, რომლის სისხლიანი ისტორია დაეწიყებას მიეცა, მაგრამ რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ ის ისევ ცოცხლობს.

**3-დღიანი მარშრუტი**

- 1 სგზ სარფი – ხოფა, მამაწმინდა, დოლისყანა, არტანუჯი, აპიზა (გზიდან) – ქალაქი ართვინი
- 2 ქალაქი ართვინი – ხანძთა, ოთხთა ეკლესია – ქალაქი იუსუფელი
- 3 ქალაქი იუსუფელი – ომკი, ხახული – სგზ სარფი

**4-დღიანი მარშრუტი:**

- 1 სგზ ვალე (ადრაჰანი-არსიანის უღელტეხილით) – შავშეთი, სათლეს ციხე, ტბეთი, ხანძთა, ოპიზა – ქალაქი ართვინი
- 2 ქალაქი ართვინი – არტანუჯი, დოლისყანა, ოთხთა ეკლესია – ქალაქი იუსუფელი
- 3 ქალაქი იუსუფელი – ომკი, ხახული, იშხანი – ქალაქი იუსუფელი
- 4 ქალაქი იუსუფელი-ბანა, ჩილდირი, ქაჯის ციხე – სგზ ვალე

**5-დღიანი მარშრუტი**

- 1 სგზ ვალე – ქაჯის ციხე, ჩილდირის ტბა, ტბეთი, სათლეს – ქალაქი შავშეთი
- 2 ქალაქი შავშეთი – ხანძთა, ოპიზა, არტანუჯი, აპიზა – ქალაქი ართვინი
- 3 ქალაქი ართვინი – იშხანი, ეზბეკი, ბანა-ქალაქი იუსუფელი
- 4 ქალაქი იუსუფელი – ოთხთა ეკლესია, ხახული, ომკი – იუსუფელი
- 5 ქალაქი იუსუფელი – დოლისყანა, მამაწმინდა – სგზ ვალე





## არტანუჯი

არტანუჯი (Ardanuç) მდებარეობს არტანუჯი-არდაშანის გზაზე, მდინარე არტანუჯის მარცხენა ნაპირას, მაღალ კლდოვან მასივზე და მის გარშემო. არტანუჯი ცნობილია, როგორც აშოტ კურაპალატისა და ქართველთა სამეფოს მეფეთა რეზიდენცია. შუასაუკუნეების განმავლობაში ციხე მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ფუნქციას იწარჩუნებდა, ამავე დროს, ის სავაჭრო ცენტრადაც იქცა.

შიდა ციხე ბუნებრივად მიუვალ კლდეზეა, სადაც შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები. ციხის კედლების გარდა აქ ჩანს გვირაბები, წყლის ცისტერნა და ეკლესია, რომელიც აშოტ კურაპალატის მიერ 810-820 წლებს შორის პერიოდში აგებული პეტრე-პავლეს ეკლესია უნდა იყოს. მოგვიანებით მეფე აქვე დაიკრძალა.

## ბანა

ბანა მდებარეობს ისტორიულ ტაოში, არზრუმის ვილაეთის სოფელ ფენექის (Penek) სიახლოვეს, შემალღებულ ბორცვზე. მდინარე ფენექისწყლის მიდამოები, გარშემორტყმული ნაირფერი მცირე ბორცვებით, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.



ერთ დროს საკათედრო ტაძრის კომპლექსი, რომელიც ასევე საეპისკოპოსოს სასახლესა და მცირე ეკლესიას მოიცავდა, ნანგრევებადაა ქცეული.

ტაძარი წარმოადგენს მრგვალ ნაგებობას, ოთხი მკლავი წრიულ გარშემოსავლელებში ღია თაღნარით იყო გახსნილი. სუმბატ დავითის ძე „ქართლის ცხოვრებაში“ გვამცნობს, რომ ადარნასემ (888-923), ქართველთა მეფის, დავით ბაგრატიონის ძემ „აღაშენა ბანა ხელითა კვირიკე ბანელისაჲთა, რომელი იგი იქმნა პირველ ეპისკოპოს ბანელ“.




## ფარნაკი

ოუსუფელიდან ბანასკენ მიმავალ გზაზე როგორც კი სოფელ Iriağaç-ის გადასახვევს გასცდებით, გზიდან ხელმარცხნივ უმშვენიერესი ბუნება გამოჩნდება. ფარნაკის ციხეები (თურქულად მათ Oğlan ve Kız Kaleleri-ს უწოდებენ, რაც ვაჟიშვილისა და ქალიშვილის ციხეებს ნიშნავს) ოლთისისა და ბანას წყლების შესაყარზეა აგებული და ისტორიულად ამ ორ ხეობას აკონტროლებდნენ. ოღლან ქალესი ცალკე ბორცვზე დგას, შორიდან ახლაც კარგად ჩანს ეკლესიის კედლები. აშენების ზუსტი დრო უცნობია.



## დოლისყანა

დოლისყანის გუმბათიანი ეკლესია სოფელ ჰამამლიში (Hamamlı) მდებარეობს. კლარჯეთის სხვა მონასტრებთან შედარებით ის გვიან დაარსდა, 850-950 წლებს შორის. ეკლესია XIX ს-იდან XX ს-ის ბოლომდე მეჩეთად იყო გადაკეთებული. დოლისყანა მოხატული იყო, თუმცა XI ს-ის მხატვრობის ფრაგმენტები მხოლოდ



საკურთხეველის ქვედა რეგისტრშია დარჩენილი, სადაც წმ. მამების რიგია გამოსახული. ეკლესიის სამხრეთი ფასადი შემკულია რელიეფური გამოსახულებებითა და წარწერებით: სარკმლის დამაგვირგვინებელ ორ მასიურ ქვაზე ლამაზი ასომთავრული წარწერაა: „ქ(რისტე) ადიდე მეფე ჩ(უენი) ს(უმბ)ატ მმ(ეგრძ(ელო)ბ(ი)თ“.

გუმბათის ყელში, ასევე სამხრეთის მხრიდან გამოქანდაკებულია მეფე სუმბატი ეკლესიის მოდელით ხელში.

## ეზბეკი

ეზბეკი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, ართვინის ვილაეთში, ოლთუსწყლის მარცხენა სანაპიროზე, სოფელ დარიჯას (Darıca) სიახლოვეს. ეზბეკში დიდი სამონასტრო ცენტრი იყო, რომლის ისტორია უცნობია.

დიდი ბაზილიკური ეკლესია და მცირე ცალკე მდგომი დარბაზული ტაძარი IX ს-ის უნდა იყოს, აგურის დარბაზული ეკლესია კი XV-XVI სს-ით თარიღდება.







### მამანშინდა

მცირე ზომის ეკლესია მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში, ბორჩხაში, სოფელ იბრიქლის (İbrikli) სიახლოვეს. ეს არის მცირე ზომის ჯვარგუმბათოვანი ეკლესია, რომელიც მთლიანად დაფარულია მხატვრობით.

აღმოსავლეთით თაღში იშვიათი იკონოგრაფია გვხვდება: „მართალთა სულები უფლის ხელშია“.

ეკლესია აიგო და მოხატა XV-XVI საუკუნეებში.



### ოპიზა

ნამონასტრალი ისტორიულ კლარჯეთში მდებარეობს, ართვინის რაიონის სოფელ ბაღჩილარში (Bağcılar). ოპიზის მონასტერი უპირველესი სავანეა მთელი საქართველოსთვის. აქ ინახებოდა იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილები. ერთ დროს უდიდესი სასულიერო და საგანმანათლებლო ცენტრის ადგილას დღეს სამონასტრო შენობების დიდრონი ნანგრევებია შემორჩენილი. ეკლესია გასული საუკუნის შუა წლებში ააფეთქეს და მისგან მხოლოდ ორი კედლის ფრაგმენტებია დარჩენილი.



### ოთხთა ეკლესია

ისტორიულ ტაოში, სოფელ თექქალეს (Tekkale) ზემოთ მდებარეობს ოთხთა ეკლესიის დიდი ლავრა. გზის პირას არსებული წყაროდან 50 მ ფეხით უნდა აიარო. მთავარი ეკლესია ბაზილიკური გეგმისაა, შიდა სივრცე სამნავად იყოფა ხუთი წყვილი სვეტით. გრანდიოზული სივრცე მომწესხველ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

ეკლესიის კედლებზე გადაკეთების კვალი ცხადყოფს, რომ მისი სივრცე შეუცვლიათ და აუშაღლებიათ, გადაკეთებები მეფე დავით III კურაპალატის (960-1001) ხანაში უნდა მომხდარიყო.

აღმოსავლეთ ფასადზე, ყველაზე ზედა კიდეში მისი სადიდებელი წარწერაა განთავსებული. საკურთხეველში შემორჩენილია X ს-ის ფრესკული მხატვრობა. სარკმლის თაღში გამოსახული ქალი ეკლესიის მოდელით – დედა ეკლესიაა, სიონი, ქალაქ იერუსალიმის პერსონიფიკაცია. მცირე ეკლესია ნაგებია აგურისა და ქვის მონაცვლეობით. შენობა ორსართულიანია, ზემოთ არის ეკლესია, ქვემოთ კი – ეკვდერი.



### იშხანი

იშხანი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, კლარჯეთის სამღვარზე, ართვინის ვილაეთის სოფელ იშხანში (İşhan). დიდი გუმბათიანი ეკლესია IX-XI სს-ში აშენდა, ფასადები XI საუკუნის განმავლობაში შეიმკო და ის ანტონ იშხნელ ეპისკოპოსს უკავშირდება, რაზედაც ეკლესიის სამხრეთ ფასადზე ამოკვეთილი წარწერები მოგვითხრობს. აქვე მოხსენიებული არიან მეფე გიორგი I (1014-1027) და ბაგრატ IV (1027-1072).

ეკლესიის ინტერიერი მოხატული იყო, XI ს-ის მოხატულობა ყველაზე უკეთ გადარჩენილია გუმბათის ყელში, სადაც ლურჯ ფონზე ჯვრის ამალღებაა გამოსახული. დიდი ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარეობს მცირე ზომის დარბაზული ტაძარი, წარწერა იხსენიებს მეფე გურგენს (994-1008). ამ ეკლესიის კარის მორთულობა და სამოთხის თემა დ. კლდიაშვილმა გამოიყენა თსუ-ს გერბის დიზაინში.



**იშხანი პირველი ქართული ქაშლია თურქეთში, რომელსაც რუსთავერსი ჩაუტარდა (2013-2016 წწ).**



## VOYAGER კომენტარი

- იმის გამო, რომ იშხანსა და პარხალში სარესტავრაგიო სამუშაოები მიმდინარეობს, 2018 წლის სეზონზე პარხალი ტურისტებისთვის შესაძლოა დაკეტილი იყოს, ხოლო იშხნის დათვალიერება მხოლოდ გარედან შეძლოთ.
- ხახულის მთავარ ეკლესიაში მეჩეთი ფუნქციონირებს, თუმცა ადგილობრივი ხოჯა ტურისტებს გულდიად ეგებება, მხოლოდ ერთი პირობით: ფეხსაცმელი ტაძრის კარიბჭეში უნდა დატოვოთ. თუ ტაძარი დაკეტილი დაგვხვდათ, ადგილობრივებს მიმართეთ და ისინი ხოჯას მალევე დაუკავშირდებიან.
- ტაო-კლარჯეთის ეკლესიების უმეტესობა რეგისტრირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. აქ არც დაცვა დგას, არც დათვალიერების საფასურს მოგთხოვენ და, ერთი შეხედვით, იქაურობა შეიძლება მიტოვებულ-გაუკაცრიელებულიც კი გეჩვენოთ.

**არ დაანთოთ სათლავი ტაძრის ეკლესია და კედლები, ანთაბული სათლავი ხელშეიკა უნდა გქონდეთ.**





## ხანძთა

ხანძთის ეკლესია კლარჯეთის კლდოვან მთებს შუა მდებარეობს, ართვინ-არდაჰანის გზიდან სოფელ ფირნალის (Pirnali) გადასახვევთან, აბრა – Porta Manastiri მონასტრის გზას მიანიშნებს; ამ გზაზე ნახევარი საათი მაინც ფეხით მოგიწევთ სიარული.

ხანძთა ცნობილია, როგორც გრიგოლ ხანძთელის მონასტერი, უპირველესი ათორმეტ სავანეთაგან. აქ ნახავთ ერთგვარ ოაზისს, მსხმოიარე ხეხილის ბაღებით, ტერასებით, წყალგადამყვანი არხებითა და რეზერვუარებით, მრავალი სამონასტრო ნაგებობით, ვრცელი პალატებითა და მცირე სენაკებით, რამდენიმე ეკლესიითა და სამრეკლოთი.

დიდი გუმბათიანი ეკლესია ჯვარგუმბათოვანია, მშენებელი არის ამონა, აშენებულია მეათე საუკუნის დასაწყისში, ერისთავთ-ერისთავთ კუთვნილია (+918) და გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავის (+941) დროს.

ხანძთის სამრეკლოს წარწერაში მოხსენიებული მარკოზი შეესაბამება სინას მთის „სულთამატიანეს“ ტექსტში მოტანილ ჩვენებას, რომელიც სამრეკლოს მამულებლად ასევე მარკოზს მოიხსენიებს და მისი მშენებლობის თარიღად XIV ს. განისაზღვრა.



## პარხალი

ისტორიულ ტაოში, ლაზეთის მოსაზღვრედ, სოფელ პარხალში (Barhal) დგას დიდი ბაზილიკური ეკლესია, რომელიც ოთხთა ეკლესიის დიდი ტაძრის მსგავსია და მის რეპლიკას წარმოადგენს. პარხლის ეკლესიის შენებაც დავით კურაპალატის ხანას უკავშირდება და ტაძარი X ს-ის მიწურულით თარიღდება. ეკლესია უკანასკნელ დრომდე მეჩეთად გამოიყენებოდა. 2016 წელს დაიწყო პარხლის რესტავრაცია.



## ტბათი

ისტორიულ შავშეთში, ართვინის ვილაეთის სოფელ ჯევიზლიში (Cevizli) ერთ დროს დიდებული ტბეთის საკათედრო ტაძრის ნანგრევებია, რომელიც მეოცე საუკუნის 60-იან წლებში აუფეთქებიათ.



ეკლესია ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა, თავად მისი ბირთვი X ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება, სამხრეთის მხარე – XIII ს-ით. საკურთხეველში იყო XII ს-ის მხატვრობა, რომელიც თითქმის მთლიანად განადგურებულია.

## სათლე

სათლეს ციხე (Şavşat Kalesi) შავშეთის მხარეში მდებარეობს. ამაღლებული ბორცვი მაღალი კედლებითაა გარშემორტყმული, რომლის შიგნით ადგილობრივ ფეოდალთა სასახლის, კარის ეკლესიის, მოგვიანებით მასში ჩაშენებული აბანოსა და სხვა ნაგებობათა ნაშთებია.

მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები და ძეგლის რესტავრაცია.







**ხახული**

ხახულის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, არზრუმისკენ მიმავალ გზაზე. ფაქტობრივად, ის ისტორიული საქართველოს უკანასკნელ საეკლესიო ნიშნულს წარმოადგენს. სოფელ ბაღბაშის (Bağbaşı) გზაზე აღმართული ფირნიშები, წარწერით – Haho Manastiri, ისტორიული ძეგლის მიმართულებას გვამცნობს. ძველ სავანეს ჯერაც შერჩენია გალავანი და თაღოვანი კარბეტე, რომლის ტერიტორიაზე სამი ეკლესიაა დარჩენილი. ღვთისმშობლის სახელზე აშენებული დიდი ეკლესია ჯვარგუმბათოვანია.

**ტაო-კლარჯეთიდან მომდინარეობს საეპარქიოლოსტვის უმნიშვნელოვანეს სიწმინდეტაოვან ორი, ანჩისხატი და ხახულის ხატი.**

ანჩისხატი ანჩის კათედრალს ეკუთვნოდა და კლარჯეთიდან მხოლოდ XVII საუკუნეში გადმოსვენეს. ანჩისხატი, ტრადიციულად, „პირი ღმრთისად“ მიიჩნევა, თუმცა დაფა, რომელზედაც მაცხოვრის სახეა აღბეჭდილი, VI საუკუნეში ცვილით დაუფარავთ. ხატი ბექა ოპიზრის ხელით შეჭედელი ჩარჩოში ზის. მან ადგილი თბილისის ზარის ეკლესიაში და-



საკურთხეველში, წინამძღვრის დასაბრძანებელი ნიშის თაღში მტრედის – სულიწმინდის ქანდაკება გამოკვეთილი. სამხრეთის მკლავის შეწყვილებული სარკმელი მოჩუქურთმებული თაღებითაა გაფორმებული, რომლის შუაში თითქმის სამგანზომილებიანი არწივის ქანდაკება დგას. ასევე მდიდრულადაა შემკული სამხრეთი პორტალი, სადაც ლომი, ბიბლიური იონა, ფასკუნჯი, წმ. პეტრე, მამალი და ალექსანდრე მაკედონელი არიან გამოსახულნი. კარის ტიმპანზე ჯვრის ამალღების კომპოზიციაა.

აღდგომის ტრადიცია ხახულში განსაკუთრებით ძლიერი ყოფილა, ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისში მუსლიმი ქალები შეღებილი კვერცხებით მოდიოდნენ მარიაშის ხატთან შესავედრებლად. ხახულის ეკლესიის ინტერიერი მთლიანად მოხატული იყო, გუმბათში, ღურჯ ფონზე, ჯვრის ამალღების კომპოზიციაა. ფრესკები XI ს-ით თარიღდება. გუმბათიანი ეკლესიის დარად მცირე ეკლესიაც X ს-შია აგებული.



იმკვიდრა და ეკლესიასაც და მთელ უბანსაც თავისი სახელი მისცა.

ხახულის ხატის ისტორია სხვაგვარია: ღვთისმშობლის ხატი, რომელიც კარედში იყო ჩასვენებული, ტაოს ხახულის ეკლესიას ეკუთვნოდა. ტაოდან ის დავით აღმაშენებლის ბრძანებით ახლად დაარსებულ, „მეორე იერუსალიმად“ წოდებულ გელათში გადაასვენეს (1952 წლამდე აქვე ინახებოდა).

ხახულის ხატი უდიდესია შუასაუკუნეების ქართულ ხატებს შორის და სიდიდით მეორეა ბიზანტიურ სამყაროში (2X1.47 მ). ის უხვადაა შემკული თვალმარგალიტითა და მინანქრის ხატებითა თუ სანაწილეებით. ხახულის კარედის წინა პირი ოქროსია, კარედის ფრთები ოქროთი დაფერილი ვერცხლია, ხოლო უკანა პირები ვერცხლისაა. აქ მცენარეული ორნამენტის ფონზე ორი დიდი ჯვარია გამოსახული და იმ სახითაა შენარჩუნებული, როგორც ის ხახულში იყო.

ანჩისხატისა და ხახულის ხატის ნახვა თბილისში, ხელოვნების მუზეუმის საგანძურშია შესაძლებელი.

სასტუმროები ავ 3 ან  
4-ვარსკვლავიანი და  
სტუმრებს ტრადიციულ  
თურქულ საუზმას სთავაზობენ.  
შეიძლიათ ვახუშთის შუაგვითოთ.

- ❶ Hotel Barcelona, Arikli Mah. No:77, Yusufeli Merkez, Yusufeli, Artvin
- ❷ Eliya Pansiyon/ Restoran Cayagzi mahallesi Sarigol, Yusufeli, Artvin
- ❸ Hotel Green Valley Savsat Savsat / Ardahan Karayolu Uzeri 2 km Savsat, Artvin
- ❹ Koru Hotel Artvin Yeni Mahalle 19 Mayıs Cad. Ormanlyolu Sok., Artvin

**ბავრცელაბული კარქები:**

- Muhlama (Kuymak): მულამა, ერბოში ჩამოშული სიმინდის ფქვილი და ყველი;
- Alabalik: ადგილობრივ რემზეგუარებში გამრავლებული ახალთახალი კალმახი, შემწვარი, გარნირად შვწანილითა და ლიმონით;
- Oltu Cağ Kebap: ოლთისური მწვადი, პატარა შამფურებზე აცმული თხლად დაჭრილი ცხვრის ხორცი, ლავაში გახვეული.
- როგორც წავი, ყვალუა უბრალო ლოქანთაშიც კი ძალიან ბაშროლად აზრდება. ადგილობრივ რასტორანებში ალკოჰოლი არ იყიდება, თუმცა ლუდი შეიძლება მოითხოვოთ.

**VOYAGER კომენტარი**

იმის გამო, რომ ეკლესია-მონასტრები მთის სხვადასხვა ხეობაშია გაფანტული, ერთი შეხედვით მოკლე მანძილს შესაძლოა ერთი საათით დასჭირდეს, რადგან გზები მაღალ მთებში იკლავება. მთვარი გზები ყველგან კარგია, ფართე და კომფორტული; ეკლესიებთან მისასვლელ გზებზე ასფალტი ან ბეტონი თითქმის ყველგანაა დაგებული.

ყურადღებით დააკვირდით გზებზე ყავისფერ ფირნიშებს, რომლებზეც თითქმის ყველა ტურისტული ადგილია აღნიშნული.

**ადგილობრივი გიდი არსად დაგხვდებათ და ვერც სასტუმროსა თუ ქალაქში შეძლებთ ვინმეს ქიარობას, ვინც ღირსშესანიშნაობების ისტორიას მოგიყვებათ. აი, გამყლი და მეგზური კი სოფლის შარაგზაზე შეგიძლიათ ნახოთ.**

ხალხი აქ დაუბარელია, გზასაც მიგასწავლიან და არც დაგაჩქარებენ. ჩაიხე თუ დაგაპატიებენ, უარს ნუ ეტყვი, ეს მეგობრული შესტია.





## TRABZON

ტრაპიზონის საუკეთესო ხალი მთაზე შეფენილი BOZTEPE PARK-იდან იშლება. ამ ადგილს აუცილებლად ესტუმრათ საღამოობით. ფინიკიანი ჩაის თანხლებით, მზის ჩასვლის სანახაობით რომ დატკბეთ. პარკი ATATÜRK ALANI-ს მოედნიდან 15 წუთის სავალზე მდებარეობს.

ბერძნული წყაროების თანახმად, ტრაპიზონი მიღებული ვაჭრების მიერ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში დაარსებული ქალაქია. მას შემდეგ ამ ადგილას არაერთი დამპყრობელი ბატონობდა: კიმერიელები, მიდიელები, ბერძნები, ბიზანტიელები თუ ოსმალები, თუმცა არსებობის მანძილზე, ნებისმიერი მმართველობის პირობებში, ქალაქს არასდროს დაუკარგავს თავისი სტრატეგიული და სავაჭრო მნიშვნელობა. ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, შავი ზღვის ნაპირზე გაშენებული ტრაპიზონი აბრეშუმის დიდი გზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტია. ამ ქალაქში ვაჭრობდნენ გენუელები და ვენეციელები და ის დღემდე თურქეთის შავიზღვისპირეთის უდიდეს საპორტო ქალაქს წარმოადგენს.




ადგილობრივი მოსახლეობის დიდ ნაწილს ქართველურ ენაზე მოსაუბრე ლაზები შეადგენენ. საქართველოს ტრაპიზონთან მჭიდრო კავშირი ასევე ისტორიული მიზეზებითაცაა განპირობებული: 1204 წელს, მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგად, კონსტანტინოპოლი აიღეს, ძველი პონტოს სამეფოს ტერიტორიაზე ქართველთა უფლის – თამარის მხარდაჭერით ტრაპიზონის იმპერია დაარსდა და ქალაქი ტრაპიზონი ახალი სახელმწიფოს დედაქალაქად გამოცხადდა. მისი პირველი იმპერატორი ალექსი კომნენოსი თამარის დის – რუსუდანიასა და ბიზანტიელი უფლისწულის – მანუელ კომნენოსის ძე იყო.

მანძილი ბათუმიდან ტრაპიზონამდე 206 კილომეტრია.



## AYASOFYA

ტრაპიზონიდან 3.3 კილომეტრის დაშორებით, ზღვის ნაპირზე აღმართული აია სოფია ბიზანტიური ხელოვნების გამორჩეული ნიმუშია. XIII საუკუნის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების შესამჩნევი გაელენითაა აგებული.



მისი შთამბეჭდავი კედლის მხატვრობა დიდი ხნის განმავლობაში კირით იყო გადაფარული, შემორჩენილი ქრისტიანული ფრესკები 1950 წელს გაიწმინდა.

აია სოფია ოსმალეთის იმპერიის დროს მეჩეთად იყო ქცეული, 1964 წლიდან – მუზეუმად, 2013 წლიდან დღემდე კი აქ ისევ მეჩეთია. ნაგებობის ეზოში რომაული ტაძრის ნანგრევებია აღმოჩენილი. მეჩეთად გადაკეთების შემდეგ ადგილობრივი არტეფაქტები ტრაპიზონის მუზეუმში გადაიტანეს და კედლის მხატვრობის ნაწილი ტენტით გადაფარეს. ტაძარში შესვლა უფასოა.


ქალაქის ცენტრიდან ტაქსით მგზავრობა: საშუალოდ, 15 TRY

Fatih Mah., Zübeyde Hanım Cad.

## ZORLU GRAND HOTEL

სასტუმრო ტრაპიზონის ცენტრში მდებარეობს. აქ ფუნქციონირებს დახურული აუზი, გამაჯანსაღებელი ცენტრი, ფიტნესის დარბაზი და ტრადიციული თურქული აბანო.

სასტუმროს რესტორან Façuna Fish-ში ადგილობრივი რეცეპტებით დამზადებული თევზეულისა და ზღვის პროდუქტის ფართო არჩევანია, ადგილობრივ კაფეში კი უცემრიელესი ტკბი-



ლეულისა და ნაყინის დაგემოვნება შესაძლებელი.

სტანდარტული ნომრის ფასი: 150€-დან  
Maraş Caddesi, 9; zorlugrand.com

## PARK DEDEMAN

სასტუმრო შავი ზღვის ნაპირიდან 10 წუთის სავალზე, Kasustu-ს პლაჟიდან 500 მეტრის დაშორებით მდებარეობს. შესაბამისად, ტერასებიდან და ოთახების ერთი ნაწილიდან ზღვის პანორამული ხედი იშლება, მეორე მხარე კი მთებს გადაჰყურებს.

სტანდარტული ნომრის ფასი: 50€-დან

Kasustu Belediyesi Sana Mevkii, No: 75  
dedeman.com





**SUMELA**

IV საუკუნის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე მისტიკური ადგილია. სუმელა ტრაპიზონიდან 29 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. კლდეში ნაკვეთი მონასტერი ზღვის დონიდან 1200 მეტრზეა აღმართული და მისი ტერასებიდან ხეობის ულამაზესი ხედი იშლება.



სამონასტრო კომპლექსი მოიცავს ტაძრებს, ბიბლიოთეკას, სენაკებს და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებს.

კედლის მხატვრობის შრეები IX-XIX სს-ით თარიღდება. თავისი არსებობის მანძილზე მონასტერმა მტრის არაერთი შემოსევა იწვნია, აქაურობა მართლმადიდებელმა ბერებმა საბოლოოდ 1923 წელს დატოვეს.

მას შემდეგ მონასტერში ღვთისმსახურება პირველად 2010 წელს, ბერძნული კალენდრით, ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე – 15 აგვისტოს აღევლინა. 2015 წლიდან მონასტერი სარესტავრაციო სამუშაოების გამო დახურული იყო და მისი გახსნა 2018 წლის აგვისტოში იგეგმება.



ქალაქიდან დასერი მხარაპრობის საფასური: საშუალოდ, 60 TRY

**სამზარეულო**

ტრაპიზონი და ზოგადად, თურქეთის შავი ზღვისპირა ზოლი მანეთაშლია ადგილობრივი მდიდარი სამზარეულოთი. რამიონში სოფლის მკურნაობის განვითარებას დიდი ყურადღება ეთმობა: შვებულებით მისი მოსახლის 70% ტრაპიზონში მოდის; ცნობილია ადგილობრივი წარმოების კარალიოკი, ალუბალი, კივი, ჩაი და მარცვლული კულტურები.



კარალიოკის ჯემი

ტრაპიზონზე მოდის თურქეთის თევზის რეწვის 20%. ცნობილია აქაური ქაფშია თევზი, რომელიც ქალაქის ბევრ რესტორანში ძირითადი კერძია. თევზის ამავე სახეობით ამზადებენ Hamsi kolu-ს – ცომეულს ქაფშით.



**VAKFIKEBIR EKMEGI**

რკინის ღუმელში შეშაზე გამომცხვარი ადგილობრივი პურია, რომელიც, როგორც წესი, 450 გრამიდან 7,5 კილომდე იწონის. სიმინდის უხვი მოსავლის წყალობით რეგიონში პოპულარობით სარგებლობს მჭადიც.



**MUHLAMA**

ელარჯის მსგავსი, სიმინდის ღერძილისა და ყველისგან დამზადებული მუღლამა თურქული ფონდიუა შავიზღვისპირეთის სტილში. სიმინდის ფქვილს კარაქში ხალავენ, შემდეგ წყალს და მარილიან ყველს უმატებენ.



**HAMSILI PILAV**

ფლავი ქაფშით ერთ-ერთი ასეთი კულინარიული შედეგია. თევზის ცხიმით და სუნელ-სანელელებით გაულენთილი სურნელოვანი ბრინჯი არა მარტო გემრიელია, არამედ სასარგებლოც.



**KAYADIBI SAKLIBAHCE**

სუმელას მონასტრის მახლობლად, ტყის პირას მდებარე ტერასული რესტორანი, დიდი ეზოთი, საუკეთესო ადგილია ბუნებაში განტვირთვისათვის და ადგილობრივი კერძების დასაგემოვნებლად. მაღალი მოთხოვნის გათვალისწინებით, აუცილებელია მაგდა წინასწარ დაჯავშნოთ ელექტრონულად ან ტელეფონით.

Maçka Tünel Çıkışı Nesi Mekii No:4

**VOSPOROS**

ტრაპიზონის პოპულარული კაფე ხის ტერასით და გრაფიტით მოხატული კედლებით სავაჭრო ცენტრ Uzun Sokak-ის ზონაში მდებარეობს. აქ შეგიძლიათ მიირთვათ ადგილობრივი კერძები, მაგალითად, ვაზის ფოთოლში გახვეული ტოლმა, ანდა ელარჯის მსგავსი kuymak-ი.

ღია: 07.50-23.30  
Uzun Sk. Zafer Çarşısı No: 53

**BORDO MAVI CAFE**

ის ქალაქის ცენტრში მდებარეობს და ყველაზე პოპულარული წასახემსებელი ადგილია ადგილობრივი გურმანების შეფასებით.

ღია: 08.00-23.00  
Meydan



**FEVZI HOCA BALIK VE KÖFTE**

ამ თევზის რესტორანში შეგიძლიათ ადგილობრივი ახალი ზღვის პროდუქტისგან დამზადებული მრავალფეროვანი კერძები მიირთვათ.

ღია: 09.00-23.00  
Çarşı Mh., Kahramanmaraş Cd. No:52

**FORUM**

ტრაპიზონის საუკეთესო სავაჭრო ცენტრში ადგილობრივი და საერთაშორისო მსხვილი ბრენდების ნაწარმის შექმნა შეგიძლიათ, აქვეა კინოთეატრი, რესტორნები და ბარები.

ღია: ყოველდღე – 10.00-22.00  
Devlet Sahil Yolu Caddesi, 100. Yıl Parkı Yanı Değirmendere





## ირინე გივიაშვილი

ერთ დროს პროვინციული ქალაქი ათათურქმა 1923 წლიდან თურქეთის რესპუბლიკის დედაქალაქად გამოაცხადა. მანამდე კი, 1920 წლიდან, ის უკვე ანკარიდან ხელმძღვანელობდა ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის ცალკე ოსმალეთის სასულთნოსა და ცალკე საბერძნეთის წინააღმდეგ. ანკარა, რომელიც ანატოლიის ცენტრში მდებარეობს, ისტორიულად სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე იყო გაშენებული. სწორედ ქალაქის ადგილმდებარეობამ განსაზღვრა ათათურქის არჩევანიც.

ანკარას უძველესი ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა აქვს. მისი წარსული ბრინჯაოს ხანაში მიდის (2000 წ. ჩვენს ერამდე), როდესაც ცენტრალურ ანატოლიას ინდოევროპული ცივილიზაციის ხეთები განაგებდნენ, რომლებიც ფრიგიელებმა, ლიდეელებმა, სპარსელებმა და ბერძნებმა ჩაანაცვლეს. პატარა დასახლებამ, როგორც სავაჭრო ცენტრმა, დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ეს კი დაახლოებით ჩვ. წ. აღ-მდე 300 წელს მოსულ ბერძნებს უკავშირდება. სწორედ მათ შეარქვეს ქალაქს ანკირა.

**ანკარაშია თავმოყრილი თურქეთში აკადემიკოსები დიდი დიპლომატიური კორპუსი. საქარტავლოს საელჩო ორანის დიპლომატიურ ხალაქში მდებარეობს. ის 2006 წელს აშენდა, საელჩოსთან ერთად აშ არის საკონსულო სამსახურიც.**



ბერძნები გალათელებმა შეცვალეს, ხოლო ჩვ. წ. აღ-მდე 25 წელს ანკირა რომის იმპერატორმა ავგუსტინემ დაიპყრო და რომის იმპერიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ცენტრად აქცია. ის ციტადელისა და მდინარის პირას იყო გაშენებული. მდინარე აღარ არსებობს, გზის ქვეშ მიწაში მოექცა და ამჟამად მის თავზე ავტომობილსტრალია გაყვანილი. მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი რომაული ძეგლები კი კვლავაც შეიძლება ნახოთ ულუსზე, ქალესა და ჰაჯიბაირამის შემოგარენში.

რომის იმპერიის დაშლის შემდეგ იმპერატორმა კონსტანტინემ დედაქალაქი ბიზანტიუმში გადაიტანა და კონსტანტინოპოლად აქცია, ანკირა იმპერატორთა ერთგვარ საავარაკო ადგილად ქცეულა, სადაც სიცხესა და ნესტს გამორიდებულნი ანკარის შშრალ და მთის გრილ ჰავას ესწრაფვოდნენ.

ამ დროს ქალაქი სავაჭრო ფუნქციას ინარჩუნებდა. ბიზანტიელები სელჩუკებმა და მონღოლებმა შეცვალეს. ჯერ სელჩუკები მოვიდნენ მცირე აზიიდან 1073 წელს და ცენტრალური ანატოლიის

KALE – ქალეს ციტადელი ანკარის ყველაზე მაღალ ბორცვზე მდებარეობს (სიმაღლე 978 მეტრი). მისი კოშკებიდან მთელი ანკარის დანახვა შეიძლება. ციტადელის რთულ სტრუქტურაში 42 ხუთ-წახნაგა კოშკია ჩართული. ციხეს შვიდი კარიბჭე აქვს.

ციტადელის შიდა კედლები VII ს-ით თარიღდება. 1832 წელს, იბრაჰიმ ფაშას დაკვეთით, მისი კედლები განუახლებიათ. ამ კედლებში თითქოს მთელი ანკარის ისტორიაა ჩაშენებული: დაჭრილი რომაული კოლონები, სარკოფაგები, ბერძნულ-რომაული წარწერები, ბიზანტიური ჯვრები თუ სელჩუკური ქვები.

ციხის ტერიტორიაზე გაშენებულ ვიწრო ქუჩებზე რამდენიმე ოსმალური სახლ-მუხეზში, რესტორანი და სუვენირების მაღაზიაა. აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ თანამედროვე თუ ანტიკური ხალჩიები და ფარდაგები.

მიწებთან ერთად ანკარაც დაიპყრეს. მათ დაუტოვეს ანკარას სელჩუკური ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლები, რომელთაც ციტადელზე ნახავთ.

ოსმალურ ეპოქაში (1403 წლიდან) ანკირა, ან ანგორა, როგორც მას ამ დროს ეძახდნენ, კვლავაც კომერციულ ცენტრად რჩებოდა. მაშინ დაიმკვიდრა სახელი ანკარულმა შალმა, რომელიც ვენეციაში, პოლონეთსა თუ ინგლისში გაჰქონდათ და რომლის ნაწარმსაც ჩვენ „ანგორის“ სახელით ვიცნობთ. ანკარის სტეპებში გაზრდილი თხის ბეწვი საუკეთესოა და მისი ექსპორტი დღესაც წარმატებით ხორციელდება. ოსმალურ პერიოდში აშენდა ახალი მეჩეთები და მრავალი ქარვასლა, დახურული ბაზარი, ასევე, აბანოები, რომლებიც დღესაც ფუნქციონირებს.


**საინტერესოა, რომ 1924 წლის ანკარის რუკის თანახმად, ციხის (ქალეს) ძირში, თაქათალუს უბანში, ყოფილა თბილისის მცირა ბაქათი, რომელიც რომორც ჩანს, თბილისელი მუსლიმი ვაჟრავის სალოცავი იყო. სამწუხაროდ, ბაქათი ბასულ საუკუნეში ამ უბანში მომხდარ დიდ ხანძარს შეენიშნა.**



მას შემდეგ, რაც 1923 წელს ანკარა თურქეთის რესპუბლიკის დედაქალაქად იქცა, ახალი ქალაქის გეგმა გერმანელმა არქიტექტორმა ჰერმან იანსენმა შეადგინა, რომელმაც ქალაქი ციტადელიდან სამხრეთით განავითარა. ე. წ. ქიზილასის გამზირი და ათათურქის ფართე ბულვარი პარკებით, მოედნებითა და სავაჭრო ქუჩებით ევროპული ქალაქების მსგავსად დაიგეგმა. რესპუბლიკის ეპოქის ადრეული არქიტექტურა, ერთი მხრივ, სიახლით გამოირჩევა, მეორე მხრივ კი, ტრადიციული ფორმებისადმი ნოსტალგიით. ამის ნიმუშია „ანკარა პალასი“, სასტუმრო, სადაც ათათურქი მნიშვნელოვან შეხვედრებსა და მეგლისებს მართავდა; ასევე, ქანდაკებისა და ფერწერის მუზეუმი და ეთნოგრაფიული მუზეუმი. სამივე შენობა 1920-30 წლებში აშენდა (უღუსსა და სიპიეს უბანში). 40-იანი წლებიდან მოყოლებული ახალი ანკარა თანამედროვე ფორმებს ეძებს. სადა, ფაქტობრივად, კონსტრუქტივიზმის დონემდე დაყვანილი შენობები ათათურქის ბულვარზეა გაშენებული. გამორჩეულია ოპერა, რომელიც თავდაპირველად საგამოფენო პავილიონად დაიგეგმა. ამავე პერიოდს ეკუთვნის ათათურქის მავზოლეუმი.



„ახალი თურქეთი“ – ასე ეწოდება ერდოღანის ეკოპას, რომელიც მთავრი ეკონომიკური ბაზით ხასიათდება, რაც, შესაბამისად, ძალაშიმდგომარეობაზე აისახა. ახალი მაგისტრალები, შუშის ცათამბავნები, მრავალფეროვანი მარაგი (MELIKE HATUN CAMII) და საკრავილინო კომპლექსი (CUMHURBAŞKANLIĞI KÜLLİYESİ), რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი სასახლის სტატუსს ატარებს, ანკარის ახალი ღირსშესანიშნაობებია.




ანკარის სახელმწიფო უნივერსიტეტებში: Ankara Üniversitesi, Hacettepe Üniversitesi, Gazi Üniversitesi, Middle East Technical University – ქართველ სტუდენტებს გრანტის მოპოვების შემთხვევაში სრული დაფინანსებით შეუძლიათ სწავლა; აქ არის კერძო უნივერსიტეტები, სადაც სწავლება ინგლისურ ენაზეა. მათგან ყველაზე რეიტინგულია Bilkent University.

თანამედროვე ანკარაში არის ერთ-ერთი მთავარი მასალონი სავაჭრო ცენტრებში სიარული, ძვირფასი მალაქების მარაგით სარეკლამო შოპები, ჩამწკრივებული ავტობუსები და თავდაყრის ადგილები.

მთავარი სავაჭრო და გასართობი ცენტრებია: **Anka Mall, Armada, One Tower, Panorama, 365, CEPA, Real Bilkent** და სხვა. ბრენდულ ნაწარმს თუ ეძებთ: **Beymen-ს, Brandroom-ს, Next Level-ს** ან **Panora-ს** ესტუმრეთ.


ანკარაში შეგიძლიათ ტაქსი დაიქირაოთ – ყოველ ნაბიჯზე, ყოველ მეორე ბოძზე დამაგრებულია ყვითელი აპარატი, რომლის ერთადერთ ღილაკზე თითის დაჭერის შემდეგ ტაქსი თქვენთან გაჩნდება. ეს ტრანსპორტი თურქეთში ბევრად იაფია, ვიდრე ევროპაში.



**1 DIVAN CUKURHAN**  ციტადელზე მდებარე, ანკარის ყველაზე გამორჩეული ბუტიკ-სასტუმრო განთავსებულია XVII საუკუნის ქარავანსარაიში. 19-ივე ნომერი ინდივიდუალური დიზაინითაა მოწყობილი. **Necatibey Mah. Depo Sokak No: 3 Tarihi Ankara Kalesi, O6240 Altındağ**

**2 SHERATON** ქალაქის ცენტრში, ქავაქლიდერეს უბანში მდებარე სასტუმროს რესტორან Lugal-ში შეგიძლიათ აჭარული ხაჭაპურის შეუკვითოთ. **Kavaklıdere Mahallesi, Şht. Ömer Haluk Sipahioğlu Sk., O6700 Çankaya**

**3 MARRIOTT** ყველაზე ფემინებელური სასტუმროა ანკარაში. **Kızıllırmak Mahallesi, Muhsin Yazıcıoğlu Cd. No:1, O6520 Çankaya**

**TRILYE**  თევზის რესტორანი ანკარის ერთგვარ ღირსშესანიშნაობად იქცა და საუკეთესო თევზბულითაა ცნობილი მთელ თურქეთში. **Çankaya Mahallesi, Kazım Özalp Mah. Kuleli Sok. No: 32, O6680**



თანამედროვე ქალაქური რესტორნები ალკოჰოლს შემოთავაზებენ, შესაბამისად, აქ ფასები მაღალია. ხოლო ტრადიციულ თურქულ ლოქანებში ალკოჰოლი, რომისც წავსი, აკრძალულია, საშველი ყოველთვის ხარისხიანი და მამრიალი, ფასები კი – ხელმისაწვდომი.

ანკარაში ყოფნისას, სადილად ან ვახშმად, გირჩევთ, რომელიმე ამ რესტორანს ესტუმროთ: **Nusr-Et Steakhouse Ankara, Big Chefs, Butcha Steakhouse, Adanas Kebap Steakhouse, Mezzaluna, Balik Evi, The House Café, Kichnette, Recep Usta** (ქურთული სამზარეულო ალკოჰოლის გარეშე).

ანკარაში კულტურული სიხალისების და მართობის შესახებ ინფორმაციის ნახვა ინგლისურ ენაზე შეგიძლიათ ვებგვერდზე: **WWW.LAVARLA.COM/LA-CITY**





## AGUSTUS TAPINAGI

ავგუსტუსის ტაძარი მდებარეობს Haci Bayram Camii-ს გვერდით, ციტადელის გზიდან მარცხნივ. ერთ დროს გრანდიოზული რომაული ტაძრის (36x55მ) ნანგრევები მნიშვნელოვანია მეტწილად მის კედლებზე შემორჩენილი ვრცელი წარწერის გამო. წარწერა, ისევე როგორც ტაძარი, I საუკუნით თარიღდება. ამ ტექსტის ორიგინალი, რომელიც რომში, ავგუსტუსის მავზოლეუმის ბრინჯაოს სვეტებზე იყო ამოჭრილი, აღარ შემორჩენილა. აქ ავგუსტუსი თავის პოლიტიკურ და სამხედრო მიღწევებზე საუბრობს.

*საინთერესოა, რომ ნაჩვენაში ნახსენებია იბარია, სადაც ავგუსტუსის ჯარმა ილაშქრა, მაგრამ მხარეთაძლი არ დატოვა. ეს ამბავი შეასაბამება ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ ცნობას კოხაუსის ლაშქრობის შესახებ.*

## JULIANUS SUTUNU

რომაული ობელისკი ულუსში, Hukümet Meydani-ზეა აღმართული. ეს 15 მ სიმაღლის სვეტი 362 წელს ანკარაში რომის იმპერატორ იულიანეს ვიზიტს აღნიშნავს.

## ROMA TIYATROSU

ამფითეატრი ციტადელისკენ მიმავალი გზის მარცხენა ფერდზე მდებარეობს. ის II საუკუნით თარიღდება. ამფითეატრი, სავარაუდოდ, 3000-5000 მაყურებელს იტევდა.

## ROMA HAMAMI

რომაული აბანოები ულუსში, Çankırı Caddesi-ში მდებარეობს. აბანოები 212-217 წლებით თარიღდება და რომის იმპერატორ კარაკალას დაკვეთითაშენდა მედიცინის ღმერთის, ასკლეპიუსის სახელზე. აბანო 500 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა.



## ANADOLU MEDENİYETLERİ MÜZESİ

ანატოლიის ცივილიზაციათა მუზეუმი ულუსში, ციტადელის კალთაზე მდებარეობს. შენობები, რომელშიც მუზეუმი განთავსდა, XV საუკუნის ქარვასლა და ბაზარია, სადაც ფართოვლითა და ანკარული შალით ვაჭრობდნენ. აქ წარმოდგენილია თურქეთის ტერიტორიაზე მოპოვებული მრავალი ცივილიზაციისა და კულტურის არტეფაქტები და მოიცავს პალეოლითის ერას, ნეოლითს, ადრე ბრინჯაოს ხანას, ხეთურ, ფრიგიულ, ურარტუს, ელინურ, რომაულ, ბიზანტიურ, სელჩუკურ და ოსმალურ პერიოდებს.

ნუმისმატიკურ კოლექციაში დაცულია ყიასედინ ქაიხოსრო II-ის ვერცხლის მონეტა „მზე და ლოში“, მოჭრილი 1240-1243 წლებში, რომელზედაც, გადმოცემის თანახმად, მისი ცოლი, გურჯი ხათუნია გამოსახულია.



**ღია:** ყოველდღე – 08.30-16.00  
**ბილეთის ფასი:** 15 TRY

Kale Mh., Gözcü Sk. No:2  
06240 Ulus/Altındağ



## ANKARA VAKIF ESERLERİ MÜZESİ

ხალიჩების მუზეუმში წარმოდგენილია მეჩეთების საცავებიდან გამოტანილი ხალიჩები და სხვა სიძველეები. ექსპოზიციაში შეგიძლიათ ნახოთ დივრილის მედრესეს ხის მიწბარის ფრაგმენტები, რომლის ავტორიც თბილისელი ოსტატი ალ აჰმადი იყო. შესვლა უფასოა.

**ღია:** ორშაბათი-პარასკევი – 08.00-17.00  
Anafartalar Mahallesi, Atatürk Blv No:23



## ANITKABIR

ათათურქის მავზოლეუმი ქალაქის დასავლეთ ნაწილში, Anıt Caddesi-ში მდებარეობს და ქალაქის თითქმის ყველა უბნიდან მოჩანს. აშენებულია 1941-53 წლებს შორის თურქი არქიტექტორების მიერ. მავზოლეუმი მონუმენტალიზმითა და ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი სისადავით გამოირჩევა.

„დიდების დარბაზი“ ძველი რომაული არქიტექტურის პრინციპებითაა ნასაზრდოები და ითვლება, რომ ავგუსტუსის ტაძრის არქიტექტურას ეხმიანება, ხოლო რიტუალური გზა, „ლომების ხეივანი“ კი ხეთური ხელოვნების გაცოცხლებაა. მავზოლეუმისა და მუზეუმის დათვალიერება უფასოა.

Mebusevleri Mh., 06570 Çankaya

## ARSLANHANE CAMII

სელჩუკური მეჩეთი ულუსში, ციტადელის შემოგარენში, Can Sokak-ზე მდებარეობს. ალადინის მეჩეთთან ერთად, რომელიც ციტადელის შიგნითაა და 1178 წლით თარიღდება, არსლანშანეც ანკარის ერთ-ერთი ადრეული მეჩეთია. ის დაახლოებით 1290 წელს აშენებულა. ამავე დროს გაკეთდა ზურმუხტისფერი კერამიკული ფილებით შექმნილი მიწბარები და ხის მიწბარი – ორივე მათგანი სელჩუკური ხელოვნების გამორჩეული ნიმუშებია.





**CERMODERN**

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი Altinsoy caddesi-ში გაიხსნა 2010 წელს და ყოველწლიურად მასპინძლობს მსოფლიოს წამყვანი არტისტების ექსპოზიციებს, ასევე, ფოტოგამოფენებსა და სხვა ღონისძიებებს.

ბილეთის ფასი გამოფენის მიხედვით იცვლება.



**ღია:** სამშაბათი-კვირა – 10.00-18.00; ორშაბათს დაკეტილია.  
Anafartalar Mahallesi, Altinsoy Cad. No:3, 06101 Sıhhiye / Altındağ/Altındağ

**CENGELHAN RAHMI KOC MUZESI**

კოჩების ტექნოლოგიური განვითარების მუზეუმი ქალაქზე, ოსმალურ ქარვასლაში მდებარეობს, რომელიც 1522-1523 წლებში სულეიმან კანუნის ქალიშვილისთვის აგებულა. ის ანკარის ერთ-ერთი უდიდესი ქარვასლაა, სადაც, ძირითადად, ტყავით მოვაჭრენი ჩერდებოდნენ. კოჩების, თურქეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ოჯახის, ისტორია პატარა ფუნდუკით იწყება, რომელიც 1917 წელს აქვე მდგარა და რკინაკავეულით ვაჭრობდა. მუზეუმში ამ ფუნდუკის რეპლიკაა წარმოდგენილი.



აქვე დაცულია კოჩების ოჯახის პირადი კოლექცია – ყველა სახის არტეფაქტი, რაც მეცნიერების, ინჟინერიის, მედიცინის, ავიაციის, ნავიგაციისა და სხვა ტექნოლოგიების განვითარებას ასახავს; აქვეა წარმოდგენილი კოჩების მანქანების კოლექციის ნაწილი. ეს მუზეუმი განსაკუთრებით ხიბლავს ბავშვებსა და მოზარდებს.

**ბილეთის ფასი:** 6 TRY

**ღია:** სამშაბათი-კვირა – 10.00-17.00; ორშაბათს დაკეტილია.

Gözcü Sokak, 06230 Altındağ

**ანკარიდან ერთი დღის სავალზე შესაძლებელია მოინახულოთ:**



**GORDION**

გორდიონი (ანკარა-ესქიშეჰირის გზა, 40 კმ), ცნობილია გორდიონის კვანძის ლეგენდით, რომელიც ჩვ. წ. აღ-მდე 333 წელს აქ მოსულ ალექსანდრე მაკედონელს ხანჯლით გადაუსხნია. აქ ნახავთ გორდიონის ნაქალაქარს, მეფე მიდასის და გორდას ყორღანებს და ფრიგიელების მცირე არქეოლოგიურ მუზეუმს.

**TUZ GÖLÜ**


ანკარიდან 1,5 საათის სავალზე მდებარეობს თურქეთის უდიდესი, მარილის ტბა. 80 კმ-ზე გადაჭიმულ ტბას 1500 მ<sup>2</sup> უკავია. მისი სიღრმე მხოლოდ 1.2 მ-ს აღწევს, ზაფხულობით კი შრება და წყალი 30 სმ-ზეა რჩება.



მარილის შემცველობა თუბ ვოლუმი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია (33%) და, შესაბამისად, ის მდიდარია მინერალებით. ტბის წყალი შეიცავს ნატრიუმქლორიდს, იოდს, კალიუმს, მაგნიუმს, კალციუმს, ბრომს, წყალბადს და რკინას. ამ მინერალების წყალობით აქაურ

მარილს კანის დატენიანების უნიკალური თვისება, აგრეთვე, სხვა სამკურნალო თვისებები აქვს.

უამრავი ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტი მარილის ტბაზე ფეხშიველი სეირნობს. აქვე იყიდება ადგილობრივი მარილითა და ტალახით დამზადებული კოსმეტიკური საშუალებები.



**HATTUSHA**

ხათუშა – ხეთების ქალაქი Boğazkale-ს სიახლოვეს, ანკარიდან 200 კმ დაშორებით მდებარეობს. ბრინჯაოს ხანის ნაქალაქარი (ჩვ. წ. აღ-მდე 1500-1000 წწ.), UNESCO-ს დაცული

ძეგლი ხათუშა მოიცავს რამდენიმე უბანს, სადაც ქალაქის ნანგრევების გარდა დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ლომების კარიბჭე, 12 ღმერთის ქანდაკება და ორთავიანი არწივის პირველი გამოსახულება ლია ცის ქვეშ ტაძარში – Yazılıkaya Hittite Temple-ში.







## KAPADOKYA

კაბადოკიის ტერიტორია მალა, მშრალ კლათოზა მდებარეობს, ზაფხულში ცხელა, ხოლო ზამთარში ცივა, ამიტომ მოზაურობისათვის საუკეთესო დრო მაზაფხული და ზამთარშია.

### ლიკა ბარაბაძე

კაბადოკია, პირველ რიგში, ქრისტიანობის ადრეულ ისტორიასთან არის დაკავშირებული, თუმცა იქ გამგზავრება სხვა ბევრი საინტერესო სანახავის გამო ღირს, რაც ერთხელ მაინც, საკუთარი თვალთ უნდა ნახო და განიცადო.

ველკანური წარმოშობის კლდეები ამ ტერიტორიის განუმეორებელ ლანდშაფტს ქმნიან – სადაც გაიხედავ, ყველგან ქვის უცნაური ამალეებაა, რომელიც ხან ტალღების, ხან გამოქვაბულების, ხან კი კონუსების ფორმებს იღებს.

ამ კონუსებს „ფერიის საკვამურებს“ უწოდებენ. აქ მდებარე მიწისქვეშა ქალაქები და გორემეს ეროვნული პარკი დაუჯერებელი ფილმის დეკორაციებს მოგაგონებთ, ვარსკვლავური ომებისა და ფრანგი ფანტასტების გარემოში გადავისვრით. გორემეს ეროვნული პარკი და მის ირგვლივ მდებარე ისტორიული ადგილები იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

**თავად კაბადოკია აღარ არსებობს, ეს დასახლება ტურიზმის ინდუსტრიას შემორჩა; ტერიტორია ანატოლიის ნაწილია და შუაგულ თურქეთში მდებარეობს.**

კაბადოკია პირველად ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეშია მოხსენიებული, როდესაც აქ ზოროასტრიზმის მიმდევრები ცხოვრობდნენ. ამ ტერიტორიაზე ნეოლითური პერიოდის ხელსაწყოები, ხოლო თანამედროვე ქალაქ კოულტეპესთან ახლოს ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის ასირიული ქალაქის, კანეშის ნარჩენებია ნაპოვნი – დასახლებაში აღმოჩენილია თურქეთის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ნაწერები, რომლებიც თიხის ფირფიტებზეა შემონახული.

კაბადოკია ადრეული ქრისტიანობის ცნობილი კერა იყო. მას ახალ აღთქმაშიც ახსენებენ („საქმეები“, 2:9). აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ქრისტიანი თეოლოგები და წმინდანები. **კაბადოკიელი იყო წმინდა ნინო — ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელი საქართველოში.**

X საუკუნემდე კაბადოკიის ტერიტორიას უამრავი მტერი ჰყავდა, ამიტომ განვითარდა გამოქვაბულებში თავის

შეფარების კულტურა და ამ პერიოდში გაჩნდა რთული ინფრასტრუქტურის მქონე მიწისქვეშა ან გამოქვაბულშია ქალაქები.

X-XI სს-ში კაბადოკიაში სიმშვიდემ დაისადგურა, კლდეში ეკლესიები და მონასტრები გამოიკვეთა. დღემდეა შემორჩენილი იმ პერიოდის ფრესკული მხატვრობა. 1071 წელს თურქ-სელჩუკები ამ ტერიტორიისათვის ბიზანტიის იმპერიას შეებრძოლენ, დაამარცხეს და დაიპყრეს.

### ვარღვის ხოჯა GULLUDERE VADISI

ხეობა ღია ვარდისფრად შეღებილი კლდეებით არის დაფარული და სუნთქვის შემკვრელად ლამაზია. ვარდების ხეობიდან შეგიძლიათ ფეხით მიხვიდეთ ჩავუსინამდე (Çavusin; გორემედან ავანოსის მიმართულებით), სადაც კლდეში ნაგები შთამბეჭდავი დასახლებაა.

დასახლებაში ბევრი ნაგებობაა შემონახული, მათ შორის, კაბადოკიაში ყველაზე დიდი და ძველი, იოანე ნათლისმცემლის V საუკუნის ეკლესია **Vaftizci Yahya Kilisesi**. სამწუხაროდ, ბუნების ძალების ზემოქმედებით, ფრესკები გაფერმკრთალდა და თითქმის არ ჩანს. ეკლესიაში შესვლა ფასიანია, თუმცა დანარჩენი დასახლების მონახულება უფასოდ შეგიძლიათ. **ჩავუსინის მოსახლეობლად დაახლოებით ერთი საათია საჭირო.**







**პირაგის ხეობა PASABAG VADISI**


VI საუკუნიდან მოყოლებული, ამ „საკვამურებში“ ასკეტი ბერები ცხოვრობდნენ და მათი ნასახლარი ახლაც შემონახულია, გამოქვაბულებში შესვლა ნებისმიერს შეუძლია, ვისაც ცოცვა ეხერხება და თავგადასავლები იზიდავს. ხეობის გასაღებად ორი საათივე გეყოფათ.

**ღვრანის ხეობა DEVRENT VADISI**

აქ ფანტასტიკური ფორმების კლდეებს შეხვდებით – ეროზიამ მთელი ზოობარკი გამოქრწა: ზოგი კლდე დელფინს ჰგავს, ზოგი სპილოს, ზოგი კი მაგიური სამყაროს ქმნილებას. მზის ჩასვლას დაელოდეთ და საოცარ სანახაობას შეესწარებით: ყველა ეს ჯადოსნური ფიგურა ნელ-ნელა იცვლის ფერს და ჩამავალი მზის ნათებაში ალისფრად იღებება.

**გვირგვინის ხეობა GÜVERCIN VADISI**

აქ 40 მეტრამდე სიმაღლის „ფერიის საკვამურებში“ უხსოვარი დროიდან შემონახული მტრედების სადგომებია. მტრედების სახლები ფრინველების კომფორტისთვისაა შექმნილი, ხოლო მტრედების კომფორტი კი მტრედების გასამრავლებლადაა აუცილებელი. საქმე ის არის, კაბადოკიის სოფლის მეურნეობას, ტრადიციულად, მტრედები ამარაგებდნენ ბუნებრივი სასუქით. მტრედების ხეობაში სასაიეროდ ერთი საათი მაინც გამოყავით.



უჩისარის კოშკი  
UCHISAR CASTLE – ხეობის  
კლდოვანი ცათამაჯანი  
ერთსართულიან  
სახლებსა და  
გამოქვაბულებში

**ზელვის ხეობა ZELVE VADISI**

ავანოსიდან 5 კმ-ში მცირე მიწისქვეშა ნასახლარი – ზელვე Zelve მდებარეობს. ზელვეს დასახლება სამ განცალკევებულ ხეობას მოიცავდა, რომლებშიც ყველაზე მეტი „ფერიის საკვამური“ გვხვდება. IX-იდან XIII საუკუნის ჩათვლით ზელვეში ადრეული ქრისტიანები სახლობდნენ. აქვე მოეწყო პირველი სასულიერო სემინარიები.

**გორამე (Göreme)** და მასთან მდებარე ეროვნული პარკი ყველაზე საინტერესო სანახავია, ისევე როგორც მისგან 40 წუთის სავალზე განლაგებული დერინქუუს და ქაიმაქლის მიწისქვეშა ქალაქები. შესაბამისად, კაბადოკიაში მოგზაურობისას დასარჩენად უმეტესად გორამეს ან მის შემოგარენს ირჩევენ, თუმცა ბევრი ტურისტი ახლომდებარე ქალაქებშიც მიემგზავრება, როგორცაა: ნევშეჰირი (Nevşehir), ავანოსი (Avanos) და ურგუჟი (Ürgüp).

უახლოესი აეროპორტი ქალაქ კაისერშია, საიდანაც ოთხივე ჩამოთვლილ ქალაქში შატლი და ტაქსი დადის.

**ფასები კაისერის აეროპორტიდან:** შატლი – 6€, ტაქსი – 40-60€

ქალაქებში სასაიეროდ ველოსიპედის, სკუტერის, მანქანის ან თუნდაც ცხენის დაქირავებაც შესაძლებელია, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ დიდად არ გამოგადგებათ – ყველაზე საინტერესო სანახაობები ან გამოქვაბულშია, ან მიწისქვეშ; ტრანსპორტი მხოლოდ ქალაქიდან ქალაქში გადასადგილებლად არის ხელსაყრელი.



**დერინქუი DERINKUYU**


კაისერიდან ნევშეჰირამდე ტერიტორიაზე 200-ზე მეტი მიწისქვეშა ქალაქი მდებარეობს, სადაც მოსახლეობა არაბების, მონღოლების და სხვათა შემოსევებისას აფარებდა თავს. ბევრი ქალაქი ერთმანეთთან გვირაბებით არის დაკავშირებული, 40-ზე მეტი კი სამსა და მეტ მიწისქვეშა „სართულს“ მოიცავს. ყველაზე შთამბეჭდავია VIII საუკუნის „რვასართულიანი“

**დერინქუი – Derinkuyu,** რომელიც 20 000 ადამიანს იტევს. ქალაქს უნიკალური მიწისქვეშა ინფრასტრუქტურა აქვს – აქ მდებარეობს ღვინისა და ზეთისხილის საწნახელი, სატრაპეზოები, ეკლესიები, სკოლა, ციხე, მორგი და სხვა დანიშნულების ოთახები. ყოველი „სართული“ დიდი ქვებით

იკეტება, მათ შორის კი კიბეები გამოკვეთილი; გაყვანილია 55-მეტრიანი სავენტილაციო შახტა და წყლის ჭა.

**ქაიმაქლი KAYMAKLI**

დერინქუიუ 1963 წელს აღმოაჩინა ადგილობრივმა მოსახლემ, რომელიც თავის სახლში, კედლის უკან არსებულ მისტიკურ ოთახს წააწყდა. აღმოჩნდა, რომ დერინქუიუდან გვირაბი 8 კმ-ში მდებარე მეორე მიწისქვეშა ქალაქს, ქაიმაქლის – Kaymakli უერთდება. ქაიმაქლის დასახლება ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში გაჩნდა. აქ მორიგეობით ცხოვრობდნენ ფრიგიელები, ბერძენები და შემდეგ ბიზანტიელი ქრისტიანები. კაბადოკიელი ბერძენები XX საუკუნეშიც კი აფარებდნენ თავს ამ ქალაქს.







კაბადოკიაში ხატწერა VII ს-ში დაიწყო. ღია ცის ქვეშ განლაგებულ მუზეუმებში ფრესკები პირველყოფილ მდგომარეობაშია შემორჩენილი, რაც აქაურობას დამატებით ხიბლს სძენს.

სამწუხაროდ, ბუნების ძალები, რომლებმაც გორემეს ეროვნული პარკი გამოიქრწა და მოსახლეებს თავშე-

საფარი შესთავაზა, ახლა როგორც კლდეებს, ისე ხელოვნების ნიმუშებსაც ებრძვის – ეროზია ნელ-ნელა ერევა ადამიანის ხელით შექმნილ ფრესკებსა და ბუნების მიერ ნაშენებ ქანდაკებებს.

კაბადოკიაში მსოფლიოში ყველაზე მეტი ფრესკებით მოხატული კლდეზე ნაკვეთი ეკლესია მდებარეობს.



**წმინდა ზასილი  
კასარიალის პითი-  
თავით, პოთხა  
საუკუნეში კაბადოკიის  
ტარიტორიაზე ვართა  
დასახლება დაიწყო.  
ამ რილ კლდეში  
სანაკები გამოთადან.  
725-842 წლებში წმინდა  
აღვნიღვნი ჯარ ჯვარს  
და სხვა სიპოლოვს  
გამოსახვლენა,  
პოვინანებით კლდეში  
ახალი ეკლესიები  
გამოიკვიტა,  
რომლებიც ფარალი  
ფრესკებით მოიხატა.**

## იზლარის ხეობა IHLARA VADISI

### წმინდა გიორგის ეკლესია KIRKDATLI



იზლარის ხეობაში – Ihlara Valley 80-მდე ადრეერსტიანული ეკლესია და სენაკია განლაგებული, აქედან თორმეტი ტურისტებისათვის ღიაა, მათ შორის, ულამაზესი ფრესკებით მოხატული წმინდა გიორგის ეკლესია Kirkdamatli.

წმინდა გიორგის ეკლესიაში ფრესკაზე გამოსახულია ეკლესიის შემწირველი ვინმე თამარი, სავარაუდოდ, გურჯი ხათუნი.

იზლარის ხეობაში ყველაზე შთაბეჭდავი კლდეში ნაკვეთი სელიმეს მონასტერია Selime, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში ასირიელ, სპარსელ, რომაელ, ბიზანტიელ და სელჩუკ მოსახლეებს იფარავდა.

სელიმეს მონასტერი VIII საუკუნეში აშენდა, ფრესკები X-XI საუკუნეებით თარიღდება. სელიმეს მონასტერში დიდი ეკლესია მდებარეობს, რომელსაც ბოძების ორი შწყრივი ამაგრებს. ბოძებიც და თალებიც კლდეშია ნაკვეთი, ხოლო კედლებზე ფრესკებია შემორჩენილი. ისინი ცუდ მდგომარეობაშია – კედლები ჭვარტლითა დაფარული, რადგან ადგილობრივი შწყემსები ამ ადგილს საკვების დასამზადებლად იყენებდნენ. იზლარის ხეობა კაბადოკიის სხვა ადგილებს არ ჰგავს – „ფერიის საკვამურების“ ნაცვლად ხეობის 14 კმ-ს კლდეები, ხეები, ვენახები და ფსტის ბაღები ფარავს.

*იზლარის ხეობა გორამადან 80 კმ-ის მოშორებით მდებარეობს ხეობაში მასამზახვაკალად, გირჩავთ ბური შიძინით. ფასი: 105€-დავ*



თუ გორემესთან ახლოს ღია მუზეუმის გარეთ მდებარე (და შედარებით ძნელად მისაღწევ) ქრისტიანული ტაძრების მონახულებას გადაწყვეტთ, ჯობს ტური აირჩიოთ გამოცდილი მეგზური.

ერთდღიანი ტური მოიცავს როგორც გორემეს ეკლესიების, ისე სხვა წმინდა ადგილების მონახულებასაც: იწყება სოფელ ჰულშეშირთან მდებარე წმ. იონანეს ეკლესიის (Karsi Kilese) მონახულებით, გრძელდება გემის ხეობაში (Zemi Valley) დამალული ორი ეკლესიის დათვალიერებით, შემდეგ – ჩავუშინში მდებარე, იონე ნათლისცემლის ცნობილი ეკლესიის მონახულებით, ბოლოს კი ურგუფში, ტარხლის ხეობაში (Pancarlik valley) არსებულ მონასტერში სტუმრობით მთავრდება. ფასი: 130€





**გორეამს აუზაუი**  
**GÖREME AÇIKHAVA MUZESI**



გორემეს ღია ცის ქვეშ განლაგებული მუზეუმის მონახულება კაბადოკიის გაცნობის მშვენიერი დასაწყისია. კლდეებით დაფარული ეროვნული პარკის ლანდშაფტი უნიკალური ბუნებისა და ისტორიის ჰარმონიული თანაარსებობის მაგალითია.

ეროზიამ ვულკანური კლდისგან უცნაური ფორმის ქანდაკებები გამოთალა, რომელშიც ბიზანტიის საეკლესიო ხელოვნების ნიმუშებმა იპოვეს თავშესაფარი.

პირველი მონასტრები აქ IV საუკუნეში გაჩნდა, როდესაც ქრისტიანმა ბერებმა ახლანდელი ეროვნული პარკის გამოქვაბულებში დაიდეს ბინა, არაბების შემოსევის დროს კი მიწისქვეშა ქალაქებში გადაინაცვლეს. მუზეუმის დათვალიერებას დაახლოებით 2-3 საათს მოაწოდოდა.

**აუცილებლად ჩაივით მონახერხებელი ფესხაგმელი და ტანსაცმელი და წყალი მოიმარაგეთ.**



**ბალთის ეკლესია**  
**TOKALI KILISE**

გორემეში მდებარე ყველაზე დიდი ეკლესიაა. ის ღია ცის ქვეშ განლაგებული მუზეუმის გამოსასვლელის მოპირდაპირე მხარესაა. ამ ეკლესიას IX საუკუნის ფრესკა ამშვენებს, აგრეთვე, საინტერესოა XI საუკუნის სამი ფრესკა. თავად ეკლესია ოთხი განყოფილებისგან შედგება: ძველი ეკლესია, ახალი ეკლესია, აკლდამა და ქვედა ეკლესია.

ძველი ეკლესია X საუკუნისა და ახალი ეკლესიის შესასვლელში მდებარეობს. მას ფერმკრთალი წითელი და მწვანე მოხატულობა ამშვენებს. ახალ ეკლესიაში კი ლილაქვით გამოსახული იისფერი ფრესკებია.



**ბნელი ეკლესია**  
**KARANLIK KILISE**

XI საუკუნის გუმბათოვანი ტაძარია, რომელშიც საოცრად კარგად შენახული, ხასხასა ფერებით გამოირჩეული ფრესკებია. სხვა ეკლესიებისგან განსხვავებით ბნელი ეკლესიაში სინათლე თითქმის არ აღწევს და ფრესკებიც ბევრად უკეთ გადაურჩა ბუნების ძალების ბემოქმედებას, თუმცა ამ საგანძურის რესტავრაციას დიდი ძალისხმევა დასჭირდა – თურქების შემოჭრის შემდეგ, ვიდრე 1950-იან წლებამდე მას მტრედების სადგომად იყენებდნენ.

აქ მოსახვედრად დამატებით ათი ლირაა გადასახდელი (ნაღდი ფული იქონიეთ, საკრედიტო ბარათებს არ იღებენ).



**მვლის ეკლესია**  
**YILANLI CHURCH**

დაბალტერიანი, გრძელი ნეფის მქონე ეკლესიაა, რომელშიც წმ. გიორგის ფრესკას იხილავთ (რომელზეც გველია გამოსახული – აქედან მოდის ეკლესიის სახელწოდება). ამ ეკლესიის კედლებზე იმპერატორ კონსტანტინეს, დედამისის – წმინდა ელენეს და სხვა წმინდანების გამოსახულებებია.



**სანდლაბიანი ეკლესიის**  
**ÇARIKLI KILISE**

სახელი ამაღლების ფრესკასთან არსებულ ფეხის ორ ანაბეჭდთან არის დაკავშირებული. ეს ეკლესია იმავე კლდეშია ნაკვეთი, რომელშიც ბნელი ეკლესია მდებარეობს. მისი მოხატულობა XI საუკუნის განეკუთვნება.



**ვაშლის ეკლესია**  
**ELMALI KILISE**

ეს პატარა ეკლესია 1050 წელს აშენდა, 1991 წელს კი რესტავრაცია ჩატარდა, თუმცა ფრესკები მუდმივად განიცდის ეროზიას, ხოლო მათ ქვეშ კი უფრო ადრეული ფრესკების კონტურებიც მოჩანს. მთავარანგელოზ მიქაელის მარცხენა ხელში მოთავსებული წითელი წრიული გამოსახულების გამო ტაძარს ვაშლის ეკლესია უწოდეს.

**წმინდა ბარბარას ეკლესია**  
**AZIZE BARBARA KILISESI**

ვაშლის ეკლესიის უკან მდებარე XI საუკუნის ეკლესიაა, რომელიც ფრესკებითა და ჟანგმიწის გეომეტრიული ფიგურებითაა დაფარული (ბერები კლდეზე წითელი ჟანგმიწით ფიგურებს ხატავდნენ, რომ გამოქვაბულის კედელი ქვით ნაშენებს დამსგავსებოდა).







## საჰაერო გუშტიმ ფრენა

თუკი ნამდვილი მოგზაური ხართ და თავგადასავლებს ეძებთ, კაბადოკიის საჰაერო ბუშტებს გულგრილად ვერ ჩაუვლით.

ყოველ დილას კაბადოკიის ცა ასობით ფერადი ბუშტით იფარება, რაც, თავისთავად, უნიკალური სანახაობაა, მაგრამ მთავარი მაინც ციდან მიწაზე არსებული ფანტასტიკური, ჯადოსნური და არადედამიწული სილამაზის კლდეების დათვალიერებაა.

გორემშიც და სხვა ქალაქებშიც საჰაერო ბუშტების უამრავი კომპანიაა. მათგან რომელიმეს არჩევსას ყურადღება მიაქციეთ გამოცდილებას – რამდენად კარგად მომზადებული და სერტიფიცირებული პილოტები ჰყავს, რამდენი წელია, რაც მუშაობს, რა სადაზღვევო მექანიზმებს ფლობს.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია თქვენი მოთხოვნებიც: საჰაერო მოგზაურობის ხანგრძლივობა, ბუშტში ადამი-

საჰაერო გუშტიმ მოგზაურობა პირველივე დღეს დაგეგმიტ. ფრენა ამინდზეა დამოკიდებული და გაძლიერებული ქარის შემთხვევაში საჰაერო გუშტები მიწას არ ტოვებენ. განსაკუთრებით ფრთხილად განვიხილოთ კილოტები, რომლებიც უამინდობაში ფრენას არ მარისკავენ. შესაბამისად, შეიძლება თქვენი ფრენა მეორე ან მესამე დღისთვის გადაიდოს.

კაბადოკიის მთავარი ტურისტული სანახაობების დასათვალიერებლად 3-4 დღე გწირდებათ, ამ დროში საჰაერო გუშტიმ ფრენის დროც გაითვალისწინეთ – ამ გამოცდილების გარეშე კაბადოკია ნარმოუდებენია.

საჰაერო გუშტები მიწას დილის 5.00-5.30 საათზე სწყდებათ. ამის ორი მიზეზი არსებობს:

1. ეს საფრენად ყველზე ხელსაყრელი დროა;
2. ამ დროს მზის ამოსვლას ნახავთ!

ანების რაოდენობა და, შესაბამისად, ფასი.

დაახლოებით 140€ შეგიძლიათ ხანმოკლე, 45-წუთიანი ფრენები დაჯავშნოთ. ასეთ საჰაერო ბუშტში სტანდარტულად 20-24 ადამიანი ეტევა, ბევრ კომპანიას ლუქსტურებიც აქვს, ფრენა ორ საათამდე გრძელდება, საჰაერო ბუშტში კი ნაკლები ხალხია, ანდა სულაც – მხოლოდ თქვენ. ექსკლუზიური ტურების ფასი 2000 €-მდე ადის.



## KAYAKAPI PREMIUM CAVES

ურგუფში, ქაიაქაფის – Kayakapi ისტორიულ უბანში განლაგებულია გამოქვაბული-სასტუმროს კომპლექსი – Kayakapi Premium Caves.

ეს არის UNESCO-ს და World Heritage Center-ის მიერ დაცული პროექტი, რომელშიც ასობით გამოქვაბული და ისტორიული ძეგლი შედის. სასტუმროს ულამაზესი ვერანდა და აუზი აქვს.

**ფასი:** 290€-დან

Kayakapi Mahallesi,  
Kuscular Sokak 43, 50400 Urgup



## MUSEUM HOTEL

სასტუმრო-მუზეუმიდან გორემს დაუვიწყარი ხედი არა მხოლოდ ოთახებიდან, არამედ რესტორნიდან, ტერასიდან და აუზიდანაც იშლება. ყოველ დილას სასტუმროს ასობით ფერადი საჰაერო ბუშტი ჩაუფრენს. გამოქვაბულში განლაგებული თითოეული ოთახი ანტიკვარული ნივთებითაა მორთული. ყოველი ისტორიული გამოქვაბული სათუთად არის აღდგენილი: საუკუნეების წინათ აქ სპარსელები, რომაელები და ადრეული ქრისტიანები სახლობდნენ.

სასტუმრო ასევე გთავაზობთ კონსიერჟის სერვისს, სპას, კულინარიის გაკვეთილებს. აპრილ-ნოემბერში სასტუმრო გოლფის თამაშებს აწყობს – სტუმრებს შეუძლიათ გოლფი კაბადოკიის ხეობაში ითამაშონ, იმ მონაკვეთებზე, სადაც მათი აქტივობა გარემოს არ ავნებს. ეს არის მსოფლიოში ერთადერთი შემთხვევა, როდესაც გოლფის თამაში იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეტანილ ადგილებზე ნებადართული.

სასტუმროს მეურნეობა მისივე რესტორანს ახალთახალი პროდუქტებით, ადგილობრივი ღვინითა და ბიოლოგიურად სუფთა თაფლით ამარაგებს.

**სტანდარტული ნომრის ფასი:** 150€-დან

Tekelli mah. No.1 Uçhisar 50240 Nevşehir







KONYA

შუასაუკუნეების რუმის სასულთნოს დედაქალაქი და წრეებმბრუნავი დერვიშების სამშობლო – კონია ნეოლითის ხანიდან არსებობს და არაერთი ცივილიზაციის გადაკვეთის ადგილია.

კონია ბერძნულად „ხატ“ ნიშნავს. ელინური მითის თანახმად, ზევსის ძე პერსევსმა ამ ადგილას ქალაქის მთავრად დააარსა.

მადლიერმა მოსახლეობამ გამარჯვების ნიშნად ძველი აღმართა, რომელზეც პერსევსის სახე იყო გამოკვეთილი და ქალაქსაც ამ სახეების საპატივცემულოდ ეწოდა „კონია“. დღეს კონიის ორმილიონიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ღრმადმორწმუნე მუსლიმია, თუმცა ამ ადგილის მნიშვნელობა ქრისტიანებისთვისაც არანაკლებია: მცირე აზიაში მოგზაურობისას აქ ქრისტეს მრწამსი წმინდა მოციქულებმა – პავლემ და ბარნაბამ იქადაგეს.



**KARATAY MADRASA**

სელჩუკური მედრესე 1251 წელს აიგო და მისი აღმშენებლის, სელჩუკი გენერლის – ჯალალ ედ-დინ ქარათაის სახელს ატარებს. ნაგებობა, რომელიც სელჩუკური ხელოვნების შედევრადაა მიჩნეული, 1955 წლიდან კერამიკის მუზეუმს მასპინძლობს. მედრესეს ინტერიერი შთაბეჭდავი, თეთრ და ლურჯ ფერებში გადაწყვეტილი მომინანქრებული მოზაიკითაა მოპირკეთებული, მუზეუმის საგამოფენო სივრცეში კი შუასაუკუნეების არქეოლოგიური ექსპონატების მდიდარი კოლექციაა დაცული.

**ბილეთის ფასი:** 5 TRY



**SELIMIYE CAMII**

სელიმიეს მეჩეთი კლასიკურ-ოსმალურ არქიტექტურის ერთ-ერთ გამორჩეულ ნიმუშს წარმოადგენს. მეჩეთის ისტორია სულთან სელიმ მეორის სახელს უკავშირდება. მისი მშენებლობა 1558 წელს დაიწყო. გუმბათოვან მეჩეთს ორი მინარეთი ამშვენებს, ინტერიერი ძვირფასი მარმარილოთი და მოზაიკითაა მოპირკეთებული.

*მანძილი კონიამდე სტამბოლიდან 712 კმ-ია, ანკარიდან – 263 კმ. კონიის მიმართულაბით სტამბოლის ორივე აეროპორტიდან TURKISH AIRLINES და PEGASUS AIRLINES რეგულარულად ახორციელებს კირდაპირ ფრენებს. მგზავრობის ხანძრძლივობა საშუალოდ 1 საათია.*

**ŞİFA LOKANTASI**

რესტორანი მევლანას მავზოლეუმის მახლობლად მდებარეობს. მისი მენიუ ტრადიციული კერძებისგან შედგება; ფასები ხელმისაწვდომია, მომსახურება – სწრაფი. აქაურობას ხშირად სტუმრობენ ადგილობრივებიც, რაც ხშირ შემთხვევაში ხარისხის უტყუარი ნიშანია.

Mevlana Cad. 9/F



**MEVLĀNA MUZESI**

კონიის მთავარი ღირსშესანიშნაობა მევლანას მავზოლეუმი. დერვიშთა ორდენის დამაარსებელი, უდიდესი სპარსულენოვანი მისტიკოსი პოეტი ჯალალ ედ-დინ რუმი, ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, დღევანდელი ავღანეთის ტერიტორიაზე დაიბადა და ცხოვრების უდიდესი ნაწილი კონიაში, იმ დროისთვის რუმის სასულთნოს დედაქალაქში გაატარა.

ცნობილია, რომ სუფ მისტიკოსს სულთნის კარი მფარველობდა, კერძოდ კი, სულთნის მეუღლე, გურჯი ხათუნად წოდებული, ქართველთა დედოფლის – რუსუდანის ასული თამარი, რომელსაც მევლანასთან დიდი მეგობრობა აკავშირებდა. ჯალალ ედ-დინ რუმის გარდაცვალების შემდეგ სწორედ მან ითავა საყვარელი მოძღვრის ხსოვნის უკვდავსაყოფად მის საფლავზე თურბეს აგება. მავზოლეუმში მევლანას გარდა სულ 66 სუფი დერვიშია დაკრძალული, მათ შორის, ჯალალ ედ-დინ რუმის ვაჟი, სულთანი ველედი. მამა-შვილის საფლავებს დერვიშული ქუდი „სიკე“ ამშვენებს, რაც მათი პატრონის მალალ სულიერებაზე მიანიშნებს.

*მუსლიმებისთვის ეს ადგილი მანსაკუთრებული სიძინილით გამოირჩევა: საფლავების გარდა მავზოლეუმში არაერთი რელიკვიაა დაცული, მათ შორის, წმინდა მუჰამად მოციქულის წვარი, ათასობით ადამიანი მოდის აქ სალოცავად.*



მავზოლეუმში შესასვლელად ქალებისთვის თავის დაბურვა საავალდებულოა. როგორც კაცებისთვის, ისე ქალებისთვის დაუშვებელია მოშიშვლებული მხრებითა და მოკლე შარვლით შესვლა, ასევე, საგაღებულოა ფეხსაცმლის გახდა. ღიაა: 09.00-17.30; შესვლა უფასოა; აუდიოგიდის ღირებულება: 10 TRY

**KONYA DERVISH HOTEL**

ორსართულიანი შენობა, რომელშიც კონიის ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული სასტუმროა განთავსებული, ორი საუკუნისაა და ოსმალური არქიტექტურისთვის დამახასიათებელ ნაგებობას წარმოადგენს. სასტუმრო ქალაქის ცენტრში, მევლანას მავზოლეუმიდან ორი წუთის სავალზე მდებარეობს. შენობას გარს ეკვრის აღმოსავლური ბალი მცირე ზომის აუზით.

**ორადგილიანი ნომრის საშუალო ფასი:** 35€

Aziziye Mahallesi, Güngör Sk. No:7





## PAMUKKALE

საუკუნეებია ძველ ვულკანურ ფერდობზე კალციუმის ბიკარბონატიანი წყლები (+30-+45°C) კლდეზე მოედინება. ის 200 მეტრის სიმაღლის მთაზე ამოდის. ასე ჩამოყალიბდა ფამუქქალეს („ბამბის ციხესიმაგრე“) ლანდშაფტი, რომელმაც თეთრი სტალაქტიტებით დაფარული ტერასული აბაზანების კასკადის სახე მიიღო.

**ამ წყლების სამკურნალო თვისებები ანტიკური ხანიდანაა ცნობილი. ძვ. წ. II საუკუნეში პერგამონის სამეფოს ალატიდების დინასტიამ აქ კურორტი იერაპოლისი დააარსა. ფამუქქალეში დღემდე შემორჩა აბანოების, ტაძრების, ელინისტური**

**ნაგებობების ნაშთები. ტერასები გათენება-დაღამებისას ვარდისფერ-მელნისფერია. მათზე სეირნობა აკრძალულია, მხოლოდ საგანგებო მონაკვეთებია გამოყოფილი. პლატოს ძირში სახელგანთქმული კლეოპატრას თერმული კომპლექსი მდებარეობს.**



II საუკუნის თარმულ კომპლექსში არსებულ ფამუქქალეს მუზეუმს ორშაბათის გარდა ყოველდღე შეიძლება ესტუმროთ (08.00-20.00, 2 TRY).

**ფამუქქალესა და იერაპოლისში შესვლის საფასური: 25 TRY; ღიაა: ნოემბერი-მარტი – 06.00-18.30; აპრილი-ოქტომბერი – 06.00-24.00**

**ანტიკურ აუზში შესვლის საფასური: 32 TRY ღიაა: ნოემბერი-მარტი – 08.00-17.30. აპრილი-ოქტომბერი – 08.00-19.30**




იერაპოლისში სამკურნალოდ მომზავებულია მთელი დღის მხარეთვალები და არისტოკრატია.



## იერაპოლისი

ძველრომაული ამფითეატრი (ძვ. წ. II ს.) 15 ათას მაყურებელს იტევდა (ამჟამად აღდგენილია და საფესტივალოდ გამოიყენება). ქალაქის კოლონადები, კლეოპატრას თერმული კომპლექსი, აპოლონისა და პლუტონის ტაძრები (III ს.), იერაპოლისის მცირე აზიაში უდიდესი ნეკროპოლისი; წმინდა ფილიპე მოციქულის მარტირიუმი (V ს.) და დომიციანის თაღის მონუმენტური კარიბჭე (I ს.) – ტერასებისა და ძველი ქალაქის მონაკვეთი დასათვალიერებლად 24 საათის განმავლობაშია ღია ყოველდღე.



## ლაოდიკია

ფამუქქალედან 13 კმ-ის დაშორებით სავაჭრო გზების მაკონტროლებელი ძველი ქალაქის, ლაოდიკიის ნაშთებია. ძვ. წ. III საუკუნეში ადრინდელი დიოპოლისის ადგილზე ანტიოქე II-ს სიმაგრე დაუარსებია, რომელიც მალე მდიდარ ქალაქად, მერე კი მცირე აზიაში ქრისტიანობის გავრცელების პუნქტად ქცეულა. თერმული წყლები საგანგებო სისტემით ადგილობრივ მცხოვრებთა სახლებში იყო გაყვანილი. V საუკუნის მიწისძვრებმა, სეფიულების შემოსევებმა ლაოდიკია გააუკაცრიელა. გადასახლებულებმა ამჟამინდელი დენიზლი დააარსეს; ლაოდიკია ისტორიულ ღირსშესანიშნობად დარჩა. აქ იხილავთ ნახევრად დანგრეულ ნიმფეუმსა და გიმნასიუმის სტადიონს (I ს.), თერმულ კომპლექსს, იონიური ტაძრის საძირკველსა და ორ ამფითეატრს.



ფაშუქაქალე იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია. ბუნების საოცრება, მინერალური წყაროების უნიკალური კომპლექსი, დიდი მენდერესის ხეობის ზემო ნაწილში, ქალაქ დენიზლიდან 20 კმ-ის დაშორებით მდებარეობს.

ფაშუქაქალეში მკურნალობენ რევმატიზმს, რაქიტს, ეგზემას, ფსორიაზს, საჭმლის მომწელებელი ორგანოებისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, ანემიას, სტრესს, დაღლილობას და სხვა. მკურნალობა აბაზანებსა და მინერალური წყლის სმას მოიცავს. სამკურნალო ცენტრები ასევე გთავაზობთ მასაჟს, ტალახის აბაზანებს, ელექტროთერაპიას, ცვილსა და სხვა.



მკურნალობისთვის საუკეთესოდ მიიჩნევა მაინიდან ოჯათმზარაშა კირილი (ივლისის და აპრილის მთვარეობის დროს), ჯაფხულში ძალიან ცხელა).

**VOYAGER რაჰოქანდარია**

მოემზადეთ ხალხმრავლობისთვის – ტურისტების უმეტესობა ერთდღიან მოგზაურობას მაინც აწყობს ფაშუქაქალეში. ისინი გვიან დილით ან ადრეულ შუადღეს უკვე აქ არიან. ფაშუქაქალეში დღის საათებში თანდათან იზრდება ხალხის ნაკადი, ეს ალბათ გასაკვირი არაა – ფაშუქაქალეს ყოველწლიურად 2 მილიონი ადამიანი სტუმრობს, რაც დღეში 5500 ტურისტს უდრის!

დათვალიერება ქვედა შესასვლელიდან დაიწყეთ. ამ ადგილას ნაკლები ხალხმრავლობაა, რადგან ჯგუფური ტურები ზედა შესასვლელიდან იწყება ხოლმე.

ფრთხილად იარეთ – იმისათვის, რომ ფაშუქაქალეს მიმდამოები არ დაზიანდეს, სტუმრებს ფეხშიშველი სიარული მოეთხოვებათ. ქვედა შესასვლელში ფეხსაცმელი პლასტიკატის ჩანთაში უნდა ჩადოთ და თან ატაროთ, ხოლო ზედა შესასვლელში ის ხით მოპირკეთებულ ადგილას უნდა დატოვოთ.


ფრთხილად იყავით ბასრპირიან კირქვასთან. კლდეზე ასვლისას არ იქაროთ და ფრთხილად გადადგით ნაბიჯები. ტრავერტინის ნიადაგი ზოგ ადგილას სრიალებს, რადგან წყალი მოედინება.

**ჩანთაში მხოლოდ მსუბუქი ნივთები ჩაალაგეთ. შვედა შასასვალთან შამანხავილი კამარები არ არის, მაინვალისწინათ, რომ ჩანთა მოგზაურობისას საულ თან გაქნებათ.**



**ტანსაცმლის ქვეშ საცურაო კოსტიუმი ჩაიცვით** – როცა საცურაო ადგილს ნახავთ, უბრალოდ, გაიძრობთ ტანსაცმელს და ჩაყვინთავთ. თან წაიღეთ მზის სათვალე – კირქვა იმდენად კაშკაშა და თეთრია, რომ თვალებს აუცილებლად გატყენთ. ასევე, წაისვით მზისგან დამცავი ლოსიონი და თან ბევრი წყალი იქონიეთ. აქ მალალი ტემპერატურაა, განსაკუთრებით ზაფხულში და ფრთხილად თუ არ იქნებით, გაუწყლოება გემუქრებათ.

**ყვალაზა გავრცელებული სუვენირი ერთი ბოთლი მინერალური წყალია (2-3 TRY). წყაროდან მისი ავსება უფასოდ შეგიძლიათ. დაუშვებელია მინერალის მომთვრება და ცულ ტარიტორიაზა; თუკათიდან შვების მათანა, ვლაჟის კანხებისსე კი, აკრძალულია.**



მოგზაურები, რომლებიც სამკურნალოდ მიამზავრებიან, უფრო ხშირად ქარაჰაითში სახლდებიან, ხოლო ისინი, ვისაც ღირსშესანიშნოებაი აინტერესებს ჰოგს ფაშუქაქალეში დაბინავდნენ.

ზემო ფერდობზე მდებარეობს კარაჰაიტი („წითელი წყარო“) – განსხვავებული მინერალური შემადგენლობის, რკინაგარეული თერმული წყალი (+40-+60 °C).

ის წაში 40 ლიტრის სიჩქარით მოედინება. მეორე, გოგირდოვანი წყალი კანის დაავადებებს კურნავს, ხოლო მესამე, რომლიც ტერასების აბაზანებს ავსებს, გასახალგაზრდავებელ და გამაჯანსაღებელ ეფექტს ახდენს.



ფაშუქაქალეში მდებარე მდიდრული სასტუმროების შვებარეობას საკუთარი თარგული აუზი აქვს, ზოგიერთ სასტუმროში კი თარგული ნახალი ჰირდაჰირ მოგზაობის აბაზანებს მიანდობა. თუ თარგულ სასტუმროში ცხოვრება გსურთ, KARAHAYIT-ის რაიონში უნდა დასახლდეთ.

**PAM THERMAL HOTEL CLINIC & SPA**

ამ სასტუმროს მაცხოვრებლებს არა მარტო ფაშუქაქალეს ტრავერტინების შემქმნელი წყლითა და კლეოპატრას ანტიკური აუზით სარგებლობა შეუძლიათ, არამედ წითელი თერმული წყლითაც, რომელმაც Karahayit-ის სახელგანთქმული წითელი ტრავერტინები ჩამოაყალიბა. ეს ორი სახეობის წყალი სასტუმროშია და სამედიცინო მიმართულებით გამოიყენება. ფაშუქაქალე-ქარაჰაითის პროვინციაში ერთადერთი სამედიცინო ცენტრი, ნობელის ფიზიოთერაპიისა და რეაბილიტაციის ცენტრი, Pam Thermal Hotel-ის ეზოშია. Pam Thermal Hotel-ის მინერალებით მდიდარი თერმული წყალი, ქიმიური დანამატების გარეშე, შენობაშიცაა და გარეთ მდებარე რამდენიმესართულიან აუზშიც. ეს წყალი შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება: რევმატიზმი ქრონიკულ ფაზებში, სახსრების დაავადებები, როგორცაა: ოსტეოართრიტი, ართრიტი და ოსტეოპოროზი. **ორადგილიანი ნომრის ფასი: 70€**

Karahayit / Pamukkale

<p>იერაპოლისის ბუნებრივ ნაკრძალში მხოლოდ ფეხით სიარულია ნებადართული. ყველა ტრანსპორტი ძველი ქალაქის ნაშთებთან, გაჩერებამდე მიდის. სოფლამდე, აგრეთვე, მთავარ ღირსშესანიშნოებამდე მისვლა შესაძლებელია დოლმუშით (სამარშრუტო ტაქსი – 2-5 TRY) და ტაქსით. ფასზე მძღოლს წინასწარ მოელაპარაკეთ. საფასურს ნაღდი ფულით იხდიან.</p>	<p><b>ქარდაჟის ააროკორტი ფაშუქაქალადან 70 კმ-ში მდებარეობს. ჯარ დანიზლი უნდა გაამზავროთ, ხოლო შამდამ – სოფალ ფაშუქაქალეში, რომელიც ჰირდაჰირ ტარასების ძირში მდებარეობს. ააროკორტიდან ბაჟის 90 TRY ღირს.</b></p>
---	---



ანტალიის ძველი ქალაქი ანუ ქალაიჩი – KALEIÇI თანამედროვე ანტალიის ცენტრში მდებარე ულამაზესი ძველი კვარტალი.  
KALEIÇI რომის იმპერიის კარიბჭე დაარსდა, ის უძველეს ნავსადგურ-თანაა ახანებული და ოდესღაც ძვის უხარმზარი მალაქებით იყო დაცული, საიდანაც მხოლოდ ორი კედელი და ერთი კარიბჯაა შემორჩენილი.



1922 წელს დაარსებული ანტალიის მუზეუმი ჯერ ალ-ად-დინის მეჩეთში, შემდეგ ივლი მინარე ჯამში (მეჩეთი) მდებარეობდა, 1972 წელს კი მის ამჟამინდელ ნაგებობაში განთავსდა. მუზეუმის ტერიტორია 30 000 მ<sup>2</sup>-ია, 13 საგამოფენო გალერეისგან შედგება და ვერნისაჟი ძალიან მრავალფეროვანია: საბავშვო სექცია, პრეისტორიული გალერეები, თიხის ნაკეთობები, რეგიონის არქეოლოგიური აღმოჩენები, ღვთაებების ქანდაკებები, მოზაიკა, კერამიკა, პერგას თეატრის ქანდაკებები, სარკოფაგები, მონეტები და ძვირფასეულობა.

დაახლოებით 12 000 არქეოლოგიური არტეფაქტი, რომელთაგანაც თითოეული ამ რეგიონს ეკუთვნის, ქრონოლოგიურადაა გამოყენილი და ანატოლიის ისტორიაში გამოგზავრება.

**ღიაა:** ყოველდღე – 08.30-17.30; **ფასი:** 20 TRY

Bahçelievler Mahallesi  
Konyaaltı Cd. No:88



Kaleiçi ნავსადგურს დასავლეთიდან იცავდა და სამხრეთის მხრიდან სავაჭრო გემებს მასპინძლობდა. ვიწრო ქუჩებითა და ისტორიული ხის სახლებით, ბარებით, რესტორნებითა და ოსმანური ეპოქის სტილის ბუტიკ-სასტუმროებით, Kaleiçi ანტალიაში სტუმრობისას სასიერნოდ და საცხოვრებლად საუკეთესო ადგილია.

## ადრინანს კარიბჯა

ანტალიის ძველ ქალაქში შესასვლელი ტრიუმფალური თალი, რომელიც ადრინანს კარიბჯის სახელს ატარებს, 130 წელს იმპერატორ ადრინანს სტუმრობისთვის აუგიათ. ამ პერიოდში ანტალია მდიდარი ქალაქი იყო და მისი გრანდიოზული ტიპოვებიდან მხოლოდ ეს რომაული არქიტექტურის შთამბეჭდავი მაგალითია შემორჩენილი. ძველი ქალაქის შესასვლელში, ორივე მხარეს მარმარილოს სვეტებით აგებული თალია. მის გვერდით სხვადასხვა ეპოქაში აშენებული მასიური ქვის კოშკებია, რომელთაგანაც უახლესი 1200-იან წლებში, სელჩუკების პერიოდში ააგეს. თალის ქვეშ ქვის გზა კი იმ ათასობით ფორნისა და ოთხთვალას ნაკვალევითაა დაკაწრული, რომლებსაც აქ საუკუნეების განმავლობაში გაუვლიათ.



## აპოლონის ტაძარი

ანტალიის შემოგარენში უამრავი ბერძნული და რომაული ისტორიული შენობის ნანგრევების დათვალიერებას შეძლებთ. ერთ-ერთი საინტერესო ნაგებობა აპოლონის ტაძარია, რომელიც ქალაქიდან სამხრეთით, 19 კილომეტრში მდებარეობს. ეს ტაძარი უძველესი ნავსადგურის ახლოს ააშენეს, რომელიც ახლა ზღვის ნაპირიდან 24 კმ-ითაა დაშორებული. აპოლონის ტაძარს ექვს-ექვსი კორინთული სვეტი აქვს წინა და უკანა მხარეს, ხოლო თითოეულ გვერდზე – თერთმეტი. სვეტების სიმაღლე ცხრა მეტრს აღწევს. შენობა მეორე საუკუნეშია აგებული ღვთაება აპოლონის თაყვანისცემის ნიშნად, რომელიც სინათლისა და ჭეშმარიტების ღმერთია.



## ანტალიის ნავმისადგომი

ძველი ქალაქის ნამგლის ფორმის სანაპიროა, რომელზეც დიდი კომერციული ნავსაბმელიც, პორტიც და ისტორიული ნავსადგურიცაა.

Kaleiçi-ს ნავსადგურიდან ნავით სეირნობისას შეგიძლიათ დაათვალიეროთ სანაპირო და მისგან მოშორებით მდებარე პატარა კუნძულები. აქ შეგიძლიათ უყუროთ, თუ როგორ ბრუნდებიან ნაპირზე ნადავლით მეთევზეები, ასევე, ახლომდებარე ზღვის პროდუქტების რესტორნებიდან ერთ-ერთში ისადილოთ. ნავმისადგომი შთამბეჭდავი ხედვებით გამოირჩევა.



## ფერმა

ანტიკური ქალაქის, ფერგეს ნარჩენები ანტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სულ რაღაც 17 კმ-ში, ოცი წუთის სავალზეა და რეგიონის ყველაზე ღირსშესანიშნავი რომაული ნანგრევია.

ბრინჯაოს ხანის ქალაქი ძველი წელთაღრიცხვით 1500 წელს არსებობდა. ფერგე ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი ქალაქია. ის ბიზანტიის ეპოქაში

ქრისტიანებისთვის უმნიშვნელოვანესი ადგილი იყო. ლეგენდის თანახმად, 46 წელს აქ წმ. პავლე ქადაგებდა.

1946 წელს ფერგეს ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ბერძნულ-რომაული თეატრი მარმარილოს რელიეფებით, აგრეთვე, სტადიონი, რომელიც 12000 ადამიანს იტევდა, ელინურ-რომაული ქალაქის კარიბჭე, გრძელი, კოლონადებიანი ქუჩა, საზოგადოებრივი აბანოები და გიმნაზია.






**დემრე მირა**

დემრე, რომელიც ადრე ქალეს სახელწოდებით იყო ცნობილი, ანტიკურ დროში კი – როგორც მირა, პატარა აგროკულტურული ქალაქია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. ის ანტალიიდან 14 კმ-ში მდებარეობს და შესანიშნავი ადგილია დასასვენებლად.



ქალაქი მხოლოდ თბილი, სასიამოვნო ამინდითა და პლაჟით არ გამოირჩევა აქ უამრავი ქრისტიანი დადის წმ. ნიკოლოზის ტაძრისა და საფლავის მოსალოცად. გარდა ამისა, ქალაქი დემრე ისეთი ისტორიული ღირსშესანიშნაობებითაა ცნობილი, როგორცაა კლდეში გამოკვეთილი სამარხები და რომაული თეატრი. ახლოს მდებარე კუნძულ ქექოვაზე ჩაძირული ისტორიული ნანგრევებია. ამ ქალაქის სანაპიროზე ნავით გასეირნებისას ბევრ საინტერესო ადგილს ნახავთ.



**წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარი, დემრე**

ჩვენი წელთაღრიცხვით 343 წელს წმ. ნიკოლოზი, ასევე ცნობილი, როგორც სანტაკლუსი, ანტალიაში, ტაძარში დაკრძალეს – ის აქ ეპისკოპოსად მსახურებდა. წლების შემდეგ ამ ტაძრის საძირკველზე წმ. ნიკოლოზის სახელობის ახალი ტაძარი ააგეს, რომელიც არაბთა შემოსევის დროს განადგურდა და შემდგომში ახლიდან აშენდა კონსტანტინე IX-ის მმართველობის პერიოდში. არსებობს ვარაუდი, რომ წმ. ნიკოლოზის ნაწილები



1087 წელს იტალიელმა ვაჭრებმა მოიპარეს, თუმცა სულ ახლახან თურქმა არქეოლოგებმა ჩამოაყალიბეს თეორია, რომლის მიხედვითაც, მოპარული ნეშტი ადგილობრივ მღვდელს ეკუთვნოდა. მათი აზრით, წმ. ნიკოლოზის ნაწილები შესაძლოა კვლავაც ბიზანტიური მოზაიკისა და ქვის იატაკის ქვეშ იყოს დავანებული.

**დამთვალიერებლებისათვის ღიაა:** აპრილიდან ოქტომბრის ბოლოდე – 09.00-19.00; ნოემბრიდან მარტის ჩათვლით – 8.30-17.00  
**შესვლა:** 10 TRY



**ქექოვა**

კუნძული ქექოვა ქალაქ დემრეს სანაპიროსთან, სახელგანთქმული ლიკიური გზის შუაში მდებარეობს. ქექოვის რეგიონი მოიცავს კუნძულ ქექოვას, ორ სოფელს – Kaleköy-სა და İçadıniz-ს, ასევე რამდენიმე უძველესი ლიკიური სოფლის ნანგრევებს. მეორე საუკუნეში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ ამ რეგიონის უდიდესი ნაწილი წყალში ჩაიძირა – ზოგიერთი შენობა ნახევრად ჩანს, ზოგი კი მთლიანად ზღვაშია.

ეს პოპულარული ადგილია სანაოსნო ტურებისთვის, განსაკუთრებით შთაბეჭდავია ამ მიდამოებში მინისძირიანი ნაგებობების შეგიძლიათ წყალში ჩაძირული ნაგებობები დაათვალიეროთ და დაცულ ტერიტორიასთან ახლოს აკვალანგით იცუროთ.

**თერმესოსი**

თერმესოსი ტავრის მთებში მდებარე ძველი ქალაქია, რომლის მონახულებაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ალბათ სწორედ ამიტომ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 333 წელს ალექსანდრე მაკედონელმა მისი დაპყრობა გადაიფიქრა. დღეს უძველესი ქალაქის შედარებით დაბალი მიდამოები Gulluk Dagı-ს ნაციონალურ პარკშია, რომელიც ანტალიიდან 38 კილომეტრში მდებარეობს. აუცილებლად დაგჭირდებათ გამძლე ფეხსაცმელი პატარა კლდეებზე ასაცოცებლად, რათა უფრო მეტი ნაგებობის ნანგრევი დაათვალიეროთ. აქ შთაბეჭდავი თეატრია, რომლიდანაც გარშემო მდებარე მთების ხედები იშლება. პარკის ტერიტორიაზეა აგორა, ოდონ-ბულეტერიონი, სამარხი ჰერენი, წყლის ხუნაწლიანი საცავი და კორინთული ტაძარი.



**ოლიმპო**

ოლიმპოს უძველესი ქალაქის ნანგრევები ანტალიიდან 90 კილომეტრში, სამხრეთ-დასავლეთით, ულამაზეს ველზე მდებარეობს. ელინურ ხანაში დაარსებულ და შემდგომში რომის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ქალაქს, სავარაუდოდ, სახელწოდება ახლოს მდებარე მითითური ღმერთების სამფლობელოს, ოლიმპოს მთიდან მომდინარეობს. ქალაქთან სოფელი ოლიმპოცაა, რომელიც თავისი მდიდარი ფლორით გამოირჩევა – აქ ვაზი და ხეხილი ხარობს და სანაპიროსთან ძალიან ახლოსაა. ოლიმპოს ნანგრევების დასათვალიერებლად მოსული მოგზაურები აქვე ახლოს ქიმეზასაც (Yanartaş) სტუმრობენ. მთებში მდებარე ეს ადგილი ათასწლეულების განმავლობაში ცეცხლშია გახვეული დედამიწიდან ამომავალი მეთანის გამო.





## MAXX ROYAL KEMER

ამ „გრანდ ბუტიკის“ ტიპის სასტუმროს ყველა დეტალი ელევანტურია. გამორჩეული დიზაინის ყველა ოთახიდან მოჩანს ზღვის ულამაზესი ხედი სასტუმროს სამზარეულოში ფილიპინელი, ფრანგი, ავსტრიელი, იტალიელი და იაპონელი შეფ-მზარეულები მოღვაწეობენ. Maxx Royal-ს სამი თეთრქვიშიანი პლაჟი აქვს – Tangerine Beach, რომელზეც მუდმივად მუსიკა ისმის, მშვიდი Long Beach პატარა სახლებით და Middle Bay ბავშვიანი ოჯახებისთვის. ოთხი აუზი, შესანიშნავად აღჭურვილი სპორტდარბაზი და ფაუნტანებით გამორჩეული სპა-ცენტრი ასევე სასტუმროს განკარგულებაშია.

Kiriş Mah. Kiriş Cad. No: 88 Kemer – Antalya



## LARA BALIKEVI

2002 წელს, გახსნის დღიდანვე, Lara Balikevi-მ ანტალიის ერთ-ერთი საუკეთესო ზღვის პროექტების რესტორნის რეპუტაცია შეიძინა. ხუთწლიანი არსებობის შემდეგ მისი მეორე ფილიალიც გახსნეს. ეს რესტორნები სანაპიროზე მდებარეობს და ზღვაზე გამავალ, ერთნაირად ლამაზ ხედებს გვთავაზობს. ორივეს აქვს გარე ტერასა და ბაღი. დიდ დახლზე დღის „ნადავლია“ გამოფენილი, რომელსაც ახალი, ყოველდღიური კერძების დასამზადებლად იყენებენ. მართალია, აქ ხორცსაც შემოგთავაზებენ, მაგრამ თევზების კერძები რესტორნის ძლიერი მხარეა და მათ ოსტატურად შეკამაზულს მოგართმევენ.

Altinkum Mh., Antalya  
Tevfik İşik Cd, Muratpaşa, Antalya



## OLYMPUS LODGE

თუ პლაჟის მოყვარული ხართ, მაშინ სასტუმრო Olympus Lodge თქვენთვის ზედგამოჭრილია. ის ანტალიის განცალკევებულ სანაპიროსთან, Çirali-სთან ძალიან ახლოსაა. სასტუმროს დეკორი ელევანტურია, მისი ბაღი, კერძო პლაჟი და ცამეტი ბუნგალო გამორჩეულ განტვირთვას გპირდებათ. შეგიძლიათ ზღვაში ჩაყვინთოთ, ჰამაკში ჩათვლიმოთ, ხოლო სადილი ევკალიპტის ხეების ჩრდილში მიირთვათ.

Çirali PK 38 Antalya, Kemer – Antalya



## STELLA'S MANZARA

უზარმაზარი ღია ტერასა, რომელიც ხმელთაშუა ზღვას გადაჭყურებს, ულამაზესი მცენარეებითა და მზის ქოლგებითაა გაწყობილი. რესტორანი მრავალფეროვან მენიუს გთავაზობთ თევზების, ფრინველისა და სხვა ხორცის კერძების ბალანსით, რომელთაც წინ უძღვის ცივი და ცხელი აპეტაიზერები თურქული და ინტერნაციონალური სამზარეულოდან. ყინულიან ურიკაზე ახლად დატყერილი თევზია გამოფენილი. Stella's Manzara სახელგანთქმულია თავისი წიწაკიანი სტიკით, რომელსაც კონიაკით, ნაღებითა და პილიპილის მარცვლების სოუსით კმაზავენ.

Şirinyalı Mh., Muratpaşa, Antalya



## SHIP INN

Ataturk Park-ში მდებარე Ship Inn ანტალიის ტურისტული ხმაურისგან დასასვენებლად ნამდვილი ოაზისია. რესტორნის გარშემო სამი ტბაა და ბუნების წიაღში გემრიელად სადილობას შეძლებთ. გარე ტერასაზე ხის იატაკია, გარშემო კი – მცენარეები. მენიუს საერთაშორისო სამზარეულოს გავლენა ეტყობა, მაგრამ, ძირითადად, თურქულ კულინარიას გვთავაზობს: მადის-ალმძვრელ კლასიკურ კერძ yörük-ს, შემწვარი ხბოს ხორცის ფირფიტებსა და cizbiz-ს, გრილზე შემწვარ ხორცის ბურთულებს.

Meltem Mh., Dumlupınar Blv 2, Antalya



## TEKELI KONAKLARI

ბუტიკის ტიპის სასტუმრო ანტალიის ძველ ნავმისადგომთან ოსმალეთის ფაშას რეკონსტრუირებულ რეზიდენციაშია განთავსებული. რვა სხვადასხვანაირი დიზაინის მქონე ოთახს ახლომდებარე წყნარი ქუჩა და სასტუმროს შიდა ეზო სიმშვიდით აცხებს.

შენობის ძირითად სტრუქტურას კედრის ხისგან დამზადებული მასალა ქმნის, ამიტომ აქ მუდამ მოტკბო სუნია, სასტუმროს რესტორანში შემოთავაზებულ კლასიკურ თურქულ სამზარეულოს კი მადისალმძვრელი არომატი აქვს.

Dizdar Hasan Sokak  
Kaleiçi – Antalya

## PATIO BISTRO & RESTAURANT

Puding Marina Hotel-ში მდებარე Patio ანტალიის ძველი ქალაქის შუაგულშია. მენიუ ხმელთაშუა ზღვის უამრავი ქვეყნის კულინარიაში მოგაურობას გპირდებათ.

ფუა გრა საფრანგეთიდან, გასპაჩოს წვნიანი კრევეტებით ესპანეთიდან, თურქული შემწვარი ბატკანი ხახვით, მწვანე წიწაკითა და პომიდორი ჩერთი – ყველა ამ კერძს თავისი ადგილი აქვს Patio Bistro & Restaurant-ის ალა კარტ მენიუში.

Mermerli S.15,  
Kaleiçi, Antalya







# FETHIYE


ზაფხულობით ქალაქში ძალიან ცხელა – ივლისსა და აგვისტოში ტემპერატურა 40°C-ზე მაღალია, ზამთარში კი – 14-20°C-ია. მზაზხული და შემოდგომა აქ დასასვენებლად საუკეთესო საზონებია, რადგან ამ დროს მშვენიერი ამინდია (20-28°C).

ფეთიჰიე თურქული სანაპიროს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული კურორტია, სახელგანთქმული თავისი ღამის ცხოვრებით, ტავერნებით, ფიჭვის ტყით დაფარული მთების ხედებითა და ქვიშიანი, ლაჟვარდოვანი ყურეებით. აქ ათასობით თეთრი ნავი დაცურავს და ყოველთვის მზიანი ამინდია.

ფეთიჰიეს განიერ ყურეში თურქეთის ხმელთაშუა ზღვის ყველაზე ღამაზი ნავსადგურებია, ყურის გასწვრივ კი – წარმატებული კუნძულები. ფეთიჰიეში სტუმრობისას თურქეთის ყველაზე ღამაზი პლაჟების, Çal-ისა და Mlideniz-ის ნახვას შეძლებთ.



ფეთიჰიე მსოფლიოში ერთადერთი ქალაქია, სადაც ქუჩაში სარკოვებებს – ლიკიურ რელიკვიებს ნახავთ.



BABADAĞ-ის მთიდან ÖLÜDENİZ-ის სანალბანთხმულ BLUE LAGOON-ზე ისეთი რამაა, რაც აუცილებლად უნდა გამოცადოთ. ვისაც ფრანა უყვარს, მათთვის წალიჩადში ორჯერ, მაისსა და ოქტომბერში AIR GAMES FESTIVAL ტარდება. თუ ფრანის იდეა არ მზიბლავთ, მაშინ 2018 წლის დასაწყისში ახალი საბაჰიროს მახსენის შამდამ მთაზე ასვლა და ხეობის დამთვალიერება კიდეც უფრო ადვილი იქნება.

უძველეს ლიკიურ მიწებზე, ამჟამად ფეთიჰიესა და ანტალიის შორის, ლიკიური გზა გადაჭიმულია. ეს 500-კილომეტრიანი მარშრუტი სანაპიროს მიუყვება. მის გასწვრივ უმშვენიერესი სოფლებია, სადაც ძველი ცივილიზაციის ნაშთები შემორჩენილია.

უძველესი ქალაქი Kadyanda 2500 წლისაა და ფეთიჰიედან 24 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. აქ ელინური თეატრი, რომელიც აბანოები, აგორა, ტაძარი და გამოქვაბულის სამარხებია. ფეთიჰიესთან ახლოსაა Afkule-ს მონასტრის ნანგრევებიც. ქალაქის მახლობლად ძველი ბერძნული „სოფელი-მოჩვენება“ Kayakoy-ია, რომელიც 1923 წელს დაცარიელდა. თუკი ლიკიური სანაპიროს დიდებული ნანგრევების დათვალიერება გსურთ, მაშინ ფეთიჰიეში დარჩენა კარგი გადაწყვეტილებაა.



- 1 HILLSIDE BEACH CLUB სამი კერძო პლაჟისგან შედგება და იდეალური სანაპირო ადგილია. აქ ყველაფერია, რაც კი კომფორტული დასვენებისათვის შეიძლება დაგჭირდეთ.
- 2 OYSTER RESIDENCES ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმროა ფეთიჰიეში, კომპლექსი პირდაპირ კერძო სანაპიროზე მდებარეობს და ულამაზესი ლაგუნის აუზიანი მშენებელი ბაღი ამშვენებს.
- 3 HOTEL UNIQUE კლდის პირას მდებარე სასტუმრო შესანიშნავი ადგილია გარე აუზითა და რესტორნით. თანაც, პლაჟი სულ რამდენიმე წუთის სავალზეა.



**Basilico A'la Carte Restaurant**  
ტრადიციული იტალიური კულინარია.

**TUI Sensatori Resort Fethiye by Barut Hotels**  
საუკეთესო რესტორნების მრავალფეროვან არჩევანს გთავაზობთ.

**Sunset Restaurant**  
საუკეთესო მენიუ ხორცის მოყვარულთათვის, ბარბექიუ.


**Pearl A'la Carte Restaurant**  
საერთაშორისო კულინარია, ულამაზესი ხედები.

**Amber Restaurant**  
ტრადიციული თურქული სამზარეულო, ქაბაბი, მეზე, ცომეულო.

**Asian A'la Carte Restaurant**  
აზიური სამზარეულო.

**Dutdibi Mevkii, Manolya Sok. Kargı Köyü 4/1**





## ლურჯი კრუიზი

თურქეთში დასვენების საუკეთესო არჩევანი

ტურებს შთამბეჭდავი ლიკიური სანაპიროს გასწვრივ, რომელსაც Blue Cruise ჰქვია, ფეთქივში არსებული რამდენიმე კომპანია გეგმავს აპრილიდან ოქტომბრამდე. ეს არის კრუიზი თურქეთის ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, სადაც ძველი ცივილიზაციის ნაშთებს (მიწაზე თუ წყალქვეშ) და შესანიშნავ ბუნებას დაათვალიერებთ. სამგზავროდ ტრადიციული თურქული გულეტი გამოიყენება, რომელიც ლამაზი და კომფორტულია.

ტურები 3, 5, 7-დღიანი, ასევე ორკვირიანია. მარშრუტების საწყისი წერტილი შეიძლება იყოს Bodrum, Marmaris, Gokova, Fethiye, Kekova, Olympos, Kemer, Demre, Gocek Isles, Kas და Antalya.

**კლაუი ÖLÜDENİZ ფათიქიდან სამხრეთით, 14 კმ-ში მდებარეობს, BABADAG-ის მთასთან. მისი ლურჯი ლაგუნის წყალი სახელგანთქმულია თავისი ცისფერი და ლაქვარდისფერი ტონალობებით და აროვნული ნაკრძალი.**

**ფათიქის ულამაზესი კლაუები CALIS და HISARONU მრავალფეროვანი ცხოვრებით მამოიკრავს. კლაუი PATARA ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლავია და ზოგჯერ მსოფლიოს საუკეთესო სანაპიროდაც კი მოიხსენიებენ, KABAK კი წყნარი ადგილია მბრწყინავი თეთრი ქვიშით. GEMILER-ის კლაუი ბიზანტიური კარიდის ნაგებობებითაა მარშაშორებულ.**



**გულეტი** ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვებში მცურავი უძველესი ხის გემების შთამომავალია, რომლებსაც ვაჭრობისთვის ან თევზაობისთვის იყენებდნენ. მას, ძირითადად, ფიჭვისგან ამზადებენ, გემბანზე დიდი სივრცეა, სადაც სადილები იმართება, ასევე, აქ უამრავი შეზღონვია გასარუჯად. შიდა სივრცე კომფორტულადაა მოწყობილი. გულეტი სხვადასხვა ზომისაა და თითოეული 4-იდან 20 ადამიანამდე იტევს. მისი ეკიპაჟი, კაპიტანი, მზარეული და ერთი ან ორი მეზღვაური გამოცდილი პროფესიონალე-ბი არიან.



## ფათიქის ყურის 12-კუნძულიანი ტური

ერთ-ერთი ყველაზე წარმტაცი ადგილი ფეთქივს ყურეა, რომლის ფირუზისფერ წყლებში 12-კუნძულიანი არქიპელაგია. მათი დათვალიერების საუკეთესო გზა კი გულეტით ტურში წასვლაა. მოგზაურობა აუცილებლად მოიცავს გაჩერებებს შემდეგ კუნძულებზე: Yassicalar (ბრტყელი კუნძული) – საცურაოდ, Tersane Adasi (ნავსაშენის კუნძული), რომელზეც არტეფაქტების ნარჩენებია, Akvaryum Koyu (აკვარიუმის ყურე) – ყვინთვისთვის, და Kizilada (წითელი კუნძული) – ულამაზესი პლაჟისა და ტალახის აბაზანების გამო.

თუ მკაცრად გაწერილი მარშრუტით არ მოგზაურობთ და პირადი გულეტი გაქვთ დაქირავებული, შეგიძლიათ შეჩერდეთ Tersane Adasi-ს პირდაპირ, Bedri Rahmi-ს ყურეში მდებარე Zeytin-ში, სადაც საუკეთესო მეზეს მიირთმევთ.



## დალიანის მდინარის ტური

შეგიძლიათ მდინარე დალიანის გასწვრივ დაგემოთ მოგზაურობა. ეს გზა Köyceğiz-ის ტბასა და İztuzu-ს პლაჟს შორისაა და პატარა ქალაქ დალიანზე გადის. ვოიაჟისას ლამაზ ლანდშაფტს, სოფლებსა და მთის მწვერვალებს დაათვალიერებთ.

İztuzu-ს ანუ კუს პლაჟამდე ასევე სახმელეთო გზით მისვლაც შესაძლებელია, ის საცურაოდ და გასარუჯად იდეალურია. გარდა ამისა, აქ უამრავი კუ ცხოვრობს და მათი დაცვისა და კვლევის ცენტრიც მუშაობს.

მდინარეზე მგზავრობისას ოქროსფერ კლდეებს შორის მდებარე უძველეს ქალაქ Kaunos-სა და მის ლიკიურ სამეფო სამარხებსაც დაათვალიერებთ. აქვეა თეატრი და აკროპოლისიც.

ქალაქ დალიანში ყოფნისას აუცილებლად შეიარეთ რესტორან Saki-ში, ლანჩისთვის კი Caretta იდეალური ადგილია, სადაც ზღვის პროდუქტებითა და მეგეთი წაიხემსებთ.





80 კმ-ზე გადაჭიმული დათის ნახევარკუნძული, რომელიც თურქეთში, მუღლის პროვინციაში, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის გასაყარზე მდებარეობს, ხელუხლებელი სიმწვანით გამოირჩევა. ძველ ბერძნებს სწამდათ, რომ დათია პირადად ზევსმა შექმნა, სხვანაირად ვერ აიხსნებოდა მისი ულამაზესი კლდოვანი კონტურები და ლაჟვარდისფერი წყლები. სტრაბონს თუ დავუჯერებთ, „ღმერთმა თავისი საყვარელი არსებები დათიაზე დაასახლა, რათა მათ უფრო დიდხანს ეცოცხლათ“.



ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5400 წელს აქ მცხოვრები კარიელების, ლიდის, სპარსეთის, ბიზანტიისა და ოსმალეთის იმპერიების კულტურების ნაკვალევი აქაურ ლანდშაფტს ნამდვილად ეტყობა – ტაძრის ნანგრევები, უძველესი წყალსაცავები, სამარხების ქვები და ზეთისხილის დასამუშავებელი მოწყობილობების ნაშთები. აქ წარმტაცი გორაკები, ზეთისხილის ხეივანები, მწვანე ხეობები, ლურჯი ყურეები, უკაცრიელი პლაჟები და მთვლეშარე სოფლებია.



**ნახევარკუნძულის მთავარი სოფელი ESKI DATÇA – ძველი დათრა მდიდარი საბაგოთელი და ანაკრალი დამსვენებლებისათვის განახლდა. ბავშვმა მათგანმა სახლიც კი შეიძინა. დათრაში ულამაზესი ქვის სახლები, ბილიკები, ბაღები, კაბარა კაფეები და მალაზიები.**

**KNIDOS**

ეს უძველესი ნავსადგური, რომლის ნანგრევებიც შემორჩენილია, ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნიდან უმნიშვნელოვანესი საზღვაო პუნქტი იყო.

**მხოლოდ რამდენიმე ბაზილიკის თალი, იატაკის მოზაიკა და ზღვისპირა ანტიკური თეატრი შემორჩენილი.**



ასტრონომები, მედიკოსები, არქიტექტორები კნიდოსში იყრიდნენ თავს. აქ ათასი წლის წინ გაუჩინარებული შიშველი აფროდიტეს ქანდაკება იდგა. კნიდოსი მიწისძვრების, შემოსევებისა და ძარცვის შედეგად ნანგრევებად იქცა.

**ქალაქი თავისი ნუმი ხაებითა განთქმული და ადგილობრივი ტატიკული, რომელიც ნუმიხა და ლაღვის ჩირისგან მზადდება, განსაკუთრებულად მამოილია.**



**MARPHE VILLAS**

ვილების ქსელი ამავე სახელწოდების სასტუმროსთანაა დაკავშირებული, რომელსაც ულამაზესი აუზი, ჰამაკებით გაწყობილი ბაღი და ღია ცის ქვეშ მდებარე ბარი აქვს. **ორადგილიანი ვილები – 70€-დან; 5-6 - ადგილიანი სუიტები – 125€-200€**

[www.marphevillas.com](http://www.marphevillas.com)

**დათრა გოდრუმსა და მარმარისს შორის მდებარეობს, მარმარისიდან 78 კილომეტრის დაშორებით. D400 ერთადერთი სახმალეთო გზაა. გოდრუმიდან მიმავალი გორნები ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ სანაპიროზე მდებარე კორღში ჩერდება. ამ წარტილიდან დათრაში, რომელიც ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპიროზეა, 10-15 წუთის გზაა.**

**D-HOTEL**

D-Hotel-ექსკლუზიურობის განსახიერებაა. შესანიშნავი ხედებით, გარშემორტყმული რამდენიმე პატარა კუნძულით, ფიჭვის ხეებითა და ხუთი კერძო პლაჟით. აქ ექვსი ბარია, რომლებშიც ცოცხალი მუსიკა ისმის და DJ-ს ლამები იმართება. Coliseum Beach Bar-ი ჯამ-ბენდებითა და განსაკუთრებული კოქტეილებით გამოირჩევა. ლეგენდარულ რესტორან Zuma-ში ეგვიპტელადაც წახიქმსებთ. Ruia კი თურქულ კულინარიას შემოგთავაზებთ.



**სტანდარტული ნომრის ფასი: 300€-დან**  
[www.dhotel.com.tr](http://www.dhotel.com.tr)

**FEVZI'S PLACE**

თევზის ტავერნა ნავსადგურში თევზის მთავარი კერძების წინ საუკეთესო მზეგს შემოგთავაზებთ.

**CULINARIUM**

თურქულ-გერმანული წყვილი ადგილობრივი ინგრედიენტებით დამზადებულ, უმეტესად, ევროპულ კერძებს სთავაზობენ სტუმრებს – იდეალურ სტიკებს, ზაფრანის რავიოლის, ფარშირებულ ყაბაყსა და შინაურულ ნაყინს.







## BODRUM

ანტიკური კოლინი ჰალიკარნასი, იგივე თანამედროვე ბოდრუმი ისტორიულად, ძირითადად, ორი რაიონითაა ცნობილი: ქრისტეშობამდე V საუკუნეში ამ დაიბადა ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე და ამ ქალაქში იყო აღმართული მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი – ჰალიკარნასის მავზოლეუმი. დღეს ბოდრუმი თურქეთის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საზღვაო კურორტს წარმოადგენს.

საზონი ამ მარტის ბოლოს იწყება და ნოემბრამდე მრძელდება. ამასთან, ულამაზესი ქვიშიანი კლავებისა და ყურბების, მასაოცარი ბუნების, ისტორიული ძეგლების დამსახურებით, ქალაქს ხშირად მცირე აზიის სანტროკად მოიხსენიებენ: მავზოლეუმზე ზღვაზე, ლუჩაზე ცაზე, სასტუმროებისა და რესტორნების ხარისხზე ბოდრუმი თურქეთის ერთ-ერთ საუკეთესო კურორტად აქცია.



### HALIKARNAS MOZOLESI

ლეგენდარული ჰალიკარნასის მავზოლეუმი ძველი წელთაღრიცხვით IV ს-ში აიგო და კარიის სატრაპის – მესოლოეს აკლდამას წარმოადგენდა. მავსოლემ აკლდამის მშენებლობა სიცოცხლეშივე დაიწყო და ეს საქმე ანტიკური ქალაქის, პრიენეს ათენას ტაძრის აღმშენებელს – ხუროთმოძღვარ პითიუსს მიანდო. მარმარილოს სვეტებისანი მდიდრული ნაგებობა, გადმოცემის თანახმად, კლასიკურ ბერძნულ ტაძრებს ჩამოჰგავდა და ქანდაკებებითა და ოქროთი იყო შემკობილი. ტაძარი არაერთხელ გაიძარცვა. შემოსევებისა და მიწისძვრების შედეგად

### ANTIK TIYATROSU

ბოდრუმის ამფითეატრი ქალაქის ჩვენს დრომდე ყველაზე უკეთ შემორჩენილი ანტიკური ნაგებობაა. თეატრი თავდაპირველად 13000 მაყურებელზე იყო გათვლილი. დღეს აქ ხშირად იმართება წარმოდგენები. ამფითეატრი 5000-მდე მაყურებელს იტევს.

**ღიაა:** ყოველდღე – 08.30-16.30  
**ფასი:** 8 TRY

Kibris Şehitler Caddesi



### BODRUM KALESI

ქალაქის სახელწოდებაც ამ ციხეს და წმინდა პეტრეს უკავშირდება: მას თავდაპირველად პეტრონიუსად მოიხსენებდნენ, შემდეგ კი თურქული ვარიანტი – ბოდრუმი ეწოდა. ციხესიმაგრე XV საუკუნის პირველ ნახევარში როდოსელმა რაინდებმა ააგეს. დღეს ციხესიმაგრეში მუზეუმი გახსნილი, სადაც საზღვაო არქეოლოგიის ნიმუშები და ბრინჯაოს ხანის არტეფაქტებია დაცული. ნაგებობა ზღვას გადაჭყურებს და თუკი მას სალამოხანს ესტუმრებით, შეგიძლიათ მისი კომკიდან მზის ჩასვლის ყურებით დატკბეთ. **ღიაა:** სამშაბათი-კვირა – 9.00-12.00; 13.00-19.00; **ფასი:** 10 TRY



### MINDOS KAPISI

ანტიკური ქალაქის, მინდოსის პორტიკენ (დღევანდელი Gümüşlük) გამავალი კარიბჭე ჰალიკარნასის 7-კილომეტრიანი გალავნის ორიდან ერთ-ერთ შესასვლელს წარმოადგენდა. ის მავსოლეს მმართველობის დროს, ქრისტეშობამდე IV საუკუნეშია აგებული. ძვ. წელთაღრიცხვით 334 წელს ალექსანდრე მაკედონელმა სწორედ ამ კარიბჭის გავლით აიღო პოლისი, რომელიც მანამდე აუღებლად ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გალავანი ნანგრევების სახითაა ჩვენამდე შემორჩენილი, კარიბჭის მასშტაბები ჰალიკარნასის წარსული დიდებისა და ძლიერების ნათელ სურათს წარმოაჩენს. **არქეოლოგიური ძეგლის მონახულება უფასოა.**


Cafer Paşa Caddesi



გად მისგან დღეს საძირკველი, კოლონების ნიმუშები და რამდენიმე ქანდაკებაა დარჩენილი. არტეფაქტების მნიშვნელოვანი ნაწილი ბრიტანეთის ეროვნულ მუზეუმშია დაცული.

**ღიაა:** აპრილი-ოქტომბერი და მარტინოემბერი – 08.00-19.00; **ფასი:** 10 TRY

Turgutreis Caddesi





ბოდრუმი ყველა ტიპის კლასს გადააწყობა: უბრალო, სუფთა კლასიკური და მანდარინული, მდიდრული სანაპიროებით და მთავრებით – ისეთებით, რომლებიც MANDARIN ORIENTAL, ანდა SWISSOTEL RESORT. ამ მხარის საუკეთესო კლასებს შორისაა ოქროსპირობის YAHSI. თუკი უფრო შორს წასვლას გადაწყვიტოთ, შავიქლით მოინახულოთ MAZI, რომელსაც უფრო ხშირად ადგილობრივები სტუმრობენ.



**MED-INN**



ბოდრუმის ცენტრიდან 35 კმ-ით დაშორებული ბუტიკ-სასტუმრო თავისი სერვისით, ინტერიერითა და გარემოთი თურქეთის ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ სტრუქტურას წარმოადგენს.

სასტუმრო ზღვას გადაჭყურებს, კერძო პლაჟი აქვს, გარშემო ბალი არტყია და იდეალური ადგილია მშვიდი და რომანტიკული დასვენების მოყვარულთათვის. სასტუმროს რესტორანში შეგიძლიათ მიირთვათ ევროპული კერძები. **ნომრის ფასი:** 200€-დან

Ataturk MhI.Siralik Cad.446  
Sk.No:6 Gulluk



**MAÇAKIZI**



ბოდრუმის მხარის ერთ-ერთი ყველაზე გლამურული და მდიდრული ბუტიკ-სასტუმრო ქალაქიდან მოშორებით,



ბოდრუმი არაერთი ფანტასტიკური რესტორანია და რაც მთავარია, აქ ყველაფერი განსაკუთრებით გემრიელია, რადგან კარძების მოსამზადებლად ამ მხარეში მხოლოდ ადგილობრივი და ახალი პროდუქტი გამოიყენება.



**MEMEDOF**



ბოდრუმის ყველაზე პოპულარული თევზის რესტორანი ზღვას გადაჭყურებს. მისვლამდე ადგილის დაჯავშნა სავალდებულოა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი ტერასაზე გინდათ ვახშობა. რესტორნის საფირმო კერძებია ადგილობრივი ანტიპასტი – meze, şakşuka (შაქშუკა შემწვარი ბადრიჯანი იოგურტის და ნივრის სოუსით), fava (ფავა ალესილი ცერცვი), midye dolma (მოლუსკები გულსართით), kalamar tava (შემწვარი კალმარი) და გრილზე შემწვარი თევზი, განსაკუთრებით წითელი კეფალი.

Gerişaltı mevkii Çökertme cad. no 42

რებით, Türkbükü-ში, ზედ ზღვის პირას მდებარეობს. სასტუმროს გარშემო დიდი პარკია გაშენებული.

რესტორნის ტერასა ზღვაზე გადის და აქ შეგიძლიათ მიირთვათ ადგილობრივი და საერთაშორისო კერძები, მაგალითად, თევზი ნივრის სოუსით, სკორდალით და დანდურით, შემწვარი ბატკნის ხორცი ფეტას პესტოთი და კარტოფილით, ანდა სპაგეტი ნივრით, ზეთუნის ზეთით, ბოტარგათი და წიწკის ჩირით.

**ნომრის ფასი სეზონზე:** 500€-დან

Bağarası, Narçiçeği Sokak

**LIMON**



ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე თვალწარმტაცი რესტორანი დიდი ეზოთი, ზღვის ხედით და ვინტაჟური ინტერიერით გამოირჩევა. გირჩევთ, შეკვეთის მოტანამდე აპერიტივი პირდაპირ ბარის დახლთან აიღოთ, რომელიც ბაღში მდებარეობს. „ლიმონი“ იდეალური ადგილია რომანტიკული ვახშმისთვის. რესტორანი მომხმარებელს თევზისა და ხორცისგან მომზადებული კერძების დიდ არჩევანს სთავაზობს.

Yalı Mevkii No:1 Gümüşlük



**ORFOZ**



აქ ნამდვილი სამოთხეა ზღვის პროდუქტების მოყვარულთათვის. რესტორნის ინტერიერი უბრალოა, ხის მაგიდებით და სკამებით გაწყობილი, მისი დიდი ტერასა კი ზღვას გადაჭყურებს. თევზის მოყვარულებს გირჩევთ, მიირთვათ ადგილობრივი სარდინი, შებოლილი გველთევზა, ზღვის ლოკოკინები ღვინის სოუსში, ახალი მოლუსკები ლიმონით და გამომცხვარი მოლუსკები. მისვლამდე სასურველია მაგიდა წინასწარ დაჯავშნოთ.

Kumbahçe Mah. Zeki Müren Cad. No:13/1







## EFES

ელინურ-რომაული ეფესო, ანტიკური ხანის უბრწყინველესი ქალაქი, ყოველწლიურად ათასობით მოგზაურს იზიდავს მთელი მსოფლიოდან. ეფესო IV საუკუნემდე რომის აზიური პროვინციის დადასტურებული და, ამასთანავე, რამიონის უმსხვილესი საკორობო და სავაჭრო ცენტრი იყო. თუმცა, მახშირეზული შემოსევების შედეგად, ქალაქის კორობა მნიშვნელოვნად დაკარგა და ეფესო მოსახლეობა საბოლოოდ ქრისტეობიდან VIII საუკუნეში დაბრუნდა.

აქაურობით ხელახლა XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაინტერესდნენ – მას შემდეგ, რაც სტამბოლი-ბალდადის მიმართულებით რკინიგზის მშენებლობა დაიწყო, ამ ადგილას არტემიდეს ლეგენდარული ტაძრის საპოვნელად, არქეოლოგები გამოგზავნეს.

ვარაუდობენ, რომ ის, რაც დღეს მიწის ზემოთ ჩანს, ანტიკური ქალაქის მხოლოდ 18%-ს უნდა წარმოადგენდეს. ქალაქის არქეოლოგიური გათხრებიდან ამოღებული არტეფაქტები სელჩუკში – ეფესოს მუზეუმშია დაცული. მნიშვნელოვანი ნაწილი ინახება ვენისა და ბრიტანეთის ეროვნულ მუზეუმებშიც.



### ადრიანას ტაძრი

ქრისტეშობამდე 128 წელს იმპერატორი ადრიანე ქალაქს ეწვია, ათი წლის შემდეგ კი მადლიერმა მოსახლეობამ მის სახელზე ტაძარი ააგო, რომელიც, გადმოცემის თანახმად, რომაელ იმპერატორთა ძეგლებითა და ოქროთი იყო შემკული.



### ცელსიუსის ბიბლიოთეკა

ადგილობრივი ბერძენი დიდგვაროვნის და რომის კონსულის, ტიბერიუს იულიუს ცელსიუსის მიერ აგებულ ბიბლიოთეკაში 12 000 გრაგნილი იყო დაცული. ნაგებობის სვეტებიანი ფასადი შენარჩუნებულია და ის არქიტექტურულ შედეგს წარმოადგენს.

### ოღონი

ეფესოს ნახევარწერიული ამფითეატრი 24 ათას მაყურებელს იტევდა. გადმოცემის თანახმად, აქ იქადაგა პავლე მოციქულმა ქრისტეს მრწამსი, რასაც მოჰყვა მისი ეპისტოლე „ეფესელთა მიმართ“.

### შვიდი ყრმის მღვიმე

მღვიმე, რომელსაც III საუკუნეში შვიდი წმინდა ყრმა ქრისტიანთა დევნისას თავს აფარებდა, იმპერატორ დეკიუსის ბრძანებით ამოქოლეს, თუმცა ასწლეულების შემდეგ, როდესაც მღვიმის შესასვლელი გახსნეს, ეფესო სასწაულის მოწმე გახდა: ყრმები არა დახოცილები, არამედ ჩაძინებულები დახვდათ.

**არტემიდეს ტაძარი** – მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთია ნადირობის ქალღმერთის, არტემიდეს დიდებული ტაძარი, რომლისგანაც რამდენიმე სვეტილა დაარჩენილი. ის ქრისტეშობამდე 550 წელს ააგეს და 356 წელს ჰეროსტრატეს მიერ გაჩენილ გამანადგურებელ ხანძარს ემსხვერპლა.



**ეფესოს ტარასული სახლები** ადგილობრივ დიდგვაროვანთა მდიდრულ საცხოვრებლებს წარმოადგენდა. მარმარილოს სვეტებიანი ნაგებობების იატაკები მოზაიკით, კედლები კი ფრესკებითაა შემკული.

### ეფესოს მუზეუმი

ეფესოს არქეოლოგიურ მუზეუმში დაცულ ბრწყინვალე ექსპონატებს შორისაა არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი არტეფაქტები, მონეტები, ანტიკური ხანის მოზაიკის თუ კედლის მხატვრობის ნიმუშები.

კოლექციაში დაცულია პრიაპოსის ქანდაკება, ეროსის, სოკრატეს მარმარილოს ბიუსტები, არტემიდეს ქანდაკება, ადრიანეს ტაძრის ორიგინალური თაღების ნაწილი და ა. შ.

**ღია:** აპრილი-ოქტომბერი – 08.00-19.00; ნოემბერი-მარტი – 08.00-17.00

**ბილეთის ფასი:** ეფესოს ნაკრძალი და მუზეუმი – 40 TRY; ტერასული სახლები – 20 TRY

*ეფესოს არქეოლოგიური ნაკრძალი დღევანდელი სალიკის ტერიტორიაზე მდებარეობს და მუშადასიდან 30, იზირიდან 30 50 შო-თა დაშორებული. ამ პალატიდან ყოველდღიურად ეწყობა ტურები, რომელთა საშუალო ღირებულებაა 50€; ადგილობრივი გიდის მომსახურების ღირებულება კი 24€-დან იწყება.*





**SELÇUK**

ქალაქი სელჩუკი ეფესოს არქეოლოგიური ნაკრძალიდან 2 კმ-ში მდებარეობს. მისი ორიგინალური სახელი Agios Theologos (Αγιος Θεολόγος) იოანე მახარებელს უკავშირდება. ოსმალურ ეპოქაში ქალაქს აიასოლუქი ერქვა, 1914 წლიდან კი სელჩუკი ჰქვია. არქეოლოგიური ძეგლების სიმრავლის წყალობით სელჩუკი დღეს თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე ტურისტული ქალაქია.



**იოანე მახარებლის ტაძარი**  
იმპერატორმა იუსტინიანემ VI საუკუნეში ააგო. შემორჩენილია ტაძრის საძირკველი და მარმარილოს სვეტები. გადმოცემის თანახმად, სიგოცხლის ბოლო წლებში მოციქული ამ ადგილას ცხოვრობდა და აქვე დაიკრძალა.

**ღიაა:** აპრილი-ოქტომბერი – 08.00-19.00; ნოემბერი-მარტი – 08.00-17.00  
**ფასი:** 10 TRY



**ქალწული მარიამის სახლი**  
ეფესოდან 9 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. გადმოცემის თანახმად, ღვთისმშობელმა ამ სახლში სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა, მიძინებამდე. **ღიაა:** იანვარი-თებერვალი – 08.00-17.00; მარტი-ოქტომბერი – 08.00-18.00; ნოემბერი-დეკემბერი – 08.00-17.00; **ფასი:** 25 TRY



**PERGAMON**

პერგამენტის სამშობლო, ანტიკური ქალაქი პერგამონი ძველი წელთაღრიცხვით V საუკუნეში დაარსდა. რეგიონის უდიდესი საგანმანათლებლო ცენტრის ბიბლიოთეკა 200 ათასზე მეტ ხელნაწერს ფლობდა და სიდიდით მხოლოდ ალექსანდრიის ბიბლიოთეკას ჩამოუვარდებოდა. ქალაქმა, რომელიც სახარებაშია მოხსენიებული, ჩვენი წელთაღრიცხვით XIV საუკუნემდე იარსება. პერგამონის ნაკრძალში ჩვენს დრომდეა შემორჩენილი აკროპოლისი, ტრაიანეს, დიონისესა და ათენას ტაძრების ნანგრევები, ანტიკური აკვედუკები და ციცაბო კლდეზე აგებული ამფითეატრი, რომელიც 10000 მაყურებელს იტევდა; ბიბლიოთეკა, სამეფო სასახლეები და არაერთი საკულტო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობა. მისი ცნობილი საკურთხეველი ბერლინის Pergamonmuseum-შია დაცული და ელზური ეპოქის შედეგს წარმოადგენს.

*ძეგლი 2014 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი.*

პერგამონის აკროპოლისი თურქულ ქალაქ ბერგამას მიეკუთვნება. მანძილი იზმირიდან 100 კმ-ია.

**ღიაა:** ოქტომბერი-მარტი – 08.00-16.30; აპრილი-სექტემბერი – 08.00-18.30  
**ფასი:** 25 TRY



**APHRODISIAS**

ელიზურ ქალაქს სახელი სიყვარულის მფარველი ქალღმერთის, აფროდიტეს პატივსაცემად ეწოდა. მის არქეოლოგიურ ნაკრძალში შემორჩენილია ძვ. წელთაღრიცხვით III საუკუნის აფროდიტეს ტაძრის ნანგრევები, აგორა, ამფითეატრი, რომაული აბანოები და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები. შენობები ადგილობრივი განთქმული კარიული თეთრი და ცისფერი მარმარილოთია შემკული. 2017 წლიდან აფროდიზიაში იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი.

**მანძილი იზმირიდან 230 კმ-ია, ეფესოდან (სელჩუკი) – 133 კმ.**

**ღიაა:** ყოველდღე, ზაფხულში – 08.00-19.00, ზამთარში – 08.00-17.00  
**ფასი:** 10 TRY



**SIRINCE**

სელჩუკიდან 30 კმ-ის დაშორებით მდებარე თურქულ-ბერძნული სოფელი მთაზეა შეფენილი და მისი სახელი თურქულად „მშვენიერს“ ნიშნავს. საცხოვრებელი სახლების არქიტექტურა ბერძნულ სტილშია გადაწყვეტილი. ქალაქის ვიწრო ქუჩები შესანიშნავი ადგილია სასეირნოდ, მისი პატარა კაფეები კი – ადგილობრივი ყავისა და ტკბილეულის დასაგემოვნებლად.





ანტიკური სმირნა, თურქეთის სიდიდით მესამე ქალაქი იზმირი, ქვეყნის ყველაზე თანამედროვე, ევროპულ ნაწილს წარმოადგენს. აქ თითქმის ვერ ნახავთ თავდაბურულ ქალებს და ძველი ყაიდის კონსერვატორებს.

ადგილობრივი უნივერსიტეტების დამსახურებით, ეს ახალგაზრდული, სიცოცხლით სავსე დასახლებაა, სადაც ერთმანეთს ენაცვლება მაღალი კლასის მალაზიები და ქუჩებში გაშლილი დახლები, გორაკზე შეფენილი ღარიბული ბარაკები და ეგეოსის ზღვის ნაპირზე გაშენებული სასტუმროები.

*იზმირი იბღანაღ ლიბერალური ქალაქია, რომ ადგილობრივი კონსერვატორები მას უკვირ თვალით უყურებენ. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც რამზაზანის დროს ქალაქის ბარები და რესტორნები ჩვეულ რაჟიში მანაზოქობენ მუშაობას.*

ანტიკური დროიდან სმირნა ეგეოსის ზღვის უმნიშვნელოვანესი საპორტო ქალაქი იყო. აქ გადიოდა აბრეშუმის დიდი გზა. ბერძნებით, თურქებითა და ებრაელებით დასახლებული სმირნა ყოველთვის მულტიკულტურულ, გახსნილ დასახლებას წარმოადგენდა. თავისი უნიკალური ატმოსფეროსა და სხვა ცნობილი ისტორიული ძეგლების სიახლოვის წყალობით ამ ქალაქს ყოველწლიურად ტურისტების დიდი ნაკადი სტუმრობს.



## IZMIR SAAT KULESI



იზმირის საათის კოშკი ქალაქის ცენტრში – ქონაქის მოედანზეა აღმართული. მისი პროექტი ფრანგ არქიტექტორ რაიმონდ შარლ პერს ეკუთვნის. საათის კოშკი 1901 წელს გერმანიის კაიზერმა ვილჰელმ მეორემ სულთან აბდულჰამიდ II-ს უსახსოვრა მონუმენტის სიმაღლე 25 მ-ია, კოშკი ოსმალურ-მავრული არქიტექტურისთვის დამახასიათებელ სტილშია აგებული.

## AGORA

ანტიკური სმირნის აგორა დღეს თანამედროვე ქალაქის შუაგულში მდებარეობს და იზმირის ლია ცის ქვეშ განთავსებულ მუზეუმს წარმოადგენს. აგორა ძველბერძნულად მოედანს, ხალხის თავშეყრის ადგილს ნიშნავს: ანტიკურ დროში აქ იმართებოდა ბაზრობები, კრებები, წყდებოდა საჭირობოროტო და მნიშვნელოვანი საკითხები. აგორის თავდაპირველი ნაგებობები ქრისტეშობამდე 178 წელს გამანადგურებელ მიწისძვრას ემსხვერპლა, თუმცა, რომის იმპერატორის, მარკუს ავრელიუსის ბრძანებით, მოედანი მალევე აღადგინეს. დღეს სმირნის აგორა ნანგრევების სახითაა შემორჩენილი.

**ფასი:** 10 TRY; **ღიაა:** აპრილი-სექტემბერი – 08.00-18.00; ოქტომბერი-მარტი – 08.00-16.00

Agora Caddesi, Izmir



## ASANSÖR

Asansör ლიფტს ნიშნავს – ეს ისტორიული, მასიური ნაგებობაა და მასში დამონტაჟებულ რკინის ლიფტს ვიზიტორები ქართაშის უბნიდან გორაკის წვერამდე აჰყავს. ის 1907 წელს გაიხსნა და დღეს ტურისტების ერთ-ერთ საყვარელ ადგილად მიიჩნევა. მზის ჩასვლისას გორაკიდან ეგეოსის ზღვამდე საუცხოო სანახაობა იშლება. ამასთან, აქ არის ქალაქის ყველაზე პოპულარული რესტორანი Asansör-ი. ლიფტით მგზავრობა უფასოა.

Turgut Reis Mahallesi, Şhft. Nihatbey Cd. 76/A, Konak



## KORDON

იზმირის მთავარი სასაბურთო გამზირი ეგეოსის ზღვის ნაპირზე, Konak-ის დასახლებიდან რკინიგზის სადგურამდეა გადაჭიმული და 6.5 კმ-ის სიგრძის ბოლს წარმოადგენს. მის გასწვრივ განლაგებულია ქალაქის ბარები, კაფეები და რესტორნები; მუზეუმები, სახელოვნებო ცენტრები და სხვა მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობები.



**BALÇOVA**




იზმირის ცენტრიდან 8 კილომეტრის დაშორებით მდებარე თურქული წყლები თურქეთის ყველზე დიდ დახურულ აბანოებად მიიჩნევა. მისი დაარსება მიკენის ლეგენდარულ მეფეს – აგამემონს მიეწერება. გადმოცემის თანახმად, აქ ძველ ბერძნებს მომაკვდავი მეომრები მოჰყავდათ, რომლებიც წყლების სამკურნალო თვისებების წყალობით აქაურობას გამოჯანმრთელებულები ტოვებდნენ.



წყლის ტემპერატურა 62-80 გრადუსს შორის მერყეობს. დღეს ამ ადგილას გამწებულ სასტუმრო კომპლექსს ისეთი დავადებების სამკურნალოდ სტუმრობენ, როგორცაა: რევმატიზმი, საჭმლის მომწელებელი სისტემის დავადებები, გინეკოლოგიური პრობლემები, ნევროზი, ეგზემა, შარდის ბუშტის პათოლოგიები, ოპერაციის და გადატანილი დავადებების შემდგომი სარეაბილიტაციო პროცედურები.

**ნომრის ფასი:** 60€-დან  
Vali Hüseyin Öğütçen Cad. No:2 Balçova



**KEY HOTEL**



ლუქსის ტიპის სასტუმროს ტერასიდან და ნომრებიდან ეგეოსის ზღვის შთამბეჭდავი ხედი იშლება, რესტორანში კი შეგიძლიათ მიირთვათ როგორც ადგილობრივი, ისე ევროპული კერძები.

**ორადგილიანი ნომრის ფასი:** 100€-დან  
Mimar Kemalettin Caddesi No:1, Konak

**SWISSOTEL GRAND EFES IZMIR**

ზღვის ნაპირას, ქალაქის ცენტრში მდებარე სასტუმროს ოთახების ნაწილიდან – ზღვის, ნაწილიდან კი უზარმაზარი პარკის ხედი მოჩანს. 402-ნომრიანი კომპლექსში მუშაობს სამი რესტორანი, ორი ბარი, ევროპული სპა და თურქული აბანო. **ორადგილიანი ნომრის ფასი:** 130€-დან

Gaziosmanpasa Bulvari No: 1 Alsanca



**DOUBLETREE BY HILTON**



სასტუმრო ახლოსაა ქალაქის ცენტრალურ ნაგებობებთან, როგორცაა: საათის კოშკი, ქონაქის მოედანი, ცენტრალური მაღაზიები, რესტორნები და იზმირის ბაზარი. სასტუმროს სახურავზე მდებარე აუზი, სპა და პანორამული რესტორნები ყველა პირობას უქმნის დამსვენებლებს დროის სასიამოვნოდ გასატარებლად. **ნომრის ფასი:** 90€-დან  
Ismef Kaptan Mahallesi 1373 Sk. N5 Konak

**WYNDDHAM GRAND IZMIR ÖZDILEK**



სასტუმროს მასიური ფანჯრები ეგეოსის ზღვაზე გადის და სტუმრებს საშუალება აქვთ, ოთახიდანვე დაინახონ ქალაქის მშვენიერი სანაპირო მთელი თავისი დიდებულებით. სასტუმროს კიდევ ერთი გამორჩეული მხარე მისი რესტორნები (სადაც შეგიძლიათ მიირთვათ თურქული და საერთაშორისო კერძები), ლამის კლუბები, ღია და დახურული აუზები, სპა და სხვადასხვა სარელაქსაციო მომსახურებაა. **Inciraltı Sokak No:67, Balçova**

**YENGEÇ**



საკუთესო ადგილია მეზეს, თურქული კლასიკური აპეტაიზერების დასაგემოვნებლად, რომელსაც რაქის თანხლებით ხშირად მიირთმევენ ქალაქის მაცხოვრებლები. გირჩევთ, გასინჯოთ კალმარი თაფლით და ბადრიჯანი.

İskele Mahallesi 2121. Sokak No: 6



**DENİZ RESTAURANT**



ეგეოსის ზღვისპირა ქალაქი საუკეთესო ადგილია ახალი თევზის საჭმელად, Deniz Restaurant-ი კი – ერთ-ერთი საუკეთესო კვების ობიექტი, სადაც სრულყოფილად ფლობენ ზღვის პროდუქტების გრილზე დამზადების ხელოვნებას.

Kültür Mahallesi, No:7/B Atatürk Cd. No:188

**MAVRA**



თანამედროვე რესტორანი, იზმირის მაღალსართულიანი შენობების ხედი, ადგილობრივების კიდევ ერთ საყვარელ ადგილს წარმოადგენს. ტრადიციულ მეზესა და თევზის დიდ არჩევანთან ერთად რესტორნის ყველაზე ცნობილ კერძად გრილზე შემწვარი რვაფეხა მიიჩნევა.

Cemal Gürsel Caddesi İnci Apt. No:506, 35590 Karşıyaka

**MEŞHUR HISARÖNÜ ŞAMBALICISI**



ამიური დესერტის, Şambalı-ს გასასინჯად გირჩევთ, Meşhur Hisarönü Şambalıcısı-ს ეწვიოთ. მანანის ბურღულის, იოგურთის, ნუშის და შაქრისგან დამზადებული ტკბილეული ამ საკონდიტროში 1942 წლიდან ცხვება და მას აქ კლიენტებს კრემთან ერთად მიართმევენ.

Şambalıcısı, Konak Mahallesi 901. Sk 13/A, 35250 Konak



**REYHAN PASTANESİ**



უგემრიელესი დესერტი – პროფიტეროლი კრემიან და შოკოლადიან ხრაშუნა ცომის ბურთულებს წარმოადგენს. იზმირში საუკეთესო ადგილი ამ უგემრიელესი ნუგარის საჭმელად საცხობი Reyhan Pastanesi-ია.

Kültür Mahallesi, Dr. Mustafa Enver Bey Cd. No:24, Konak

**Şortan Pastanesi**

გამორჩეულია თავისი ცნობილი Lor Tatlısı-თ. ეს ტკბილეული ადგილობრივი რბილი ყველისგან მზადდება და ტკბილი სიროფითაა დანამული.

Ülkü Mahallesi, Mithat Paşa Cad. 835/A, 35240 Konak

**GÖZLEMECİM**



გრილზე ოდნავ გამომცხვარი ტრადიციული ცომეული გოზლემე, რომლის ორ ფენას შორის, როგორც წესი, სხვადასხვა სახის შივთავსია მოქცეული, თურქული სამზარეულოს ერთ-ერთი კლასიკური კერძია. ცომეულის საჭმელად იზმირში Gözlemecim-ი საუკეთესო ადგილია: აქ ამ კერძის 70 ნაირსახეობას შეხვდებით.

Konak Mahallesi, 897. Sk Konak



**TAVACI RECEP USTA**



თუკი თევზეული მოგებგრდათ და ხორცის ჭამა გადაწყვიტეთ, ამისთვის Tavacı Recep Usta საუკეთესო ადგილია იზმირში. აქ ნახავთ უამრავი სახეობის ქაბაბს, შემწვარი ბატკნის კერძებს და ბატკნის ღვიძლის მწვადს.

Ulus, Atatürk Cd. No:364, 34537 Alsancak





ჩემეს ნახევარკუნძულის სანაპიროზე, ფერ-წერული ალაჩათი ადრე მხოლოდ იალქნე-ბისა და სერფინგის მოყვარულებს იზიდავდა, ახლა კი პრესტიჟულობით თურქეთის საუკეთესო კურორტებს ეჯობება. ბერძნულ-თურქული ისტორიული დასახლება, საუკეთესო ბუტიკ-სასტუმროებით და რესტორნებით, მეთევზეთა სოფლის რიტმს ინარჩუნებს.




ვიწრო ქუჩები, საკმაგების, ტკბილეულისა და ჩაის სურნელი, ისტორიული პატარა ფერადკრამიტიანი სახლები, აყვავებული ბაღები – ზღაპრულ ალაჩათიში სიწყნარე და სუფთა ზღვაა. 1922-1923 წლებამდე ალაჩათიში ბერძნები ცხოვრობდნენ. დღეს აქ ახალი თაობის წარმატებული თურქები დამკვიდრდნენ, უმრავლესობა შაბათ-კვირას დასასვენებლად ჩამოდის, ნაწილი კი მუდმივად საცხოვრებლად დასახლდა.

*იზმირიდან ალაჩათიში მზაპრობას 50 წუთი სანიღბაა, ტაქსი 55-60€ ღირს. ალაჩათიში საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არის, ამიტომ თუ შორ მანძილზე სიარულს გეგმავთ, ველოსიპედი ან მოკავალი უნდა იძირაოთ.*



*აპრილში ალაჩათიში მსოფლიოს მუჩაგაგაი ფასტივალზე იკრიბებიან ადგილობრივი საშხარაულო სამაგაგა-ბითაა განთავსული. მონაწილეები ერთმანეთს საუკეთესო კერძის შაქმნაში აჯობაობენ.*



## ALAVYA

ქვით ნაგები მყდრო სასტუმრო-ბუტიკი მდიდრული სამოთხეა დიდ-პატარა ნომრებითა და ჩინებული აუზით. **ორადგილიანი ნომრის ფასი (საუზმით): 300-600€**

Yeni Mecidiye Mh.  
3005 Sk. 6

### 1 Köse Kahve –

ქუჩის ხიბლის შესაგრძობად ეს კაფე საუკეთესოა.

2 Barbut – თევზის რესტორანში ზღვის პროდუქტების გარდა ჩინებულ თურქულ კერძებსაც მოგიმზადებენ.

3 Ferdi Baba – ტრადიციული სამზარეულო და თევზი აქაურობის მუდმივი სტუმრების საყვარელი კერძებია.

### 1 Lisa Corti –

იტალიური სამოსის ბრენდი სამკაულებს და პლაჟის აქსესუარებს გთავაზობთ.

2 Serap Yurdaer – საავტორო კერამიკის მაღაზიაში უმშვენიერეს ნაკეთობებს შეიძენთ.

3 Pop – მაღაზია გასული საუკუნის 60-იანი წლების ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობს.

## ვიდსარფინგი, სკაიტსარფინგი

ალაჩათის სანაპირო დამსახურებულად ფლობს იდეალურს წოდებას. მუდმივი ნიავებული ამ ქალაქში ექსტრემალური სპორტის უამრავ მიმდევარს იზიდავს. ტალღებზე სრიალის შესწავლას თუ გეგმავთ, ASPC-ს გირჩევთ. **კურსი 250€** დაგივდებათ.



## ზღვის სიღრმეში თევზაობა

რვა წლის წინ რამდენიმე მეგობარმა გადაწყვიტა, თავიანთი ხელოვნება-შეჯიბრი საერთაშორისო ტურნირად ექციათ. შარშან მასში 80 კაპარჯით 400-ზე მეტი მეთევზე მონაწილეობდა. შეჯიბრში მონაწილეობის მსურველთათვის ერთადერთი პირობა თევზაობის სიყვარულია.

## პლაჟები

**Paşalimanı** – სანაპირო მშვიდი დასვენებისთვისაა. შეგიძლიათ ბუნგალო შეუკეთოთ, საპარაშუტო სპორტითა და წყლის ველოსიპედით დაკავდეთ.

**Çiftlikköy** – ოკეანის კლუბი პირველყოფილ ბუნებაში დასვენებას გთავაზობთ: ღია ქოხები, ირგვლივ – ზღვა. ითევზავებთ, გაირუჯებით. რესტორნები აქ არ არის.



ეგეოსის სანაპიროს მდიდარი საკურორტო რეგიონის ცენტრი ულამაზესი პლაჟებით, შესანიშნავი სასეირნო სანაპირო ზოლით მასპინძლობს მათ ვისაც აქვე მდებარე ალაჩათის ფუფუნება და მაღალი ფასები აბრკოლებს. ჩემეს ძველი ქალაქი გვიანი მეცხრამეტე საუკუნის ბერძნული ნეოკლასიკური შენობებითაა სავსე. პლაჟებზე რუჯის მიღება და თერმულ აბაზანებსა და სპეზში განტვირთვა აქ დასვენების საუკეთესო ნაწილია. შეგიძლიათ სერფინგითა და კაიტბორდინგით დაკავდეთ.



ბოზაადა, ყოფილი ბერძნული ტენედოსი, ეგეოსის ზღვის ჩრდილო ნაწილში, დარდანელის სრუტის ყელთან მდებარე პატარა კუნძულია, რომელიც სტამბოლელების საყვარელი ადგილი იყო მაფხულში და შაბათ-კვირას დასვენებისათვის. ეს პატარა, სულ რაღაც 40 კმ<sup>2</sup> ფართობის ტერიტორია შესანიშნავი ქვიშის პლაჟებითა და ვენახებით დღეს უკვე ბევრი ევროპელის არა მხოლოდ დასასვენებელი ადგილი, მუდმივი საცხოვრებელიც კი გახდა.

*ლაგუნა მკობობს, რომ მითიური ტროის ცხენი სწორად თანედოსზე შეიქმნა. თითო ჰომაროსი ახსნაებს ამ კუჩხულს, სადაც ათავალღი ბომაღდას მალავდნა.*

ბერძნული მოსახლეობა აქაურობას 1204 წლამდე იცავდა – მანამ, სანამ ის ვენეციის რესპუბლიკის საკუთრებად იქცეოდა. მოგვიანებით რომის პაპმა ურბან VI-მ ვითარების გასაწესებლად დაადგინა, კუნძულიდან ბერძენების 40 ოჯახი გაესახლებინათ. 1470 წელს კუნძული ოსმალებმა დაიპყრეს.



**BOZCAADA BADEMLIK**

თურქულ უბანში, რომელიც უფრო წყნარ ადგილად ითვლება, მინიმალისტური დიზაინის 5-ნომრიანი ქათქათა თეთრკედლებიანი სასტუმროა. საუმეს აქ შესანიშნავი ხედების მქონე ტერასაზე მოგართმევენ. **2-ადგილიანი ნომრის ფასი:** 150€-დან (საუზმით)

Cumhuriyet Mahallesi, Asmalı Fırın Sokak No: 19

**LATIFE HANIM KONAĞI**

კუნძულის გამორჩეულ სასტუმროდ მიჩნეულ Latife Hanım Konağı-ს ცენტრში საუკეთესო მდებარეობა აქვს. აქ გელით სახურავზე შესანიშნავი ტერასა ზღვის ხედით. **2-ადგილიანი ნომრის ფასი:** 190€-დან

Cumhuriyet mah. Atatürk Cad. No.23

სადილს, რომორც წავი, სანაპიროზე მიერთდავან. სადღილად, ტრადიციულად მზახს და ზღვის პროდუქტებსა ჯამან, სავახშოდ კი ძალაქან ცანდორში მდებარე რაბოტონაბი დიდინა.



**BORUZAN**

საუკეთესო არჩევანია თევზულისა და ზღვის პროდუქტების საჭმელად. მაფხულობით რესტორნის ფილიალი სანაპიროზეც იხსნება. განსაკუთრებით გემრიელია შემწვარი კალმარი. **ფასი 2 პერსონაზე, ჭიქა ღვინით:** 40€

Alaybey Mahallesi, Yalı Cad. No:4, 17680



*ბოზაადაზე მოსახვედრად საუკეთესო საშუალება ბორანია, რომელიც მიიქლიდან, იუკიერის (GEYIKLI YÜKYERI FERRYBOAT PIER) ნავსინაღმორიდან გადის და მზას 35-40 წუთს ანდომებას.*

*მანანით სტამბოლიდან ან იზმირიდან ჯერ ჩანაქალაქიდან (ÇANAKKALE), შემდეგ მიიქლიდან (GEYIKLI) უნდა გაემგზავროთ.*

*ზაფხულში სტამბოლიდან ყოველდღე რამდენიმე რაინი სრულდება ჩანაქალაქიდან, აეროპორტიდან მიიქლის ნავსადგამიდან მისვლას ერთი საათი სჭირდება.*

**BOZCAADA KALESI**

ბოზაადას სავიზიტო ბარათი ციხესიმაგრეა (ქალე). ეს არის უზარმაზარი შთამბეჭდავი ნაგებობა, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ ფინიკიელების დროს ჩაეყარა, შემდეგ გენუელებმა გადააკეთეს, მერე – ვენეციელებმა; ბოლოს, სულთან მეჰმედის თაოსნობით, თურქებმა განავრცეს.



**AYAZMA**

კუნძულზე ყოფნისას საუკეთესო გართობა პლაჟზე გარუჯვა, ციხესიმაგრის ტერიტორიაზე ხეტიალი და ადგილობრივ რესტორნებში შესანიშნავი საკვების დაგემოვნებაა. საუკეთესო პლაჟი – Ayazma ქალაქიდან ექვს კილომეტრშია, აქ ქოლგაც შეგიძლიათ იქირაოთ, შეზღონიც, შხაპიც არის და ფართო არჩევანიც ღანისათვის.



**POLENTE CAFÉ**

კუნძულის პოპულარული ღია კაფე საუკეთესო ადგილია მზის ჩასვლის სანახავად. აქ განთიადიდან გვიან ღამემდე შეგიძლიათ დანაყრდეთ და შესანიშნავი სასმელიც მიირთვათ საუკეთესო მუსიკის ფონზე.

iskele Caddesi

*კუჩხული საუკუნეების მანძილზე სახელმანთაშლი იყო ჰაზითა და ნითალი ყაყაროთი (ყაყაროს ტაბილი სასმელი აუცილებლად გასინჯეთ). ყოველწლიურად, საქთამბორის პირვალ კვირადღეს ღვინის ტრადიციული ფასტივალი იმართება.*

**CORVUS**

ამ ღვინის დაღვევას აუცილებლად გირჩევთ. 2002 წელს დაარსებული მარანი Corvus Winery საუკეთესო თურქულ ღვინოს ამზადებს. მფლობელმა, წარსულში ცნობილმა არქიტექტორმა რეჟიდ სოლიმ (Reşit Soley) ღვინის დამზადების უძველესი მეთოდები გამოიყენა.



მრავალფუნქციური კომპლექსი

# KING DAVID

12 10% პირველადი  
შენატანი  
თვიანი შიდა განვადება  
10% ფასდაკლება

#არაჩვეულებრივი სახლი

200 18 18

მ. ალექსიძის ქუჩა №12,  
სამართავლო, თბილისი, თ160

[WWW.KDR.GE](http://WWW.KDR.GE)

ქიმიკა დევიდ ბიზნეს ცენტრის ლობი







EUROPEAN PROPERTY AWARDS

ბავსკვანო პრემიის ნომინაციაზე

“საპროექტო გეგმარეაქციის ურთულესი სამართლებრივი”  
და

“საპროექტო გეგმარეაქციის საინჟინერო  
პრემიის სამართლებრივი”



EUROPEAN  
PROPERTY  
AWARDS  
DEVELOPMENT

in association with  
**The Telegraph**

★★★★  
BEST RATED USE  
DEVELOPMENT GEORGIA  
King David  
by Royal Holding GmbH

2016-2017



EUROPEAN  
PROPERTY  
AWARDS  
DEVELOPMENT

Award Winner  
RESIDENTIAL HIGH RISE  
DEVELOPMENT GEORGIA  
KING DAVID  
by Royal Holding GmbH

2017-2018



ქობეა დევიდ რეზიდენსი ლობი

**KING DAVID**  
RESIDENCES





ჭავჭავაძის გამზ. №50

**m<sup>2</sup> ჯავჭავაძე**

ბინები დასრულებული რემონტით ბარდება **2018** წლის სექტემბერში

სიახლე! **m<sup>2</sup> Rent** ბინის გაქირავებისა და მოვლის მომსახურება | [www.m2rent.ge](http://www.m2rent.ge)

2 444 111 | [www.m2.ge](http://www.m2.ge)